



ଲ୍ୟକ୍ଷ୍ମୀ ପ୍ରିସ୍ଟାର୍ଟାଇପ୍

# ქართული კენიოლიკის ისტორიის ეთნი

1819-1863 66.



1937



ლუკა ციხისთავი (1901 – 1976), ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, სტალინური რეპრესიების მსხვერპლი. პირველად, ლ. ბერიას ხელდასმით კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის დააპატიმრეს 1924 წელს. ერთი წელი მან მეტების ციხეში დაჰყო. მეორედ, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდების ბრალდებით დააპატიმრეს 1937 წელს. 1937-1957 წლებში ლუკა ციხისთავი სტალინის რეჟიმის პოლიტპატიმარი იყო გულაგის ბანაკებში. საყოველთაო რეაბილიტაციის გამოცხადების შემდეგ, 1956 წლის მიწურულს, ლუკა ციხისთავი დაუბრუნდა სამშობლოსა და ოჯახს.

ლუკა ციხისთავი არის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, თანაავტორი, ასევე, რედაქტორი-შემდგენელი. გამოქვეყნებული აქვს ისტორიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლისათვის, მეთოდური სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში და სხვ.

1937 წლის გამოცხადების ამ ნაშრომის განვითარება

ეძლვნება ლუკა ციხისთავის  
ნათელ ხსოვნას  
დაბადების 120 წლისთავის  
აღსანიშნავად...



# ლუკა ციხისთავი

ქართული პერიოდიკის  
ისტორიისათვის

1819-1863 წწ.

გადასახლებულია ამ ნაშრომის გამო 1937 წლის  
2021

თბილისი  
2021

## **ლუკა ციხისთავი ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (1819-1863 წ.)**

წიგნში წარმოდგენილია ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსის, ლუკა ციხისთავის ნაშრომი, რომელიც მან 1930-იან წლებში, თავის 20-წლიან პოლიტ-პატიმრობამდე დაწერა. ნაშრომი სრულად, ავთენტური სახით, პირველად ქვეყნდება და მოცავს 3 ნაწილს, რომელთაგან 2 - შემცირებული სახით გამოქვეყნდა 1935 და 1937 წლებში.

ნაშრომს დართული აქვს შესავალი, რომელშიც მოტანილია დასაბუთებული მოსაზრებები, რომ ლუკა ციხისთავის დაპატიმრებისა და გულაგში მისი გადასახლების საფუძველი სწორედ ეს ნაშრომი გახდა.

წიგნი განკუთვნილია როგორც დარგის სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის. წიგნი გამოიცა ლუკა ციხისთავის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად.

### **რედაქტორი: ნინო ციხისთავი-ხუციშვილი**

**წიგნი შეადგენეს ლუკა ციხისთავის შვილიშვილებმა:**

**ნანა ციხისთავი, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**

**ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერებათა მაგისტრი**

**თამარ ციხისთავი, აღმოსავლეთიცოდნე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, კონფლიქტებისა და მშედობის მეცნიერებათა მაგასტრი**

**რეცენზენტი: ანტონ ვაჭარაძე, ისტორიის მაგისტრი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების ხელმძღვანელი**

**კორექტურა: ესმა მანია, ფილოლოგიის მაგისტრი  
დიზაინი: ნინო ციხისთავი-ხუციშვილი**

**დაკაბადონება და დიზაინი: ალექსანდრე ჯიქურიძე  
გამომცემელი: ნინო ციხისთავი-ხუციშვილი  
ყდაზე: ლუკა ციხისთავი, თბილისი, 1937 წ.**

© ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, ნანა ციხისთავი, თამარ ციხისთავი, 2021

UDC (უაკ) 050/070 (479.22)(09)

ც - 794

ISBN 978-9941-8-3135-5

## შინაარსი

წინასიტყვაობა .....	vi
შესავლის მაგიერ .....	ix
სტალინური ეპოქის მიმოხილვისთვის .....	xix
ეპოქის სული.....	xxiv
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის .....	39
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (შესავალი) .....	41
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (ნაწილი I) .....	47
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (ნაწილი II) .....	77
60-იან წლების ქართველი ინტელიგენცია .....	125
ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ და 60-იანი წლები .....	221
ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ და 60-იანი წლები (გაგრძელება) .....	237
ლუკა ციხისთავი, მოკლე ბიოგრაფია .....	257
სახელთა საძიებელი .....	261

## წინასიტყვაობა

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს,  
არცა საიდუმლოა, რომელი  
არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს“.

ლუკა 8:17

საიდუმლო, რომლის ამოხსნის წადილი თითქმის საუკუნეს ითვლის, უკავშირდება ჩემს პაპას – ლუკა ციხისთავს, რომელიც სტალინისა და ბერიას პოლიტიკური პატიმარი იყო ჯერ 1924 წელს მეტების ციხეში, თბილისში და მოგვიანებით, 1937-1957 წლებში, ციმბირის გულაგებში.

21-წლიანი პატიმრობა – თითქოს სიტყვით მარტივად ითქმის, მაგრამ ლუკას წამებიდან თითქმის 100 წლის შემდეგ, ხშირად ვფიქრობ მასზე, იმ დროზე, რა გამოიარა, რა გადაიტანა; მაინტერესებს, წარმოვიდგინო 21-წლიანი იზოლაცია ქალალდზე დაწერილი სიტყვებით კი არა, არამედ დღეებით, საათებით, წუთებით; როგორ იქცეოდა, რას ფიქრობდა, რით უმკლავდებოდა იმ გამანადგურებელ ძალას, რომელსაც საბჭოთა რეპრესიული მანქანა ერქვა. სრული სურათის წარმოდგენა მიუწვდომელი დარჩა ჩემთვის, მიუხედავად მზაობისა, გავითავისო და გავისიგრძეგანო ის ტკივილი, რომელიც ასე ახალგაზრდა წყვილმა და მათმა ოჯახმა ათწლეულების მანძილზე ატარა.

მამაჩემისგან მაქვს გაგონილი, რომ ლუკა ილია ჭავჭავაძის ძკვლელობის საქმეზე მუშაობდა და ამიტომ დაიჭირეს. ლუკას დაპატიმრების ამბავი რომ შეატყობინეს დიდებას (ლუკას მეუღლე), ლუკას ნაშრომი, რომელზეც ის იმ დროს

მუშაობდა, საკუთარი სახლისავე ეზოში, თბილისში, რაფ. ერისთავის ქუჩის №4-ში, შეშინებულს გაუტანია და დაუწვავს. მამაჩემი მაშინ 9 წლისა იყო, ლეილა, მამიდაჩემი – 5-ის, დიდედა – 31 წლისა, თავად ლუკა კი – 35-ის...

პირველად ვაქვეყნებთ ნაშრომს, რომელიც ლუკა ციხის-თავის საოჯახო არქივში ინახებოდა. სწორედ ამ ტექსტში აღმოჩნდა ის ძაფი, რომელზეც მძივებივით აეწყო ლუკას მეორედ დაპატიმრებისა და 20-წლიანი გადასახლების აქამდე საიდუმლო მიზეზის ახსნა.

ლუკა ციხისთავის ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვგეგმავთ, გამოვცეთ აქამდე გამოუქვეყნებელი სხვა შრომებიც, დღის სინათლეზე გამოვიტანოთ საქართველოს ისტორიაზე მისი ხელნაწერები და ამით მისაგებელი მივაგოთ მის უსამართლო ტანჯვას.

მინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩემი გარდასული მეუღლის – გიორგი ხუციშვილის მიმართ, რადგან მისი გამხნევებითა და დაბეჯითებული ხელშეწყობით მოვკიდე ხელი ლუკას არქივს. სწორედ გიორგის მხარდაჭერით, 2011 წელს, ლუკა ციხისთავის არქივის მასალებზე დაყრდნობით, გამოვცეი პირველი წიგნი: „წერილები ოჯახს“, რომელშიც ლუკას გადასახლებისა და პატიმრობის პერიოდის (1937-1957 წწ.) წერილები გამოვაქვეყნე.

მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, პაპა-დიდედასი, ჩემი დების, დისწულისა და ჩემი შვილის – ერთი სიტყვით, ჩემი დიდი ოჯახის, რომლის ყოფა-ცხოვრება, როგორც ერთიანი ქრესტომატია, წინამდებარე წიგნის საფუძველია.

დღიდი მადლობა წიგნის რეცენზიენტს, ბატონ ანტონ ვაჭარაძეს, რომელმაც, მიუხედავად დროის სიმწირისა, უყოყმანოდ მოჰკიდა საქმეს ხელი, გულმოდგინედ წაიკითხა და მისთვის ჩვეული სტილით, ღრმად და საინტერესოდ გააანალიზა ლუკას ნაშრომი, ასევე, მნიშვნელოვანი რჩევები მოგვცა ჩვენ მიერ წიგნზე დართულ ნაწილზე, რითიც დიდი

დახმარება გაგვინია; მადლობა ბატონ ალექსანდრე ჯიქუ-  
რიძეს, რომელმაც ჩვეული გულისხმიერებით, ბევრი იშრომა  
წიგნის დაკაბადონებასა და დიზაინზე და ქალბატონ ესმა  
მანიას, წიგნის კორექტორს, რომელმაც ენობრივი კუთხით  
გულდასმით გადაამონმა წინასიტყვაობა, შესავალი და ეპოქის  
მიმოხილვა და მით აგვარიდა უზუსტობანი.

დიდი მადლობა მკითხველს!

სიყვარულით,

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი  
თბილისი,  
23 დეკემბერი, 2020 წელი

## შესავლის მაგიერ

ლუკა ციხისთავი (1901-1976), ისტორიკოსი, სტალინის რეპრესიების მსხვერპლი, 1924 წელს ლ. ბერიას ბრძანებით დაპატიმრებული ანგისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით. ლუკას დაპატიმრების საბუთზე ლ. ბერიას, იმ პერიოდის საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსის, ხელმოწერაა<sup>1</sup>. ლუკამ სასჯელი თითქმის ერთი წელი (11 თვე) მოიხადა ქ. თბილისის „მეტების ციხეში“. მეორედ ლუკა 1937 წლის 13 ივნისს დაპატიმრებული ქ. ქუთაისში. იქედან რამდენიმე თვეში გადაიყვანეს ციმბირის საპატიმროებში და შემდეგ ყაზახეთში გადაასახლეს. ციხეებსა და გადასახლებაში ლუკამ 20 წელი დაჟყო (1937-1957 წწ.).

ლუკა ციხისთავმა წინამდებარე ნაშრომი ქართული პერიოდიკის ისტორიას მიუძღვნა. შრომა მოცულობითია და მოიცავს 1819-1863 წლების პერიოდს. ნაშრომი ისტორიულ ჭრილში აანალიზებს ქართულ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, მიმოიხილავს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი იმდროინდელი საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას.

ნაშრომზე მუშაობა, ლუკამ, სავარაუდოდ, 1929-30 წლებში დაიწყო. ეს ის პერიოდია, როდესაც ფართოდ გაიშალა პოლემიკა ილია ჭავჭავაძის ღვანლზე ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებაში. ხელისუფლების მითითებამ, ილია ჭავჭავაძე წარმოეჩინათ ბოლშევიკური იდეოლოგიის მიმდევრად და

<sup>1</sup> საქართველოს შსს საარქივო განყოფილება, ლუკა ციხისთავის პირადი საქმის არქივის მასალები. (რედ.).

ამით გაემყარებინათ ახალი სახელმწიფო იდეოლოგია, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალისტთა სამეცნიერო კამათი წამოქრა. აღნიშნულ პოლემიკაში მონაწილეობდნენ ცნობილი ლიტერატორები და ისტორიკოსები, ასევე სახელმწიფო სამსახურში მყოფი მაღალიჩნოსნები<sup>2</sup>.

1935 წელს ლუკა ციხისთავმა თავისი ნაშრომის პირველი ნაწილი გამოაქვეყნა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“.

ვარაუდი იმისა, რომ ლუკამ წინამდებარე ნაშრომის წერა დაახლოებით 1929-30 წლებში დაიწყო, უპირველესად იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ ნაშრომში წარმოდგენილია დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალა, რომელიც ლუკას არქივებსა და ბიბლიოთეკებში უნდა მოეძიებინა.

წინამდებარე პუბლიკაცია ეყრდნობა ლუკა ციხისთავის საოჯახო არქივში დაცულ ხელნაწერ მასალას, რომელზე მუშაობაც 2012 წელს დავიწყე. ნაშრომი სამ დიდ ნაწილს მოიცავს: „საქართველოს პერიოდიკა 1819-1845 წწ.“, „საქართველოს პერიოდიკა 1845-1863 წწ.“ და „1863 წ. „საქართველოს მოამბე“ და ილია“. ამდენად, ამ შრომას ტრილოგია დავარქვი, თუმცა ხელნაწერში ლუკას მიერ აღნიშნულია, რომ ნაშრომის მომდევნო ნაწილი ჟურნალ „დროებას“ ეძღვნება. ესე იგი, ეჭვგარეშეა, რომ ტრილოგიას ჰქონდა გაგრძელება, არსებობდა ნაშრომის მეოთხე ნაწილი – 1866-1885 წწ. „დროება“, შესაბამისი ანალიზით. სამწუხაროდ, დღეს ამ მასალაზე ხელი არ მიგვიწვდება, თუმცა, სამომავლოდ, ლუკას არქივის სრულად გამოცემამ, შესაძლოა, ნათელი მოპოვინოს ამ საკითხს.

ერთი მხრივ, გამომდინარე იქედან, რომ ლუკას არქივში აღნიშნული მეოთხე ნაწილი (1866-1885 წწ. „დროება“) არ მო-

<sup>2</sup> გორგაძე, ი., მიქაბერიძე, მ., ლომჯარია, თ., ბარნაბაშვილი, ნ., მინაშვილი, ლ. (რედ.). (2007). ილია ჭავჭავაძე, ბიობიბლიოგრაფია, 2: 1907-2007. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის ეროვნული ბიბლიოთეკა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

იძებნა, ხოლო, მეორე მხრივ, მამაჩემისა და ბების გადმოცე-მულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვვარაუდობ, რომ აღნიშ-ნული მეოთხე ნაწილი სწორედ ის „საშიში“ მასალა გახლავთ, რომელზეც ლუკა დაპატიმრების დროს მუშაობდა და რომე-ლიც მისმა მეუღლემ, ნინამ, გაანადგურა, როგორც კი ლუკას დაპატიმრება ამცნეს.

ასეთი ვარაუდის საფუძველს, აგრეთვე, ის ფაქტი მაძ-ლევს, რომ ჩვენს ხელთ არსებული სამი ნაწილის ფრაგმენ-ტული გამოქვეყნებაც უპრობლემოდ არ მომხდარა: 1935 წელს ლუკამ თავისი ნაშრომის პირველი ნაწილი გამოაქვეყნა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ (№3, 1935 წ.) და სტატიის ბოლოს მინაწერით მკითხველს ამცნო, რომ მეორე ნაწილი გამოქვეყნდებოდა მომდევნო ნომერში. ლუკას სტატიის გაგ-რძელება ჟურნალის არც მომდევნო და არც რომელიმე სხვა ნომერში გამოქვეყნებულა.

ამასბაში, 1935-1936 წლებში, ლუკა განაგრძობს მუშაო-ბას ნაშრომზე, მივლინებით მიდის ქ. მოსკოვის ბიბლიოთე-კებსა<sup>3</sup> და არქივებში, იკვლევს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ბიბლიოთეკებში და ასრულებს ნაშრომის მესამე და მეოთხე ნაწილებს. თუმცა, მას ალარავინ უბეჭდავს ნაშრომს თბილის-ში. ამიტომ, ლუკა თავს ანებებს მეორე ნაწილის, დასასრულის, გამოქვეყნების მცდელობას და თავისი ნაშრო-მის მესამე ნაწილის (1863 წ. „საქართველოს მოამბე“ და ილია) შემცირებულ ვერსიას ახერხებს და აქვეყნებს ქ. ქუთა-ისის გაზეთში „სტალინელი“ 1937 წ. ივნისში.

მიუხედავად იმისა, რომ 1937 წელს გამოქვეყნებულ მასა-ლაში ლუკამ არაერთხელ გადაიხადა „ხარკი“ და სტატიაში არაერთგზის მოიტანა მაშინდელი საბჭოთა აპარატისათვის მისალები ავტორიტეტების ციტატები (ლენინი, სტალინი და სხვ.), მაინც ვერ გადაარჩინა მდგომარეობა. ამ ნაშრომის

<sup>3</sup> 1935 წ. ივლისი, ცნობა მივლინების შესახებ, ლუკა ციხისთავის პირადი არქივის მასალები. (რედ.).

პუბლიკაციით ყველა კომპეტენტური ორგანოსათვის ნათელი გახდა, რომ მიუხედავად ლუკას „ერთგვარი „გაფრთხილებისა“, რაც მან თავისი სტატიის გაგრძელების გამოქვეყნებაზე უარით მიიღო, ის მაინც განაგრძობდა ნაშრომზე მუშაობას, რაც „პარტიის ცენტრალური ხაზიდან გადახვევის“ ტოლფასი იყო. შედეგად, ნაშრომის გამოქვეყნებიდან 1 თვეში, 1937 წლის 13 ივლისს, ლუკა ქ. ქუთაისში<sup>4</sup> დააპატიმრეს.

### ნაშრომის მნიშვნელობა

ტრილოგია, რომელიც ავთენტური სახით სრულად პირველად ქვეყნდება, მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

**უპირველესი** მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ ხელნაწერმა პირველად ნახა მზის სინათლე და ნაშრომი სრულად, მისი დაწერიდან თითქმის 100 წლის შემდეგ, ქვეყნდება.

**მეორე** ის, რომ მე-20 საუკუნის 1930-იანი წლების ქართველი ისტორიკოსის შეფასებები და ისტორიული ანალიზი მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ, დღეისათვის მნიშვნელოვანია დარგის სპეციალისტებისა და ახალგაზრდა ისტორიკოსებისთვის. ნაშრომი ჩვენი ქვეყნის ისტორიის რეტროსპექტული ხედვის საშუალებას იძლევა: ნინამდებარე წიგნი ასახავს ორი ეპოქის ისტორიულ სინამდვილეს, გადაჯაჭვავს ორ საუკუნეს – მე-19 და მე-20-ს.

ნარმოდგენილი ნაშრომი გვეხმარება, წავიკითხოთ და წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეიძლება დაენახათ და აღექვათ ლუკას ნაწერით მე-19 საუკუნის განმათავისუფლებელი მოძრაობა, მესამოციანელები, მათი წინამდლოლი ილია ჭავჭავაძე იმ პერიოდში, როდესაც ბერია და სტალინი მეფის რუსთის „ოხრანკაზე“ არანაკლებ ცენზურას ახორციელებდნენ და

<sup>4</sup> 1936 წლიდან, ლუკა ციხისთავი ქუთაისის უნივერსიტეტში მუშაობდა, მიეღლინებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. (რედ.).

დასმენის ინსტიტუტი ავტოკრატული აპარატის ბრძანებებს ასრულებდა.

**მესამე** – ქართული პერიოდის ისტორიის ნაშრომზე მუშაობით ლუკამ განგების საოცარი ძალით, საკუთარი ცხოვრების ისტორიაც „დაწერა“. წიგნში იკითხება სტალინის რეპრესიების ისტორია, რამდენადც ლუკას ნაშრომი და მისი გამოქვეყნების ქრონოლოგია, ნათელს ჰქონდა მისი მოვლენებს, რაც მისი 20-წლიანი პატიმრობის მიზეზი და საფუძველი გახდა. როგორც აღვნიშნე, ტრილოგიის მესამე, შემცირებული ნაწილის გაზეთში გამოქვეყნებიდან ერთ თვეში, 1937 წლის 13 ივლისს, ლუკა დააპატიმრეს. ამდენად, ეს წიგნი ერთგვარი გამოძიებაა, რომელიც იყვლევს და იძებს თითქმის 100 წლის წინ მომხდარს – ლუკა ციხისთავის პოლიტიკური რეპრესიის უშუალო მიზეზებს, რაც დღევანდელ დღეს, დარგის სპეციალისტებისთვის საშუალო წყარო შეიძლება გახდეს.

### ნინამდებარე წიგნის წყობა:

წიგნი შედგენილია ლუკა ციხისთავის ხელნაწერებისა და გამოქვეყნებული მასალის საფუძველზე. ნაშრომის ავთენტური ტექსტები ორიგინალი ხელნაწერიდან ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის მცირედი რედაქციით გადმოვიტანეთ. ტექსტების ავტორისეული სტილი დაცულია.

წარმოდგენილი მასალა შედგება შესავალის, 3 ნაწილსა და გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნებული სტატიისაგან.

მნიშვნელოვანია, განვმარტო, რომ ზოგან მკითხველმა, შესაძლოა, ერთმანეთის მსგავსი აბზაცები ამოიკითხოს. თუმცა, ჩვენ შეგნებულად ვტოვებთ ყველაფერს ხელუხლებლად, მასალის დაკავშირების შენარჩუნების მიზნით. ამასთან, საყურადღებოა, რომ, ნაშრომის დამცრობილი, შემოკლებული ვარიანტის გამოქვეყნებამ განაპირობა უკვე გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ტექსტების რამოდენიმე აბზაციის განმეორება წარმოდგენილ შრომაში.

ხელნაწერი ნაშრომის აღწერილობა:

**1. ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (შესავალი)**

ეს ნაშრომი მოძიებულია და ინახება ლუკა ციხისთავის პირადი არქივის მასალებში, ნარმოადგენს ზოგად ჩარჩოს, რომლითაც ავტორი აყალიბებს, ასე ვთქვათ, შესავალ გზამ-კვლევს, ეპოქის ზოგად მიმოხილვას და მკითხველს ნარმო-უდგენს ქართული პერიოდიკის მე-19 საუკუნეში ჩასახვის სა-ჭიროების საფუძვლებს. ლუკა ციხისთავის ხელნაწერი მასა-ლა შედგება 14 გვერდისაგან, შესრულებულია მწვანე მელ-ნით, A5 ფორმატის ქაღალდის ფურცლებზე 1934 წელს.

**2. ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის – 1819-1845 წწ. (ნაწილი I)**

აღნიშნული სათაურით ლუკა ციხისთავის ხელნაწერი ნაშ-რომი მოძიებულია და ინახება მისივე პირადი არქივის მასა-ლებში. ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწი-ლი შესრულებულია მწვანე მელნით A5 ფორმაზე ქაღალდის ფურცელზე, შეადგენს 50 გვერდს. დართულია ლუკას ავტოგ-რაფი. ნაშრომი დათარიღებულია 1935 წლით (20/VI/35 წ. ქ. ტფილისი). ხელნაწერზე არის შემდეგი მინაწერი: „დაბეჭდი-ლია უურნ. „ხელოვნება“-ში №3, 1935 წ., გაგრძელება შემდეგ ნომერში“.

**3. ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის – 1845-1863 წწ. (ნაწილი II)**

ლუკა ციხისთავის ხელნაწერის მეორე ნაწილი შესრულე-ბულია მწვანე მელნით A5 ფორმატის ქაღალდის ფურცლებ-ზე, შეადგენს 77 გვერდს. დართულია ლუკას ავტოგრაფი. ნაშრომი დათარიღებულია 1935 წლით (1935 წ. ქ. ტფილისი). ხელნაწერზე არის შემდეგი მინაწერი: „გაგრძელება, ქართუ-ლი პერიოდიკის ისტორიისათვის 1819-1845 წწ. – დასაწყისი დაბეჭდილია უურნალში „საბჭოთა ხელოვნება“, №3, 1935 წ.

გვ. 73-83“. ეს უკანასკნელი (გაგრძელება), მიუხედავად დაპირებისა, აღარ დაბეჭდილა უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მომდევნო ნომრებში. საგულისხმოა, რომ ამავე ხელნაწერში ლუკა მომდევნო ნაწილის – „დროება (1866-1885 წ.წ.)“ – გამოქვეყნებასაც ჰპირდება მკითხველს.

#### **4. „60-იან წლების ქართველი ინტელიგენცია და უურნალი „საქართველოს მოამბე“, (ნაწილი III)**

ლუკა ციხისთავის არქივის ეს ნაწილი შეადგენს 148 ხელნაწერ გვერდს. შესრულებულია მწვანე მელნით A5 ფორმატის ფურცლებზე. დართულია ლუკას ავტოგრაფი. დათარიღებულია 1937 წლით (6/05/1937 წ. ქ. ტფილისი).

ნაშრომი არ გამოქვეყნებულა, მიუხედავად იმისა, რომ თავის ყველა ხელნაწერში ლუკა მკითხველს ამცნობდა, რომ იმავე უურნალში გამოაქვეყნებდა ნაშრომის მორიგ ნაწილებს.

#### **5. ილია ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბე“**

აღნიშნული სათაურით ლუკას სტატია ქ. ქუთაისში, ყოველდღიურ გაზეთში „სტალინელი“<sup>5</sup> 1937 წლის 3 და 4 ივნისს, ორ ნაწილად გამოქვეყნდა. გაზეთში გამოქვეყნებული მასალის ლუკას ხელნაწერ შრომასთან შედარების შედეგად, ნათელი გახდა, რომ ნაშრომი სრულად არ გამოუქვეყნებიათ: გარდა იმისა, რომ მოცულობით გაცილებით (ათეულობით გვერდით) ნაკლებია გამოქვეყნებული მასალა, მას აკლია რამდენიმეგვერდიანი დასკვნა, რომელშიც აკუმულირებულია მთავარი იდეა და გადმოცემულია ილიას საქმის დედააზრი. საგულისხმოა, რომ ორწლიანი ინტერვალის შემდეგ, როდესაც უურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ შეაჩერა ლუკას ნაშრომის ბეჭდვა, ამ უკანასკნელის გამოქვეყნება ლუკა ციხის-

<sup>5</sup> გაზეთი სტალინელი საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს და პროფსაბჭოს ყოველდღიური ორგანო. გამოდიოდა ქ. ქუთაისში, 1934-1938 წწ. პასუხისმგებელი რედაქტორი: ქ. შეროზია. (რედ.).

თავმა შესძლო მხოლოდ ქ. ქუთაისის გაზეთში, ნაცვლად ჟურნალისა „საბჭოთა ხელოვნება“, რომელიც ქ. თბილისში გამოდიოდა.

**დასკვნისათვის** უნდა ვთქვა, რომ, ჩემი ვარაუდით, სწორედ ეს ტრილოგიური ნაშრომი გახდა ლუკას დაპატიმრების ძირითადი საფუძველი. რა მაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას:

ნარმოდგენილი ტრილოგია ერთიანი ლოგიკური ჯაჭვია, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და ილია ჭავჭავაძის პატრიოტული, ეროვნული იდეით არის განმსჭვალული. ეს მიდგომები კი 1930-იან წლებში არასასურველი და უკვე საშიშიც იყო. მნიშვნელოვანია, ნაშრომის კითხვის დროს გვახსოვდეს, რომ ყოველ სიტყვასა და შეფასებას ლუკა ციხისთავი წერს და ამბობს მათთვის, ვინც გაიგონებს, ხოლო ნიღბაეს და კომუნისტური რეჟიმის „ხარქს“ იხდის მათთვის, ვინც უთვალთვალებს. სხვაგვარად არაფერი გამოვიდოდა – ლუკას ამ დროს უკვე ჰქონდა მეტების ციხეში ყოფნის (1924 წ.) ერთწლიანი გამოცდილება, სადაც ნახა, რას ნიშნავს, როდესაც ჯერ ბრალდებული და შემდეგ მსჯავრდებული ხარ ან-ტისაბჭოთა საქმიანობისთვის.

ეროვნული თავისუფლებისა და პატრიოტული იდეების კვალდაკვალ, ლუკას ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი საშიშროება ის გახლდათ, რომ მან მე-19 საუკუნის მესამოციანელთა მოღვაწეობა შეაფასა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების სამსახური, ნაცვლად სოციალური უთანასწორობის იდეისა. ამ უკანასკნელის დამკვიდრებას მაშინდელი საბჭოთა აპარატი ასრულებდა სტალინის მოთხოვნის შესაბამისად. ნაშრომში ლუკამ ცალსახად გაილაშქრა იმ მეცნიერთა წინააღმდეგ, რომელიც ასეთ დაკვეთას ასრულებდნენ და პირდაპირ დაასახელა ისინი. მეტიც, სწორედ მათივე იარაღით შეებრძოლა პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელ მეცნიერებს და საბჭოთა იდეოლოგების ციტატები მოხერხებუ-

ლად მოიშველია, რომ ხელი შეეშალა იღიას და მესამოციანელთა ლამის „ბოლშევიკებად“ გამოცხადებისათვის. ლუკა ციხისთავმა თავის ნაშრომში იღია ჭავჭავაძე შეაფასა, როგორც ბურუუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების ლიდერი და არა როგორც იდეური ბოლშევიკი, რაც იმდროინდელი საბჭოთა პელადის მოთხოვნათა უარყოფად და კომუნისტური პარტიის იდეოლოგიიდან გადახვევად ჩაითვალა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომში დეკოდირებულია რუსეთის ცენზურა, განხილულია ცენზურის გვერდის ავლით თავისუფალი ეროვნული სიტყვის ხმამაღლა თქმის საშუალებები. ერთი მხრივ, ავტორი აანალიზებს მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ფაქტებს, ხოლო, მეორე მხრივ, ღია მოწოდებასავით გაისმის, თუ რა უნდა ქნას ხალხმა, რომ ცენზურას გადაურჩინოს ეროვნული და, ე. ი. თავისუფალი სიტყვა. მისი სტატია ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდა საბჭოთა ცენზურის თავიდან აცილების გზების დანახვის კუთხით. მე-20 საუკუნის 1930-იან წლებში ამ და მსგავს თემებზე ღიად საუბარი და თანაც – ყველაზე უფრო ქმედითი საშუალებით, პრესით – თითქმის შეუძლებელი და მეტად საშიშიც იყო. საშიშროება ფიზიკურ განადგურებას გულისხმობდა.

ლუკა ციხისთავი სწორედ ასეთი ღია ფორმით განხორციელებულ პირდაპირ „სწავლებას“ შეეწირა: მან თავისი ნაშრომის გამოქვეყნებით შესაძლებელი გახადა, მკითხველისათვის ემცნო, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა თავის მიერ გაანალიზებული და შესწავლილი საკითხები, რომ მცირედად მაინც გათავისუფლებულიყო ცენზურისაგან.

და მაინც, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნინამდებარე ნაშრომის ჯერ კიდევ მიუკვლეველი IV ნაწილი (1866-1885 წნ. „დროება“), რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, განადგურებულია. თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ ლუკას არქივის სრულად გამოცემა, შესაძლოა, ნათელს მოჰყენს იმ საკითხებს,

რომელთა დღის სინათლეზე გამოტანა პასუხს გასცემს მამა-  
ჩემის, ირაკლი ციხისთავის მონაყოლს: „ლუკა ილიას მკვლე-  
ლობის საქმეზე მუშაობისთვის დაიჭირეს და 20 წლით გადაა-  
სახლეს“-ო.

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი  
თბილისი,  
აგვისტო, 2019 წ.

## სტალინური ეპოქის მიმოხილვისთვის

ლუკა ციხისთავის პერიოდიკის ისტორიის მიმოხილვის გასააზრებლად საჭიროდ მივიჩნიეთ, კიდევ ერთხელ გაგვე-ანალიზებინა, თუ რა პერიოდში მოუწია მას მოღვაწეობა.

1920-იანი წლებიდან ძველი ღირებულებების, წარმოდგე-ნების, ჩვევებისა და შეხედულებების რევოლუციური გადა-ფასება ხდებოდა. რთულია, ადამიანი გაერკვეს იმ სიახლე-ებში, რომლებსაც რევოლუციური ეპოქა სთავაზობდა საზო-გადოებას. ამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ კონკრე-ტული სიახლეების შემომქმედი იყო, ნაწილი კი იძულებული გახდა, დაქვემდებარებოდა არსებულ მოთხოვნებს. ხოლო ის, ვინც განსხვავებულ აზრზე იდგა, ნადგურდებოდა. ახალ სა-ხელმწიფოში, სადაც მუშათა და გლეხთა სახელს ამოფარებუ-ლი დიქტატორული სისტემა ყალიბდებოდა, ახალი პროლეტა-რული იდეოლოგიის ჩამოყალიბება და დამკვიდრება მიმდინა-რეობდა. მოგვიანებით, ამ პერიოდს „სტალინური ეპოქა“ ეწო-და.

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპ-ყრო და წითელი იმპერიის ნაწილად აქცია. საბჭოთა კავშირში არ არსებობდა დემოკრატიული პოლიტიკური არჩევნები, თა-ვისუფალი მედია და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტი.

1922 წლის 6 ივნისის დეკრეტით შეიქმნა „მთავლიტი“<sup>6</sup>, როგორც სახელმწიფოს იდეოლოგიური ხაზის გამტარებელი, მთავარი საცენტრო ორგანო. „მთავლიტს“ ჰქონდა უფლება-მოსილება, აეკრძალა გამოცემა და ხელი შეეშალა მისი გავ-

<sup>6</sup> „მთავლიტი“ – რუსულიდან Главлит (Главное управление по делам литературы и издательств) с 1922 г.

რცელებისთვის, ცენტრალიზებულად გაეკონტროლებინა ყველა სახის ბეჭდური გამოცემა. შესაბამისად, იმ დროის მთავარი მედია კომუნისტური პარტიის კარნახით იმართებოდა, ხოლო უურნალ-გაზეთები საბჭოთა წყობილებისა და ბელადების განდიდებას ეძღვნებოდა. 1937-1938 წლების რეპრესიების დროს „მთავლიტი“ განსაკუთრებით აქტიური იყო: ამ პერიოდში დაშვებული ნებისმიერი „შეცდომა“ ავტორთა რეპრესიებით სრულდებოდა.<sup>7</sup>

ახალი საბჭოთა რეჟიმი გეგმავდა, აეშენებინა საზოგადოება, რომელიც შექმნიდა „სოციალისტურ კულტურას“, რომელიც, იმავდროულად, მოკლებული იქნებოდა ნამდვილ შემოქმედებითობას, დამოუკიდებელ აზროვნებას. ხელისუფლება კულტურას პოლიტიკის იარაღად იყენებდა და ცდილობდა, ის რეჟიმის განმტკიცების სამსახურში ჩაეყენებინა. ბოლშევიკური მოდელის კულტურა ეფუძნებოდა მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების პარტიული კონტროლისადმი დაქვემდებარებას, ეროვნული ცნობიერების ჩახშობას, კლასობრივი შეურიგებლობის იდეოლოგიისა და ლიტერატურაში პარტიულობის პრინციპისა და სოციალისტური რეალიზმის მეთოდების დანერგვას. „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური“ კულტურის აბსურდული კონცეფცია სტალინის „მიგნება“ იყო, რომლისაგან ნებისმიერი გადახრა განიხილებოდა „პარტიის ხაზის გამრუდებად“ და მკაცრად ისჯებოდა.<sup>8</sup>

ასეთ ვითარებაში, 1934 წელს რეაბილიტირებულ იქნა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. 1937 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ხელოვნების დეკადა, ამავე წელს საზეიმოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის

<sup>7</sup> Гужаловский, А. (2012), Главлитбел – инструмент информационного контроля белорусского общества (1922–1941 гг.), *Acta Slavica Iaponica*, Tomus 31, pp. 77–104.

<sup>8</sup> ჯანელიძე, მ. (2009), საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, გვ. 172-173.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 და ილია ჭავჭავაძის დაბა-დებიდან 100 წლის იუბილები.

საინტერესოა, რასთან იყო დაკავშირებული ეს ღონისძიებები, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირი იყო მუშათა და გლეხთა დიქტატურის სახელმწიფო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით. შესაბამისად, აქ თავად-აზნაურული და ფეოდალური წრის ნარმომადგენელი მოღვაწეების პოპულარიზაცია, ერთი შეხედვით, ნარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ყველაფერს გააჩნდა საკუთარი მკაფიო მიზეზი. ამ საკითხს მოგვიანებით შევეხებით.

ახალ საბჭოთა სახელმწიფოში საბჭოთა კავშირის ბოლშევიკური, კომუნისტური პარტია ყველა რეფორმის ავანგარდში იდგა. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ო. სტალინმა პარტიული და საბჭოთა სისტემის აპარატის, მათ შორის მთავრობის, ძალოვანი უწყებების, განათლების, კულტურისა და სხვ. სფეროთა ხელმძღვანელი რგოლები ისეთი კადრებით დააკომპლექტა, რომელებიც ბელადის უსიტყვო მიმდევრები იქნებოდნენ, ხოლო ყველა ის, ვინც შეეწინააღმდეგებოდა სტალინის კურსს, ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო. ანტისტალინულებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ მობილიზებული იყო სახელმწიფოს ხელში არსებული ყველა საშუალება, იკრძალებოდა მათთვის უურნალ-გაზეთების ფურცლების დათმობა, რომ ზოგიერთ არასასურველ ლიტერატორსა და ისტორიკოსს „კონტრაბანდად არ შეეპარებინა ლიტერატურაში ტროცკისტული ნაგავი“.<sup>9</sup> ამგვარად, ლიტერატორებთან ერთად, „ისტორიკოსები იქცნენ ძლიერთა ამა ქვეყნისა იდეოლოგებად“<sup>10</sup> და, ხშირ შემთხვევაში, ერიდე-

<sup>9</sup> მმუკელაშვილი, ნ. (1993), ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელმობის კრებული, თბილისი, გვ. 4.

<sup>10</sup> ყორანაშვილი, გ. (1988, ივნისი 12). ნისლი გადაიწინდა, ბურუსი კვლავ დარჩა. ფიქრები პროფესორ აკაკი სურგულაძის სტატიის გამო. კომუნისტი.

ბოდნენ გარკვეულ საკითხებზე საუბარს, არსებული ჩარჩო-ებიდან გადახვევას.

1934 წელს შესრულდა სტალინის ხელისუფლების სათა-ვეში ყოფნის ათი წლისთვი და სავალდებულო გახდა ამ ათ-წლიანი მმართველობის ისტორიის დაწერა. მთავარ ამოცანას განვლილი ათწლიანი პერიოდის გაიდეალება წარმოადგენდა.<sup>11</sup>

ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის სახელთა რეაბილიტაცია 1934 წლიდან შემთხვევით არ დაწყებულა. სტალინი მოწოდებული იყო, მთელი ქვეყნისა და, ზოგადად, მსოფლიოსათვის ეჩვერებინა, თუ როგორი მრავალფეროვანი და ჰუმანური მნერლობა ჰქონდა საბჭოეთის მრავალეროვან მოსახლეობას. ამას ემსახურებოდა სტალინური ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც საბჭოეთის ახალი იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმატი იყო.

1920-იანი წლების ბოლოს საქართველოს საბჭოთა რესტურნაციაში ისტორიკოსებსა და ლიტერატორებს შორის ილია ჭავჭავაძის გარშემო დიდი პოლემიკა გაჩაღდა. საზოგადოებაში ამ თემის გააქტიურება პარტიულ-ნომენკლატურული ფიგურების მიერ ილიას შემოქმედების შეფასების მცდელობებმა განაპირობა.

იმავდროულად, ახალ პარტიულ მითითებად გამოცხადდა მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კანონზომიერების გარდუვალობის მტკიცება მომავალ თაობებზე ზემოქმედებისათვის. მთავარი ამოცანა იყო დიდ ავტორიტეტთა მიერ რუსეთის ცარიზმის პირობებში მუშათა და გლეხთა მდგომარეობის ამსახველ შეფასებათა ბოლშევიკურ თარგზე მორგება.

სწორედ ამიტომ, საზოგადოებაში გამოჩნდნენ მკვლევ-რები, რომლებიც ილიას ლვანლის გარშემო პოლემიკაში ჩაერთნენ. ისინი სხვადასხვა კუთხით აშუქებდნენ ილიას პუბლი-

<sup>11</sup> მამუკელაშვილი, ნ. (1993), ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებული, თბილისი, გვ. 5.

ცისტიკას, შემოქმედებას ზოგადად და მას, როგორც საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეს. იმ პერიოდის მკვლევრებს შორის იყვნენ საზოგადოებისათვის ცნობილი ლიტერატორები, ისტორიკოსები, რომელთა ნაწილსაც დავალებული ჰქონდა ილიას შემოქმედების კვლევა თანადროული შტრიხების გამოკვეთით. ნაწილი კი არ ეთანხმებოდა მათ ნააზრევს და ცდილობდა, განსხვავებული მოსაზრება გამოეთქვა თავიანთ ნაშრომებში. ამ უკანასკნელთა შორის იყო ლუკა ციხისთავი.

ლუკა ციხისთავი, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ისტორიკოსი იმდროინდელ მკვლევართა შორის და მაღალ სამსახურეობრივ პოზიციაზე მყოფი სპეციალისტი განათლების სისტემაში, ჩაერთო ილიას გარშემო მიმდინარე პოლემიკაში. მან თანამედროვეთაგან განსხვავებული პოზიცია დაიჭირა ილიას, როგორც ქართველი ერის მამის, ფუნქციისა და როლის გამოკვეთაში, რაც, სამწუხაროდ, არ წარმოჩნდა იმ პერიოდის ბეჭდურ მედიაში არსებული ცენზურის გამო.

ვფიქრობთ, ქართულ ისტორიოგრაფიას წინამდებარე პუბლიკაცია შესძენს ერთ მნიშვნელოვან ფურცელს, რომელსაც საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდა მკვლევრები სამომავლოდ გამოიყენებენ.

ვიმედოვნებთ, ლუკა ციხისთავის 1930-იან წლებში შექმნილი ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ხოლო, ჩვენი მხრივ, ამ ნაშრომის მზის სინათლეზე გამოტანა არის მცდელობა, ახალი სიცოცხლე შევძინოთ თითქმის 100 წლის წინანდელ ნააზრევს.

ნანა ციხისთავი,  
თბილისი,  
იანვარი, 2021 წელი

## ეპოქის სული

„მართებული მტკიცებაა, რომ თავისუფალი პრე-  
სა შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი, მაგრამ კიდევ  
უფრო მართებულია ის, რომ არათავისუფალი  
პრესა შეიძლება იყოს მხოლოდ ცუდი“.

ალბერ კამიუ

კაცობრიობის არსებობის ყველა ეპოქაში ინფორმაცია ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია. ხალხის მასების მართვა ყო-  
ველთვის ხდებოდა ინფორმაციის და ხშირად, დეზინფორმა-  
ციის, ლეგენდების, მითების, ირეალურის გავრცელებისა და  
პროპაგანდის, შესაბამისად, ადამიანების გონიერაზე ზემოქმე-  
დების საშუალებით. იცვლებოდა მხოლოდ ფორმები. ყველა  
ის მმართველი, რომელიც ფლობდა ინფორმაციით მანიპული-  
რების მეთოდებს, ძირითადად, ახერხებდა ძალაუფლების ხან-  
გრძლივად შენარჩუნებას. ასეთები ყოველთვის ებრძოდნენ  
საღი აზრის გამოვლინებას და ყველანაირი მეთოდით ცდი-  
ლობდნენ, ჩაეწმოთ სიმართლე.

ინფორმაციით მანიპულირებამ და საღი აზრის წინააღ-  
მდეგ ბრძოლამ აპოთეოზს საბჭოთა კავშირში, განსაკუთრე-  
ბით კი 1930-იან წლებში მიაღწია. როგორც 1936 წელს საბ-  
ჭოთა კავშირიდან საფრანგეთში დაბრუნებული, მომავალი  
ნობელიანტი მწერალი, ანდრე ჟიდი წერდა: „როდესაც ელა-  
ბარაკები ერთ რომელიმე რუსს, თითქოს ყველა მათგანს ესა-  
უბრები... გეცოდება ისინი, ვინც საათობით დგას რიგებში,  
მათ კი ეს ნორმალურად მიაჩნიათ. პური, ბოსტნეული, ხილი  
უხარისხო გეჩვენება, მაგრამ უკეთესი არ არსებობს... ნაჭრე-  
ბი, ნივთები, რომლებსაც ხედავ, საშინლად გეჩვენება, მაგრამ

არჩევანი არ არის... ყველაზე მთავარია, ამ დროს დაარწმუნო ხალხი, რომ ისინი ბედნიერები არიან... დაარწმუნო ადამიანები, რომ ყველა სხვა მათზე ნაკლებად ბედნიერია... მათი ბედნიერება მათ რწმენაში, ილუზიაში, მათ გაუცნობიერებლობაშია...“

1934 წლის 1 დეკემბერს, სტალინისთვის ყველაზე საჭირო მომენტში, მისი ფავორიტი კომუნისტი ლიდერი, სერგეი კიროვი მოკლეს. არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტები, იყო თუ არა თავად სტალინი ან უშიშროება ამ მკვლელობის ორგანიზატორი, თუმცა თანაპარტიილის მკვლელობა, ისევე როგორც ჰიტლერმა რაიხსტაგის დაწვა, სტალინმაც ოპტიმალურად გამოიყენა. კიროვის მკვლელობის დღიდან ქვეყანა წალეკა პროპაგანდის ახალმა ტალღამ – თვეების განმავლობაში გაზირების ფურცლებზე თემა შეუცვლელი იყო, დეტალურად შუქდებოდა მკვლელის და მისი თანამოაზრების საჩვენებელი პროცესები. რეჟისორმა ერმლერმა გადაიღო პროპაგანდისტული ფილმი, რომლის შესახებ კრიტიკოსი ჯულია კესიძი წერდა: „დიადი მოქალაქე“ აჩვენებს, როგორი მნიშვნელოვანი იყო კიროვის მონამეობრივი აღსასრული სტალინური მითოლოგიისთვის, ფილმი სოციალისტური რეალიზმის პარადიგმად იქცა“.

1935 წელს საქართველოს სსრ პირველი პირის, ლავრენტი ბერიას სახელით გამოქვეყნდა მოხსენება – „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. მოხსენებაში განვითარებული იყო აზრი, რომ ბოლშევიკურ რევოლუციას (სინამდვილეში გადატრიალებას) ორი ადამიანი ხელმძღვანელობდა: ლენინი, რომელიც საზღვარგარეთ იღნეოდა და პროცესებს თეორიულად წარმართავდა და სტალინი, რომელიც მოვლენების ეპიცენტრში, ყველაზე ცხელ წერტილში, კავკასიაში იმყოფებოდა. ოფიციალური ვერსიით, სტალინი (მაშინ ჯერ კიდევ კობა) პირადად მონაწილეობდა 1907 წლის ტფილისის ბანკის ძარცვაში, შეუტია დილიჟანსს

და თავად ჭურვის ფრაგმენტით დაიჭრა (ისტორიკოსებს შორის სტალინის იქვე, ადგილზე ყოფნა საკამათოა). იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ბაქოსა და ბათუმის, იმ დროის-თვის ნავთობით უმდიდრესი მხარისა და ამ ნედლეულის სატრანსპორტო მთავარი კარიბჭის, იატაკევეშა ცხოვრებაში. ბერიას აღნიშნული მოხსენებით, ფაქტობრივად, გამართლდა ლენინის შემდეგ სტალინის საბჭოთა კავშირის სათავეში მოსვლა, გაიძა ერთგვარი მემკვიდრეობითობის ჯაჭვი და აქსიომური მოხსენების შემდეგ აღარავის შეეძლო, სტალინის უფლებებში ეჭვი შეეტანა. ბერიას მოხსენებამ, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო პიროვნების კულტის ჩამოყალიბებას.

საქართველოში, 1937-38 წლების რეპრესიების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში ზემოთ აღნიშნული ორი მოვლენა უმთავრესი გამოდგა. რა თქმა უნდა, კავკასიის ბელადს თავისი ხელით მოხსენების დასაწერად სად ეცალა (?!), დოკუმენტი ე.წ. „მწერალმა მოჩვენებებმა“ დაწერეს, რომლებიც კომუნისტური პარტიის ისტორიაზე მუშაობდნენ. გაზით „კომუნისტური განათლების“ რედაქტორის, ასევე დახვრეტილი გრიგოლ სოსელიას ვაჟი, საქართველოს „მემორიალის“ ხელმძღვანელი, ბატონი გურამ სოსელია მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, მნერლები და რედაქტორები არ მალავდნენ ბერიას მოხსენების რეალურ ავტორობას, რის გამოც მათ ჯერ შინსახომის ჯურლულებში წამება, საბოლოოდ კი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს, უმეტესობას ერთი და იმავე ბრალდებით: „ამზადებდა ტერაქტს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს მდივან ბერიას წინააღმდეგ“.

„დიდი ტერორი“ შეეხო საზოგადოების ყველა ფენას, ყველა ეთნიკურ ჯგუფს. მხოლოდ საქართველოში ათობით ათასზე მეტი ადამიანი მოხვდა საპყრობილები, მათი ნახევარი დახვრიტეს. ჯერაც დაუდგენელია რეპრესიების სხვა მსხვერპლთა – ე. წ. „გულაგებში“ გარდაცვლილების ზუსტი რაოდენობა. გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, თითქოს ეს

„სტალინმა არ იცოდა“, საბჭოთა კავშირში 45,000, ხოლო საქართველოში 3,616 ადამიანი პირადად მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე გასამართლდა, მათგან 3,000-ზე მეტი დაიხვრიტა.

ყველაზე ცინიკური ის იყო, რომ რეპრესიებში „არაკანონიერი“ არაფერი ყოფილა: 1927 წლის 25 თებერვალს მიღებული საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი ყველა სახის დამოუკიდებელ აზროვნებასა და ქმედებას დანაშაულად მიიჩნევდა და უმკაცრეს სანქციებს მიმართავდა. მასობრივ იძულებით შრომას, ხალხთა დიდი ჯგუფების დეპორტაციასა და სიკვდილით დასჯის არამართლზომიერ ფორმებს კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა.

1930-იან წლებში კომუნისტებს ამოძრავებდათ უკიდეგანო ზიზლი „ძველი საზოგადოების“ წარმომადგენლების მიმართ, იყვნენ ესენი არისატოკრატები, სამხედროები, მოხელეები თუ სასულიერო პირები; თანამედროვე „ბურჟუები“: ვაჭრები, ბანკირები თუ „მცირე ბურჟუაზიის წარმომადგენლები“, „ბურჟუაზიული ინტელიგენცია“, ლიბერალები, სოციალ-დემოკრატები თუ შეძლებული გლეხები (ე. ნ. კულაკები). ისინი, მათი აზრით, „პარაზიტები“ და „სოციალური მტრები“, ანუ „ძველები“ იყვნენ, მათგანაც უნდა გაწმენდილიყო საზოგადოება. ძველების ადგილი კი უნდა დაეკავებინათ „ახალ ადამიანებს“, მათ, ვინც განუხრებლად გაჰყვებოდა პარტიულ ხაზს და ეჭვი არ შეეპარებოდა „სიმართლეში“, რომელსაც ჯერ გაზეთი „პრავდა“, შემდეგ კი სხვა გამოცემები ავრცელებდა.

ამ პერიოდში აქტიურად დაიწყო ქართველი მწერლების საბჭოთა კავშირისთვის გაცნობა, მათი თარგმნა და პოპულარიზაცია, რისთვისაც, მაგალითად, ილიას „თავადობას“ ხელი სულაც არ შეუძლია და აღარც შოთა აღქმულა „ფეოდალური ეპოქის“ გადმონაშთად. თუმცა, ნაწარმოებებს კვლავაც სოციალისტურ პარადიგმაში უნდა გაევლო... იმ შემთხვევაში, თუ სტალინიზმს სჭირდებოდა „ძველი“, ფეოდალური ან ბურ-

უუაზიული ეპოქის ადამიანების და მოვლენების პროპაგანდის მიზნებისთვის გამოყენება, მათ სახელებს და საქმეს უქვემდებარებდნენ ზოგად პარტიულ ხაზს. სავარაუდოდ, ჩვენი წიგნის ავტორმა, ლუკა ციხისთავმა სწორედ ამ საბჭოთა პარტიული ხაზიდან ვიწრო ბილიკისკენ გადაუხვია...

### **ლუკა ციხისთავი და XIX საუკუნის ქართული პრესის მიმოხილვა**

მეტად საინტერესო და ქართული ისტორიოგრაფიისათვის, სამწუხაროდ, ნაკლებად ცნობილი პიროვნების ლუკა ციხისთავის ნაშრომი ღრმად ანალიტიკური, საფუძვლიანი და ეკლექტური გამოკვლევაა, რომელიც მრავალწახნაგოვნად მიმოიხილავს ქართული პერიოდიკის ისტორიას და ავტორს იმდროინდელი ქართული რეალობის ობიექტური, მოუსყიდველი მსაჯულის სტატუსით წარმოაჩენს. მისი დახვენილი თხრობის მანერა, მასალის საინტერესო ფორმით ორგანიზება, აზროვნების მრავალმხრივობა, ბრწყინვალედ წარმოჩენილი უნარი, კონკრეტული დეტალებიდან დიდ ისტორიოსოფიულ განზოგადოებებზე გადასვლისა და პირიქით, სხვადასხვა წყაროსა თუ მოგონების მოხერხებულად კომბინირების ნიჭი აღტაცებას იწვევს. ლუკა ციხისთავი აანალიზებს სოციუმის განვითარების კანონზომიერებებს და ადგენს სისტემურ კავშირებს სხვადასხვა მოვლენას შორის. ნარკვევი დღესაც არ კარგავს აქტუალობას და გვეხმარება ისტორიული ობიექტურობის აღდგენაში, პოლიტიკური კონიუნქტურიზმისა და კონფორმისტული აგიტაციის აპარატის მიერ არაერთგზის შელამაზებული ან დამახინჯებული მოვლენების მასშტაბურად და ობიექტურად დანახვაში.

შესავალ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილავთ ნაშრომის ძირითად მოტივებსა და კონცეფციებს.

პერიოდიკის ისტორიის აღწერისას ავტორი მოიცავს ისტორიულ მონაკვეთს – 1819-დან 1863 წლამდე. ისტორიას ავტორი იწყებს მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს საერთო სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფონის აღნერითა და ანალიზით. ავტორის დაკვირვებული, ობიექტური, მიუკერძობელი ისტორიული მიმოხილვის შედეგად, მკითხველს ექმნება მართებული წარმოდგენა საქართველოში გაბატონებული ცარისტული რუსეთის მიერ ქართული საზოგადოების საკუთარ არტახებში მიზანმიმართულად მოსაქცევ გეგმაზე. ლუკა ციხისთავი, როგორც ფართოდ და ანალიტიკურად მოაზროვნე ისტორიკოსი, იძლევა პოლიტიკურ შეფასებას, აკეთებს საინტერესო ეკონომიკურ წიაღსვლებს და, რაც მთავარია, ფართოდ შლის საგანმანათლებლო და რუსული თვითმპყრობელური იდეოლოგიის მადეტერმინირებელი ისეთი მთავარი სააგიტაციო ბერკეტის საკითხს, როგორიცაა საქართველოში ბეჭდური პრესის ისტორია. მოგვითხრობს მისი წარმოშობის საწყისებზე, წინაპირობებზე, მიზნებსა და შედეგებზე. აღნიშნული თემატიკის კვლევა ლუკა ციხისთავისათვის განსაკუთრებული ყურადღებისა და დაკვირვების საგანი უმიზეზოდ არ გამხდარა. იგი კარგად აანალიზებდა ბეჭდური პრესის როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საკითხში და სამართლიანად უნდა შევაფასოთ, რომ მან დროსაც გაუსწრო თავისი შორსმჭვრეტელური ხედვით.

ქართული ბეჭდური პრესის ისტორია 1819 წლიდან იწყება, როგორც ავტორი წერს: „.... თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ჩვენი უურნალ-გაზეთები წიგნის მაგიერობასაც ასრულებდნენ და საზოგადოებრივ აზრების, მისწრაფებათა და საერთო კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების გამომჟღავნების ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენდნენ.“ საქართველოს ეკონომიკური კოლონიზაცია, რუსული ბიუროკრატიული მანქანის ხუნდები, ცარისტული სამხედრო ექსპანსია, გაღატაკებული, სულმეხუთული გლეხობა, მოწინავე,

ე. წ. „სასახლის არისტოკრატიის“ გადასახლება რუსეთში, სახელმწიფო აპარატში ქართველი თავადაზნაურების ჩანაცვლება რუსი მოხელეებით და ქართველ არისტოკრატიაში ეროვნული თვითშეგნების ლიკვიდაციისათვის მისი მიმართვა მხოლოდ კარიერისტულ, მომზვეჭელ ტალღაზე... – ამ პირობებში საქართველოში 1819 წლის 8 მარტს დაარსდა „საქართველოს გაზეთი“, თვითმშეყრობელობის ინტერესების ტრანსლირების ბერკეტი, რომელსაც, როგორც თავად ლუკა ციხისთავი აღნიშნავს, „...მოსახლეობისათვის უნდა გაეცნო ხელისუფლების დადგენილება-განკარგულებანი, რუსეთის ცხოვრება-მართველობის ნექები და თუ გნებავთ, ქართული ენის მეოხებით ნიადაგი უკეთ შეემზადებინა ქართველი მოსახლეობის გარუსებისათვის“ და მიუხედავად იმისა, რომ ავტორი აბსოლუტურად ჯეროვან შეფასებას აძლევს ერმოლოვს<sup>12</sup> დაქვემდებარებული, თვითმშეყრობელური სულისკვეთებით განმსჭვალული „საინფორმაციო ფურცლის“ გამოშვების ინიციატივას, იგი მის მნიშვნელოვნებას არ აკნინებს და სამართლანად აღნიშნავს, რომ ამ მოვლენამ ჩაუყარა საფუძველი ქართულ პუბლიცისტიკას და „...საზოგადოებაში პრესის მოთხოვნილება გააღვიძა.“ ხელმომწერების სიმცირის გამოგაზეთმა არსებობა შეწყვიტა 1822 წელს. 1828 წელს ქართული პერიოდიკის ისტორიაში მცირე ტირაჟით (400 ცალი) მეორე გაზეთი/ჟურნალი გამოდის სახელად „ტფილისის უნიებანი“ (რუსულენოვანი გაზეთის, «Тифлисские Ведомости», ქართული თარგმანი), რომელსაც 1832 წლიდან სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უნიებათანის“ გამოცემა ემატება (სამწუხაროდ, მხოლოდ ხუთი ნომერის გამოშვება მოხერხდა). ამავე პერიოდში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში რუსეთის

<sup>12</sup> ალექსი ერმოლოვი (1777-1861) – კავკასიის მთავარმართებელი 1816-1827 წლებში. კავკასიაში ატარებდა მეტაცრ კოლონიზაციონულ პოლიტიკას. ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის დაცყრიბას.

უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებული პროგრესული ახალგაზრდობა – სოლომონ დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ორბელიანები, ერისთავები და სხვანი ექცევიან. 1830-1832 წლების შეთქმულების სულისჩამდგმელი ლიბერალური იდეებით გამსჭვალული ინტელიგენციაა. ზემოთ ხსენებული გაზეთიც სამხედრო გუბერნატორის ცენზურის მსხვერპლია. მაგრამ „უწყებათა“ ლიტერატურულ დანამატში ცარისტული რეჟიმის დითირამბების ამსახველ სტრიქონებს შორის ორაზროვნად იყითხება პატრიოტული მოტივები და შეფარული მოწოდება თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. ლუკა ციხისთავი, როგორც ყოველთვის, არ კარგავს ობიექტურობას და სინანულით ეხება თავადაზნაურთა ორპირობასა და არაპრინციპულობას შეთქმულების გამუღავნების შემდგომ. უდიდესმა უმრავლესობამ მოინანია, შესაბამისად, მეტროპოლიამაც მსუბუქი სასჯელით შემოფარგლა მათი „დატუქსვა“ და ყოფილმა შეთქმულებმაც „ტახტისადმი ერთგულების“ დასამტკიცებლად დაიწყეს გულმოდგინე, ფარისევლური ფუსფუსი. როგორც აღმოჩნდა, მათთვის სამშობლოს სიყვარული მხოლოდ საკუთარი წოდებრივი ინტერესებით იყო დეტერმინირებული, გლეხების საკითხის სიმწვავე კი – სავსებით უგულებელყოფილი. „ტფილისის უწყებანი“ 1832 წელს, ავტორის დასკვნით, ფორმალურად უსახსრობის, რეალურად კი „მავნე“ აზრების გამოხატვის მიზეზით დაიხურა.

ქართული პერიოდიკის ისტორიაში მორიგი მნიშვნელოვანი ეტაპია 1852 წელს გიორგი ერისთავის რედაქტორობით ჟურნალ „ცისკარის“ დაარსება. ლუკა ციხისთავი 50-იანი წლების ეკონომიკურ-სოციალური ფონის მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ საქართველოში ნელ-ნელა იწყება ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმობის რღვევა, საფუძველი ეყრება სამრეწველო კაპიტალიზმის ჩანასახებს, მწვავდება სოციალური დაპირისპირება თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, მაგრამ „ცისკარი“ კვლავაც წინამორბედი გამოცემის ხვედრს

იზიარებს და, მიუხედავად იმისა, რომ მასში იბეჭდება გრი-  
გოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერის-  
თავის და სხვათა ნანარმოებები, რაც ერთგვარად აღვიძებს  
მინავლებულ ინტერესს ქართული მწერლობისადმი, განყენე-  
ბულია რეალობისაგან, იგი კვლავაც ცარისტული რეჟიმისად-  
მი ლოიალურად განწყობილი არისტოკრატის „ინსტრუმენ-  
ტია“ და დაარსების მომდევნო წელს წყვეტს კიდეც არსებო-  
ბას. უურნალი ხელმეორედ „იბადება“ 1847 წელს ივანე კერე-  
სელიძის რედაქტორობით. უურნალთან თანამშრომლობენ მი-  
ხეილ თუმანიშვილი /მოლაყბე/, ლავრენტი არდაზიანი, ბერ-  
ძენოვი, დიმიტრი ყიფიანი /ბაქარ ქართლელი/, დიმიტრი ბაქ-  
რაძე, ბოლო ხანებში აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე  
და სხვა მნიშვნელოვანი ფიგურები. ლუკა ციხისთავის თქმით,  
მიუხედავად იმისა, რომ უურნალი კვლავ თვითმპყრობელობის  
დაკვეთას მიუყენებოდა, „ყველა ხვრელებს ქოლავდა, რათა  
ახალ იდეათა სიო არ შეპარვოდა უურნალში, მაგრამ მაინც  
ვერ ასცდა ამას.“ გლეხთა საკითხი პირველად და უპრეცენ-  
დენტოდ წამონა მიხეილ თუმანიშვილმა-მოლაყბემ, რომე-  
ლიც აზრის გამოხატვის გაძედულებისათვის გარკვეული  
დროით უურნალმა განდევნა კიდეც. უურნალის სულისკვეთე-  
ბის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს მეტად საინტერესო  
მასალა კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პერიპეტიებზე.  
ხაზს უსვამს მიხეილ თუმანიშვილის მიერ საზოგადოებების  
ნაკლოვანებების მამხილებელი „სალაყბო ფურცლის“ შემოლე-  
ბის მნიშვნელოვნებას და დანანებით აღნიშნავს: „ტყუილად  
კი არ წერდა მოლაყბე, რომ ზოგიერთების ოჯახში „ცისკრის“  
ადგილი სამზარეულოა, კაბინეტში არ აღირსებენ მას შეტა-  
ნას, რადგან ქართულს ენაზეა გამოცემულიო.“ ავტორი აღ-  
ნერს მოლაყბის გაძევებას გამოსარჩლებულ მებუკეთა<sup>13</sup> პრო-

<sup>13</sup> უურნალ ცისკარში „მოლაყბის“ დასჯით უკმაყოფილო რამდენიმე ავ-  
ტორმა საპროექტო ნოტა გაგზავნა „მებუკეთა“ ფსევდონიმით. მათი  
გამოსარჩლება ამგვარად იწყებოდა: „ზოგიერთნო პატივცემულნო ქარ-

ტესტს და ასკვნის, რომ უურნალმა თავისი რეპრესიული ქმედებით კვლავაც გაუსვა ხაზი თავის მთავარ ნავიგატორს და ერთადერთ საზრუნავს – თვითმმპრობელობის სამსახურში ჩამდგარი კონსერვატორი არისტოკრატიის ინტერესებისათვის გარჯას. აღნერილ მოვლენებს სოციალურ-ეკონომიკურ ფონად გასდევს ვორონცოვის<sup>14</sup> პოლიტიკისა და საკუთარი ფუქსავატობის შედეგად გაღარიბებული არისტოკრატიის შიში გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. საყურადღებოდ მიიჩნევს ავტორი გრიგოლ ორბელიანის წერილს „უნიდელი დროის ბატონყმობა“ და განსაკუთრებით კი ხაზს უსვამს 1959 წლის „ცისკრის“ ბოლო ნომერში დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნების ეფექტს. მოთხოვთ მოსალოდნელი ვნებათალელვა გამოიწვია, მასში ხომ გაუგონარი ძალით, ომახიანად ამოქეთქა ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტმა, გაცხარებული თავადაზნაურობის არაერთი მუქარის ადრესატი გახდა დანიელ ჭონქაძეც. 1863 წელს „ცისკარში“ ლექსის – „გლეხის აღსარება“ გამოქვეყნების შემდეგ შეურაცხოფისა და დევნის მსხვერპლი ხდება მისი ავტორი, აკაკი წერეთელი.

ლუკა ციხისთავი ასევე ეხმიანება „ცისკრის“ არქაული ენის ირგვლივ საზოგადოებაში წამოჭრილ პოლემიკას და მოჰყავს ლავრენტი არდაზიანის, ბარბარე ჯორჯაძის, ბერძენივისა და დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებები.

თველნო, გთხოვთ გვიცნობდეთ ჩვენ თერთმეტთა ბუეის მცემელთ: ჯერ მე მყვირალას, 2. გადარეულს, 3. თახედს, 4. ყბედს, 5. ავყიას, 6. გიუმაჟს, 7. ავგულს, 8. ბრაზიანს, 9. დაუფერებელს, 10. რეტიანს და 11. მოლაყბეს“.

<sup>14</sup> მიხეილ ვორონცოვი (1782-1856) – კავკასიის მეფისნაცვალი 1844 წლის 27 დეკემბრიდან – 1854 წლის 29 ნოემბრამდე და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი. ემსახურებოდა კავკასიის კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, თუმცა ერმოლოვისგან განსხვავებით, ამას აკეთებდა მოქნილად, ე.წ. „რბილი ძალის“ გამყენებით.

ძალიან საინტერესოა ლუკა ციხისთავის წიაღსვლა ვიწრო, მარქსისტული ხედვებით შემოსაზღვრული მკვლევრების შესახებ, რომელიც მარქსისტული კვლევის მეთოდის დაწერგვამდე საქართველოში ბურჟუაზიული აზროვნების არსებობას უგულებელყოფენ, ამგვარად აკნინებენ და ამახინჯებენ ობიექტურ ისტორიულ რეალიებს და იღია ჭავჭავაძესა თუ ნაროვნიკებს განურჩევლად რეაქციონერებად მოიხსენიებენ. სწორედ „ცისკრის“, ერთადერთი ბეჭდური გამოცემის, ფურცლებზე გაჩაღდა ბრძოლის ცეცხლი ნოვატორული იდეებით დახუნძლულ, ქვეყნის ბედით გულწრფელად გულატკივებულ ახალ თაობასა და კონსერვატორული, დახავსებული აზროვნების ძველ თაობას შორის. პირველი მერცხლის როლი კი 1861 წლის აპრილში იღია ჭავჭავაძის კრიტიკულმა წერილმა „ორიოდე სიტყვათ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ ითავა. როგორც ლუკა ციხისთავი აღნიშნავს, იღიამ „კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ძველი ფსევდოკლასიკური, სენტიმენტალური და სქოლასტიკური მიმდინარეობანი ქართულს ლიტერატურაში და მოუნოდა სასიცოცხლო ძალებს რეალური მოქმედებისაკენ“. იღიას წერილი ყოველი ქართველისათვის შემდეგი საკრალური სიტყვებით სრულებოდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“. ავტორი შთაგონებით აღნერს ამ წერილის რეზონანსსა და არასახუმარო ვნებათაღელვას საზოგადოებაში. თხრობას თვალსაჩინოებისათვის ასურათებს ოპონენტთა საფუძვლიანი თუ უხერხემლო არგუმენტებით, ამონარიდებით წერილებიდან და წინ გვიშლის კულტურული ორთაბრძოლის უდავოდ უფექტიან და საინტერესო პანორამას. ცხარე პოლემიკისა და დისკუსიების შემდეგ, როგორც ლუკა ციხისთავი აღნიშნავს, საქმე დასრულდა იმით, რომ იღია ჭავჭავაძეს აღარ აქვეყნებდნენ „ცისკარში“... და სწო-

რედ ამ მომენტიდან, 1863 წლიდან იწყება მორიგი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი ქართული ბეჭდვითი პერიოდიკის ისტორიაში – ილია ჭავჭავაძის მიერ უურნალ „საქართველოს მოამბეს“ გამოცემა.

საქართველოს რთული სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო-სავაჭრო, წოდებრივი, პოლიტიკური ფონის უდავოდ ფუნდამენტური რეკონსტრუქციისა და საზოგადოებრივი იდეოლოგიურ-კულტურული ძვრების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების საფუძვლიანი ანალიზის შემდგომ ლუკა ციხისთავი ასკვნის: „ქართულ კულტურის, ქართულ ეროვნული საქმის ასეთ დაკრინებისა და დაქვეითების პერიოდში შეუძლებელი იყო არ ნამოქრილიყო ეროვნული საკითხი, შეუძლებელი იყო არ დაწყებულიყო ბრძოლა ეროვნულ თავისებურებების შესანარჩუნებლად მაინც<sup>15</sup>“. ავტორი ეხმანება რუსეთში „რაზნოჩინცული“<sup>15</sup>, რევოლუციურად გამსჭვალული ინტელიგენციის ბობოქარ პროტესტს და მათი პროგრესული მსოფლმხედველობის გავლენას ქართველ მონინავე სამოციანელ მოღვაწეებზე. მათგან უმეტესობას ხომ რუსეთში ჰქონდა მიღებული განათლება და ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნოვატორული იდეებით გატაცებულნი, თავადაც რაციონალისტური აზროვნების პრინციპების მიმდევრები, აქტიურად იყვნენ ჩართული დემოკრატიულ-რადიკალური ხასიათის რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ცენზურის მხრიდან უურნალ „საქართველოს მოამბეს“ გამოცემის უმკაცრესი პირობა იყო ნებისმიერი ხასიათის პოლიტიკური თემის პრინციპულად იგნორირება. უურნალი დაარსების დღიდანვე ცენზურის ფო-

<sup>15</sup> რაზნოჩინცები (Разночинцы) – ადამიანთა კატეგორია რუსეთის იმპერიაში XVIII-XIX საუკუნეებში, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს (ვაჭრები, სასულიერო პირები, თავადაზნაურობა და ა.შ.) განეკუთვნებოდნენ. განათლებული რაზნოჩინცები დიდ გავლენას ახდენდნენ რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, მათ შორის გამოიჩინდნენ ლიტერატურული კრიტიკოსები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და მხატვარი – ილია რეპინი.

ლადის არტახებში მოექცა. მაგრამ, როგორც სიამაყით აღნიშნავს ლუკა ციხისთავი, „მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა დასმა ერთი წუთითაც არ ულალატეს დემოკრატიულ პრინციპს და უურნალის პირველი ნომრიდან უკანასკნელ ნომრამდე დაუხრელად ეჭირათ დროშა, რომელზედაც მტკიცედ იყო ამოკეთილი პროგრესიულ-დემოკრატიული იდეები.“ ილიას მედროშეობით უურნალს მთელი არსებობის მანძილზე ლეიტმოტივად გასდევდა ორი მთავარი საბრძოლო ამოცანა: ბრძოლა ბატონიწმობის წინააღმდეგ და ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. „...ყველა წერილი, მოთხრობა, შინაური მიმოხილვა, უცხოური ლიტერატურიდან თარგმნილი მასალა, – სწორედ აღნიშნულ მთავარი საკითხების გაშუქების მიზნით არის შერეული“ – სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ავტორი და დასტურად მოჰყავს საინტერესო ამონარიდები და მასალა უურნალიდან, მათ შორის თავად ილიას თვითკრიტიკული შეფასებებიც. რედაქტორი ცენზურის სულისშემსუთავ ხელბორკილებს პირდაპირ ვერ ხდიდა თვალსაჩინოს, გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ ხშირად აპელირებდა ვუალირებული ფრაზით „დრონი მეფობენ“. სწორედ ლიტერატურა გახდა ილიასათვის პლატდარმი, რომელზედაც მან ააგო თავისი მგზნებარე საბრძოლო სტრატეგია და ლიტერატურას ხალხის სამსახური დაუსახა მთავარ მიზნად. ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონარიდები დიმიტრი ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილის წერილებიდან, მოგვითხრობს „საქართველოს მოამბის“ პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ უურნალის სამოქმედო პროგრამაზე. უურნალი აშუქებდა აგრეთვე სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. ქართველი მწერლების ნაწარმოებების გარდა, უურნალში იპტერდებოდა ბელინსკის, დობროლიუბოვის, პრუდონის, ჰიუგოს და სხვათა თხზულებები, შერჩეული იმავე მიზნით – აღეძრათ და გამოეფხიზლებინათ ეროვ-

ნული თვითშეგნება და სულისკვეთება გაზულუქებულ და ინდიფერენტულ საზოგადოებაში.

ლუკა ციხისთავი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამოციანელი ინტელიგენცია შოვინისტური ვიწრო მსოფლმხედველობით არ იყო შემოსაზღვრული და კოსმოპოლიტური გადმოსახედიდან აფასებდა მოვლენებს. 1862 წელს ილია ჭავჭავაძე ერთ თავის დაუმთავრებელს წერილში წერდა: „მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისთვის, .... ის დიდყაცობა, როგორც ჩვენში ისე სხვაგან, სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრძყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ იგი თავი, შიგ ძვლებისა და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ“.

ლუკა ციხისთავი განსაკუთრებული რუდუნებითა და აღფრთვანებით მოიხსენიებს ილიასა და სხვა თერგდალეულთა ღვაწლს ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის, ეროვნული იდენტობის საკითხის და კეთილშობილური იდეებისათვის თავდაუზოგავი და თავგანწირული ბრძოლების აღწერისას. უურნალის სულისკვეთებისა და მიმართულების მიმოხილვისას ავტორი კვლავ და კვლავ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აქ გამოქვეყნებული აბსოლუტურად ყველა სახის პუბლიცისტური თუ ლიტერატურული მასალა 60-იანი წლების დაძაბულ, ცენზურით შებოჭილ, წინააღმდეგობებით აღსილ პერიოდში ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების თანაულერადი იყო.

ნაშრომი უდავოდ საინტერესო და მრავალმხრივი გზამკვლევი იქნება როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევრების, ისე მე-19 საუკუნის თერგივით მჩქეფარე და ბობოქარი რევოლუციური ეპოქის პერიპეტიებით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის. ავტორი არა მხოლოდ ეპოქის რეალიებსა და მატერიალურ ასპექტებს აღწერს გულდასმით, არამედ იმ პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეთა ნააზრევის

რეტროსპექტივას, შეფასებას და ანალიტიკურ ინტერპრეტირებასაც მიმართავს. ნაშრომი გაუდენთილია ქართული სულით, ეროვნული იდენტობის შეგნებით და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თავისუფლების ძიება და მისკენ სწრაფვა ადამიანის უპირველესი სურვილი და მოთხოვნილებაა.

**ანტონ ვაჭარაძე,**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის  
(IDFI) მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმარ-  
თულების ხელმძღვანელი

თებერვალი, 2021 წელი

ლუკა ციხისთავი

ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის

1819-1863  
ნლები

1930 – 1937 წ.  
ქ. ტფილისი

1.

Yohansen 39thnayat nifkaw 27faro hanet-a je  
1931 chul 89faro kurogelyre agow. 21faro  
reflytdu ma ngle nifkaw, in d ana'fml  
dayan 2-19-1931. Dschachy Lypot mukleas-  
zuhagom balygal mungisheko u kau-ghoro  
pa 108mura, 8hoyz oblykeli su 205mura  
zuhagom - mungisheko mungisheko 108m-  
mura C vok omuorleq76. \*

ppra kona rhy 89faro 22888n 23700  
zulwai 89faro 22888n 23700  
lal polosykheda ~~108m~~ kulgant 108mura-  
ogom 228700 - 18720 ~~10815~~ 10810.  
~~affna~~ 22888n 23700 108mura-  
108mura, 8hoyz 10815. 1217faro 23700  
vifna. 12 vifna 22888n 23700  
108mura 108mura 108mura 108mura  
zuhagom 22888n 23700 23700.

სურათი №1. ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის, შესავალი.  
ლუკა ციხისთავის ხელნაწერი, 1935 წ., წყარო: ლუკა ციხისთავის საოფახო  
არქივი.

## ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (შესავალი)

ლუკა ციხისთავი  
1935 წ.

ქართული პერიოდიკის ისტორია მეტად რთული და ამავე დროს მეტად საინტერესო თემაა. მისდამი ინტერესი მით უფრო იზრდება, რომ თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ჩვენი უურნალ-გაზეთები წიგნის მაგიერობასაც ასრულებდნენ და საზოგადოებრივ აზრებისა და მისწრაფებათა გამოხატვა-გამომულავნების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდნენ.

დიდი ხნით ადრე შედგენილი გეგმები შავი და კასპიის ზღვებისაკენ გზის გასაკაფავად და ა/კავკასიის დასაპყრობათ რუსეთის სამხედრო-ფეოდალურმა იმპერიალიზმმა საბოლოოდ სისრულეში მოიყვანა 1801 წლის 12 სექტემბრის აქტით. ამ აქტით მოთავდა ერთი გზა საქართველოს ისტორიული პროცესისა და დაიწყო გადახვევა მეორე გზაზე.

ქართულ პერიოდულ ცალკე ორგანოთა მიმართულების, შინაარსისა და ამოცანების გარკვევა მეტად ძნელი და სინამდვილეს დაცილებული იქნება, თუ ოდნავ მაინც არ წარმოვიდგინეთ საქართველოს საერთო სოც-პოლიტიკური და კულტურული სურათი მე-19 საუკუნის დასაწყისში.

რუსეთის თვითმშეყრობელობის დამკვიდრებას ჩვენში არ შეეძლო პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები არ გამოეწვია. პირველად ყოვლისა თვითმშეყრობელობა შეუდგა ადგილობრივ გაბატონებული ძეგლი ფეოდალური მმართველობის წესის ძირფესვიანად მოსპობას. საქარ-

თველო გამოცხადებული იქნა რუსეთის უბრალო ადმინისტრაციულ ერთეულად. შემოღებული იქნა რუსული მმართველობა. ბატონიშვილებსა და მსხვილ თავადაზნაურთა ფენას, რომელთაც ხელთ ეპყრათ სახელმწიფოს მართვის სადავები რუსეთის აქ შემოსვლამდე, ჩამოერთოთ პოლიტიკური უფლებები, მათ მაგიერ ახალ სახელმწიფო აპარატში რუსი მოხელეები დაინიშნენ.

უფრო მეტიც, გაბატონებული წოდების მონინავე ნაწილი, მეფის შვილები, მსხვილი ფეოდალები, საერთოდ სასახლის არისტოკრატია, თვითმპურობელობამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთში გადასახლა, ამით სურდა თავიდან აეცილებია რაიმე მოსალოდნელი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ თვითმპურობელობა კარგად გრძნობდა, რომ მხოლოდ უხეში ადმინისტრაციული ზომებით მკვიდრად ვერ მოიკიდებდა ფეხს დაპყრობილს ქვეყანაში, საჭირო იყო მტკიცე დასაყრდენი ძალის შექმნა და ასეთ დასაყრდენს კი, ფეოდალურს საქართველოში ფეოდალურ რუსეთისათვის, ისევ მაღალი წოდება – ქართველი თავადაზნაურობა წარმოადგენდა.

რუსეთის თვითმპურობელობამ ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის გასანადგურებლად იმ სახით წარმართა მახვილი, რომ ქართველი მაღალი წოდება მსახურეულ არისტოკრატიად – ბიუროკრატიული აპარატის მონა მორჩილად აქცია. ამ მხრივ წარიმართა მთელი მუშაობა, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში ჩაბმა, ჩინ-მენდლების დარიგება, მოსყიდვა ძალდატანება და სხვა. აი ჩვეულებრივი მეთოდები, რომლებითაც თვითმპურობელობა პირველხანებში ლამობდა დიდგვარიან ქართველ ფეოდალურ არისტოკრატიის დამორჩილებას.

აღსანიშნავია, რომ თვითმპურობელობამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია ამ მიმართულებით. თავად-აზნაურთა ქვედა ფენების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა, ერთის მხრივ,

ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის სავაჭრო და შემდეგ სამრეწველო კაპიტალის თანდათანობით შემოჭრა საქართველოსა და ა/კავკასიაში და ამ ნიადაგზე გამოწვეული ნატურალური მეურნეობის რღვევა ქართველ თავადაზნაურობას პირს აბრუნებიებს თვითმპყრობელობისაკენ. თუ საუკუნის დასაწყისში თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა ერთსულოვნად შეებრძოლა თვითმპყრობელობის ძალადობას, 1802 წელს შეიარაღებული აჯანყებაც კი მოუწყო მას და შემდეგ წლებშიაც ქართველი გლეხობის რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმით გამოწვეულ ყოველგვარი უკმაყოფილების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა და დაუბრკოლებლად იღებდა იარაღს რუსეთის წინააღმდეგ, – 1832 წლის, შეიძლება ითქვას – უკანასკნელი გაბრძოლების შემდეგ, დაყარა ფარ-ხმალი და მაღალმა წოდებამ თვითმპყრობელი მეფის ტახტისადმი ერთგულებისა და ქედმოხრილი ყმის ფიცი აღიარა.

რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობას საქართველოსა და ა/კავკასიაში თან შემოჰყევა სავაჭრო კაპიტალი – რუსეთის მადაგახსნილი ბურჟუაზია. საქართველო და ა/კავკასია რუსეთის კოლონიად იქცა. რუსეთის კოლონიალური ბატონობის პირველი 30 წელი განსაკუთრებული მძიმე ეკონომიური ძარცვა გლევის ხანა იყო. ამ პერიოდში და შეიძლება ითქვას რამოდენიმედ შემდეგშიაც, შავსა და კასპიის ზღვებზე უფლების მოპოებით რუსეთმა ევროპის სავაჭრო კაპიტალს ხელსაყრელი ნედლეულის ბაზარი გაუმართა შავი ზღვის ნაპირებზე.

ბიუროკრატიული მმართველობის დამყარება – რუსული დაწესებულებები – ქართულის აბსოლუტურად გაუქმება, დაუნდობელი ეკონომიური ძარცვა, მრავალრიცხოვანი ჯარის ტრიალი და სამხედრო მოქმედება ა/კავკასიის დასაპყრობად, ჯარის მოძრაობასთან დაკავშირებული ბეგარა, რუსი მოხლეების ყოვლად უმსგავსო საქციელი დევნა და გადასახლება, უცერემონიო მსხვრევა და დევნა ყველა ტრადიციებისა –

ასეთი იყო სახე რუსული მმართველობისა მე-19 საუკუნის დასაწყისში.

ბუნებრივია ასეთ პირობებში კულტურულს განვითარებაზე – ნინსვლაზე შეუძლებელი იყო ზრუნვა, ანკი ვის უნდა ეზრუნა, მოსახლეობის დიდი ნაწილი – გლეხობა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის კოლონიალურ უღელ ქვეშ ღაფავდა სულს. მებატონის ღალა-ბეგარისა და მთავრობის გადასახადებისა და ბეგარისაგან ერთმეოდა უკანასკნელი ლუკმა. გლეხობა ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებული ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლის ობიექტად იყო ქცეული, ხოლო ქართველი მაღალი წოდება პოლიტიკური ძალა-უფლების დაკარგვის შემდეგ დაიქსაქსა. ამ წოდების საქმაოდ მოწინავე ნაწილი თავიდან მოიშორა რუსეთმა – გადაასახლა რუსეთის ცენტრებში, ხოლო საქართველოში დარჩენილთაგან ერთი ნაწილი თავიდანვე შეურიგდა თვითმპყრობელობას და სამხედრო სამსახურში კარიერას ეძიებდა, მეორე ნაწილი კი ერთხანს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უთავბოლო ბრძოლაში კარგავდა ენერგიას, წინ გახედვის უნარი დაკარგოდა და ისტერიულად მისტიროდა დაკარგულ დიდებას, ოცნებობდა ძველი დროის დაბრუნებაზე.

ამ რღვევა განადგურების პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე ნაყოფიერი ნიადაგი შექმნილიყო საზოგადოებრივი აზროვნების ვითარებისათვის. ამ პერიოდის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება კრიზისს განიცდის, ინტელიგენცია გზააბნეული და გაურკვეველია.

თითქოს მოსალოდნებლი იყო, რომ ქართული აზროვნების განვითარება რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ ძირეულად უნდა შეცვლილიყო, ჩვენს აზროვნებასა და ლიტერატურაზე სპარსულ და საერთოდ აღმოსავლურ გავლენას ადგილი უნდა დაეთმო რუსულისათვის და მისი საშუალებით დასავლეთ ევროპის აზროვნებისა და ლიტერატურისათვის, მაგრამ ეს არ მოხდა ასე სწრაფად.

1802-1828 წლამდე მთელს ა/კავკასიაში მხოლოდ ერთი რუსული სკოლა იყო, რომელსაც „კეთილშობილთა სასწავლებელი“ ერქვა. ზრდიდნენ მხოლოდ თავადაზნაურთა შვილებს და ასწავლიდნენ უმთავრესად სამოხელეო საქმეს.

რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისა და რუსული მმართველობის მოსახლეობის შეგნებაში დამკვიდრებისათვის მრავალ სხვა ცდებსაც მიმართავდა ხელისუფლება და ერთ ასეთ ცდათ უნდა ჩაითვალოს პირველი ქართული გაზეთის დაარსება 1819 წელს „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით.

რუსეთის თვითმპურობელობამ 1804-1812 წლების შემდეგ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ჩვენს ქვეყანაში ქართული ენა და საერთოდ ყოველგვარი ქართველური ჩვეულება – ტრადიცია ძირფესვიანად უნდა აღმოიწვრას და მის ადგილზე დამკვიდრდეს და აყვავდეს რუსული.

პირველი ქართული გაზეთი ბეჯდავდა მხოლოდ მთავრობის განკარგულებებს. მართალია შევხვდებით უცხო ქვეყნების ამბებსაც, მაგრამ ყველაფერი ეს უმთავრესად ოფიციალური ცნობებიდან არის აღებული. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: „საქართველოს გაზეთში“ №25, დაბეჯდილია სასამართლოს განცხადებანი (Объявления экспедиции суда и правы) განცხადებანი საქართველოს გუბერნატორის თხოვნისა, აქავე მოთხრობილია პეტრე დიდის ამბები და სხვა. 1821 წლის 16 სექტემბრის „ქართულ გაზეთში“, რომელზედაც წმინდა გიორგიც არის დახატული უცხო ქვეყნის ამბებია მოთხრობილი: „გერმანიდამ, ოსმალის ქვეყნიდამ, შერთული ამბავი. აღნერა დღესასწაულებათა, ცერემონია ინგლისის კაროლისა. მოლდავის საზღვრიდან“.<sup>16</sup>

<sup>16</sup> აქ წყდება ხელნაწერი. (რედ).

15. 18215 16 177. „Tskare georgian  
Zemgali Tauriskis zvēzdiņu skaitlī,  
Kā arī vācēju tām uzturētā  
Mēnesī, kuras 43003/ka mēneša  
laikās vēlējumos pārbaudīja Rīku  
zīmētā. Mēnesīs vēlējums  
zīmētā „Lipkāzovāl zīmētā”  
nr 25. pārbaudīja latvīšuāl zīmētā  
zīmētā (abzīmējus zīmētās vēlējumi  
ar pārbaudējumi), zīmētās vēlējumi  
zīmētās zīmētās tāpēcī, vēlējumi  
zīmētās vēlējumi vēlējumi nr 132.

18215 16 177. „Tskare georgian  
Lipkāzovāl zīmētās vēlējumi  
pārbaudīja vēlējumi tāl  
zīmētās vēlējumi tāl vēlējumi vēlējumi  
zīmētās vēlējumi: „Mēnesīs vēlējumi  
zīmētās vēlējumi, vēlējumi vēlējumi.  
Vēlējumi vēlējumi, vēlējumi vēlējumi  
vēlējumi vēlējumi. Mēnesīs vēlējumi vēlējumi,

ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის  
1819-1845 წლები

(ნაწილი I)

changes in the psychology of the last half century.

• 7 •

(1819-1845. etc.).

Հայոց պատմութեան 1819 թ-ը օրեւ,  
սկզբ, և ժամանակը թիվ 10 տարեվա առ յօդա  
և միջնամաս։ Տեղաւոր յահար-քաղաք  
ուժին Խ տեղ քառ տալ մեր։ յահածն  
Միջն յաշական գալութիւն առաջնարար է կա-  
զա, եւս ու այլ այլ ու այլ այլ այլ այլ  
կազմութիւն կազմակազմութիւն։ յահածն պա-  
րագան ուժին պար հայոց ու Խ քա-  
յուր կազմութիւն այսու։ Յահածն ուժին ու  
առ այս ուժին, և առ այս ուժին այս ու-  
ժին այս ուժին այս ուժին այս ուժին  
Տար առաջն առաջն առաջն առաջն առաջն  
առաջն առաջն առաջն առաջն առաջն առաջն



საქართველოს

3

სურათი №3. უკრნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №3, 1935 წ.,  
ქართული ჰერიოლიკის ისტორიისათვის (1819-1845 წ.), ლუკა ციბისთავის

ქართული პერიოდიკის ისტორია 1819 წლიდან იწყება. ამ დრომდე ჩვენში უურნალი თუ გაზეთი არ არის დიდი ხნის ამბავი. ევროპაში პრესის განვითარება მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება, ხოლო რუსეთში პრესას ამ საუკუნის მიწურულებში ჩაეყარა საფუძველი. ქართული პერიოდიკის ისტორია მეტად რთული და ამავე დროს მეტად საინტერესო თემაა. მისდამი ინტერესი მით უფრო იზრდება, რომ თითქმის მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ჩვენი უურნალ-გაზეთები წიგნის მაგიერობასაც ასრულებდნენ და საზოგადოებრივ აზრების, მისწრაფებათა და საერთო კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების გამომჟღავნების ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენდენ.

ქართული პერიოდიკის ისტორიის გათვალისწინება, ცალკე პერიოდულ ორგანოთა მიმართულების, შინაარსისა და ამოცანების გარკვევა მეტად ცალმხრივი და სინამდვილეს დაცილებული იქნება თუ ზოგადად მაინც არ მოვხაზეთ საქართველოს საერთო სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარება მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში.

დედი ხნით ადრე შედგენილი გეგმები, შავი და კასპის ზღვებისაკენ გზის გასაკაფავად და ა/კავკასიის დასაპყრობად რუსეთის სამხედრო ფეოდალურმა იმპერიალიზმა საპოლო-ოდ სისრულეში მოიყვანა 1801 წლის 12 სექტემბრის აქტით. ამ აქტით მოთავდა ერთი გზა საქართველოს ისტორიული პროცესისა და დაინტერესული გადახვევა მეორე გზაზე. რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებას ჩვენში – არ შეეძლო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ხასიათის ცვლილებები არ გამოეწვია. პირველად ყოვლისა თვითმპყრობელობა

შეუდგა დაპყრობილი ქვეყნის პოლიტიკური წყობილების გარდაქმას – დაიწყო მმართველობის ძველი ფეოდალური წესის ძირფესვიანათ მოსპობა და რუსული ცენტრალისტური აბსოლუტიზმის პრინციპზე აგებული მმართველობის დამკვიდრება. ბატონიშვილებსა და მსხვილ თავადაზნაურთა ფენას, რომელთაც ხელთ ეპყრათ სახელმწიფოს მართვის სადავები რუსეთის აქ შემოსვლამდე, ჩამოერთოთ პოლიტიკური უფლებები, მათ მაგიერ, ახალ სახელმწიფო აპარატში რუსი მოხელეები დაინიშნენ. უფრო მეტიც, გაბატონებული წოდების მოწინავე ნაწილი, მეფის შვილები, მსხვილი ფეოდალები – საერთოდ სასახლის არისტოკრატია, თვითმპყრობელობამ, საქართველოში დამკვიდრებისთანავე, – რუსეთში გადაასახლა. ამით სურდა თავიდან აეცილებია რაიმე მოსალოდნელი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ თვითმპყრობელობა კარგად გრძნობდა რომ მხოლოდ უხეში ადმინისტრაციული ზომებით მკვიდრათ ვერ მოიკიდებდა ფეხს დაპყრობილ ქვეყანაში. საჭირო იყო მტკიცე დასაყრდენი ძალის შექმნა და ასეთ დასაყრდენს კი თვითმპყრობელობისათვის ისევ, მხოლოდ და მხოლოდ ქართველი თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ თვითმპყრობელობამ ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის გასანადგურებლად იმ სახით წარმართა მახვილი, რომ ქართველი მაღალი წოდებისათვის სამუდამოდ დაევიწყებია ძველი ფეოდალურ დიდებაზე ფიქრი, მის ყოველდღიურ საზრუნავ საგნად გაეხადა სამსახურებრივი დაწინაურება, - ერთი სიტყვით ფეოდალური არისტოკრატია – მსახურულ - მეფის მოწყალების შემყურე არისტოკრატიად ექცია. ამ მიმართულებით მრავალი ღონისძიება იყო გამოყენებული ცარიზმის მიერ; თავადაზნაურობის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში ჩაბმა, ჩინ-მენდლების დარიგება, მოსყიდვა, ძალდატანება და სხვა. აი ჩვეულებრივი მეთოდები რომლებითაც ხელისუფლება პირველხანებში ლამობდა დიდ-

გვარიან ქართველ ფეოდალური არისტოკრატიის დამორჩილებას.

აქავე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითმპურობელობამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია ამ მიმართულებით. თავადაზნაურთა ქვედა ფენების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის საგაჭრო და სამრეწველო კაპიტალის თანდათანობითი შემოჭრა საქართველოსა და ა/კავკასიაში და ამ ნიადაგზე გამოწვეული ნატურალური მეურნეობის რღვევა, მაღალი წრის ქართველ თავადაზნაურობას პირს აძრუნებინებს თვითმპურობელობისაკენ. თუ საუკუნის დასაწყისში ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ცეცხლითა და მახვილით შეებრძოლა თვითმპურობელობის ძალმომრეობას, 1802 წ. შეიარაღებული აჯანყებაც კი მოუწყო და შემდეგ წლებშიაც ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად – განსაკუთრებით გლეხთა აჯანყებების დროს – საუკუნის 20-30 წლებში თავადაზნაურობის ძველმა თაობამ საბოლოოდ დაყარა ფარსმალი. 1832 წლის უკანასკნელ გაბრძოლებას თვითმპურობელობის წინააღმდეგ მეტნაწილათ თავადაზნაურული ინტელიგენციის ახალი თაობა ედგა სათავეში, მაგრამ ამ გაბრძოლების დამარცხებამ და საგრძნობმა ძერებმა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში, თავადაზნაურული ინტელიგენციაც მოხარა წელში და ძველ თაობასთან ერთად მეფის ტახტისადმი ერთგულების ფიცი აღიარებია.

რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობას საქართველოსა და ა/კავკასიაში თან შემოჰყვა საგაჭრო კაპიტალი – რუსეთის მადაგასხნილი ბურჟუაზია კოლონიალური ძარცვის ყველა ტენდენციებით.

საქართველო და ა/კავკასია რუსეთის კოლონიად იქცა. თვითმპურობელობის კოლონიალური ბატონობის პირველი 30 წელი განსაკუთრებული მძიმე ეკონომიკური ძარცვა-გლეჯის ხანა იყო. ამ პერიოდში და, შეიძლება ითქვას, რამოდენიმედ

შემდეგშიაც – 40-50 წლებამდე, რუსეთი არ ან ვერ იყენებდა ა/კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს თავის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ნედლეულის გაზიდვა და იმისაგან და-მუშავებული საქონლის მაღალ ფასებში შემოზიდვა, ეს არის კოლონიალური პოლიტიკა რომელსაც ენევა ჩვეულებრივ სამ-რენველო კაპიტალი. ჩვენში კი არ იყო ასე. დაუნდობელი ძარცვა და ვერაგული განადგურება სწორედ იმაში გამოიხა-ტებოდა, რომ მეფის რუსეთს საქართველოს და ა/კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრე პირდაპირ საგარეო ვაჭრობის ბრუნვა-ში შეჰქონდა და ამით ლამობდა პასიური საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას. მხოლოდ 1832 წლიდან ვრცელდება ა/კავკასი-აზე რუსეთში ჯერ კიდევ 1821 წელში შემოლებული საბაჟო ტარიფი, რომლითაც თითქმის სავსებით იკრძალებოდა მანუ-ფაქტურის შემოტანა საზღვარგარეთიდან.

ბუნებრივია ასეთ პირობებში საქართველოს და ა/კავკასი-ის ადგილობრივი მეურნეობის განვითარება ყოველგვარ შე-საძლებლობებს მოკლებული იქნებოდა. ეკონომიურ ძარცვა-გლეჯას დაერთო მრავალრიცხოვანი რუსის ჯარის მოძრაობა საქართველოს ტერიტორიაზე, მრავალი სახელმწიფო გადასა-ხადები და სამხედრო ბეგარა.

ბიუროკრატიული მმართველობის დამყარება, რუსული დაწესებულებები – ქართულის სავსებით გაუქმება, დაუნდო-ბელი ეკონომიური ძარცვა, მრავალრიცხოვანი ჯარის მოძრა-ობა და სამხედრო მოქმედება ა/კავკასიის დასაპყრობად, ჯა-რის მოძრაობასთან დაკავშირებული ბეგარა, რუსი მოხელეე-ბის ყოვლად უმსგავსო საქციელი, დევნა და გადასახლება, უცერემონიო მსხვრევა და დევნა ყველა ტრადიციებისა – აი ასეთი იყო სახე რუსული მმართველობისა მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში.

ბუნებრივია, ასეთ პოლიტიკურს და ეკონომიური ცხოვრე-ბის პირობებში კულტურულს განვითარებაზე – ნინსვლაზე შეუძლებელი იყო ზრუნვა. ანკი ვის უნდა ეზრუნა? – მოსახ-

ლეობის დიდი ნაწილი – გლეხობა ბატონყმობისა და თვითმცყრობელობის კოლონიალურ უღელ ქვეშ ღაფავდა სულს. მებატონის ღალა-ბეგარის, მთავრობის გადასახადებისა და სისტემატური სამხედრო ბეგარისაგან უკანასკნელი ლუკმა ეცლებოდა ხელიდან. გლეხობა ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებული გარიყული იყო საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ყიდვა გაყიდვის ობიექტად იყო ქცეული. ქართველი თავადაზნაურობა პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ დაიბნა – დაიქსაქსა. ამ წოდების საკმაოდ მოწინავე ნაწილი თავიდან მოიშორა რუსეთმა – გადაასახლა რუსეთის ცენტრებში, ხოლო საქართველოში დარჩენილთაგან ერთი ნაწილი – მეტწილად წერილი აზნაურობა – იმთავითვე შეურიგდა თვითმცყრობელობის რეჟიმს და სამსახურში – (სამხედრო და სამოქალაქო) კარიერას ექცედა. მეორე ნაწილი კი ერთხანს თვითმცყრობელობის წინააღმდეგ უთავბოლო ბრძოლაში კარგავდა ენერგიას, წინ გახედვის უნარი დაკარგვიდა და ისტერიულად მისტიროდა ქველს – დაკარგულს „დიდებას“, ოცნებასა და უქმ ყოფაში ატარებდა დროს ქველი „დიდების“ დაბრუნების მოლოდინში. ამ რღვევა განადგურების პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე ნაყოფიერი ნიადაგი შექმნილიყო საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისათვის. ამ პერიოდის ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება კრიზის განიცდის, ინტელიგენცია გზაბნეულია.

თითქოს მოსალოდნებლი იყო, რომ ქართული აზროვნების განვითარება რუსეთის ბატონობის დამყარების შემდეგ რამოდენიმედ მაინც უნდა შეცვლილიყო. ჩვენს აზროვნებასა და ლიტერატურაზე სპარსულ და საერთოდ, აღმოსავლურ გავლენას ადგილი უნდა დაეთმო რუსულისათვის და მისი საშუალებით დასავლეთ ევროპის აზროვნებისა და ლიტერატურისათვის, მაგრამ ეს არ მოხდა ასე სწრაფად. თითქმის სამოციან წლებამდე რუსული აზროვნების გავლენა შესამჩნევად ვერ იკიდებს ფეხს საქართველოს საზოგადოებრივს ცხოვრებაში,

ამისი მიზეზი ალბათ უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ მიუხედავად რუსეთის სავაჭრო კოლონიალური კაპიტალის შემოჭრისა, მაინც 50-60-იან წლებამდე ნატურალური მეურნეობა, ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე მტკიცედ იყო გაბატონებული ჩვენში.

მართალია, თვითმპურობელობა შემოსვლის დღიდანვე მტკიცედ ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ადმინისტრაცია, სამართალი და სხვა რუსულ ენაზე იყო მონყობილი, რუსიფიკატორობა კულტურის სფეროშიაც შეიტანეს, მაგრამ დიდი კულტურ-ტრეგერობა არ გამოუჩენიათ ჩვენში.

რუსეთის თვითმპურობელობის დამკვიდრების მომენტი-სათვის საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებებს სამონასტრო და საეკლესიო სკოლებილა წარმოადგენდნენ, ტფილისისა და თელავის სემინარიები აღამახმადხანის მიერ საქართველოს აოხრების შემდეგ დაიხურა. რა გააკეთა, თითქოს „მფარველობის“ ნიშან ქვეშ შემოსულმა მეფის რუსეთმა ამ მხრივ? თითქმის არაფერი. 30 წლის მანძილზე მთელს ამ/კავკასიაში რუსეთის თვითმპურობელობამ მხოლოდ ერთი საერო „კეთილშობილთა სასწავლებელი“ და ერთიც სასულიერო სემინარია დააარსა. პირველი დააარსა 1802 წელს და მისი ამოცანა იყო სამოხელეო პირთა აღზრდა წარჩინებულთა წრიდან. მეორე დაარსდა ეგზარხოს ფეოფილაქტეს დროს 1817 წელს – დანიშნულება სასულიერო პირთა აღზრდა იყო.

1830 წელს პასკევიჩმა რამოდენიმე სამაზრო სასწავლებელი გახსნა (გორში, თელავში და ქუთაისში). ამით ამოინურა თვითმპურობელობის კულტურული მოღვაწეობა თითქმის 1850 წლამდე.

რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისა და რუსული მმართველობის სისტემის მოსახლეობის შეგნებაში დასამკვიდრებლად მრავალ სხვა ცდებსაც მიმართავდა ხელისუფლება. ერთ ასეთ ცდათ უნდა ჩაითვალოს პირველი ქართული

გაზეთის დაარსება 1819 წლის 8 მარტს, „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით.

დაძაბულმა პოლიტიკურმა ატმოსფერამ პერიოდული ორგანოს საჭიროება გამოიწვია. გაზეთს მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე უნდა გაეცნო ხელისუფლების დადგენილება-განკარგულებანი, უნდა შთაენერგა რუსული მმართველობის სული.

რუსეთის თვითმპურობელობამ 1804-1812 წლების აჯანყებათა შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ საქართველოში ქართული ენა და საერთოდ ყოველგვარი ქართველური ჩვეულება, ტრადიცია, ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრილიყო და ადგილი დაეთმო რუსული ენის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის.

საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ბიუროკრატიული აპარატის მოხელენი არაფერს ზოგავდნენ თვითმპურობელობის მისწრაფებათა განსახორციელებლად, არ სჯერდებოდნენ პოლიტიკური ორგანოების სავსებით მოსპობას და ყოველგვარ წვრილმანში ჩარევით ცდილობდნენ ქართული თავისებურებების გარეგნული კვალიც კი აღმოფხვრათ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია გიორგი ერისთავის ბიოგრაფის ი. მეუნარგიას ერთი ცნობა, რომელიც 1828 წელს მთავარმართებელ პასკევიჩის სასახლეში მოწყობილ ცნობილ გრიბოედოვის ჯვარის წერას შეეხება. რადგან გრიბოედოვი ალ. ჭავჭავაძის ქალს ირთავდა, ქორწილში ქართველი თავადაზნაურობა იყო მიწვეული. „დანიშნულს დროზე – მოგვითხრობს მეუნარგია – გიორგი (ერისთავი) ქართული ტანისამოსით მორთული მივიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება.... კიბეზე ასვლის დროს კალთაში სწვდა მას ერთი პოლიციის მოხელე და დარბაზში შესვლის ნება არ მისცა ქართული ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხყოფა და შინ დაბრუნდა. თვითმპურობელობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს“.

ასეთ პირობებში ერთის შეხედვით თითქოს გასაკვირელი ამბავია ქართული გაზეთის დაარსება და ისიც ხელისუფლების თაოსნობით. მაგრამ საკმარისია გადაფურცლოთ ამ გაზეთის რამოდენიმე ნომერი და დარწმუნდებით, რომ ქართული გაზეთი პირნმინდათ ემსახურებოდა თვითმპურობელობის საქმეს. და მართლაც, ჯერ ხომ სულ 19 წელი იყო გასული თვითმპურობელობის დაკვიდრებიდან. არამც თუ ქართველმა ხალხმა მთლიანად, არამედ მონინავე წოდებამაც კი ვერ შესძლო რუსული ენისა და წესების შეთვისება, ვერ შესძლო თავის თავის გარდაქმნა ისე, რომ დაეკმაყოფილებინა რუსი მმართველების ისტერიული ძახილი „ნამდვილი ქართველი იმავე დროს ნამდვილი რუსი უნდა იყვესო“. თვითმპურობელობის მისწრაფებათა განსახორციელებლად საჭირო იყო, რომ ქართველობა სიღრმეში ჩასწვდომოდა რუსეთის მმართველობის წესს, შეეთვისებია და შეესისხლსორცებია ის. აი ამ მიზნებს ემსახურება პირველი ქართული გაზეთი. ამ აზრის დასამტკიცებლად განვიხილოთ თვით ამ გაზეთის რამოდენიმე ნომერი.

„საქართველოს გაზეთის“ პირველ ნომრის გამოსვლამდე დაიბეჯდა „გამოცხადება“ – ერთგვარი პროსპექტი საიდანაც ირკვევა თუ რა ამოცანებს ისახავდა ის.

გაზეთი სწერს: „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის ამის ქვეყნისათა, მომავლის მარტის პირველ რიცხვითგან წინადადებულ არს, რომელ გამოიცემოდენ თფილისა შინა ბუნებისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჯდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება „საქართველოს გაზეთი“. გაზეთსა ამას შინა შთანერილ იქნებიან შემდგომნი მუხლინ:

- ა. სახელოთ ბოძება და ჯილდო მოხელეთა, რომელნიც მსახურებენ საქართველოსა და სხვათა აქაურთა სამფლობელოთა შინა სამხედროსა და სამოქალაქოსა სამსახურსა შინა.

- ბ. საკუთარნი მმართველობის განწესებანი, ბრძანებანი და დადგენილებანი, რომელიცა ეკუთვნიან ამ ქვეყნის დამყარებასა და კეთილმდგომარეობასა.
- გ. სხვადასხვანი საქართველოს და თანამესამზღვრეთა მისთა ადგილთ ამბავნი, რომელიცა საზოგადოების საკუთარის ყურადღების ღირსნი არიან.
- დ. ცნობანი ახალთათვის პოვნილებათა ანუ დაწყობილებათა, რომელიცა შეეხებიან ნაწილსა სხვადასხვა ხელოვნებათასა.
- ე. გამოკრებილნი ჟურნალთა და გაზეთთაგან, რომელიცა გამოიცემიან რუსეთსა შინა და რომელთაცა თავის ჰაზრისამებრ ძალუდთ, რომელ მისცენ საკუთარი კმაყოფილება მკითხველთა.
- ვ. გაზეთი ესე გამოცემულ იქნება მომავლის ჩყკ. [1820] წლის იანვრის თვემდის თვითოს კვირაში, თვითო დაბეჯდილი ფურცელი“.

ამგვარად თვით პროსპექტიც იმის ნათელ სურათს იძლევა, რომ გაზეთი მხოლოდ და მხოლოდ საინფორმაციო ფურცელს წარმოადგენდა. არავითარი წერილი ან კომენტარიები გაზეთში არ არის. გაზეთი პირველ გვერდს ყოველთვის იწყებს „უმაღლესი“ ამბებით, ამას მისდევს უმაღლესი ბრძანებანი „სახელოთ-ბოძებანი და ჯილდო მოხელეთა“, როგორც მაგ. – „ყოვლად უმოწყალესად ებოძათ ორდენი“.... და სხვა. შემდგომ საშინაო განკარგულებანია მოთავსებული. მაგალითად – „საქართველოს კეთილშობილთ დეპუტატთა შეკრებილობა“ უცხადებს ყოველთათვე, ვინც არა მოხსენებულ არიან ტრახტატსა შინა, უთუოდ წარმოადგინონ საბუთნი თვისნი“.... და სხვა.

შემდეგ ქრონიკის მსგავსი ამბებია. ესეც უფრო ოფიციალური ხასიათის.

გაზეთში გვხვდება „უცხო ქვეყნის ამბავნიც“, მაგრამ აქაც იგივე სტილია დაცული, სწრენ ინგლის კაროლის, ინგლისის კარალევას დაგვირგვინებისა, ვირტენბურლის კოროლევნას სიკვდილის და სხვა ამგვარ ამბებს.

როგორც ვნახეთ, გაზეთის გამომცემლები საზოგადოებას სხვა ამბებთან ერთად პირდებოდნენ „გამოკრებანი ურნალთა და გაზეთთაგან, რომელნიცა გამოიცემიან რუსეთსა შინა“-ო, მაგრამ ვერც ეს დაპირება შეასრულეს, ანდა თუ შეასრულეს, მხოლოდ ისევ და ისევ მთავრობის ოფიციალურ განკარგულებათა მოთავსებით.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში რუსეთში დიდი ჩოჩიოლი სწარმოებდა. გაჩაღებული იყო საკონსტიტუციო ბრძოლა. რუსეთის პრესა დიდ ადგილს უთმობდა საკონსტიტუციო საკითხებზე მსჯელობას, იბეჭდებოდა ბავარიის კონსტიტუციის ტექსტები, ადარებდნენ ამერიკის კონსტიტუციას, ინერებოდა წერილები გლეხთა მდგომარეობის შესახებ და სხვა.

მაგრამ, მიუხედავათ დაპირებისა რუსული ამბების დაბეჭვდის შესახებ, ამ საკითხებზე ჩვენს გაზეთში ერთი სიტყვაც არ არის მოხსენიებული. შესაძლებელია იფიქროთ, რომ ყოველივე ეს გამოწვეული იყო სასტიკი ცენზურით, რომელიც მართლაც საკმაოდ მძვინვარებდა ამ დროს და იქნებ ცენზურა ჩვენში უფრო ძლიერიც იყო, მაგრამ საქმე ცალკე ცენზურამდე როდი მიდიოდა.

გაზეთის გამომცემელი კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი იყო და გაზეთის შინაარსისთვის უშუალოდ პასუხს აგებდა მთავარმართებელ ერმოლოვის წინაშე.

როგორც ვნახეთ, გაზეთი ინტერესს იჩენდა უცხოეთის ამბებისადმიც, მაგრამ შინაურ ამბავს, ყოველდღიურ ცხოვრებას, ყოველდღიურ ჭირვარამის ახსნას, ახალი გზა-კვალის ძიებას, ახალი მიმართულების დამყარებას, ჩვენი გაზეთი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ერთ სტრიქონსაც არ უთმობს. საქართველოს ცხოვრება, მისი მომავალი – გაზეთის

ყოველდღიური საქმიანობის საგანს არ წარმოადგენს. მაგრამ არ იქნებოდა მართალი გვეთქვა, რომ ქართული გაზეთი ქართველების შესახებ სრულიად სდუმდა, არაფერს ბეჯდავდა. ამ მხრივად არ უღალატა გაზეთმა თავის ოფიციალურ დანიშნულებას, გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ვხვდებით ამგვარი ხასიათის განცხადებებს: „გორის უეზდის სოფელ დგვრისის მცხოვრებნი ბარძიმ მაჩაბელოვის ყმა დათუა კვალენიძე თავის ცოლით და ვაჟით და ქალიშვილებით, ძმისწული ნინიათი და ვენახით იყიდებიან იმ ასასამოცდასამს რუბლში, რომელიც მართებს მას აზნაურის გაბაშვილის ქალის ელისაბედისი. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არს ამა წლის ნოემბრის კ. და დეკემბრის ე. და კ. რიცხვებში“.

აი როგორ ზრუნავდა თვითმპყრობელური რუსეთის ქართული გაზეთი საქართველოს და ქართველი მშრომელი ხალხის ყოველდღიურს ჭირ-ვარამზე, როგორ ეძიებდა მომავლის გზებს.

მაგრამ განა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბს მეტი მოეთხოვებოდა? განა თავიდანვე ცხადი არ იყო, რომ თვითმპყრობელობა ქართული გაზეთის დაარსებით სრულიადაც არ ფიქრობდა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის რაიმე სამსახურის განევას, მისი წინწაწევის – განვითარების მიზნით. აქ ხელისუფლების მიზანი იმ თავითვე მტკიცედ იყო შემოხაზული.

ქართულს გაზეთს მოსახლეობისათვის უნდა გაეცნო ხელისუფლების დადგენილება-განკარგულებანი, რუსეთის ცხოვრება-მმართველობის წესები და თუ გნებავთ, ქართული ენის მეოხებით ნიადაგი უკეთ შეემზადებინა ქართველი მოსახლეობის გარუსებისათვის.

გაზეთის მასალა იწერებოდა რუსულად და შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა. აქაც გარკვეული სიფრთხილე სჩანს ხელისუფლების მხრივ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის თავადაზნაურთა ძველი, მე-18 საუკუნიდან

გადმოყოლილი თაობა, რომელთა წრეში საკმაოდ ძლიერი მონინააღმდეგები ყავდა რუსეთს, განადგურებული იყო, ან რუსეთში იყო გადასახლებული, ანდა წელში მოხარა თვითმპყრობელობამ და ხელი ააღებია „ძველი დიდების“ დაბრუნებაზე ფიქრისაგანაც კი. ახალი თაობა – 19-საუკუნის თაობა, ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გამოსული სამოლვაწეო ასპარეზზე – და ცხადია, გაზეთს რომ ლიბერალური ცენზორიც ჰყოლებოდა, მაინც ვერ შესძლებდა ქართველი ხალხისათვის ნამდვილი სამსახურის განევას. მით უმეტესად, რომ ეს ახალი თაობაც ისევ ფეოდალურ ტრადიციებზე აღზრდილი, როგორც შემდეგ დავინახავთ, თავის საზოგადოებრივს მოლვაწეობაში მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალურ წრეებს ემყარებოდა და მათი ინტერესების დასაცავად იბრძოდა.

გაზეთს მხატვრული ნაწილიც ჰქონდა, მაგრამ ამ ნაწილში საყურადღებო თითქმის არაფერია. სულ ხუთიოდე მოთხრობა დაიბეჭდა და თითქმის ყველა თარგმანი:

1. მოთხრობა ქალის მარიამისა;
2. იშვიათი ცოლი,
3. ამბავი უფლის დელამოტისა,
4. რობერტ ავაზაკი და
5. ლირს სახსოვარნი მოთხრობანი და სიტყვანი იმპერატორის ჰეტრე დიდისანი. ამ ლიტერატურას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ვფიქრობ, იმ დროსაც არ ექნებოდა. ასეთი იყო შინაარსი ქართული გაზეთისა, რომელიც 1819-1820 წლებში გამოდიოდა კვირაში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ 1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთს უკვე „ქართული გაზეთი“ ჰქვია. 1822 წლიდან „ქართული გაზეთი“ აღარ გამოსულა. ადგილობრივ ენებზე „საქართველოს გაზეთი“ პირველი გამოცემა იყო მთელს ა/კავკასიაში.

საერთოდ კი ამ ჰერიოდში რუსეთში გაზეთების რიცხვი ძალიან მცირე იყო. ე. ვეიდენბაუმის ცნობით, რუსეთის პროვინციებში მაშინ გამოდიოდა სამი გაზეთი: ყაზანსა და ხარკოვში უნივერსიტეტების გაზეთები და ერთიც კერძო გაზეთი

ასტრახანში (ყოველივე ეს, რასაკვირველია, პეტერბურგისა და მოსკოვის გარდა).

ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი ქართული გაზეთის გამოცემის ინიციატივა თვითმპყრობელობის აგენტებს ეკუთვნოდა, რადგან ეს გაზეთი – ან უკეთ – მთავრობის განკარგულებათა კრებული, მეტად საჭირო იყო ა/კავკასიის ხელისუფლებისათვის. პირველი ქართული გაზეთი არ იყო ნამდვილად გაზეთი იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ახლა გვესმის, როგორც აღვნიშნე, გაზეთი აბსოლუტურად უვლიდა გვერდს საქართველოს ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს, კმაყოფილდებოდა მხოლოდ მთავრობის ოფიციალური განცხადებების ბეჭვდით, მაგრამ პირველი ქართული გაზეთი მაინც დიდი მოვლენა იყო საქართველოში, ეს იყო პირველი ბეჭდვითი პერიოდული ორგანო საქართველოს ისტორიაში, ეს იყო ქართული პუბლიცისტიკის საფუძველ ჩამყრელი ნიადაგის შემამზადებელი.

ამ გაზეთმა საზოგადოებაში პრესის მოთხოვნილება გააღვიძა, დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

„საქართველოს გაზეთს“ მეტად ცოტა მკითხველი ყავდა. უკანასკნელ 1822 წელს, მიუხედავად მთავრობის განსაკუთრებული ზომებისა, ტფილისში მხოლოდ 19 ხელისმომწერი უშოვიათ, რის გამოც გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. „ქართული გაზეთის“ დახურვის შემდეგ „ქართული გაზეთის“ ან უკეთ უკრნალის მსგავსი ორგანოს გამოცემა განახლდა 1828 წელს „ტფილისის უწყებანის“ სახელწოდებით, ხოლო 1832 წელს ს. დოდაშვილის რედაქტორობით ორკვირაში ერთხელ გამოდიოდა „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი“. ეს უკანასკნელი სულ ხუთი ნომერი გამოვიდა.

ეს ორგანო ვერ ახდენს ეპოქის შესაფერ შთაბეჭდილებას, თუმცა „საქართველოს გაზეთთან“ შედარებით მაღლა სდგას, როგორც ლიტერატურული, აგრეთვე საზოგადოებრივი როლის შეგნებითაც.

გაზეთი „ტფილისის უნიყებანი“ ამავე სახლწოდების რუსული გაზეთის «Тифлисские Ведомости»-ს პარალელურად გამოდიოდა და თითქმის რუსული გაზეთის თარგმანს წარმოადგენდა. ქართული და რუსული გაზეთიც ტფილისის სამხედრო გუბერნატორის სასატიკი მეთვალყურეობის ქვეშ გამოდიოდა. ამ გაზეთების შინაარსი, როგორც ვტყუბილობთ «Тифлисские Ведомости»-ს განცხადებიდან შემდეგი იყო:

1. უმაღლესი ბრძანებანი.
2. შინაგანი ცნობები რუსეთისა და განსაკუთრებით კავკასიისა. აქ იბეჯდებოდა ცნობები სამხედრო საომარ მოქმედებათა შესახებ და მთავარმართებლის მოწოდებანი მცხოვრებათა მიმართ.
3. უცხოეთის ახალი ამბები.
4. თანამედროვე ისტორია. ამ განყოფილებაში იწერებოდა რუსეთ-სპარსეთის ომის ამბები, კავკასიის დაპყრობის ამბები და სხვა.
5. ბიბლიოგრაფია.
6. განცხადება კერძო და სახელმწიფო.
7. ფულის კურსი ტფილისისა შინა.
8. მხატვრული ნაწილი – იბეჭდებოდა უმთავრესად რუს მწერალთა ნაწარმოებები<sup>17</sup>.

„ტფილისის უნიყებანი“ 1828 წელს მხოლოდ ნახევარი წლის განმავლობაში გამოდიოდა. 1830 წელსაც მხოლოდ წლის მეორე ნახევარში იწყებს გამოსვლას. გაზეთი 1831 წლის მიწურულში აღარ სჩანს. ბარონ როზენის ერთ წერილში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბლუდოვის სახელზე, მოხსენებულია, რომ ის უგზავნის გაზეთის მომავალი 1832 წლის

<sup>17</sup> M.B. 1828 №15, ტ.უ. 1830 №2.

გამოცემის განცხადებას და სთხოვს, მიიღოს თავის მფარველობაში.<sup>18</sup>

1832 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის“ გამოცემის განახლებასთან ერთად იწყება გაზეთის დამატების „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უნივერსიტეტისათვის“-ს გამოცემაც. გაზეთის ტირაჟი, როგორც ირკვევა მასალებიდან, 400 ცალს არ ასცილებია, მაშინ როდესაც «Тифлисские Ведомости»-ს ტირაჟი 1200 სცილდებოდა. „ტფილისის უნივერსიტეტის“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. აქტების<sup>19</sup> მასალიდან ვტყყობილობთ, რომ 1832 წელს «Тифлисские Ведомости»-თან ერთად გამოდიოდა არა მარტო „ტფილისის უნივერსიტეტის“, არამედ იგივე გაზეთი იბეჭდებოდა თურქულადაც. ამავე ცნობით სამთავე ენაზე გაზეთის მთავარი ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონია მთავარ რედაქტორს პ. სანკოვსკის.

პირველი ქართული გაზეთის შემდგომ პერიოდში საქართველოში კულტურული ცხოვრება რამდენიმედ გამოცოცხლების გზას ადგება. სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი თაობა გამოდის, თაობა, რომელსაც სწავლა განათლება მიღებული აქვს რუსეთის უმაღლეს და სამხედრო სასწავლებლებში. ამ პერიოდს უკავშირდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის სამოღვაწეოდ გამოსვლა. ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, გრიგოლ, ალექსანდრე, ვახტანგი და დიმიტრი ორბელიანები, ალ. ჭავჭავაძე, გიორგი, ელიზბარ და სხვა ერისთავები, დიმ. ყიფანი, ავთანდილოვი, ი. მამაცაშვილი და სხვები – აი ვინ შეადგენენ ამ პერიოდის მოწინავე ინტელიგენტთა წრეს. ეს ხალხი იყო მომწყობი და სულის ჩამდგმელი 1830-32 წწ. შეთქმულებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ცარიზმის თვითმშეყობელური ხელისუფლების დამხობას. მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ფეოდალთა ძველი თაობის დი-

<sup>18</sup> Акты К.А.К. т. VIII, №14.

<sup>19</sup> Акты К.А.К. т. VIII.

დი ნაწილი უკვე დამპყრობელი ძალის ერთგულ შინა ყმად იყო ქცეული და მხოლოდ პირად განცხოომასა და ფუფუნებაზე ფიქრობდა მაშინ, როდესაც შვილები დამპყრობელთა წიაღში აღზრდილნი შეურიგებელი მტრობით იყვნენ გამსჭვალულნი ამ ძალის მიმართ. აი – სწორედ ამ პერიოდში საქართველოს და რუსეთის სასწავლებლებში განსწავლული ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენცია პირველად გამოდის როგორც ცარიზმის წინააღმდეგ შეთქმულების ხლმძღვანელი და ორგანიზატორი.

როგორც ცნობილია, შეთქმულთა ორგანიზაციამ 1830 წლის მიწურულსა და 1831 წელში გააცხოველა თავისი მუშაობა და პროპაგანდა. სწორედ აქ იჩენს თავს ქართველი ინტელიგენციის ძალთა უაღრესი დაჭიმვა. სოლომონ დოდაშვილი და სხვა ინტელიგენტები ხალხის აზრის ასალელვებლად ამზადებენ პროკლამაციას და ერთგვარ წინასწარ მუშაობას აწარმოებენ პერიოდული ორგანოს სალიტერატურო ნაწილი „ტფილისის უწყებათანი“-ს გამოსაცემად, რომლის გამოცემა უურნალის სახით დაიწყო 1832 წლიდან და სულ ხუთ წიგნათ გამოვიდა.

რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ქართველი ახალგაზრდობა – უდაოთ გამსჭვალული იყო იმ ლიბერალური იდეების გავლენით, რომელიც ამ დროს რუსეთში საკმაოდ იყო გავრცელებული. ამიტომაც შეუძლებელია ამ გარემოებას 1832 წლის შეთქმულებაზე ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა. მაგრამ, ჩვენი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარება ნათელყოფდა, რომ ამ გავლენას თავისებური სახე უნდა მიეღო ჩვენში, ლიბერალურ იდეათა თავისებური გარდატეხა უნდა მომხდარიყო საქართველოს ნიადაგზე. ამის დასადასტურებელი ფაქტები მრავლად მოიპოვება. ამ პერიოდის ქართველი ახალგაზრდობა რომ იცნობდა ევროპის ცხოვრების მაშინდელ პირობებს, ამას ადასტურებს თვით „ტფილისის უწყებანის“ დიდი ინტერესი ევროპის და

პოლონეთის ამბებისადმი. შეთქმულები თვალყურს ადევნებ-დნენ პოლონეთის აჯანყებასაც და საფრანგეთის რევოლუცი-ასაც. საამისო ცნობები ამ პერიოდის ქართულ გაზეთშიაც მოიპოვება. „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატე-ბაში, მე-2 ნომერში მოყვანილია მეაბოხე ხელოსანთა გასა-მართლების ამბავი. ფაქტია, ის გარემობა, რომ ვრ. ორბე-ლიანმა ამ პერიოდში სთარგმნა დეკაბრისტ რილევის არა-ლეგალური ლექსი „ნალივაიკას ალსარება“, რომელიც ხელნა-ნერის სახით ვრცელდებოდა ქართველ მკითხველთა შორის და ისიც ცნობილია, რომ საქართველოში გადმოსახლებული იყო მთელი რიგი დეკაბრისტებისა და რომ ეს ხალხი აქ სრუ-ლიად უმოქმედოთ არ იყო და რაღაცას ფუსფუსობდნენ, კავ-შირი ჰქონდათ ქართველ ახალგაზრდობის მოწინავე წრებ-თან – თუნდაც იქიდანაც სჩანს, რომ 1831 წელს, სრულიად მოულოდნელად, ტფილისში მყოფი ყველა დეკაბრისტები სას-წრაფოდ გადასახლეს სხვადასხვა ადგილებში.<sup>20</sup>

დასასრულ, თვით რუსეთში დეკაბრისტულ მოძრაობაში ხომ იღებდნენ მონაწილეობას ზოგიერთი ქართველიც, რო-მელთაგან ზოგი შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

რასაკვირველია, ჩვენი ინტელიგენციის ეს ახალი თაობა ვერ მივიდოდა და არც მისულა დასავლეთ ევროპის რადიკა-ლობამდე და რესპუბლიკანელობამდე. კიდევ მეტიც, 1832 წლის შეთქმულები დეკაბრისტთა მემარჯვენე-მემამულური ფრთის ხელმძღვანელის, ნიკიტა მურავიოვის პროგრამის სი-მაღლემდეც კი ვერ მივიდნენ, ხოლო სამხრეთის საზოგადოე-ბის რადიკალური პროგრამა ხომ ყრუ გამოძახილსაც ვერ პო-ულობდა ქართველ შეთქმულებში.

ჩვენმა შეთქმულებმა დეკაბრისტებიდან უფრო ბრძოლის მეთოდები გადმოიღეს, ხოლო დეკაბრისტთა იდეები, მათი პროგრამები, რომლებსაც უდაოდ იცნობდა ქართველ შეთ-ქმულთა ინტელიგენტური ნაწილი, მაინც ქართველ შეთქმულ-

<sup>20</sup> Гангеблов, Воспоминания декабриста. 1888 г.

თათვის მიუღებელი დარჩა იმ სახით, როგორც ეს პროგრამები რუსეთში იყო წარმოდგენილი. უდაოა, რომ შეთქმულთა მიერ განზრახული სახელმწიფო წესწყობილება, თუკი გაიმარჯვებდნენ – ერთგვარი ასლი იყო – ადგილობრივ თავადაზნაურობის ინტერესებთან შეფარდებული – მემარჯვენე დეკაბრისტების პოლიტიკური პროგრამისა. სამწუხაროდ, ქართველ შეთქმულთა პოლიტიკური იდეალები მხოლოდ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებიდან მჟღავნდება, სხვა დოკუმენტები არაფერი მოგევპოვება; ამიტომაც ძნელია მრავალი და ღრმა პარალელის გავლება ქართველ შეთქმულებსა და დეკაბრისტებს შორის, მაგარამ ეს მცირეოდენი ცნობებიც ნათელყოფენ დეკაბრისტების გარკვეულ იდეურ გავლენას.

შეთქმულთა ჩვენებებიდან ნათლად სჩანს, რომ გიორგი ერისთავს ელიზბარ ერისთავის კარნახით შეუდგენია საქართველოს მთავრობის მოწყობის პროექტი, რომლის მიხედვითაც ორი სამთავრობო [სამმართველო] ადგილი იყო: ქვედა და ზედა. ზედაში იყვნენ მეფე და მინისტრები, ხოლო ქვედაში მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდა განეხილათ. ამავე საქმეებიდან სჩანს, რომ შეთქმულების სულის ჩამდგმელს ოქროპირ ბატონიშვილს საქართველოში ყოფნის დროს დოდაშვილისათვის უთქვამს, რომ ჩემი სურვილია საქართველოს განთავისუფლება არა ბაგრატიონთა მეფობის აღსადგენად, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარი სახელმწიფოო.

შეუძლებელი იყო შეთქმულებაში ჩაბმულ ინტელიგენციას თავის იდეების გასავრცელებლად, პატრიოტული გრძნობების ასაღელვებლად მანც არ გამოეყენებია ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, მაგრამ ეს ხომ „ქართული გაზეთის“ მსგავსი ოფიციალური ორგანო იყო. ამ გაზეთს ხომ სასტიკ საცემზურო პირობებში უხდებოდა არსებობა და ცხადია, აქ შეუძლებელი იყო ასეთი იდეის განხორციელება. საჭირო იყო სხვა გზა და აკი ასეთი გზაც გამონახეს.

ს. დოდაშვილი და სხვა ინტელიგენტები ხალხის აზრის ასაღელვებლად წინასწარ მუშაობას აწარმოებენ პერიოდული ორგანოს „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ გამოსაცემად. უდაოა, რომ ლიტერატურულს ორგანოში ფიქ-რობდნენ დოდაშვილი და სხვები თავისი იდეების თუ პირდა-პირ ვერა, გადაკრულს, ორაზროვანს ფორმებში მაინც მინო-დებას მკითხველისათვის, ხალხის გრძნობების აღელვებას, შეთქმულებისათვის შემზადებას.

ეს ორგანო თავისი შინაარსით, წერილების ხასიათით, ერ-თგვარი მოწოდება იყო მოქმედებისაკენ. ორაზროვანი წერი-ლებით, სიტყვაგადაკრული თქმით, ქართველთა ნარსული „გმირობის“ ერთგვარი იდეალიზაციით, უურნალი ცდილობდა, ფეოდალური არისტოკრატიის დარაზმვას ცარიზმის წინაალ-მდეგ. უურნალი შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს:

1. მოთხრობები: თარგმანები „უინევრა“ და „ელენე“.
2. ლექსები: პ-სის „მთოვარე“; გ. ერისთავის „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემო-სევისასა საქართველოს საზღვართა შინა“. „ოსური მოთხრობა“ და მა-სი – „თოვლი“,
3. ლიტერატურის ისტორია: ამ განყოფილებაში ყურად-ღებას იქცევს ს. დოდაშვილის ნარკვევი „მოკლე გან-ხილვა საქართველოს ლიტერატურისა ანუ სიტყვიერე-ბისა“.
4. კრიტიკა: აქაც საყურადღებოა ს. დოდაშვილის წერი-ლი გორდევის<sup>21</sup> მოთავსებულ წერილის „საქართვე-ლოს მეფეთა დამარხვის წესი“ წინააღმდეგ.
5. ისტორია: საყურადღებოა ნარკვევი „მეფობა ირაკლი მეორისა“, ს. დოდაშვილისა.
- 6, 7, 8, – განცხადებანი, აღმოსავლეთის ლიტერატურა, ანეგდოტები და სხვა.

<sup>21</sup> «Тифлисские Ведомости».

უურნალის მე-5 ნომერში, სხვათა შორის სოლ. დოდაშვილი ჩიგის ხელის მომწერთა სიმცირის შესახებ და ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ ამ გარემოებას მიაწერს უურნალის არსებობის შეწყვეტას მე-5 ნომრის შემდეგ. უდაოა, საკმაო ხელის მომწერთა უყოდლობა და მატერიალური სივიწროვე დაბრკოლებას უქმნიდა უურნალს, მაგრამ მაინც უურნალის დახურვის ერთადერთ მიზეზათ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს. უურნალის დახურვის პირველი და მთავარი მიზეზი, ჩვენის აზრით, მაშინდელი საცენზურო პირობები იყო, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

უურნალში მოთავსებული სტატიები, მოთხრობები, ნარკვევები თუ ლექსები, ერთის შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს უურნალს სავსებით და მთლიანად განუზრახავს ცარიზმის სამსახური, თითქოს ქართველს ინტელიგენციას ამოცანად დაუსახავს მეფის ხელისუფლებისადმი ხოტბის შესხმა, მისადმი დამონიტრა. მაგრამ საკმარისია ოდნავად ჩაკვირვება, რომ თვითეულს ლექსში, თვითეულს სტატიაში, ან ნარკვევში ამოიკითხოთ ქართველ შეთქმულთა ზრახვები. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ უურნალის თანამშრომელი და მათ შორის, ყველაზე მეტად დოდაშვილი, ცენზურის თვალის ასახვევად ხოტბას ასხავდნენ მეფის ხელისუფლების პოლიტიკას, რათა სტრიქონებს შორის ექადაგნათ ამავე ხელისუფლების დამხობის საჭიროება და ამ იდეის ირგვლივ დაერაზმათ ქართველი თავადაზნაურობა. ამის სინამდვილეს ჩვენ დავინახავთ რამოდენიმე სტატიის განხილვითაც.

უურნალის მე-2 ნომერში დაიბეჭდა ორი წერილი, რომლებიც უთოოდ სოლომონ დოდაშვილს უნდა ეკუთვნოდეს. ეს წერილებია „პეტერბურგიდან ტფილისში ძმას“ და „ტფილისიდან პეტერბურგში ძმისადმი“.

უკანასკნელ წერილში ხოტბა აქვს შესხმული ცარიზმის პოლიტიკას, პეტერბურგი დასახულია ქართველი ახალგაზრდობის განათლების ერთადერთ წყაროთ იმპერატორი, საქართველოს განმანათლებლად, გამამდიდრებლად, და სხვა, მაგრამ წერილი სავსეა ორაზროვანი ადგილებით; მაგ., ერთ ადგილას ვკითხულობთ: „უმეტეს ანინდელსა შემთხვეულებასა შინა გული ყოვლისა კაცისა განიხსნა და სახესა ზედა მათსა გამოიხატა მიუწდომელი სიხარული და შვება. ბედნიერება ესე ჩვენი ჯერეთ არ ძალმის სახელდობრ გამოგიცხადო და არცა საჭირო არს, ამისთვის რომელ მანდამ მივიღეთ, მაშასადამე შენ იცი“. მრავალი ადგილებია ამ წერილში ფეოდალურ-პატრიოტული გრძნობების გასაღვიძებლად. უურნალის პირველსა და მეორე ნომერში დაიბეჭდა ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა“, სადაც ავტორი აზვიადებს ქართული ენის სიმდიდრის ფაქტებს, აღნუს-ხავს ლიტერატურის თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლებს და ამ საფუძველზე ცდილობს მკითხველთა შორის პატრიოტული გრძნობების გაღვივებას.

უურნალი უფრო შორსაც მიდის – ცდილობს მკითხველის დაპყრობას, ქართველი თავადაზნაურული ახალგაზრდობის აღელვებას და სადაც კი ახერხებს, ბრძოლისაკენ მოუწოდებს მათ. გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“ ამ იდეის საუკეთესო ნიმუშია. ეს პოემა აშკარა სააგიტაციო მიზნით არის დაწერილი და ამ მეტად სასტიკ საცენზურო პირობებში იმდენად ღრმად შეტოპა, რომ იარაღისკენაც კი მოუწოდა ქართველ არისტოკრატიას. ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„ნუ ჰეგონებ მეფევ შეუშინდეთ შენთა სიტყვათა  
სიყრმით ჩვენითგან სიყვარული გვაქვს მამულისა,  
და გარდავსწყვიტეთ მშობელთათვის დაღვრა სისხლისა,  
ვით მოითმენდა გული ჩვენი ერთსა საქმესა“ და სხვა.

პოემა დამთავრებული არ არის, თუმცა რედაქცია აცხა-  
დებს, რომ გაგრძელება შემდეგ ნომერში მოთავსდებაო, მაგ-  
რამ შემდეგ ნომერში აღარ დაბეჭდილა. აღსანიშნავია, რომ  
დაბეჭდილშიაც ადგილები ამოღებულია ცენზორის მიერ. პო-  
ემის დაბეჭდილი ნაწილი ასე თავდება:

„მშვიდობით ივერთ მაშვენებელნო,  
მამულისათვის თავშემწირველნო,  
.....  
..... (ამოღებულია ცენზურის მიერ)  
თუ მიებაძათ ჩვენთა ივერთა!  
ვით ვერ განცყრიდა თვისგან თათართა!  
ან ვიწყებ ამბავს თუმც სამწუხაროს  
განცვიფრდე, შეკრთე, გესაოცაროს“.

ასეთივე პატრიოტულ-მოწოდებითი ხასიათისა გ. ერისთა-  
ვის მეორე ლექსი „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათ-  
ვის“, დოდაშვილის ნარკვევები და სხვა წერილები, რომლებიც  
მოთავსებულია უურნალის ხუთსავე ნომერში.

უნდა ვიფიქროთ, რომ შეთქმულნი და მათ შორის მოწინა-  
ვე ინტელიგენტური ნაწილი უფრო მეტად გამოამჟღავნებ-  
დნენ ახალთაობის განწყობილებებსა და მისწრაფებებს, მაგ-  
რამ ამ დროს ერთი, რომ ნიკოლოზ პირველის საცენზურო  
კანონი მოქმედებდა და მეორეც, თვით შეთქმულთა ორგანი-  
ზაციული წყობა უაღრესად კონსფირატიული იყო. ის ხომ მე-  
ტად წააგავდა დეკაბრისტების ორგანიზაციულ წყობას. დე-  
ბულების ძალით, შეთქმულთ ერთი მეორე არ უნდა სცნობო-  
დათ, ყოველი ახალი წევრის მიღება ისე უნდა მომხდარიყო,  
რომ მესამე პირს არ სცოდნოდა ახალი წევრის ვინაობა.

ალბათ ეს გარემოება იყო იმის მიზეზიც, რომ ელიზბარ  
ერისთავმა – შეთქმულების ამ ერთერთმა ხელმძღვანელმა, წყობმა გამოსთქვა „ოსური მოთხრობის“ უურნალში მოთავ-  
სების გამო.

დ. ყიფიანი თავის მემუარებში ამ ამბავს – შემდეგნაირად აღწერს. 1832 წლის ივნისში ელიზბარ ერისთავის ბინაზე შეკრებილან შეთქმულთა ხელმძღვანელები, სადაც ელიზბარს უსაყვედურნია როგორც გ. ერისთავისათვის,<sup>22</sup> აგრეთვე ს. დოდაშვილისათვის ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმის გამო. უეჭველია, ელიზ. ერისთავს ეშინოდა შეთქმულთა საიდუმლოების გამუღავნებისა, ელიზბარი ხომ ოქროპირ ბატონიშვილთან აღიზარდა, რომელიც უშუალო წამომწყები იყო ამ შეთქმულებისა და რომელსაც, ჩვენის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს შეთქმულთა წესდების დამუშავებაც.

ცხადია, თუ კი თვით შეთქმულთა შორის გამოიწვია იქვი ურნალის სტატიებმა თავის სიაშკარავით – ცენზურის ყურადღებასაც მიიქცევდა, მით უმეტესად, რომ ამ პერიოდში პოლონეთის აჯანყების გამო მეფის ხელისუფლება ფხიზლათ ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივ აზრს დაპყრობილ კუთხეებში. რასაკვირველია, არც მიტროპოლიაში იყო სიტყვის თავისუფლება, მავრამ განაპირა კუთხეებს მაინც განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული.

ნიკოლოზ პირველის საცენზურო კანონის შესახებ ერთ-ერთი ცენზორი – გლინკა, ამბობდა, რომ ამ დებულებით „მამაო ჩვენოს“ აკრძალვაც კი შეიძლებაო.

„ამ დებულების გაცნობა, სწერს ოვსიანიკო-კულიკოვსკი – დაგარწმუნებთ, რომ მწერალი და მყითხველი „დრაკონულ“ არტახებში იხრჩობოდენ, მათ შორის კი ამართული იყო „მესამე განყოფილების“ საფრთხობელა. შეუძლებელი იყო არამც თუ მთავრობის კრიტიკა, არამედ სულ ნაბოლარა მოხელისაც კი, რომ არ შესუსტებულიყო მთავრობის მიმართ ჯეროვანი პატივისცემა“. <sup>23</sup>

<sup>22</sup> გ. ერისთავი – „მოწოდება ივერთა მამულისა დაცვისათვის...“ ეს გ. დ. ერისთავი ამ დროს სენატორი იყო. „ოსური მოხრობა“ კი ეკუთვნის გ. ერისთავს – დრამატურგს.

<sup>23</sup> Օვ. Կულიკ. თ. I, სტ. 237.

ცნობილია, რომ 1830-48 წლებში მთავრობამ დახურა ბევრი უურნალ-გაზეთი, მაგ., «Европеен»-ი, „მოსკოვის ტელეგრაფი“ და სხვა.

ეს ის დრო იყო, როდესაც გერცენის თქმით, „თვითოეული გრძნობდა საშინელ შევიწროებას, ყველას რაღაცა აწვა გულზე და მაინც სდუმდნენ“ და სხვა.

და თუ რუსეთში ასეთი პირობები იყო, ადვილი წარმოსადგენია, როგორი პირობები იქნებოდა კოლონიებში და კერძოდ, საქართველოში, სადაც თვითოეული რუსი მოხელის უმაღლეს მოვალეობას შეადგნდა, რომ „ნამდვილი ქართველი ექციათ ნამდვილ რუსად“.

მიუხედავათ ასეთი დრაკონული პირობებისა, შეთქმულთა ინტელიგენტურმა ნაწილმა მაინც მოახერხა ზოგიერთი პატ-რიოტული და ბრძოლისაკენ მომწოდებელი მოთხრობების, ლექსებისა და სტატიების დაბეჭდვა.

მაგრამ აქავე უნდა აღინიშნოს, რომ „ტფილისის უწყებანში“ საკმაოდ გამომჟღავნდა შეთქმულთა ინტელიგენტური წინააღმდეგობაც, ორსულოვნება და თითქმის უპრინციპობაც. მაგ., სოლ. დოდაშვილის და სხვ. წერილებში თუ, ერთის მხრივ, გატარებულია პატრიოტული აზრები, მეორეს მხრივ, ხაზგასმულია რუსეთის ტახტისადმი ერთგულების გრძნობა<sup>24</sup>.

და განა მარტო ეს? შეთქმული ცეცხლითა და მახვილით აპირებდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის განდევნას საქართველოდან, ხოლო ამავე დროს, რუსეთის ხელისუფლებას ეხმარებოდნენ მთიულთა დაპყრობაში. შეთქმულთა საქმეებში, უურნალ „ტფილისის უწყებანი“-ში არსად არ სჩანს შეთქმულთა დაინტერესება გლეხობის საკითხით. მათი იდეალი ერთად ერთი საზრუნავი საგანია – თავადაზნაურობა – მაღალი წოდება, მაგრამ აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ შეთქმულთა

<sup>24</sup> თუმცა ეს ნამდვილი აზრების დასაფარავად ხდებოდა ხშირად, მაგრამ უნდა იქავე აღინიშნოს, რომ წერილ ქართულ აზნაურულ ინტელიგენციას საერთოდ და განსაკუთრებით ამ პერიოდში ორქოფობა ახასიათებდა.

მთელს მასას ერთნაირად როდი ესმოდა საქართველოს მომავალი – ეს იყო მეტად სადაც საკითხი, რომელიც შეთქმულთა შეიგნით გარკვეულს მიმდინარეობა-დაჯგუფებებს იწვევდა. მაგრამ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდებით.

შეთქმულების გაცემისა და მონაწილეთა დაპატიმრების შემდეგ სურათი იცვლება, გუშინდელი გმირები თავს იკატუნებენ ხელისუფლების წინაშე, გულწრფელად აღიარებენ დანაშაულს, პატივისა და ხელმწიფის მოწყალებას თხოულობენ.

შეთქმულთა ორგანიზაციის აღმოჩენამ და საქმიანობამ ნათელყო რუსეთის საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრება საქართველოში და ცხადყო, რომ პოლიტიკური ხასიათის აჯანყების მოსანყობად საქართველოში – ამ პერიოდში – აღარ არსებობდა მტკიცე საფუძველი. თავადაზნაურობა – ეკონომიურად დაცემის გზას ადგა და მონიშებით მოწყალებისათვის თვითმშეყრობლის ტახტისაკენ იყურებოდა; გლეხობა გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდა თვით თავადაზნაურთა წინააღმდეგ ბატონიშვილი ექსპლოატაციის საფუძველზე და ცხადია, პოლიტიკურ ბრძოლაში მათ არ გაჰყვებოდა.

ასეთ შემთხვევაში შეთქმულთა წრე რამოდენიმე თავდადებული ახალგაზრდით ითარგლებოდა და ცხადია, მას რაიმე ნაყოფის მოტანა არ შეეძლო.

ეს გარემოება ყველაზე უკეთ იგრძნეს თვით შეთქმულება და მონანიშებისა და მოწყალების თხოვნის გზას დაადგნენ. შეთქმულების შემდეგ – მალე მოიხადეს მცირეოდენი სასჯელი და გაფაციცებით დაეწაფნენ თვითმშეყრობელობის სამსახურს. „ტახტისადმი ერთგულება“ მაღალი წოდების ერთადერთ ლოზუნგად იქცა, თუმცა ამ ლოზუნგს უმატებდნენ „სამშობლოსადმი სიყვარულსაც“, მაგრამ ლოზუნგის ეს ნაწილი რეალურ განხორციელებას ვერ პპოვებდა, რადგან შეუთავსებელი იყო ტახტისადმი ერთგულებასთან და რადგან თავადაზნაურთა აბსოლუტური უმრავლესობა სამშობლოსადმი სიყვარულს მხოლოდ და მხოლოდ თავის წოდებრივ ინტე-

რესეპს უმორჩილებდა, სამშობლო მისთვის თავისი წოდება იყო, გლეხობის უმრავლესობაზე ის არ ფიქრობდა, პირიქით, თვითმპყრობელობის დახმარებით კიდევ უფრო აძლიერებდა ბატონყმურ ექსპლოატაციას ახალ მოთხოვნილებათა დასაკ-მაყოფილებლად.

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე რამოდენიმე თვით ადრე დაიხურა ქართული უურნალიც. აღსანიშნავია, რომ დოდაშვილს ერთერთ ბრალდებათ უურნალის საშუალებით „მავნე“ აზრების გავრცელებაც წამოუყენეს რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ „ტფილისის უწყებანის ლიტერატურული დამატება“ დაიხურა ცენზორის მიერ და არა უსახსრობის გამო. ამ ქართული პირველი უურნალის დახურვის შემდეგ თითქმის 1845 წლამდე ქართული უურნალი თუ გაზეთი აღარ გამოსულა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

20/VI/1935 წ.

ლ. ციხისთავი

დაბეჭდილია უურნალ

„საბჭოთა ხელოვნება“-ში

№3, 1935 წ.

On the 11th September, Polistes ageratus was  
nesting near the old marshy ground at the mouth of the  
first stream that flows out of the bog-meadow 1892-  
as far as the old marshy ground where the marshy  
bottom disappears, and passes into the grassy  
marshy ground leading to the old marshy ground  
where the stream flows out of the bog-meadow 1892-  
and where the water is shallow and the bottom is  
mostly mud and sand. It has  
a large nest situated on a low, sandy bank  
between two streams.

20/5/255. (3pmish)

পৰিপ্ৰেক্ষ-ৱ্যক্তি-ব্যৱহাৰ-তাৰ

4/3 1955

სურათი №4. დაბეჭდილია უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“-ში, №3, 1935 წ.,  
ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის (1819-1845 წ.წ.), 1 ნაწილის  
დასასრული, ლუკა ციხისთავის ხელნაწერი, 1935 წ., წყარო: ლუკა ციხისთავის  
საფლახისა არქივი.



## ქართული პერიოდიკულის ისტორიისათვის

1845-1863 წლები

(ნაწილი II)

გაგრძელება. დასაწყისი იხილე  
უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“ №3, 1935 წ.  
ლუკა ციხისთავი  
1935 წ.

M. jutlandicus

Fuhaz-a Bahnangal nymhanuagnL.

II / 1845-1863.55 /.

Ղարաբաղ քաղաքութեան գլուխութեան վեցամյակ ըստ  
Խոյին. օքտոբեր= Հնդկաց Եվրոպաց Ղարա-  
բաղ քաղաքութեան զամանակաշրջանի համար 1654-  
1655 թ. առաջին առաջնական պատճեան կամ առաջ-  
նական պատճեան պատճեան առաջնական պատճեան

\*) jostkrab. polutynka obieg. wojew. Lubelskiej 05-07-1937

სურათი №5. ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის /1845-1863 წ./, ნაწილი II,  
ლუკა ციხისთავის ხელნაწერი, 1935 წ., წყარო: ლუკა ციხისთავის საოფახო  
არქივი.

ს. დოდაშვილის „ტფილისის უწყებათანის ლიტერატურული დამატების“ დახურვისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა საქართველოს საზღვრებიდან გადასახლების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში შეფერხდა კულტურული მუშაობა და პერიოდული გამოცემებიც. მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ განახლდა ქართული პერიოდული პრესის გამოცემა.

1845 წელს დაიწყო „კავკასიის მხარეთა უწყებანი“-ს პეტ-დვა პლატონ იოსელიანის რედაქტორობით. „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ იყო ყოველკვირეული გაზეთი და «Кавказский Вестник»-ის დამატებას წარმოადგენდა. ეს ორგანო ჩვენთვის ცნობილ „საქართველოს გაზეთი“-ს მაგვარ ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა და უფრო მთავრობის დადგენილება-განკარგულებათა მაუწყებელი იყო.

სოლომონ დოდაშვილის „ტფილისის უწყებათანის ლიტერატურული დამატების“ შემდეგ ნამდვილი ქართული პერიოდული გამოცემა ყოველთვიური „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი ცისკარი იყო. გამოცემა დაიწყო 1852 წელს და შეწყდა 1854 წლის დასაწყისში. სულ 24 ნომერი გამოვიდა. რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი გიორგი ერისთავი. „ცისკარი“ იბეჭდებოდა მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში. დღევანდლამდე შემონახული ერთი ოფიციალური ცნობის მიხედვით ჟურნალი 300 ცალად იბეჭდებოდა.<sup>25</sup>

ჟურნალის შინაარსის განხილვამდე საჭიროა ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ საქართველოს ცხოვრება 1832 წლის შემდეგ ჟურნალი „ცისკარი“-ს გამოსვლამდე.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს სამოქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის რამოდენიმედ ნორმა-

<sup>25</sup> სტამბის მმართველის მიმართვა გ. ერისთავს ჟურნალის დასაბეჭდათ განვითარების ხარჯების ანაზღაურების შესახებ. მიმართვაში მოხსენებულია რომელი ნომერი რამდენ ცალად დაბეჭდილა და რა თანხა დახარჯულა.

ლური პირობები იქმნება, სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთსა და რუსეთთან საგრძნობლად ფართოვდება.

საქართველოს და ა/კავკასიის მთავარმართებელი როზენი მრავალ ლონისძიებას ხმარობდა იმისათვის, რომ ბაზარი შეექმნა რუსეთის სავაჭრო კაპიტალისთვის ჩვენს ქვეყანაში. 1830 წელს ტფილისში გაიხსნა „აქციონერთა სავაჭრო კომპანიის კომერციული სახლი“, ტფილისშივე საკმაო წარმატებით მუშაობდნენ მოსკოვის მეფიაბრივეთა კომპანიები, ხოლო 1832 წელს, საბაჟო ტარიფის შემოღების შემდეგ, რუსეთის სავაჭრო კაპიტალი შავსა და კასპიის ზღვაზე მთელს საგარეო ვაჭრობას იგდებდა ხელში. როზენის პოლიტიკამ, უდაოდ დიდი ნაყოფი გამოიღო, ა/კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთსა და რუსეთთან საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1822 წელს ა/კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან უდრიდა 1.289.108 მანეთს, 1836 წლისათვის ბრუნვა გაიზარდა 4.252.954 მან.<sup>26</sup>

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წარმატების საქმეში ვორონცოვის ეპოქა და ის პოლიტიკა, რომელსაც ვორონცოვი ატარებდა ა/კავკასიაში. მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, როგორც ცნობილია, სწრაფად იზრდება რუსეთის საფეიქრო მრეწველობა, რაც ნედლეულობის მოთხოვნილების დიდ ზრდას იწვევს. ვორონცოვის მიზანი და სამოლვანეო პროგრამაც აქედან გამომდინარებდა. მისი ამოცანა იყო, რუსეთის ბაზრისათვის და რუსეთის კაპიტალისათვის ფართო სამოლვანეო სარბიელი გაეხსნა ა/კავკასიაში, ამავე დროს ა/კავკასია და საქართველო გადაექცია რუსეთის მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ბაზად.

ვორონცოვმა და თვითმპყრობელობამ დაიწყო ცალკე მემულეების სუბსიდირება კულტურულ მეურნეობაზე გადა-

<sup>26</sup> Н. Шавров. Обзор производительных сил Кавказского наместничества. 1880 г.

სასვლელად, იწერდნენ კულტურულ მცენარეთა თესლეულს და ზოგჯერ სპეციალისტებსაც კი. იყო შემთხვევები, როდე-საც უცხოელებს კონცესიით დაურიგეს მამულები, მაგრამ თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის ეს სურვი-ლები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის განუხორ-ციელებელი დარჩა. მიუხედავად ამისა მე-19 საუკუნის დასაწ-ყისთან შედარებით, – ამავე საუკუნის 40-იანი წლებისათვის, საქართველოში შესამჩნევ ეკონომიურ ძრებს ქონდა ადგილი.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალის აქტიურმა შემოჭრამ, ამ პერიოდში, გააცხოველა ვაჭრობა – და მით საგრძნობი გარ-დატეხები მოახდინა საქალაქო ცხოვრებაშიაც. ცვლილებებმა ეკონომიურს ვითარებაში საგრძნობლად შეარყია გაბატონე-ბული წოდების სოციალური და ეკონომიური ცხოვრება.

ვორონცოვი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის სავაჭ-რო კაპიტალის უერთგულესი წარმომადგენელი ა/კავკასიასა და საქართველოში, გარკვეული ეკონომიური პოლიტიკის გა-ტარებას შეუდგა ჩვენში. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველ თავადაზნაურობის ცხოვრებაზე.

„ყველგან, სადაც კი ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზე იმყოფება, – სწრდა ვორონცოვი სამხედრო მი-ნისტრს ჩერნიშევს, – მთავრობისათვის გაცილებით ძნელია მთელ მასებზე მოქმედება, ვიდრე ერთ წოდებაზე, უფრო გა-ნათლებულზე და, მაშასადამე უფრო მეტ გავლენის მქონეზე“.

ამრიგად, ვორონცოვმაც, ისე როგორც სხვა მთავარმარ-თებლებმა და საერთოდ თვითმპყრობელობამ, დასაყრდენ ძა-ლად თავადაზნაურობა აირჩია და მთელი თავისი პოლიტიკაც თითქოს იმგვარად წარმართა, რომ გაემართლებია რუსეთის სავაჭრო ბურუუაზის დავალება რუსეთის სავაჭრო კაპიტა-ლის გაბატონებით ა/კავკასიაში და შეესრულებია უმაღლესი დავალება თვითმპყრობელისა ქართველი მოსახლეობის ტახ-ტისადმი ერთგულებაში და მორჩილებაში ყოფნით. ამ დიდ დავალებათა განსახორციელებლად ლამობდა ქართველ თავა-

დაზნაურობის გამოყენებას; ამ ძველი ფეოდალური არისტოკრატიის მსახურეულ არისტოკრატიად გადაქცევას, რასაკვირველია, მისთვის სათანადო და ღირსეული კომპენსაციის მიცემით.

იმ მიზნით, რომ რუსული საქონლისათვის ბაზრები გაეფართოვებინა, ვორონცოვმა ტფილისში ბანკიც<sup>27</sup> კი დააარსა, საიდანაც უხვად აძლევდა სესხს ქართველ თავადობას. გაბედულად ანინაურებდა ქართველ თავადებს მაღალ სამსახურებრივ თანამდებობებზე, ყოველგვარ ზომებს ღებულობდა, რომ ქართველ თავადობას შეეთვისებინა რუსული ცივილიზაცია. ვორონცოვის ასეთმა პოლიტიკამ თავადაზნაურობის მიმართ მოსალოდნელი შედეგები გამოიძღვია. ცივილიზაცია ქართველმა მაღალმა წოდებამ გარეგნულად შეითვისა, ხოლო ბანკიდან გატანილი ფულები ქეიფსა და ლოთობაში გაფლანგა, უფრო მეტიც, მაღაგაღვიძებულმა ფუფუნებითი ცხოვრებით გაათკეცა ყმა-გლეხობის ექსპლოატაცია, ხელი მიჰყო მამულების დაგირავება-გაყიდვას.

ვორონცოვის ამოცანა იყო, ბანკიდან გატანილი ფულებით რაციონალურად მოწყობილიყო მემამულეთა მეურნეობა, რათა რუსეთის მრეწველობისათვის ბლომად შექმნილიყო ნედლეული, მაგრამ ეს ფულები თავადაზნაურთა განცხრომით ცხოვრებას ხმარდებოდა. ამგვარად, ვორონცოვის პოლიტიკამ იმგვარად იმოქმედა ქართველ თავადაზნაურობაზე, რომ ხელიდან გამოაცალა მამული და თვითმმართველობელობის ხელში შემყურე მოხელედ აქცია.

ქართველი მოსახლეობის ერთგულ ქვეშევრდომებათ გადაქცევის მიზნით, ვორონცოვი სხვა მიმართულებითაც იბრძოდა, დააარსა სასწავლებლები, თეატრი, არ ეწინააღმდეგებოდა ქართული ენის სწავლებას სკოლებში და საქმე იქამდესაც კი მივიდა, რომ ქართული სალიტერატურო უურნალის დაარსების ნებაც კი მისცა ქართველ საზოგადოებას; არამც

<sup>27</sup> Приказ общественного презрения.

თუ ნება, არამედ გარკვეული მატერიალური დახმარებაც კი აღმოჩენა. ცხადია, ვორონცოვის ასეთი ნაბიჯები გამოწვეული არ იყო „ქართული კულტურის აღორძინების სურვილებით და თითქოს მოვალეობის მოხდით, რომელიც ვალად აწვა თვითმპურობელობას“ – როგორც ამას ფიქრობდნენ არჩილ ჯორჯაძე და მრავალი სხვა მოაზროვნენი.<sup>28</sup> ვორონცოვის პოლიტიკის ზურგსუკან თვითმპურობელობა და რუსეთის სავაჭრო კაპიტალი იდგა.<sup>29</sup> ვორონცოვი ცდილობდა, ქართული ენის შესწავლით გამოეწვია ქართველ ახალგაზრდობაში რუსული ენისადმი სიყვარული და სურვილი მისი უფრო საფუძვლიანი შესწავლისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით უფრო გაადვილდებოდა რუსეთის თვითმპურობელობისადმი სიყვარულისა და პატივისცემის განმტკიცება ქართველ ახალგაზრდობაში და, რაც მთავარია, ნამდვილი მოხელეების გამოზრდა. ასეთი იყო ვორონცოვის პოლიტიკის საერთო სახე.

ამ გვარად, 1830-50 წლების პერიოდში საქართველოში ვაჭრობამ და აღებ-მიცემობამ საგრძნობლად წარსდგა წინ ფეხი. ნატურალური მეურნეობის რღვევამ ფულადი ურთიერთობის განვითარების საფუძველზე ბატონყმური მეურნეობა განადგურების გზაზე დააყენა. ხოლო 50-იანი წლებიდან საქართველოში უკვე იწყება ნელი პროცესი სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა და საფაპრიკო ცხოვრების გამოცოცხლება. თავადაზნაურთა წოდება თვითმპურობელობის მსახურად აქცია. 1832 წლის შეთქმულებისა და ეკონომიკურს ცხოვრებაში მომხდარი ძვრების შემდეგ, თავადაზნაურულმა წოდებამ ქედი მოიხარა თვითმპურობელის წინაშე. მე-60 წლებამდე ძველი თაობის ქართველ თავადაზნაურობის მოზრდილმა ნაწილმა, შეიძლება ითქვას, ერთ რეაქციონურ ოჯახში მოიკალათა და მისი მასულდეგმულებელი რეაქციონუ-

<sup>28</sup> ა. ჯორჯაძე. წიგნი V. გვ. 8-9.

<sup>29</sup> პროფ. ს. ხუნდაძე „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში“.

რი წოდებრივი ინტერესები გახდა, რისთვისაც მის საზრუნავ საგანს საქართველოში თვითმპყრობელური ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენდა.

გლეხობა ამ პერიოდში, ჯერ ისევ უუფლებო და ცხოვრებიდან გარიყულ ფენას წარმოადგენს. მართალია, იქა-აქ ჩნდება სოფლის წვრილი მესაკუთრეც, მოქალაქეთა წოდების ჩანასახიც, მაგრამ მოსახლეობის ეს ფენები ჯერ კიდევ ვერავითარ როლს ვერ თამაშობდა საზოგადოებრივს ცხოვრების კულტურულ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვასა და განვითარებას უნდა გამოეწვია ძველი წყობილების რღვევა და მის საფუძველზე აღმოცენებული სოციალური ურთიერთობის შერყევა. მართლაც რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით განვითარებულმა ახალმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა 50-60-იან წლებში საგრძნობი გახდა ჩვენში ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური წყობილების რღვევის პროცესი. გამწვავდა სოციალური ურთიერთობა, რაც მემამულეთა და გლეხთა შორის გამწვავებულს ბრძოლაში გამოიხატა.

ცნობილია, რომ 1857-1862 წლების განმავლობაში გამწვავებული ბრძოლები სწარმოებდა მემამულეთა და გლეხთა შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ბატონყმური ურთიერთობა და ძველი სოციალური დამოკიდებულება აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების შემდგომ განვითარებას. ამ გარემოებას აღღო აუღო 50-იან წლების მეორე ნახევრიდან მაინც ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა. ინტელიგენციის ამ ნაწილმა კარგათ იგრძნო, რომ საქართველოში ახალი ეპოქა დაიწყო, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ეპოქის გამოხმაურება ქართველს – ახალი თაობის ინტელიგენციას – მეტად რთულს პოლიტიკურს სიტუაციაში მოუხდა.

აი როგორ პირობებში დაიწყო სალიტერატურო უურნალ „ციხისკრის“ გამოსვლა.

„ცისკარი“-ს პირველი ნომერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ 1852 წლის იანვარში გამოვიდა. გ. ერისთავის „ცისკარში“ თანამშრომლობდნენ იმ თაობის წარმადგენელნი, რომელთაც 1832 წლის შეთქმულების შემდეგ დაჰყარეს ფარხმალი და თვითმპურობელი ტახტისადმი ურყევი ერთგულება აღიარეს. ესენი იყვნენ: გრ. ორბელიანი, ალ. ახვერდოვი, დ. ბაგრატიონი, სარდიონ ალექსეევი, ს. მაჩაბელი, გრ. რჩეულიშვილი, ალ. სავანელი და სხვები.

გ. ერისთავის „ცისკარი“ სამი განყოფილებიდან შესდგებოდა: „ლექსთ თხზულება“, „პროზა“ და „სწავლა და ხელოვნება“. პირველი განყოფილება გარკვეულად უკეთესია დანარჩენებზე. აქ იბეჭდებოდა 6. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, გ. ერისთავისა და სხვათა ნაწარმოებები. პროზათ უმთავრესად ნათარგმნი მოთხოვდები იბეჭდებოდა,<sup>30</sup> სწავლა და ხელოვნებაში დაბეჭდილია საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში. აქვე იბეჭდებოდა „სოფლური სახლის პატრონობის“ შესახებ – უმთავრესად საკულინარო ცნობებს ათავსებდნენ.

„ცისკრის“ დაარსება უდაოთ დიდი მოვლენა იყო საქართველოს საზოგადოებრივს ცხოვრებაში, მაგრამ ეს მოვლენა ღირსეულად ვერ გამოიყენა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა. ანკი ვის უნდა გამოეყენებია „ცისკარი“ საზოგადოებრივი აზრის გამოსაცოცხლებლად, როდესაც ქართველი თავადაზნაურობის<sup>31</sup> ერთადერთ საზრუნავს ჩინებისა და ორდენების მიღება, სამსახურმი დაწინაურება შეადგენდა. 1832 წლის მებრძოლი თაობა თვითმპურობელობის კალთას ამოფარებოდა და რეაქციონურ მისწრაფებათა იქით მისთვის არაფერი არსებობდა. ამ თაობისათვის უცხო და მიუღებელი იყო ამ პერიოდში წარმოებული მოძრაობა რუსეთში. თავა-

<sup>30</sup> მოლანურ, ამალათ შეგ და სხვ.

<sup>31</sup> ამ პერიოდში კი თავადაზნაურობა შეადგენდა ქართულ საზოგადოების მოწინავე ნაწილს.

დაზნაურული ინტელიგენციის მცირეოდენი ნაწილი კი, რომელსაც რამდენიმედ ქონდა შეგნებული ეპოქა, სდუმდა.

უურნალი ყოველდღიური ცხოვრების მიღმა იდგა. მას მხოლოდ თავადაზნაურული ინტერესები ასულდგმულებდა, მოკლებული იყო ცოცხალ სულს, საზოგადოებრივი აზრი მასში არ ისახებოდა. მეტად მძიმე, არქაული ენა უურნალს მაღალი წოდების ვიწრო წრისათვის ხდიდა ხელმისაწვდომის. ცოცხალი, ყოველდღიურობის ამსახველი წერილების უქონლობა უურნალს არსებობის მძიმე პირობებს უქმნიდა და აკი მეორე წლის თავზე დაიხურა კიდეც.

მიუხედავათ ამისა გ. ერისთავის „ცისკარმა“ ერთგვარი გამაღვიძებელი როლი მაინც ითამაშა საქართველოს საზოგადოებრივს ცხოვრებაში. მივიწყებული, ანდა სასხვათაშორისოდ ქცეული ქართული მწერლობა დღის სინათლეზე გამოიტანა, სურვილი აღუძრა საზოგადოებას სამწერლო-კულტურული მოღვაწეობისათვის.

„ცისკარი“-ს გამოცემა 1857 წელს განახლდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით. კერესელიძის „ცისკარი“ 1875 წლამდე უწყვეტლივ გამოდიოდა. როგორც ქვევით დავინახავთ, კერესელიძემ რამოდენიმედ შესძლო უურნალის გაუმჯობესება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაბატონებული წოდების ზედა ფენები გარკვეულად ბატონობდნენ უურნალში და მიმართულებასაც აძლევდნენ მას. კერესელიძის „ცისკარი“ თავის დროის ცხოვრებასაც დაუკავშირდა, ყოველ შემთხვევაში სცადა ასეთი კავშირის დაჭერა. ამ პერიოდის „ცისკრის“ თანამშრომლები იყვნენ: ალ. და ვახ. ორბელიანები, მიხეილ თუმანიშვილი /მოლაყბე/, ლავ. არდაზიანი, ბერძენოვი, დიმიტრი ყიფიანი /ბაქარ ქართლელი/, დიმ. ბაქრაძე, ბოლო ხანებში აკ. წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი.

რომ ნათელი გახდეს „ცისკრის“ მიმართულება, გავყვეთ კვალ და კვალ „ცისკრისათვის“ დამახასიათებელი მომენტების გარკვევას.

ამ თავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცისკარი“ კონსერვა-ტიული თავადაზნაურობის ორგანო იყო და საზოგადოების ამ გაბატონებული ნაწილის დაკვეთას პირნათლად ასრულებდა. არამც თუ არსებული სოციალური ურთიერთობის საწინააღმდეგო რაიმე მასალას, არამედ ყოველდღიური ცხოვრების ზოგიერთ ნაკლოვანებათა კრიტიკასაც კი სიახლოეს არ იკარებდა, მაგრამ კერძესელიძის „ცისკრის“ პერიოდი ხომ ბატონ-ყმობის საწინააღმდეგო ბრძოლით ხასიათდება მთელს რუსეთში. სწორედ ამ პერიოდში იწყებს რუსეთის რაზნოჩინცული ინტელიგენცია გააფთრებულ ბრძოლას თვითმპურობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ პერიოდს უკავშირდება გლეხთა მასობრივი აჯანყებანი მებატონეთა წინააღმდეგ მთელს რუსეთის იმპერიაში და საქართველოშიაც. ახალი თაობა თავდავიწყებით ებმევა განმათავისუფლებელს მოძრაობაში და განა შესაძლებელი იყო „ცისკარი“ ასცილებოდა ამ საკითხებს? ფაქტია, რომ „ცისკარი“ ყველა ხვრელებს ქოლავდა, რათა ახალ იდეათა სიო არ შეპარვოდა ჟურნალში, მაგრამ მაინც ვერ ასცდა ამას. მეტად თავისებურია პირველ ხანებში გლეხთა საკითხზე საუბრის ჩამოგდება „ცისკრის“ თანამშრომლის მოლაყბის მიერ, ის თვითმპურობელი მეფის სურვილებს უკავშირებს ამ საკითხს, მაგრამ თავადაზნაურთა რისხვას მაინც ვერ ასცდა და „ცისკრის“ თანამშრომლობიდან გაიდევნა. ბატონყმობის საკითხის მკვეთრად დაყენებას ვერ ასცდა „ცისკარი“, მაგრამ ეს არ იყო „ცისკარის“ სურვილი, პირიქით, სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. საერთოდ ვერავითარ კრიტიკას ვერ ეგუებოდა „ცისკარი“. განვიხილოთ მასალები.

გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა ბერძენოვის წერილი. ავტორი მეტად დამშვიდებულის კილოთი ეხებოდა „ცისკრის“ ზოგიერთ საკითხებს, მიუხედავათ ამისა რედაქციამ იუკადრისა მითითება-კრიტიკა და „ცისკრის“ თანამშრომლის სავანელის პირით წერილი „მკითხველთადმი“-ში პასუხი გასცა ბერძე-

ნოვს. ამ წერილში მეტად დამახასიათებელია ერთი მომენტი. სავანელი სწერს: „მამულისა სიყვარული, ესე ბუნებითი ნიჭი ყოველ კაცს შორის და ზემოხსენებული წინადაღებანი, ვალ-დებულ გვყოფენ ჩვენს ყოველთა მივიღოთ გულადი მონაწილეობა ამ სასარგებლო შრომაში და ვცადოთ განგრძობისათვის ამ უურნალისა, და არა ვუგდოთ ყური რომელიმე კრიტიკოსთა, ამაოთ კალმით აღჭურვილთა, განსახილველად ჩვენის ახალ დადგენილ უურნალისა, რომელიც, ვიტყვი, არ უნდა იყოს ჯერედ საგნად კრიტიკისა და უმეტესად კრიტიკისა არამართებულისა“.<sup>32</sup>

რედაქცია ამ შემთხვევაში თითქოს მართალი იყო. სამართლიანი იყო მისი შიში კრიტიკისადმი, რადგან ახალად დაარსებული უურნალი ჯერ კიდევ ფეხმოუმაგრებელი იყო და მით უმეტეს უმოქმედო საზოგადოება ერტყა გარს. მრავალი მოწინააღმდეგეც ყავდა უურნალს გარუსების გზაზე მდგომ თავადაზნაურთა წრიდან. ტყუილად კი არ წერდა მოლაყბე, რომ ზოგიერთების ოჯახში „ცისკარის“ ადგილი სამზარეულოაო, კაპინეთში არ აღირსებენ მას შეტანას, რადგან ქართულს ენაზეა გამოცემულიო.

ადსანიშნავია, რომ „ცისკარი“ თანდათანობით მიეჩვია კრიტიკას, რედაქცია კერესელიძის სახით არ გაექცა ბრძოლას, მაგრამ ენის საკითხზე დაწყებულ კრიტიკას, რომელსაც კერესელიძე და სხვა თანამშრომლებიც სრული პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ, – მოჰყვა ჩვენი ცხოვრების უკულმართობის სურათის წამოყენება უურნალის წინაშე. აქ კი შეშინდა კერესელიძე, თვალებში დაუწყო ცქერა გაბატონებულ წოდებას და მათი სურვილებისა და ინტერესების დაცვა ამჯობინა.

„ცისკარი“ დიდი სამსახური გაუწია მოლაყბემ /მიხ. თუმანიშვილი/. მოლაყბე მხურვალე მონაწილეობას იღებდა უურნალში. მან შემოიღო შინაური მიმოხილვის დაგვარი სალაყბო ფურცელი, სადაც დაუნდობლად ჰყიცხავდა საზოგადოების

<sup>32</sup> „ცისკარი“, №4, 1857 წ.

ზოგიერთ უარყოფით მხარეებს. პირველ ხანებში თითქოს ყურადღებას არ აქცევდნენ სალაყბო ფურცელს, მაგრამ როდესაც მოლაყბებ გაზეთ „კავკაზიდან“ გადმოთარგმნა ალექსანდრე მეორეს მიერ წარმოთქმული სიტყვა მოსკოვის თავადაზნაურთა დარბაზში, „ბრწყინვალე“ წოდებამ ველარ მოითმინა მოლაყბის „თავხედობა“ და განდევნა „ცისკრიდან“.

მოლაყბის შესახებ: გაბრიელ სულხანიშვილი ივ. კერესელიძის მისამართით სწერდა „მრავალნი მიმბაძავნი გააჩინეს და მათ მოლაყბის სახელით დაიხუს წერა.“<sup>33</sup> შემდეგ დასძენს, რომ იმათში მგონი თქვენც (ივ. კერესელიძე) ერიენითო.

აკაკი თავის მოგონებაში აღნიშნავს „სალაყბოში რომელსაც გაბო სულხანიშვილი სწერდა ბევრია ხოლმე ლავრენტი არდაზიანის ოხუნჯობაცო“.

6. ნიკოლაძე 1872 წ. ერთ კერძო წერილში კ. ლორთქიფანიძისადმი სწერს „სალაყბო ფურცელზე მინდოდა დამეწერა რამე მაგრამ შენ მანდ არა ხარ – этого мерзавца, гаხსოვდეს რომ მოლაყბე თვითონ კერესელიძე არის“.<sup>34</sup>

ს. ხუნდაძე სწერს რომ მიხ. თუმანიშვილმა მხოლოდ სამი წერილი მოათავსა ამ ფსევდონიმით „ცისკარში“ №11-12 1857 წ. და №1 1858 წ.

გ. სულხანიშვილი 1863 წ. „საქ. მოამბეში“ საჯაროთ ამბობს, რომ მოლაყბის ფსევდონიმით „ცისკარში“ დაბეჭდილი წერილებიდან მიხ. თუმანიშვილს მხოლოდ ორი ეკუთვნის, რომლებიც დაიბეჭდა 1857 წ. დეკემბრის და 1858 წ. იანვრის ნომრებში.

მოლაყბის ფსევდონიმით სწერდნენ „ცისკარში“ მიხ. თუმანიშვილი, გ. სულხანიშვილი, ივ. კერესელიძე, ლ. არდაზიანი, მაგრამ ვის რომელი წერილი ეკუთვნის ჯერ-ჯერობით ძნელი დასადგენია.

<sup>33</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. №7, გვ. 104-106.

<sup>34</sup> გ. წერეთელი, თხზულებათა კრებული, ტ. I რედაქც. შენიშვნები გვ. 426.

თავის სიტყვაში, როგორც ცნობილია, ალექსანდრე მეორე, უკაყაფილებას გამოსთქვავდა აზნაურთა მიმართ. თავადაზნაურობა – ამბობდა იმპერატორი – თითქმის მტრულად და გულგრილად მოეკიდა გლეხთა განთავისუფლების საკითხს, იმპერატორი აფრთხილებდა თავადაზნაურობას, რომ საჭიროა გლეხთა რეფორმა მთავრობამ იკისროს, სანამ ხალხი თვითონ არ მოახდენს ამ რეფორმასო. ამ სიტყვაში იმპერატორმა ის აზრიც გაატარა, რომ გლეხობა მიწებით უნდა განთავისუფლებულიყო.

აი ეს სიტყვა, დაბეჭდილი 1858 წლის №58 გაზეთ „კავკაზში“, ჩაუვარდა ხელში მოლაყბეს, სთარგმნა და 1858 წელს „ცისკრის“ მე-12 ნომერში მოათავსა. „ამ წერილის წაკითხვაზე – სწერს მოლაყბე სალაყბო ფურცელში – ყოველი ჩემი გონება, სული გული და თვითეული ასო გარდაიქცა გრძნობად და ვიძახდი: რად არ შემიძლიან სიცოცხლე ჩემი შევწირო მას, რომელსაც ჩემის შენირვით შეეძლოს აღსრულებაში მოყვანა კეთილისა იმ განზრახვისა, რომლისათვისაც დაუცხრომლათ ზრუნავს მეთქი ქართველნო! თუ ხართ სადმე. ჯერ კი ვერ მიპოვნიხართ და თუ გიპოვნეთ, თქვენი ძველად ხასიათი იყო, არა თუ ქონებას მეფისათვის, სიცოცხლეს შესწირავდით, არა თუ თავსა, აკვნის ყმაწვილსა გამოიყვანდით და მეფის ჰაზრს არ უარყოფდით. სად არის ძველებური ესე ხასიათი. ჩვენი დიდი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადოს კეთილს აზრს, რომელზედაც ჰკვირობს მთელი ევროპა, რას მოგვიკეცნია, რატომ შეძლებისამებრ „დიდო იმპერატორო, ჩვენო მფარველო, ჩვენო უსჯულოთ მაპმადთან დამხსნელო! გვიბრძანე და მზად ვართ ერთგულნი შვილნი ივერიელნი!“... თუ იტყვით გვიყვარსო, მაშ დავამტკიცოთ და ნუ მივიყვანთ იქამდინ, რო იმ აზრით ბრძანდებოდეს, რა აზრითაც მიუღია მოსკოვის კეთილშობილნი, ღმერთმან დაგვიფაროს!“<sup>35</sup>

<sup>35</sup> „ცისკარი“, 1858 წ. №12.

ამ საფარ ქვეშ დაიწყო მოლაყბემ ლაპარაკი ბატონყმობის შესახებ. მისი რადიკალიზმი საშიში არ იყო. ბატონყმობის შესახებ იმდენად ახმაურდა მოლაყბე, რამდენადაც ამ საკითხს თვით იმპერატორი შეეხო. მოლაყბე იმპერატორის სურვილის აღსრულებას მოითხოვს. აქავე უნდა შევინშნო, რომ მოლაყბე აკრიტიკებდა ყველას, მაგრამ თვითმმპურობელი მისთვის ხელ-შეუხებელი, წმიდათა-წმიდა იყო. ამ მხრივ მოლაყბე ტიპიური ვორონცოვის პერიოდის თავადი იყო.

მიუხედავად ყველა ამისა, „ცისკრის“ ფურცლებზე ბატონყმობის საკითხი პირველად მოლაყბემ აღძრა და მეტად საყურადღებოა, რომ გაბედული ნაბიჯისათვის შესაფერი სასჯელიც მიიღო – განდევნებს „ცისკრიდან“.

მოლაყბე მოხდენილად აერთებდა თავის მოქმედებაში ლიბერალურს, წმინდა მონარქიულსა და თითქოს პატრიოტულ მისწრაფებებსაც, მაგრამ ცხადია, მისი ამოსავალი ბრწყინვალე წოდება და მისი დამცველი თვითმმპურობელობა იყო და თუ აკრიტიკებდა თავისი წოდების ზოგიერთ საქციელს ესეც გულისტკივილით იყო გამოწვეული, რათა თავისი წოდება გაღატაკება-განადგურების გზიდან აეცდინა. მეტად საინტერესოა მოლაყბე ლიბერალის როლში – საზოგადოებაზე ფიქრებით შეწუხებულმა მოლაყბემ ერთ დღეს თავის მოკვლა განიზრახა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მტკვრისაკენ გაემართა, მაგრამ ფიქრებში გართული, ბაზარში მოხვდა. აი როგორ აღწერს ამ მომენტს: „... ოს განგება! კურთხეულ არს სახელი შენი, თურმე მტკვრისკენ კი არ წავსულვარ, გზაზედაც ფიქრს გაუტაცნივარ ... ბოლოს ოს! რას ვხედავ! რა ჩემის გულის სასიამოვნოს საქმეს შევეფეთე! ვნახე უცებსის ერთის დუქნის კარზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი. უძევს მუხლზედ ცისკარი მეთერთმეტე ნომერი, კითხულობს სალაყბოს ფურცელს მაღალის ხმით, თანახმა უხდება ყველაფერში მოლაყბეს ... თან იძახის „ას ნეტავ შეძლება მქონდეს, ვიყიდო ამისთანა წიგნებიო“. ეს არაფერი, შემოეხვივნენ გარშემო

დუქნის მეზობელნი და უნდა ნახოთ რა სასოებით უგდებენ ყურსა – მოლაყბემ ამ სანახაობით აღტაცებულმა გადაწყვიტა აღარ მოიკლას თავი და განაგრძობს... „აღარ დავირჩობ თავსა, მინდა სიცოცხლე, დიდი ხნით სიცოცხლე, მხოლოდ იმის-თვის, რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მექონენი, რომელ-თაც ესმოდეთ ლირსება თავიანთი მამულისა, ესმოდეთ ყოვე-ლივე კეთილი განზრახვა ჩვენის დიდის ხელმწიფისა; გარდა-უხდიდეთ მადლობასა ყოველ კეთილზედ, რომლებითაც დავა-ლებულნი ვართ ჩვენ ქართველნი“ და სხვა.

მოლაყბე აღფრთვანებული ქვედა ფენების უურნალისა და განათლებისადმი დაინტერესებით, პატრიოტი მეოცნებეა – რომ ქართველებმა შეიგნონ თავისი მამულის სიყვარული და ერთგული ქვეშევრდომობა, რომელიც თავს დიდათ დავა-ლებულადა გრძნობს ხელმწიფე იმპერატორის გულკეთილო-ბის წინაშე. ასეთია მოლაყბის სურათი, რომელიც ვერ აიტანა „ცისკრის“ პატრონმა თავადაზნაურობამ და განდევნა.

დამახასიათებელია, რომ ბრწყინვალე წოდება ვერ იტანს კრიტიკას, მით უმეტეს თუ კი ის არა ამ წოდების წევრიდან მომდინარეობს. ალ. ორბელიანის მოწმობით, როდესაც მოწი-ნავე თავადებმა შეიტყვეს, რომ მოლაყბე თავადთაგანია – თავადებმა უცბათ წამოიძახეს – „ჰო ეგ კი! იმან რო დაწე-როს შეფერება და ამას იქით კიდეც მოვიწონებთ, მაგ სა-ლაყბოს ფურცელსაო“.<sup>36</sup>

1858 წელს „ცისკარში“ მოლაყბის მიერ მოთავსებული „ალექსანდრე მეორის“ სიტყვები საყურადღებოა იმ მხრივა-დაც, რომ ამ დრომდე არც „ცისკარში“ და არც იმ დროის რომელიმე ნაწერებში ბატონიყმობის შესახებ ვერაფერს ვხვდებით. მოლაყბის მიერ მოყვანილი სიტყვები და თავისე-ბური კომენტარიები ერთგვარ ყრუ პროტესტს წარმოადგენს ბატონიყმობის წინააღმდეგ. ამგვარად, დიდი მემამულე და დი-

<sup>36</sup> „ცისკარი“, №1. 1859 წ.

დი მოხელე მოლაყბე<sup>37</sup> თითქოს გაუბედავი ლიბერალის როლში მოჩანს. რომ სამოციანი წლების დასაწყისში ზოგიერთი სხვა თავადებიც ყოფილან ლიბერალები – ბატონიშვილის მონინააღმდეგენი – აშკარად სჩანს „სურამის ციხეშიაც“. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „კნიაზ-ლიბერალს ვეძახდით კნიაზ ლ. დასა, იმიტომ რომ დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების გან-თავისუფლება და ყოველივე ამბავს ბატონიშვილის შეიტყობ-და სუყველაზე უწინ“, – „კნიაზ ლიბერალო მოემზადე, მაგრამ მაღალ ფრაზებს კი თავი დაანებე, – თქვენი გაჯავრებული ბატონიშვილის შეიტყობ-და სულ არ ვიტყვი – სთქვა კნიაზ-ლიბერალმა“.<sup>38</sup>

ამგვარ „კნიაზ-ლიბერალების“ აზრმა ბატონიშვილის შესახებ ჩვენამდეც მოაღწია, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოდ.

მოლაყბის განდევნით „ცისკარმა“ მაინც ვერ გაინთავისუფლა თავი. გაძევებულ მოლაყბებს მოსარჩლეები გამოუჩინდნენ. უურნალში დაიწერა წერილი „გამოსარჩლება“, რომელზედაც ხელს აწერდა თერთმეტი მებუკე.

მებუკებმა თითქოს მეორე ბანაკიდან შეუტიეს მოლაყბეს მოწინააღმდეგებს. აი რას წერდნენ ისინი – „მოდით ერთ რჩევას მოგცემთ იმ ზოგიერთებს. ეს ჩვენი „ცისკარი“ ხომ ვითომაც ცისკარია, თქვენის მოწყალებით, ახლა თქვენ „თორმეტი მზე“ გამოეცით, მეორე ქართული უურნალი და ეს ორნი მხარნი შევიჭიდნეთ“....

უდაოა, რომ საიდანღაც ანათებდა „ცისკარში“ თავისუფლების სიო, ახალი პროგრესული აზრი. ეს უკვე დასაწყისი იყო ბრძოლისა ახალი იდეების საფუძველზე, მაგრამ „ცისკარი“, როგორც დავინახავთ შემდეგშიც, ძველების – რეაქციონური თავადაზნაურობის ბანაკს მიემხრო.

თუმანიშვილის სალაყბოს ფურცლებით არ მოთავებულა ბატონიშვილის ლაპარაკი „ცისკარში“, უფრო მკვეთრად დად-

<sup>37</sup> მ. თუმანიშვილი, 1818-1875 წ.

<sup>38</sup> დ. ჭონქაძე, „სურამის ციხე“.

გა ეს საკითხი, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი.

მეტად დამახასიათებელია უურნალის რედაქტორის ივ. კე-რესელიძის აზრი სალაყბოს ფურცლის დახურვისა და მოლაყ-ბეს უურნალიდან განდევნის შესახებ. აი რას წერს კერესელი-ძე 1859 წელს „ცისკრის“ პირველ წომერში:

„მოვყევით სალაყბოს ფურცლის გამოცემასა იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება აღტაცებით მიიღებდა ამ საგ-რძნობელ სტატიას. მაგრამ, რას იტყვით, თითქმის ოთხკუთ-ხივ აღგვიდგნენ! რა ვპოვეთ იმ სტატიაში წინააღმდეგი? გარ-ნმუნებთ, რომ რასაცა სწერდა უ. მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულიდან, გულმტკივნეულობით. რა გა-ენყობა, ეს ჩვენი უურნალი არის საზოგადო, მაშასადამე არის ხმა საზოგადოებისა. ჩვენი უურნალი გამოდის კმაყოფილები-სათვის საზოგადოებისა, მაშასადამე უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენად მკითხველთა მაშინვე მოვიხმარებთ ყოვე-ლისვე ღონისძიებას მიზეზის მოსპობისათვის“ – შემდეგ აც-ხადებს, რომ სალაყბო ფურცელი მოსპობილია და თანაც ერ-თგვარ შიშს გამოსთქვამს, რადგან გაუგია რომ მოლაყბეს გა-ზეთის დაარსება დაუპირებია....

კერესელიძემ გააშიშვლა „ცისკრის“ მიმართულება, უკე-თესი იქნებოდა აშკარად ეთქვა, რომ უურნალი დიდებულებს ეკუთვნის და მათი ინტერესების დამცველი უნდა იყოსო. უურნალი კმაყოფილებისა და სიამოვნებისათვის გამოდისო, – სწერს კერესელიძე. აյ ხომ მთლად აშკარად გაამჟღავნა „ცისკრის“ მიმართულება. კერესელიძესა და მის თანამედრო-ვეთ უურნალი – პრესა, მებრძოლ იარაღად კი არ მიაჩნდათ, არამედ დროს გასატარებელ საშუალებად რაცხდნენ და, ბუ-ნებრივია – მათი შიში და პირდაპირ შეურიგებლობა კრიტიკი-სადმი, განსაკუთრებით კი ისეთი კრიტიკისადმი, რომელიც ოდნავ მაინც არღვევდა მათ მყუდროებას.

მიუხედავად ჩინური კედლების აღმართვის ცდისა საზოგადოებასა და „ცისკარის“ შორის, როგორც ვნახეთ მებუკები და მოლაპბები დრო გამოშვებით მაინც არღვევდნენ „ცისკრის“ მყუდროებას. ვერ უშველა პროტესტებმა მოლაპბესა და მებუკებს – ისინი გაიდევნენ უურნალიდან. მაგრამ მეტად ძნელი იყო „ცისკრის“ იმ სახით ნარმართვა რომ იმდროინდელი საზოგადოების ყველა ნევრი კმაყოფილი ყოფილიყო. იბადებოდა მრავალი საკითხი, რომელთა გარკვევისას რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი უსათოოდ უქმაყოფილო უნდა დარჩენილიყო, ამას კი გვერდს ვერ აუვლიდა საზოგადოებრივი უურნალი – უკიდურეს შემთხვევაში უურნალი უნდა მომკვდარიყო.

სავაჭრო კაპიტალის განვითარებამ და სამრეწველო კაპიტალიზმის ჩანასახებმა 60-იანი წლების დასაწყისისათვის დააჩქარეს ბატონიყმური ნატურალური მეურნეობის რღვევა. ამ გარემოებას, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა „ცისკარი“ და ბატონყმობის საკითხის ყრუდ დაყენებას მოლაპბის მიერ არა მხოლოდ პროტესტითა და რეპრესით უპასუხეს „ცისკრის“ კონსერვატორებმა, არამედ შექმნილ სოციალ-ეკონომიური სიტუაციიდან გამოსავლის ძებნაც დაიწყეს. 1859 წლის „ცისკრის“ №10 ალ. სავანელის მეტად საინტერესო წერილი დაბეჭდა – საქართველოს ეკონომიური გაღარიბების შესახებ. ხოლო ალ. ორბელიანმა განიზრახა ბატონყმობის მამა-შვილობათ გასაღება. სავანელი ეხებოდა ვორონცოვის დროს დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, აღნიშნავდა მის უმოქმედებას და ამის მიზეზად იმას აღიარებდა, რომ საზოგადოების შრომები რუსულად იბეჭდებოდა და ქართველი საზოგადოებისათვის ხელმიუნვდომელი იყო. რასაკვირველია ეს არი იყო მთავარი მიზეზი გაღარიბებისა. ამ პერიოდში, როგორც უკვე თავის ალაგზე აღვნიშნე, საქართველო დიდ ეკონომიურ ცვლილებებს განიცდიდა, საჭირო იყო ამ ცვლილებების გათვალისწინება, მათში ჩახედვა და მოქმედე-

ბების ახალი გეგმის შემუშავება, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობა ხომ სრულს უდარდელობაში და ფუფუნებაში ატარებდა დროს. სად ეცალა ამ საქმისათვის. მართალია, ზოგი მათგანი შეაფიქრიანა ცხოვრებამ, ჩაახედა ამ ეკონომიურ ცვლილებებში, ზოგი რამ სწორათაც გაიგო, მაგრამ თავადთა ძალ-ღონეს აღემატებოდა საგნის გათვალისწინება ისტორიული სინამდვილის მიხედვით. ამ მხრივ, დამახასიათებელია აღ. ორბელიანის ნერილი 1859 წლის „ცისკრის“ №10. იგი სწერს – „ისე გავლარიბდით, რომ ღარიბ გლეხეაცებზე უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხვა შესამატს კარგსა... აღარც თოფი, აღარც ხმალი – ვმადლობ ღმერთსა, მაშასადამე რაღაც მნიშვნელობაა, იქ რა არის საჭირო? – სწავლა-განათლება მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს ეხლა“.

აღ. ორბელიანის მოწოდება დროული იყო, მაგრამ გამგონი არ ჩანდა. თავადაზნაურობა გატაცებული იყო ტახტისადმი ერთგულებით, ჩინებით, ორდენებით, სამსახურით ანდა ფუქსავატი ცხოვრებით. ყოველდღიურად ეცლებოდა ხელიდან მამული. აღ. სავანელის ნერილი გაღარიბების შესახებ სწორედ თავადაზნაურობას შეეხებოდა. ვორონცოვის პოლიტიკამ თავადაზნაურობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელიდან გამოაცალა მამული და სამსახურის ანაბარა დატოვა. თავადაზნაურთა წოდების დაცემას მოჰყვა, როგორც აღვნიშნეთ, ახალი ელემენტების – წვრილი მესაკუთრისა და მომსხობურულაზის ასპარეზზე გამოსვლა და თუ წინად „კეთილშობილობა“ სწყვეტდა ყველაფერს, ახლა ფული სდევნიდა „კეთილშობილებას“ ასპარეზიდან. ამიტომ იყო, რომ თავადაზნაურობაში დიდმა შიშმა იჩინა თავი სწორედ მაშინ, როდესაც გლეხთა განთავისუფლების პროექტის შემუშავება დაავალეს.

მოლაყბის გაუბედავი წერილები ბატონყმობის შესახებ გამოუხმაურებელი არ დარჩა. მართალია, „ცისკარი“ მეტად

ფრთხილად იყო, ახლოს არ იკარებდა საზოგადოებრივი ჭირ-ვარამის შესახებ წერილებს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა ბა-ტონების წინააღმდეგ, მაგრამ ის ხომ ერთად ერთი საჯარო ტრიბუნა იყო და გვერდს ვერ აუვლიდა უკვე დღედათვლილ ბატონებისაზე საუბრის ჩამოგდებას. მართლაც, 1858 წელს „ცისკრის“ მე-11 ნომერში დაიბეჭდა ალ. ორბელიანის წერილი „უნინდელი დროის ბატონები“, ხოლო 1859 წელს, უკანასკნელს ნომერში დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“-ს პირველი ნაწილი.

ალ. ორბელიანი, ძველი თაობის დიდებულთა წარმომადგენელი, სხვებზე უკეთ მიხვდა თავადაზნაურთა წოდების დაღუპვის-განადგურების მოახლოვებას და საშველად გაემზადა. თავის წერილში შეეცადა ძველი დროის ბატონების იდეალურ ფერადებში წარმოედგინა, – ამით სურდა გაექარნყლებინა ის აბობიქერებული აზრი, რომელიც უკვე დაუნდობლად უტევდა ბატონებურ უკულმართობას, მაგრამ გვიანდა იყო, ალ. ორბელიანი და მასთან „ცისკარიც“ ანგარიშში მოტყუფდნენ. ბატონებურს ურთიერთობას ნიადაგი ერთობ მომპალი აღმოაჩნდა და მალე კიდევაც დაიმსხვრა.

აი როგორ ახასიათებდა ძველი დროის ბატონების ალ. ორბელიანი: „უნინდელ დროს გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის, რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისთვის...“.

ვახტანგ მეექვსის კანონების ახალი თავისებური გაგებაც სურს დაანახოს საზოგადოებას, ორბელიანი სწერს: „ამ მეფე ვახტანგის კანონს სხვაგვარად ნუ გავიგებთ. ეს იმას ნიშნავს, როგორათაც შვილი მშობელს ეკუთვნის და შვილი სრულებით მშობლისა არის, ისე იმის მსგავსად მებატონეს ეკუთნოდა ყმა. დაუ(და)ნაშავებელი კაცი ხომ არ იქნებოდა, სრულებით უმანკოება ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის ეს მეფის კანონი იმას ნიშნავს, როგორათაც დამნაშავეს შვილსა მამამ

წკეპლა დაანახოს და იმით შეაშინოს, ისე ის კანონი ჩვენი გლეხების საჩვენებლად და მებატონის შესაკავშირებლად იყო, უფრო და უფრო ერთი ყოფილიყვნენ, რომ ამათ განშორება არაფრით არ მომხდარიყო. როგორც მამა შვილსა, თორემ თუ ეს ასე არ ყოფილიყო, იმისთანა ბრძენი და მოწყალე კაცი, ვითარცა მეფე ვახტანგ, იმისთანა უწყალოს კანონს დასდებდა?“<sup>39</sup> -ო.

როგორც ამ პატარა ამონანერიდანაც სჩანს აღ. ორბელი-ანმა თავისი წოდების სოციალური დაკვეთა პირნათლად შეასრულა. ბატონიყმობის ყოველ მომენტს, დაწყებული კანონ-მდებლობიდან, უკანასკნელ წვრილმანამდე, თავისი წოდები-სათვის ამ პერიოდში უაღრესად საჭირო ახსნა განმარტება მისცა. მაგრამ „ცისკრის“ შემდეგ ნომერში სრულიად სხვა სურათი გაიშალა. „ცისკრის“ კარიბჭე ვერ დაუმაგრდა ახალს აზრს, აზრს თავისუფლებისას, უკულმართობის, – არა მხოლოდ გაუბედავათ მამხილებელს – მოლაყბის მსგავსად – არამედ ამ უკულმართობის წინააღმდეგ მებრძოლს, იმ უკულ-მართობის, რომელსაც ბატონიყმობა ერქვა და რომელსაც „ცისკარი“ ყველა კალთებს აფარებდა.

1859 წლის „ცისკრის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“ საზოგადოება გაოცებული შეხ-ვდა. „ცისკრისათვის“ ეს მოულოდნელი ამბავი იყო. ვინც წინ იყურებოდა, საზოგადოების ახალს მომავალზე ფიქრობდა, აღფრთოვანება იგრძნო, ხოლო დიდმა ფეოდალებმა, ბატონ-ყმობის მამხილებელ და მის წინააღმდეგ მებრძოლს კბილები დაუღიალეს, მუშტები დაუღირეს.

მოთხოვთ მარტივ ბუნებრივ კილოსთან, ერთგვარ სისა-დავესთან და სიმშვენიერესთან მუქი ფერადით ჩაქსოვილი იყო ისეთი ძლიერი და გადამჭრელი პროტესტი ბატონიყმური მონობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსი საქართველოში არა-ვის გაეგონა.

<sup>39</sup> „ცისკარი“, 1858 წ. №11.

სოფლის ცხოვრების საკითხის მომხიბლავ ფერადებში ხელოვნურად ამოაგორებდა დ. ჭონქაძე ისეთ ამბებს, რომელიც ჯერ არავის გაეგონა: „... სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება...“ და მრავალი სხვა ამგვარი.

ასეთ ჰანგს ჩვეული არ იყო თვით მოლაყბეც კი, ოდესა-ლაც მრისხანედ მიჩნეულმა მოლაყბემ დაჲკარგა მრისხანების ხასიათი, ასეთი ხმა სულ სხვა მხრიდან გაისმა და მოსალოდნელი იყო ამ ხმის გაძლიერება-გამძლავრება.

„ცისკარი“ და მის მკითხველთა წრე აღაშფოთა დანიელ ჭონქაძის მოთხოვბამ. კერესელიძე შეპირდა საზოგადოებას, რომ „თავხედ“ მნერალს მკაცრს პასუხს გასცემდა. აღშფოთდა თვით დიდი კაცი გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ კერესელიძე მხოლოდ ბოდიშით დაკმაყოფილდა საზოგადოების წინაშე, პასუხი კი ვერ მოახერხა. საზოგადოებას უკვე ერთგვარი ბორგვა ეტყობოდა. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ირგვლივ მუშაობა უკვე დაწყებული იყო. რუსეთის ახალი თაობის რაზნოჩინცული ინტელიგენცია – აშკარა შეტევაზე გადადიოდა თვითმშეყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. რუსეთის რაზნოჩინცული ინტელიგენციის იდეებზე აღზრდილი ქართული ახალგაზრდობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის ქვეყანას და ქართველს საზოგადოებაში შექონდა მებრძოლი სული. ცხადია, „ცისკარი“ ვერ აუვლიდა გვერდს ამ ამბებს. ამიტომაც იყო, რომ ჭონქაძის წინააღმდეგ ბრძოლამ სრული სიჩუმით არჩია. ბატონყმობის საკითხს, რომელიც ამ პერიოდის რუსული ქურნალ გაზიერების ერთ-ერთ ღერძულ საკითხად იყო ქცეული, – „ცისკარმა“ განდევნა დაუპირა თავისი ფურცლებიდან. მაგრამ ეპოქის ამ მეტად მტკიცნეულ საკითხს „ცისკარმა“ სავსებით ვერ დაუხშო კარი, თუმცა ყოველ ღონეს ხმარობდა „ცისკრის“ მკითხველ და პატრონ კონსერვატორთა მყუდროების დასაცავად. ამას ნათლად ადასტურებს „ცისკრის“ მოღვაწეობა 1861-62 წნ.

1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნებას უმაღვე უმაღლესი მთავრობის საიდუმლო განკარგულებით მეფის ნაცვალი ა/კავკასიაში გენერალი ბარიატინსკი შეუდგა პროექტის მომზადებას ა/კავკასიის ყმა გლეხთა გასანთავი-სუფლებლად. აღსანიშნავია, რომ როგორც უზენაესი, ისე ად-გილობრივი მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ჩვენში ამ საქმეს. კავკასიის კომიტეტის წევრი ვ. ბუტკოვი 1861 წლის 5 მარტს კონფიდენციალურ მიმართვაში ხაზს უსვამდა ამ მოქმედების დიდი სიფრთხილითა და სათანადო საიდუმ-ლოებით ჩატარებას. ამასთანავე, ა/კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასტიკი ზომები მიიღო იმისათვის, რომ 19 თებერვლის მანიფესტი სახალხოთ არ გამჟღავნებულიყო, აკ-რძალული იყო მანიფესტის წაკითხვა ეკლესიებში, ხალხის საკრებულო ადგილებზე და პრესაში გამოქვეყნება.

ბარიატინსკი სასწავლოდ შეუდგა საიდუმლო პრძანების სისრულეში მოყვანას. 1861 წლის 25 მარტისათვის მოიწვია თავადაზნაურთა წარმომადგენლობისა და ზოგიერთი მსხვი-ლი მემამულე თავადების კრება, სადაც ბარიატინსკიმ განაც-ხადა უზენაესი მთავრობის სურვილი გლეხთა განთავისუფ-ლების საიმპერიო დებულების გავრცელების შესახებ საქარ-თველოსა და ა/კავკასიაშიაც. აუცილებლად იქნა ცნობილი თავადაზნაურობის უახლესი მონაწილეობა ამ საქმეში, რის-თვისაც სპეციალური სამაზრო კომიტეტებიც კი შექმნეს თა-ვადაზნაურთა წარმომადგენლებისაგან. მაგრამ მალე ეს კო-მიტეტები შეიცვალა სამაზრო და საგუბერნიო თავადაზნაურ-თა ყრილობებით.

თავადაზნაურთა ყრილობებს ხელმძღვანელობას უწევდა „ა/კავკასიის ყმა გლეხთა მდგომარეობის მომწყობი კომიტე-ტი“, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენდა თვალყურის დევნება იმისათვის, რომ ადგილობრივი კრებების მუშაობის აზრი შეთანხმებული ყოფილიყო 19 თებერვლის დებულებე-თან.

ამგვარად, 1861 წლიდან მთელს საქართველოში, პირველ რიგში კი თავად-აზნაურთა წრებში, ფიცხელი სჯა ბაასი სწარმოებდა გლეხთა საკითხის ირგვლივ. გლეხთა მდგომარეობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ხმები გლეხობამდისაც აღნევდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუშაობა საკმაოდ საიდუმლოდ სწარმოებდა და გლეხობა დაშვებული არ იყო არც ყრილობებზე და მითუმეტესად, არც კომიტეტებში.

1862 წელს უკვე თავადაზნაურთა საგუბერნიო კრება შეიკრიბა. ალსანიშნავია, რომ თავადაზნაურობიდან გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ბევრი არავინ გამოსულა, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს პრ. სვ. ავალიანი ეს აიხსნებოდა იმით, რომ ქართველი თავადაზნაურობა უზენაესი მთავრობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გალაშქრების უსაფუძლობასა გრძნობდა. ამიტომ იყო, რომ თავადაზნაურობამ მთელი ენერგია გამოიყენა იმისათვის, რომ რეფორმის გატარების დროს საკუთარი ინტერესები დაეცვა.

როგორც ცნობილია, მოსამზადებელი მუშაობა 1864 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურად იწვეოდა სამაზრო და საგუბერნიო კრებები, სწარმოებდა განუწყვეტელი სჯაბაასი. თავადაზნაურთა წარმომადგენელნი ოფლს დვრიდნენ იმისათვის, რომ ისტორიულად დაემტკიცებინათ თავისი უფლებები გლეხობაზე და მათ ქონებაზე, დაერწმუნებინათ ყველა, რომ გლეხი და მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება მებატონის განუყრელი საკუთრება იყო – რათა ამით უზრუნველ ეყოთ იმ ფულადი ჯილდოს მიღება, რომელსაც მოითხოვდენ გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის.

ქართველი საზოგადოება მთლიანად და კერძოდ, მისი გაბატონებული ნაწილი, სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა. ყველა გრძნობდა ეკონომიური ცხოვრების ახალი ფორმების მოახლოვებას. ყველა (გაბატონებული წოდებიდან) თითქოს ამ ახალი ცხოვრების შესახვედრად ემზადებოდა სხვადასხვა სახით. თავადაზნაურთა განცხადებებიდან და სამაზრო-საგუ-

ბერნიო ყრილობებზე წარმოებული მსჯელობიდან ირკვევა, რომ თითქოს, სულ უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არავინ იყო წინააღმდეგი გლეხთა განთავისუფლებისა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავადაზნაურობის აბსოლუტური უმრავლესობა დიდ წყალობათა სთვლიდა გლეხებისათვის მხოლოდ პირადი თავისუფლების მინიჭებას. რაც შეეხება მიწებისა და სხვა ქონების გლეხებისათვის დატოვებას – ამის გაგონებაც არ სურდა თავადაზნაურობას. თავადაზნაურობის ერთად ერთ თავსამტკრევ საგანს მხოლოდ ისლა წარმოადგენდა, რომ ეს თავისი სურვილი, გლეხთა უმიწოთ განთავისუფლება, დაესაბუთებინა მთავრობისათვის.

მაგრამ ქართველ თავადაზნაურთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც მხარი დაუჭირეს რეალურ განთავისუფლებას, თავადაზნაურთა კრებებზე გამოსვლით თუ ცალკე წერილობითი პროექტის წარდგენით მთავრობის კომისიაში. ასეთები, მართალია, ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათი გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის ქართველი საზოგადოებისათვის. ასეთები იყვნენ თავადი ზაალ ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი და ნ. და ილია ჭავჭავაძე. პირველი ორის პროექტი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში, უკანასკნელისა კი სადაოთ იყო გამხდარი, რადგან მთავრობის კომისიაში 1864 წლის 4 მაისს წარდგენილ პროექტს მხოლოდ ჭავჭავაძის ხელნერა აქვს, სახელი არ არის მოხსენებული. ჩვენის აზრით, ეს ჭავჭავაძე უდაოთ ილია ჭავჭავაძეა, ამას მოწმობს ილიას მოქმედება ამ მძიმე პერიოდში. ამას მოწმობს თანამედროვეთა მოგონებები და თვით ზაალ ჭავჭავაძის ოფიციალური წერილი გაზეთ „თემის“ რედაქციის სახელზე.<sup>40</sup> ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 60-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში მოსჩანან, როგორც უკვე აღვნიშნავდი, ე. წ. „კნიაზი-ლიბერალები“

<sup>40</sup> გამოქვეყნებულია 1914 წ. 178 ნომერში.

და რაც მთავარია ამ პერიოდის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს რუსეთის მესამოციანთა იდეალების გავლენა ემჩნევა.

რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა თითქოს ფორმალურად უარს არ აცხადებდა გლეხთა განთავისუფლებაზე, მაგრამ არსებითად წინააღმდეგი იყო საიმპერიო დებულებისაც კი ამ საგანზე. ცხადია, ეს გარემოება ხელფეხს უბორკავდა ისედაც გაუბედავს და თავადაზნაურობის თვალებში შემყურე „ცისკარს“. მიუხედავათ ამისა, უურნალში მაინც შეიპარა თავისუფლების სხივი. დ. ჭონქაძის მოთხრობამ, რუსეთში დაწყებულმა რეფორმებმა და ასეთივე რეფორმებისათვის დაწყებულმა სამზადისმა საქართველოში, თითქოს ძალაუნებურად გამოაფხიზლა „ცისკარი“, – ანდა გაამხნევა, გამბედაობა მოუმატა „ლიბერალ-თავადებს“. „ცისკარმა“ გაბედა თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობის დაწყება, მაგრამ „ცისკარი“ შორს მაინც ვერ გაექანა. საზოგადოებრივს ცხოვრებაში დაწყებული ორომტრიალის შედეგათ „ცისკრის“ გამოცოცხლება თითქოს იმაში გამოიხატა, რომ რედაქციამ უურნალიდან გაძევებული მოლაპბე უკანვე მოინვია. მოლაპბე დათანხმდა, მაგრამ ერთგვარი ულტიმატუმი წაუყენა საზოგადოებას. 1860 წლის „ცისკრის“ №6-ში ის სწერდა – „უკეთუ დამიპირეს კიდევ ადრინდელი-ვით ჩემის – პირდაპირი და სიმართლის წერისათვის ხიდიდან გადაგდება, გაეცით პასუხი თქვენ, რომელთაც გიჭირავთ ჩემი სამართლის მხარე. მაგრამ ვაი თუ თქვენც იმ მოწინააღმდეგების მხარე დაიჭიროთ“.

მოლაპბის ფურცელი გამოცოცხლდა, მოლაპბეს ერთი მებუკეთაგანიც გამოეხმაურა. მაგრამ რედაქცია მაინც შიშობდა და თვით მოლაპბეც ძველებურად ბევრს აღარა სწერდა.

უდაოა ის გარემოება, რომ რედაქცია მეტად შეზღუდული იყო არა მარტო საცენტურო პირობებით, არამედ ბობოლა თავადაზნაურობისაგანაც.

„ცისკარმა“ ვერ მოახერხა ან არ მოისურვა მოეხერხებინა ბატონიშვილის ირგვლივ დაწყებული მუშაობის გამოქვეყნება. საჯარო კრებების ანგარიშებმა უურნალამდე ვერ მიაღწია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ცნობების გამოქვეყნების ნებას არ აძლევდნენ „ცისკარს“. მაგრამ ამა თუ იმ სახით „ცისკარს“ მაინც შეეძლო ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება. აკი კიდეც დაიწყო მოლაყბემ 1862 წლის „ცისკრის“ №1: „.....კიდენ, რომ ვერ მოგახსენეთ რაც დამავინყდა. ვსთქვა? ნებას მიბოძეთ? არ გამირისხდებით? როგორლაც ვერიდები თქვენს წყენას. ეჟ! ადრეა თუ გვიან ხომ უნდა მოხდეს, დარწმუნებული ბრძანდებით, ამას გარდა ჩემის თქმით თუ უთქმელობით რა იქნება, მაში მოგახსენებთ! ბატონიშვილის ბატონიშვილი! უმთავრესი და უპირველესი საგანი ჩვენთვის და ჩვენ შვილთათვის. შემდგომში ამაზედაც მოგელაპარაკებით და მოგახსენებთ იმ ბატონიშვილის პროექტის ღირსებაზედ, რომელზედაც დიდის უურადლებით ლაპარაკობენ ხალხში“.

მაგრამ მოლაყბემ დაპირება არ შეასრულა. ის ხომ „გლეხთა საქმეების მომწყობი კომიტეტის“ საქმეთა მნარმოებელი იყო და ცხადია, საქმის ყველა დეტალს იცნობდა. თითქოს რედაქციასაც დახმარება არ გაუწევია მისთვის. მითუმეტესად პირობების გვერდის ავლა ვერ შესძლო მოლაყბემ, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით მოლაყბეც ამ ხანებში გულგრილად ეკიდებოდა „ცისკარში“ თანამშრომლობას.

ამგვარად „ცისკარი“ სიჩუმით შეხვდა ბატონიშვილის საკითხს მაშინ, როდესაც ეს საკითხი დიდი მსჯელობის საგნათ იყო ქცეული, როდესაც მუშავდებოდა პროექტები და ახლო მომავალში ამა თუ იმ სახით ეს მონობის სამარცხვინო ფორმა უნდა მოსპობილიყო. „ცისკარმა“ ვერ აუღო ალლო ცხოვრებას, ვერ მიხვდა საით იხრებოდა სასწორი და ამიტომ განიზრახა სიჩუმე. მაგრამ ასეთ პირობებში ერთად ერთი ქართული უურნალი მთლად ვერ დამუნჯდებოდა. ამა თუ იმ სახით უნდა გამოხმაურებოდა ეპოქის სოციალურ ჭიდილს.

მართლაც, მიუხედავად კონსერვატორ თავადაზნაურობის დიდი წინააღმდეგობისა, როგორც ვნახეთ, „ცისკარმა“ გვერდი ვერ აუხვია ბატონყმობის საკითხებზე წერას. მოლაყბის გაუბედავ წერილებთან ერთად „ცისკარი“ იძულებული გახდა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ აშკარა პროტესტისათვის, გლეხობის ბრძოლისაკენ მომწოდებელი დ. ჭონქაძის „სურამის ციხესათვისაც“ დაეთმო ადგილი. მართალია, თავადაზნაურობა საშინლად ცხარობდა, სდევნიდა და სიკვდილით ემუქრებოდა ბატონყმობის სისაძაგლის მამხილებლებს, მაგრამ „ცისკარი“ მისი რედაქტორის – ივ. კერესელიძის სახით, – ეპოქის მოთხოვნილებას გვერდს მაინც ვერ აუვლიდა.

მოლაყბის რედაქციიდან განდევნისა და ჭონქაძისადმი მიმართულ მუქარების გარდა მრავალი სხვა დოკუმენტი შემონახულია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ლამობდა ქართველი თავადაზნაურობის კონსერვატიული ნაწილი ბატონყმური ურთიერთობის საწინააღმდეგოთ მიმართული აზრის ცეცხლითა და მახვილით მოსპობას. 1863 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა აკაკის ლექსი „გლეხის აღსარება“. ამ ლექსში, ისე როგორც აკაკის მრავალს ლექსებში, გატარებულია ბატონყმობის საწინააღმდეგო აზრი. ამ ლექსს საშინელი უკამაყოფილება გამოუწვევია თავადაზნაურობაში. აი რას სწერდა აკაკი ამ ლექსის შესახებ 1912 წელს: „.....ამ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრი მტერიც შემძინა. ერთმა მათგანმა თავადმა მიქელაძემ სასიკვდილოდ მომიტია და ალალბედზედ გადამარჩინეს“.

ეს დოკუმენტი ჩვენს ყურადღებას მრავალმხრივ იპყრობს, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ბატონყმობის გაბეჭულ თუ გაუბედავ მოწინააღმდეგთა ბანაკი მხოლოდ მოლაყბით და დ. ჭონქაძით არ იფარგლებოდა. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თითონ „სურამის ციხის“ ავტორი ლაპარაკობს კნიაზ-ლიბერალებზე –

ბატონიშვილის მოწინააღმდეგებზე, ხოლო ისტორიას ამის და-სამტკიცებლად საკმაო დოკუმენტები შემოუნახავს. ე. ნ. „კნიაზ-ლაპერალების“ – ბატონიშვილის მოწინააღმდეგეთა შე-სახებ მეტად თვალსაჩინო მასალას გვაწვდის ბატონიშვილის მოსპობის პერიოდში წარდგენილი მოსაზრებანი, გენ. მაიო-რის კ. მამაცაშვილის და ნ. ჭავჭავაძის. აღსანიშნავია, რომ კ. მამაცაშვილი სწორედ ამ პერიოდში „გუთნის დედაში“ (1862-63 წლებში) იმ აზრსა და დებულებებს ამტკიცებდა, რომ სა-ქართველო უკვე დაადგა გაევროპიელების გზას და იგი ძვე-ლი წყობილებიდან გადადის ახალ წყობილებაზე. მამაცაშ-ვილს საჭიროდ მიაჩნდა ქართველობას ხელი მოეკიდნა ახალ სამეურნეო ვითარებისათვის, შეესწავლათ ვაჭრობა-მრეწვე-ლობა და სოფლის მეურნეობის რაციონალური დამუშავება. სხვათა შორის კ. მამაცაშვილი 1862 წელს გლეხთა შესახებ წარდგენილ თავის პროექტში სწერდა: „გლეხობის ყოფა-ცხოვრების კეთილ წარსამართავად შემდეგ განთავისუფლე-ბისა მიუცილებლად საჭირო არის, რომ გლეხსა მინა ჰქონ-დეს, თუ არა თავისუფლება უმინო გლეხისა იქნება მხოლოდ ქაღალდით და არა საქმით“.<sup>41</sup>

მეტად საინტერესო ცნობას გლეხთა განთავისუფლები-სათვის მეპრძოლთა შესახებ იძლევა დ. ფურცელაძე, რომე-ლიც ჯერ კიდევ გაზეთი «Кавказ»-ში 1864 წელს იღაშქრებდა ბატონიშვილის წინააღმდეგ, ხოლო 1884 წელს<sup>42</sup> უურნალ «Юридическое Обозрение»-ში №159 სწერდა: გლეხთა განთა-ვისუფლების აზრმა ბატონიშვილ დამოკიდებულებისაგან მემა-მულეთა შორის სხვადასხვა განწყობილება გამოიწვია: მემა-მულეთა უმეტესობა მას უარყოფითად შეხვდა, უმცირესობა კი, შემდგარი განათლებულ ახალგაზრდობისაგან მისდამი სრულს თანაგრძნობას იჩენდა, მაგრამ მას თავის უმცირესო-

<sup>41</sup> 1. დ. ყიფიანის არქივი. 2. „ივერია“, 1900 წ. №193.

<sup>42</sup> Д. Пурцеладзе. Крестьянский вопрос в Грузии, стр. 452-58.

ბის გამო არ შეეძლო რაიმე გავლენა არც გლეხთა საკითხის გადაჭრაზე და არც მისი ცხოვრებაში გატარებაზე.....

ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ 60-იან წლების დასაწყისში, უმცირესობა, – მაგრამ მაინც მოსჩანდა საქართველოში ბატონიშვილის მონინაალმდეგეთა ბანაკი. მოლაყბე, დ. ჭოქეაძე, კ. მამაცაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, აკაკი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე და მრავალი სხვა გარკვეულად ეწინაალმდეგებოდენ ბატონიშვილის მათი ერთ ბანაკში მოთავსება შეუძლებელია, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. თუ კი ამ თაობის ბატონიშვილის ნინაალმდეგ ბრძოლა მთელის სისრულით ვერ იქნა სააშკარაოზე გამოტანილი, თუ კი მათ ვერ შესძლეს რამოდენიმედ მაინც გაბედული ნაბიჯის გადადგმა არსებული სოციალური უკულმართობის ნინაალმდეგ, – ამის მიზეზები პირველად ყოვლისა ჩვენთვის ცნობილ „ცისკრის“ და მის მეპატრონეთა უკიდურეს კონსერვატორობაში უნდა ვეძიოთ. მეორე და საკმაოდ გაუვალ ზღუდეს ახალ იდეათა გამზეურებისათვის ცენზურა წარმოადგენდა, ხოლო თვით ამ თაობის სოციალური წარმოშობა, თავადაზნაურთა წრე რომელშიაც აღიზარდნენ და ტრიალებდნენ ყოველდღიურად – საკმაო ნიადაგს ქმნიდა მათი (ამ თაობის) გაუბედაობისა და სოციალურ-წოდებრივი შიშისათვის.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბატონიშვილის საწინაალმდეგო პროტესტი მაინც გაისმა ჩვენში 60-იან წლებამდეც და ეს გარემოება სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის გავლენით ეკონომიური და საზოგადოებრივ-კლასიური ცვლილებები მოხდა საქართველოს ისტორიაში. ეს ცვლილებები საკმაოდ საგრძნობი შეიქმნა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებისათვის და შემდეგ. ეკონომიურმა ვითარებამ საგრძნობი გადაჯვეულება გამოიწვია საზოგადოებრივ-კლასობრივ ურთიერთობაში: დაეცა ეკონომიურად გაბა-

ტონებული წოდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ წოდების ერთეულებს, რომელთაც მოახერხეს ახალს ცხოვრების პირობებთან შეგუება. საგრძნობლად დაეცა გლეხთა ეკონო-მიურ-საზოგადოებრივი მდგომარეობაც. გლეხობა ვეღარ თავ-სდებოდა ბატონყმურს ჩარჩოებში და სასტიკ ბრძოლას ანარ-მოებდა გასანთავისუფლებლად. შევიწროვებული იყო ინტე-ლიგენციაც, რომელსაც თვითმპურობელობის სასტიკი რეჟიმი ზღუდავდა.

ამგვარ სოციალურ-ეკონომიურ ხასიათის ცვლილებებს და მოძრაობას არ შეეძლო შესაფერისი გამოძახილი არ ეპოვა იდეოლოგიურ, პოლიტიკურ საზოგადოებრივ და ლიტერატუ-რულ აზროვნებაში. სოც-ეკონომიური ხასიათის დიფერენცია-ციამ შესაფერისი დიფერენციაცია გამოიწვია აზროვნებასა და იდეოლოგიაშიაც. სწორედ ამ სოციალ-ეკონომიური ხასია-თის ცვლილებებზე აღმოცენდა ე. წ. თაობათა ბრძოლა ჩვენს პრესასა და ინტელიგენციაში. სამწუხაროდ, როგორც ძველი მკვლევარები (ა. ჯორჯაძე, კ. აბაშიძე, ნ. უორდანია, ხახანაშ-ვილი და სხვა), აგრეთვე ახალ-თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილიც 60-იან წლებში დაწყებულ ბრძოლას ინტელი-გენციის შიგნით თაობათა შეტაკებითა ხსნიან, სრულიად არ ცდილობენ ამ ბრძოლის სოციალ-კლასობრივი და ეკონომიუ-რი საფუძვლების მოძებნას. თანამედროვე მკვლევართა უმ-რავლესობა<sup>43</sup> 60-იანი წლების ქართველ ინტელიგენციას, დ. ჭონქაძის გამოკლებით, ერთფეროვნად და ერთსახოვან ჯეუ-ფად სახავენ. ეს უდაოდ უარყოფაა ისტორიული სინამდვილი-სა და აშკარა დამახინჯება მარქსისტული კვლევის მეთოდისა. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი იქამდესაც კი მიდის, რომ მარქსისტული მიმდინარეობის აღმოცენებამდე ჩვენში, ვერც ერთ პროგრესიულ მიმდინარეობას ვერ ხედავს, გარდა დ. ჭონქაძისა. ამ მკვლევართა აზრით გამოდის, რომ ისე ჩა-მოყალიბდა ჩვენში მარქსიზმი, რომ მას წინ თითქოს არ უს-

<sup>43</sup> იხ. პ. ქიქოძე, დ. ბენაშვილი „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“. 1932 წ.

წრებდა ბურჟუაზიული კულტურისა და ბურჟუაზიული აზ-როვნების შემოჭრა. ამ მკვლევართა, ან უკეთ „მკვლევართა ჯგუფის“ აზრით, რომ არ ვიღებაპარაკოთ „ცისკარსა“ და წინა პერიოდზე – „დროება“-ც და მისი ჯგუფი თავადაზნაურობისა და საერთოდ ბატონიყმობის დამცველი იყო; „60-იან წლების მნერლები ბატონიყმობის მომხრენი იყვნენ, ი. ჭავჭავაძე რეაქ-ციონერი, კაცისმჭამელი კონსერვატორი ნაროდნიკებიც რე-აქციონერები იყვნენ – ისე რომ ყველა წრები, ფენები თუ ჯგუფები, რომლებიც 90-იან წლებამდე არსებობდნენ – არ გამოხატავდნენ ბურჟუაზიულ მისწრაფებებსა და ბურჟუაზი-ულ ინტერესებს, არამედ უკიდურესი რეაქციონერები, ბა-ტონიყმობის დამცველები იყვნენ“.<sup>44</sup> მარქსისტული სოციოლო-გიის ასეთი დამახინჯება ასეთი შეფასება გასული საუკუნეე-ბის მოძრაობისა და იდეოლოგიისა მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის აღმაშფოთებელ დამახინჯებას წარმოადგენს. რომ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ადგი-ლი ჰქონდა – ისე, როგორც ყველა სხვა ქვეყნებში – გარკვე-ულს ფეოდალურს – პროგრესულსა და ბურჟუაზიულს მოძ-რაობას, რომ ქართველი ნაროდნიკები არ იყვნენ რეაქციონე-რები, არამედ ისეთსავე იდეებს ქადაგებდნენ, როგორც საყო-ველთაოდ ცნობილი დიდი რევოლუციონერები – რუსი ნა-როდნიკები – ამას ადასტურებს ჩვენი დროის ბევრი ისტორი-ული დოკუმენტი.

ჩვენს მიერ მოტანილ ფაქტებს, „ცისკარს“ და მის თანამ-შრომლებს – მათი მოღვაწეობით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ უკვე „ცისკარში“ 60-იანი წლების დამდეგამდე საფუძვე-ლი ეყრდნობა სამ გარკვეულ იდეოლოგიურ მიმდინარეობას – ან უკეთ ჯგუფს, რომელთაც გასამართლებელი მიზეზები ჰქონდათ სოციალურ კლასებსა და საზოგადოებრივ ფენებ-ში.<sup>45</sup>

<sup>44</sup> პ. ქიქოძისა და დ. ბენაშვილის დასახელებული შრომა.

<sup>45</sup> პროფ. ს. ხუნდაძე, „გ. წერეთელი“.

განვიხილოთ ეს ჯგუფები და მათი ხვედრითი წონა „ცის-კარში“ და საერთოდ „ცისკრის“ პერიოდში.

**1. კონსერვატიულ-რეაქციონური მიმდინარეობა – ჯგუფი –** გამძაფრებული იცავდა ბატონყმობას და ენერგიულად ებრძოდა ახალი აზრების მიმდევართ. „ცისკარი“ ამ მიმდინარეობის საკუთრებას წარმოადგენდა და აკი იყენებდა კიდეც საკუთარი ინტერესების დასაცავად. ამ ჯგუფს მესვეურობდნენ: დ. ყიფანი, გრ. და ვახ. ორბელიანები, გიორგი ერისთავი და სხვები. ეს ჯგუფი სასტიკად ებრძოდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში და თავის სოც-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამით აშკარა რეაქციონური ხასიათისა იყო.

**2. თავად-აზნაურულ-ლიბერალური მიმდინარეობა –** ეს მიმდინარეობა მაღალი წრეების მცირე ნაწილის ლიბერალურ მისწრაფებებს გამოხატავდა, მათ კარგათ შეიგნეს ახალი ეკონომიკური ურთიერთობის აუცილებლობა. ამ ჯგუფის ლოზუნგათ იქცა სწავლა-განათლება, ვაჭრობა და მიწის ნაყოფიერების გამრავლება. ამ ჯგუფის ინიციატივით დაარსდა „ვაჭრობისა და მეურნეობის ორგანო“ – „გუთნის დედა“. ამ ჯგუფს მეთაურობდნენ კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ. მათ დროულად შეიგნეს ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა – ცხადია, ეს არ იყო გამოწვეული გლეხობის სიყვარულით და მათი ინტერესების დაცვის სურვილით, არამედ მაღალ წოდების ეს ნაწილი დარწმუნდა, რომ მემამულეთა ეკონომიკურ ინტერესების დასაცავად აუცილებელი იყო მონური შრომის თავისუფალ შრომით შეცვლა. ამ მიმდინარეობას არ დაუგმია მაღალი წოდების ინტერესები, არ ულალატია წოდების პრივილეგიურ მდგომარეობისათვის. მას სურდა მხოლოდ ის, რომ თავადთა წოდება როგორმე შეეგუებინა კაპიტალისტურ-ეკონომიკური ვითარებისათვის. აი – ეს მიმდინარეობა და მისი წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც პირველად გაუბედავათ – უხერხემლოდ დაილაპარაკეს ბატონყმო-

ბის ნინააღმდეგ „ცისკარში“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი მკვლევარი აბსოლუტურად უარყოფს ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობას „ცისკარში“ და საერთოდ 60-იან წლებში – ცხადია, დ. ჭონქაძის გამოკლებით. ჩვენის აზრით, ეს შეცდომაა. შეუძლებელია ბატონყმობის ნინააღმდეგ მებრძოლი ძალა აუცილებლად იმთავითვე სოციალისტურ-რევოლუციონურ მესვეურად მივიჩნიოთ, როგორც ზოგიერთები<sup>46</sup> ფიქრობენ. თუ კი ამ აზრს გავყვებით, ჩვენ აშკარად დავამახსინებთ ლენინის თეორიას რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების შესახებ და მათი ბრძოლის მეთოდების შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბურჟუაზია და გაბურჟუების გზაზე შემდგარი მემამულენი თავიანთი ეკონომიკური ინტერესების ზეგავლენით ბატონყმობის ნინააღმდეგ გამოდიოდნენ. ბატონყმობას ებრძოდა გლეხობაც, მაგრამ პირველთა და უკანასკნელთა მოთხოვნილება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა. ცხადია, ლიბერალებისა და ბურჟუაზიის ბატონყმობის ნინააღმდეგ გამოსვლა არ ნიშნავს არც მათს რევოლუციონურობას, არც მათ სოციალისტობას. აი რას სწერდა ლენინი ლიბერალების ბრძოლის შესახებ ბატონყმობის ნინააღმდეგ: «Либералы хотели «освободить» Россию «сверху», не разрушая ни монархии царя, ни землевладения и владении помещиков, побуждая их только к «уступкам» духу времени. Либералы были и остаются идеологами буржуазии, которое не может мириться с крепостничеством, но которое боится революции, боится движения масс, свободно свергнуть монархию и уничтожить помещиков». <sup>47</sup>

3. თავად-აზნაურული ლიბერალიზმის უფრო მარცხნით მოსჩანს, ლიბერალური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, უკეთ ბურჟუაზიული მიმდინარეობა. ეს მიმდინა-

<sup>46</sup> პ. ქიქოძე, დ. ბენაშვილი, „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში“. 1932 წ.

<sup>47</sup> В. И. Ленин, Избр. произведения, том 2, стр. 113.

რეობა ჩაისახა „საქართველოს მოამბე“-ში ხოლო სრული გა-  
მოხატულება „დროებაში“ ჰპოვა. ამ მიმდინარეობის შესახებ  
შემდეგ წერილში გვექნება საუბარი.

ამგვარად საგლეხო რეფორმებამდე ბატონყმობის საკით-  
ხმა გარკვეული, მეტად ყრუ – მაგრამ მაინც გამოძახილი  
ჰპოვა „ცისკარში“. ამ უბადრუკ კუდშეკვეცილ ლიბერალურ  
აზრსაც კი ვერ მოუთმინა „ცისკარმა“ და სასტიკი რისხვით  
დაატყდა თავს არა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ აშკა-  
რად მებრძოლ ჭონქაძეს, არამედ მოკრძალებით, „დიდი იმპე-  
რატორის“ კალთებქვეშიდან მოლაპარაკე მოლაყესაც. ცა-  
რიზმის სასტიკ ცენზურას ამ საჭირბოროტო საკითხში „ცის-  
კარმა“ უდაოდ დიდი დახმარება გაუწია, 1861-1864 წ.წ. ამ  
მეტად მდელვარებისა და მოლოდინის ჰერიოდში, როგორც  
ვნახეთ არც ერთი წერილი, გარდა მოლაყბის მცირე შენიშ-  
ვნისა, არ მოათავსა ბატონყმობის შესახებ.

საინტერესოა განვიხილოთ, როგორ ეხმაურებოდა „ცისკა-  
რი“ სხვა საზოგადოებრივ საკითხებს.

ჩვენ უკვე აღვინიშნეთ, რომ „ცისკრის“ პირველსავე ნომე-  
რებში აღიძრა საკითხი ქართული ენის შესახებ. ეს საკითხი  
1859-60 წლებში ხელახლა წამოიჭრა. „ცისკარში“ კრიტიკული  
წერილების წერა დაიწყო. ისევ აბობოქრდა „ცისკრის“ ირ-  
გვლივ შემოკრებილი დიდებულთა წრე. კრიტიკით აღშფოთე-  
ბულ კნ. ბარბარე ჯორჯაძეს მოწინებით სწერდა რედაქტორი  
ივ. კერესელიძე „ნუ ერიდებით გარკვევას, რომელიც შემოვი-  
ტანეთ ჩვენს უურნალში, – ყვედრებას როგორც უწოდებთ  
თქვენ. ჭეშმარიტი ნიჭი თავის გზაზედ მივალს. ნათქვამია  
ქართულად: სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო.  
მოგეხსენებათ, რომ გარკვევა არის პატივი ლიტერატურის  
სწულისათვისო“.<sup>48</sup>

ენის საკითხი ახლად ფეხადგმული პრესისა და მწერლო-  
ბისათვის უდაოდ დიდი საკითხი იყო. ამ საკითხის გარკვევაში

<sup>48</sup> „ცისკარი“, 1959 წ. №12.

თითქმის „ცისკრის“ ყველა მონინავე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. ლ. არდაზიანმა თავის წერილში ის აზრი გაატარა, რომ ქართული პოეზია პროზაზე უფრო განვითარებულია და ეს იმიტომ, რომ ლექსებს საერო ენით სწერენ, ხოლო პროზას საღმთო წერილის ენითო, მაგრამ არდაზიანი ვერ აღმოჩნდა ბოლომდე თანმიმდევარი. საეკლესიო ენა თან მძიმედ მიაჩნდა, თანაც აღტაცებას გამოსთქვავდა „საღმთო წერილის“ მშვენიერის, დაწმენდილის და ნასახვლის ენით გადმოდებით. არდაზიანს გამოეხმაურა ბერძენოვი, რომელიც თეოლოგიურ აზრებს ანვითარებდა. ის წერდა: „საღმთო წერილის გადმოლებაში სწარმოებდა არა კაცობრივი სწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მადლი, რომელიცა შეიქმს არა რაისა-გან და გამოცხადდების საკვირველებათა მიერ...“.

ენის განვითარების საქმისათვის, ბერძენოვი, კანონებს, ამა თუ იმ ფორმებს გამოთქმისას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა და ყოველივე ამას ღვთის ინაბარას აგდებდა.

ცხადია, ბერძენოვის აზრებით ვერ დაკმაყოფილდებოდა უურნალი. კიდევ გაისმა ხმა ერთგვარ ენის შემოლების შესახებ, კამათში ჩაერიენ ალ. ორბელიანი, დ. ბაქრაძე და სხვები, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე ვერ მივიდენ, რომ გარკვეული ენა შემოელოთ უურნალში, აშკარა მოუმზადებლობა გამოიჩინა „ცისკარმა“ და მისმა თანამშრომლებმა ამ საკითხში. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ დ. ბაქრაძემ, რომელსაც მეცნიერისტობისად იცნობდა საზოგადოება, სრულიად უარჟყო გრამატიკა და მოუწოდებდა დაკვირვებოდნენ, პირველად ყოვლისა, ცხოველ საზოგადო დარბასისლურ ენას და მასთან ეკითხათ ის მნერლები, რომლებიც შეიცავდნენ უკეთეს საზოგადო საუბარს. ასე გაურკვევლად მოთავდა ერთხანს კამათი ენის შესახებ. უურნალი ისევ ძველი საეკლესიო ენით განაგრძობდა წერას. ამ საკითხის გადაწყვეტაში „ცისკარმა“ და მისმა თანამშრომლებმა სრული უსუსურობა გამოიჩინეს. მეტად უხერხემლო და გაუბედავი იყო „ცისკარი“ და მისი რე-

დაქცია, იმ დროის ბობოლათა – მსხვილ თავადთა, უბრალო წარბის შეჭმულენა „ცისკრის“ რედაქციას ძილს უფრთხობდა, საბოდიშოთ ამზადებდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, დღიდან „ცისკრის“ დაარსებისა, ქართული საზოგადოებრივი აზრი შესამჩნევად მომწიფდა. ცხადია, ეს არ იყო მხოლოდ უურნალის არსებობით გამოწვეული, აზრის მოძრაობის მთავარი მიზეზი დრო და გარემოება იყო – მიუხედავათ „ცისკრის“ უხერხემლობისა – მასაც ქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

გარდა ბატონყმობის საკითხისა, რომელსაც „ცისკარმა“ ვერ გასცა ეპოქისათვის შესაფერისი პასუხი – ბევრი რამ იყო სათქმელი, – მაგრამ „ცისკარი“ აქაც შიშობდა, ახალი სიოს მოახლოვება ძილს უფრთხობდა, ყოველ ღონეს ხმარობდა კარებების ჩასაქოლად, ყველა ძალებს რაზმავდა ყოველგვარი სიახლის ძირშივე ჩასაკლავად. ასეთ საშუალებებს მიმართა „ცისკარმა“ ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა წინააღმდეგ.

ამ პერიოდში ქართველი ახალგაზრდობის საკმაო რაოდენობა სწავლობდა რუსეთში, მათ შორის ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები.

ეს ახალგაზრდობა გაფაციიცებით ადევნებდა თვალყურს ერთადერთ ქართულ უურნალს, მაგრამ ბელინსკის დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის და სხვათა იდეებზე აღზრდილ ახალგაზრდობას ვერ აკმაყოფილებდა „ცისკარი“, რომელიც სქლალასტიზმის წუმპეში იხრჩვებოდა, რომელიც მოკლებული იყო ყოველდღიურობის დანახვის უნარს, არ ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე და ერთადერთ სატრიიალო საგნად თვითმმაყრობელობის ტახტი და წარსული დიდება გაეხადა. თავადაზნაურობის უკვე დრომოქმულ ბატონობის სამსახურში „ცისკარი“ ძველი გამოფიტული თაობის თბილ ოჯახად იყო გადაქცეული და გაფაციიცებით ყნოსავდა, რათა სიახლის სუნი არ შეპაროდა უურნალის ფურცლებზე. მაგრამ დროება თავისას მოითხოვს. ახალ იდეებზე აღზრდილი თაობა ვერ შე-

ეგუა „ცისკარში“ გაბატონებული ძველი თაობის იდეალებს, დღომოქმულად მიიჩნია ის და საბრძოლველად გაემზადა. აღ-სანიშნავია ის გარემოება, რომ ახალსა და ძველს თაობას შორის ბრძოლა, რომელიც რუსეთში „მამებისა“ და „შვილების“, მეტად სახელმოვანი ბრძოლის სახელწოდებით არის ცნობილი, ჩვენში პირველად ლიტერატურულ-ენობრივ ნიადაგზე გამომ-ულავნდა. ერთმანეთს ენა დაუწუნეს, მაგრამ ამ ბრძოლას იმ თავითვე ღრმა სოციალ-ეკონომიკური და იდეოლოგიური სარ-ჩული ედო. მართლაც, სულ მალე გაიშალა იდეური ბრძოლა, რომელმაც ნათელყო უფსკრული ძველსა და ახალ მსოფ-ლმხედველობას შორის.

ამ პერიოდში ჩვენში „ცისკარი“ ერთადერთი პერიოდული ორგანო იყო<sup>49</sup> და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობა სრულიად არ იზიარებდა „ცისკრის“ იდეალებს, ძალაუნებუ-რად აქეთკენ გაეშურა. ახალთაობას „ცისკარმა“ უარი ვერ უთხრა, თუმცა – უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ წერილებს უურ-ნალი იქვე პასუხსაც აძლევდა, ცხარედ ეკამათებოდა. ამ გა-რემობამ უურნალში ორი გარკვეული, ერთი მეორისადმი დი-ამეტრალურად სანინაალმდეგო მიმართულება გამოამჟღავნა. 1861 და 1862 წწ. ეს მონინაალმდეგენი დიდი ჩხუბით ერთს ორგანოში თავსდებოდენ, ხოლო 1863 წლიდან განცალკევდენ და ბრძოლაც უფრო მკაფიოდ გაიშალა.

მაში, თაობათა ბრძოლის დასაწყისი, როგორც აღვნიშნეთ, თითქოს ილიას წერილი შეიქნა. 1861 წლის „ცისკრის“ აპრი-ლის ნომერში დაიბეჭდა ილიას წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ილიამ თავის წერილში პირველად ყოვლისა გააკრიტიკა თვით კოზლოვის პოეზია და მისი „შეშლილი“, კოზლოვის პო-ეზია ცრუ კლასიკურ ლიტერატურის გავლენის შედეგათ აღი-

<sup>49</sup> „გუთნის დედა“ „ცისკრის“ ერთგვარ დამატებას წარმოადგენდა 1861-76 წწ.

არა და მაშასადამე, უსარგებლოდ გამოაცხადა მისი ქართულად თარგმნა; მეორე – სასტიკად გააკრიტიკა თარგმანის ენა და მიუთითა რედაქციას, რომ ამგვარი ნაწარმოები ჟურნალში არ უნდა იბეჭდებოდეს. ილია სწერდა: „იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღზდება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილება, თუ ამას ფიქრობენ, მაში ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცოორილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მომდევარი იმის-თვის უყურებს, რომ ვინიცობაა წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო ინება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამაპაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, – ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის, თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებ-სავით შევზდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავ-ზდგამთ“.

ილია „შეშლილის“ თარგმანს ენას უწუნებს, რედაქციას უსაყვედურებს ამგვარი ნაწარმოების თარგმნას. „ახალი პროზაიკები და მოლექსები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს – სწერს ილია, – პუშკინისა არ იყოს, ამათი ცოდვები ისე მალე დაივიწყოს, როგორც იმათი ლექსები დაბეჭვდის უმალვე დაივიწყებიან ხოლმე. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ახალ რითმების მორაზუნებლებს არავის ისეთი ენა არ ჰქონია, როგორც თავად ერისთავს აქვს“.

წერილის ბოლოში ილია დასქნდა „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა რა ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის. საზოგადო სა-

კუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“-ო. ამასთანავე, ილიამ წერილის დასაწყისშივე უარყო ძველი ანბანის: ც, ე, წ, ჰ, შ ხმარება. ეს ასოები სრულიად არ იხმარა სტატიაში. ხოლო წერილში გაიღავს კაცი ამ ასოების ხმარების წინააღმდეგ.

ილიას წერილი დღევანდელის თვალსაზრისით, თითქოს არაფერს ახალს არ წარმოადგენს, მაგრამ მაშინ ამ წერილმა ყალყზე დააყენა „ცისკარი“ და მთელი ქართველი მწერლობა. „ცისკრის“ შემდეგსავე ნომერში სამი წერილი დაიბეჭდა ჭავჭავაძის წინააღმდეგ, გ. ბარათაშვილის, რ. ერისთავისა და ბ. ჯორჯაძის. ამ წერილებს შორის მეტად საინტერესოა ბ. ჯორჯაძის წერილი. ეს მწერალი ქალი ტიპიური წარმომადგენელი იყო ძველი ქართული მწიგნობრობისა, აღზრდილი ანტონ კათალიკოსის „კატილორიებზე“ და საუკეთესო მცოდნე საღვთისმეტყველო მწერლობისა. სამთავე მოკამათემ და, განსაკუთრებით ბ. ჯორჯაძემ ნათლად მოხაზეს 60-იანი წლების საქართველოს ცხოვრების ორი მხარე – ერთი, რომელიც წარსულში იყურებოდა, მეორე კი, რომელსაც მომავლისაკენ ეჭირა თვალი.

მოკამათენი უსუსურნი აღმოჩნდნენ, ვერ შესძლეს და არც შეეძლოთ ილიას მიერ წამოყენებული დებულებების დარღვევა, ახალი ცხოვრება ახალ ენას, ახალ აზრსა და ახალს იდეალებს მოითხოვდა – ამის წინააღმდეგ გაღლაშქრება შეუძლებელი იყო. აკი ამიტომაც უნიადაგო ოხუნჯობას მიმართეს მოკამათეებმა. ბარათაშვილი თავის საპასუხო წერილში სწერდა: „გავაღე განჯინა, უჲ რა საზარელი ნოტიოს სუნი მეცა! მაგრამ შევძელ როგორც იყო და ამოვალაგე დაობებული ცისკრები. მრავალი მათგანი იყო შექმული თაგვებისაგან და აირა საკვირველება! შემდეგ სამი დღისა, რომელიც მოუნდა ცისკრების გამრობას, ვნახე, რომ არც თუ ერთი ლექსი უფრო ილია ჭავჭავაძისა არ იყო თაგვებისაგან კბილ ნახლები. ალ ჭავჭავაძისა, ნიკ. ბარათაშვილისა და სხვათა მწერალთა სჩან-

და მხოლოდ გვარი და დაწყება ლექსებისა; დანაშთენი იყო მთლად დახრული. დიდად გავკვირდი ესრეთის სანახაობით. ვიფიქრე: თაგვები მუზიკის დიდი პატივისმცემლები არიან და ეტყობა, რომ უფ. ჭავჭავაძის ლექსები უნდა იყვნენ, უეჭველათ, სხვა ღირსებათა გარდა, დიდი კეთილ ხმოვანნი<sup>50</sup>.

ბ. ჯორჯაძემაც შემოიკრიბა ძალღონე და მთელის თავისი ცოდნითა და ენამახვილობით შეეცადა ილიას გაარარავებას. აი რას სწერდა ჯორჯაძე: „ვსთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელ გონებას, მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა რა მნიშვნელობა აქვს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი – ხომ იცის რომ ჩუენ „ცისკრის“ მკითხუელები, უფრო მეტნი ეგულვებიან სოფლებში, სადაც ესტეტიკური, იქნება საჭმელათაც მივიღოთ. განა ყველა მაგასავით განათლებული ვართ. მაშ თვითონ რაღათ დაიცინება, „ცისკარში“ შეგვხვედრია გარმონიული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითო...“ და სხვ.

ასეთი ახმაურების მიზეზი უდაოთ ის გარემოება იყო, რომ ძველმა თაობამ შეგნებულათ თუ შეუგნებლად ილიას სახით იგრძნო დიდი ცვლილებების მოახლოვება, რომლებიც უნდა მომხდარიყო, – ან უკვე ხდებოდა, – ქართულს აზროვნებაში. ძველ საქართველოს ნარმომადგენლებმა დაინახეს, რომ დადგა განკითხვის დრო და ერთსულოვნად დაირაზმენ არსებობისა და პატონობის შესანარჩუნებლად. მათ აშინებდა ახალი სიტყვების შემოტანა. არ ესმოდათ ეს სიტყვები, არ ესმოდათ, რომ ახალ აზროვნებას გამოთქმის ახალი ფორმა სჭიროდა. აღსანიშნავია, რომ თავისუფლად ხმარობდნენ რუსულ სიტყვებს ქართულ მწერლობაში და ეს ენის „გადამახინჯებათ“ არ მიაჩნდათ.

ილიას წინააღმდეგ ბრძოლა ამ სამი წერილით არ შეწყვეტილა.

<sup>50</sup> „ცისკარი“, 1861 წ. №6.

ილიამ უპასუხა კრიტიკოსებს, კერესელიძემ დაუბეჭდა პასუხი, მაგრამ პასუხი ააჭრელა რედაქციის შენიშვნებით. ილიამ თავის საპასუხო წერილს საყურადღებო ეპიგრაფი გაუკეთა ბელინსკის ნაწერებიდან. ეპიგრაფი ამგვარია:

„ჩვენი ლიტერატურა საცეკვაო დარბაზად უნდა გადააკეთონ და უკვე ქალებსაც ეპატიუებიან. ჩვენი ლიტერატორები ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილ მოდის კაცებად უნდა აქციონ. ენერგია სურთ შესცვალონ ზრდილობით, გრძნობა – მონიშებით (priulichiem), აზრის მოდის ფრაზებით, მოხდენილობა გადამეტებული პრანჭიობით და კრიტიკა კომპლიმენტებით.“.

მეტად დამახასიათებელია რედაქციის შენიშვნები ილიას წერილზე. ილიას წერილის ეპიგრაფის გამო რედაქცია შენიშნავს: „ეს ეპიგრაფი აქ უადგილოა. ეს მიეწერება იმ დროს, როდესაც ბელინსკისაგან მოხსენიებული ნაკლულევანებები ზოგიერთის ევროპის საზოგადოების ზნეობაში იყვნენ და იმ ზნეობითგან შემოვიდნენ მათ სიტყვიერებაში: პირველი მაგალითი უჩვენა ფრანგიამა, რომელსაც ჰპაძვიდა თვით რუსეთიც. ქართული სიტყვიერება ჯერეთ არ დაფუძნებულა, ჯერეთ არარა „მიმართულება“ მას არ მიუღია. მაშასადამე თუ ჩვენის საზოგადოების ზნეობაში ის ნაკლულევანებანი არიან შემოტანილნი იმათ ჯერ ლიტერატურას ვერ მივაწერთ. მართალია მარმონტელიც იყო დაბეჯდილი, კაზლოვიცა და სხვანიცა, მაგრამ იმათ გავლენა არავისზედა ჰქონიათ და არც ერთი „ცისკრის“ თანამშრომელი იმათ არ ჰპაძავს...“.

მეორე ადგილას რედაქცია ასეთ შენიშვნას უკეთებს: „აბავნახოთ რას იტყვის ჩვენი ამაყი კრიტიკი! სჩანს მარტო ლიტერატურას არ მისდევს; ბუნების თვისებებზედაც ჰყვარებია დაფიქრება და საუბარი“.

„ძალიან სასტიკად ანბობთ კნ. ბარბარე ჯორჯაძის უმეცებასა და თქვენ თითონ არა გცოდნიათ, რა არის ხელოვნე-

ბა“. ასეთი შენიშვნებით, ვიტყოდით, უადგილო შენიშვნებით არის აჭრელებული ილია ჭავჭავაძის წერილები.

ილია დიდს კმაყოფილებას გამოსთქვავს, რომ მისმა წერილმა ასეთი გამოხმაურება ჰპოვა და ისეთ ხალხსაც კი ააღებინა ხელში კალამი, რომელთაც თავის დღეში კალმოსნობაზე არ უფიქრია. განსაკუთრებით ბ. ჯორჯაძეს შეეხო და სასტიკათ გააკრიტიკა „ცრუხელოვნება“ და რითმებით მორახუნე პოეტები. ცხადია, ამას ვერ აპატიებდნენ ილიას და შურის საძიებლად დაესივნენ მის ლექსებს და ძიგნა დაუწყეს. მეტად დამახასიათებელია ამ დროინდელი კრიტიკის ნიმუშები.

გ. ბარათაშვილმა სცადა ილიას ცნობილი ლექსის „მამულო საყვარელო...“ გაკრიტიკება. იგი სწერს „გაზაფხულში პოეტი გულით ნატრობს საყვარელი მამულის აყვავებას. წეტავი დაანახვა ეხლა საქართველო, როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს....“, ხოლო ბ. ჯორჯაძემ სასაცილოდ აიგდო ილიას ლექსი - „მისი ლექსი სუბუქ ფრთითა ხან მეჯლისში შეჰვრინდება“ და სხვა. ილიას წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა იმდენად სუსტი და საცოდავი იყო, რომ ილია უბრალო ოხუნჯობით უმასპინძლდებოდა კრიტიკოსებს, ბარათაშვილს მოკრივეს ადარებდა, რომელსაც ერთი ხელი მოკლე აქვს და ერთი გრძელი, ისიც მარცხენა; გრძელის ხელით მტერსა სცემს და მეორე მოკლე ხელით თავის თავსო. ხოლო ჯორჯაძეს უწერდა, რომ ეგ სიტყვები სუსტ არსებებისათვის ძალიან ძნელი მოსანელებელია. იმდენად სუსტი და უბადრუკი იყო ილიას წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა, რომ ის იძულებული ხდებოდა ხშირად ამგვარი ოხუნჯობით გაეცა პასუხი.

კრიტიკოსებმა ილიას ერთ სუსტ ადგილს მოჰკიდეს ხელი. ილია დიდ ფასს არ აძლევდა ჩახრუხაძის პოეზიას და თავის „კრიტიკაში“ გამოსთქვა შემდეგი მოსაზრება: „აი, მაგალითად, ჩვენში, ქართველებში დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არ

ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხოვნის ოდენაა, ზედშესრულით დაინტება და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაივაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგამს დავარდნილ ცხენსავით მისი ოცმარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსები!... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახარუხისა...“.<sup>51</sup>

უდაო, რომ ილია აქ შეცდა, მეტად აჩქარებული აზრი გამოსთქვა ძველი მწერლობის შესახებ და კრიტიკოსებიც ხომ ხელმოსაკიდს ეძებდნენ. აღსანიშნავია, რომ ილია მაინც არ დაიბა, როგორც მისი იმავე პერიოდის ნაწერებიდან სჩანს ილია ძველს მწერლობას ჯეროვნად აფასებდა. მაგ. ერთ ადგილას<sup>52</sup> იგი სწერს: „ნურავინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოსისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ დროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ დროის კანონებით მოვინდომოთ ძალიან შევცდებით“.

აქედან უკვე ნათელი ხდება ილიას შეცდომა ჩახრუხაძის დაფასებაში. უდაოა, რომ ილიას ბრძოლა „ცისკრისა“ და მის თანამშრომელთა წინააღმდეგ იყო „ახლის“ ბრძოლა „ძველის“ მიმართ. ცხადია, ახლები ცდილობდნენ ძველი გავლენისაგან განთავისუფლებას და ამ გაჩაღებული ბრძოლის დროს ილიამ ვერ შესძლო ძველის ჯეროვანი შესწავლა-გარჩევა და ჩახრუხაძის პოეზიაც უმნიშვნელო ნაწარმოებთა რიცხვში მოაქცია.

ილია ჭავჭავაძის წერილებმა უაღრესად აღაშფოთა იმ დროის თავადაზნაურული ინტელიგენცია. ყველა გულნატკენი, ილიას წერილებით, ერთს ბანაკში მოექცნენ, გააჩაღეს ბრძოლა – პროტესტები ჭავჭავაძისა და ახალთაობის წინააღმდეგ. მოვიტანოთ ერთი მეტად ტიპიური მომენტი ასეთი

<sup>51</sup> „ცისკარი“, 1861 წ. №4.

<sup>52</sup> „ცისკარი“, 1861 წ. №6.

პროტესტებისა: სარდიონ ალექსიევ-მესხიევმა, იმდროინდელის გაგებით ქართული ენის ამ დიდმა მცოდნემ „ცისკარში“<sup>53</sup> მოათავსა „უსტარი ანტიკრიტიკული“. აი რას სწერდა ის ამ უსტარში: „წრფელით გულით მოგახსენებ, თავადო ილია, როგორც გვამსა ასე გულნრფელად მოასუბრე საანჯაზმოდ, რომ გულმტკივნეულად წავიკითხე მე ქართველმა, ამგვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა“.

იმერეთიდანაც გაისმა პროტესტის ხმა. ზემოურ იმერელმა – ეფთიმე წერეთელმა<sup>54</sup> მოათავსა ილიას სანინაალმდეგო წერილი, ესარჩელებოდა ბარბარე ჯორჯაძეს, კილავდა და აგინებდა ილიას და ახალგაზრდობას. სხვათაშორის ეფთიმე წერეთელი სწერდა: „ჰო, ღმერთო, რა მესმის! ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ ნიჭიერს სიტყვაობას სწუნობდეს და რას სახელდობ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკრისტიზულებას და მის იამბიკოებას...“.

ყველა ამის შემდეგ ილიას „ცისკარში“ წერის ნება აღარ მისცეს, თუმცა რედაქტორი აცხადებდა,<sup>55</sup> რომ ჭავჭავაძის წერილი „ანტიკრიტიკული უსტარის“ პასუხად მალე დაიბეჭდებაო. ილია განდევნა „ცისკარმა“, მაგრამ ახალგაზრდობას მაინც მთლად ვერ ჩაუქოლა „ცისკრის“ კარები. დროგამოშვებით რედაქცია „თერგდალეულების“ წერილებს უშვებდა. თერგდალეულები განაგრძობდნენ ილიას დაწყებულს საქმეს, რამდენადაც ამის ნებას აძლევდა „ცისკარი“, მაგრამ 1862 წლის ბოლოს გარემოება შეიცვალა, თვითონ „ცისკარმა“ დაბეჭდა განცხადება: „მომავალ 1863 წელს იანვრის თვიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული უურნალი „საქართველოს მოამბე“. განცხადება მეორე ქართული უურნალის დაარ-

<sup>53</sup> „ცისკარი“, 1861 წ. №6.

<sup>54</sup> გიორგი წერეთლის მამა. „ცისკარი“, 1862 წ. №2.

<sup>55</sup> „ცისკარი“, 1861 წ. №9-10.

სების შესახებ უდაოდ დიდი მოვლენა იყო იმ დროისათვის, მით უმეტესად, რომ ახალი ჟურნალი ახალი თაობის ინტელი-გენციის თაოსნობით არსდებოდა და უდაოდ კარგს მომავალს პირდებოდა საზოგადოებას.

„მოამბის“ შესახებ შემდეგ წერილში.

ლ. ც.

21 ბერთ 1863 ივნისის, 21 უნის 1863 ივნის  
20 21 იანვარის...<sup>2</sup>

435-ი მო შედგე ის კონფედერაცია = ტენის  
~~მა~~ ხელი სისხლ მიწა, ამ დღე ჩემი უძველესი  
უწევებები / უკავშირი 1861 წ 9-10 /. ჩემ გვერდის  
ტენის ასტანის უზრუნველყოფა = დასახლ  
და განვითარება. ის კი გამოიყენეთ კასტომი.  
გვერდ ასაგინობრივ გადა გავი გრძელ რეკ-  
ფეს „უზრუნველყოფა = ტენის უზრუნველყოფა =  
ასტანის უზრუნველყოფა = ის კი განვითარება  
1862 წ, სამოხარის მო ტენის ასტანის უზრუნველყოფა =  
„უზრუნველყოფა = ტენის 1862 წ მო ტენის უზრუნ-  
ველყოფა = ასაგინობრივ უზრუნველყოფა = კასტომი  
გამოიყენეთ: „მაგრა 1863 წ. ის კი აკად  
გამოიყენეთ გვიატა ის კი უზრუნველყოფა =  
„უზრუნველყოფა = ტენის“ გამოიყენეთ ტენის  
უზრუნველყოფა = კასტომი ზ 106 წ უსახ  
ერთ მოვლენა უზრუნველყო, თა უზრუნველყო  
ჩემ ის კი უზრუნველყო უზრუნველყო  
უზრუნველყო უზრუნველყო უზრუნველყო  
უზრუნველყო უზრუნველყო უზრუნველყო.

/ მომა ზ 106 წ უზრუნველყო /

**60-იან წლების ქართველი ინტელიგენცია  
და ურნალი „საქართველოს მოამბე“**

**1863 წელი**

(ნაწილი III)

60-იანი წელის უნავითი იმპროვიზაცია და ყველა —

" საქართველოს მოაბეჭიდვების შესახებ " / 1868 ტ.

გ-192. საქართველოს გ-60 ტეტ იმპროვიზაცია და ყველა —  
მან აუ გამოხატა სიმღერების დასახურის უკანი სტატუსის  
ფრაგმენტების განვითარების, სამოქალაქო არქიტექტურის 19 სა-  
უნავითი მოდელის გ-192. იმპროვიზაცია და ყველა გ-192. გ-192 მო-  
დელის აუდიტორის ციფრულ განვითარება და სამო-  
ქალაქო სტატუსის განვითარება და მოდელის განვითარება და მო-  
დელის განვითარება. აუ იმპროვიზაცია და ყველა გ-192 მო-  
დელის განვითარება, რომელი განვითარება, რომელი განვითა-  
რება და ყველა განვითარება, რომელი განვითარება და ყველა  
მოდელის განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება — და ყველა განვითარება და ყველა  
მოდელის განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-  
რება და ყველა განვითარება და ყველა განვითარება და ყველა განვითა-

სურათი №7. 60-იან წლების ქართველი ინტელიგენცია და უურნალი  
„საქართველოს მოაბეჭიდვები”, ლუკა ციხისთავის ხელნაწერი, 1937 წ.,  
წყარო: ლუკა ციხისთავის სამფლავო არქივი.

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში მე-60 წლები დღი ისტორიული ძვრებითა და შემობრუნებით აღინიშნება. ეკონომიკაში ადგილი აქვს ნატურალურ მეურნეობის მწვავე კრიზისს, რომელიც ჩვენს ისტორიაში უკვე შესამჩნევი ხდება მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლების შემდეგ. მესამოცე წლებიდან თვალსაჩინო ხდება კაპიტალიზმის განვითარება და ახალი საზოგადოებრივ კლასების, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წარმოშობა-ზრდის პროცესი. ამ ნიადაგზე სწარმოებს სოციალურს ურთიერთობაში გამწვავებული ჭიდილი, ირლვევა ძველი წოდებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივს ასპარეზზე თანდათან ჩნდება ახალი სოციალური ფენა, ნაცვლად მანამდე აბსოლუტურად გაბატონებულ მაღალ-წოდებისა – თავადაზნაურობისა. ცვლილებებს ეკონომიურსა და სოციალურს ურთიერთობაში თან სდევს ცვლილებები იდეოლოგიაში. შინაურ ეკონომიურ განვითარების, რუსეთისა და ევროპის პროგრესიულ დემოკრატიული და რევოლუციონური აზროვნების გავლენით 60-იან წლების ქართველ ინტელიგენციაში იწყება დიფერენციაცია, ირლვევა, ითიშება თავადაზნაურულ-კონსერვატიული ოჯახი. საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებათა ნიადაგზე ჩამოყალიბებას იწყებს სრულიად ახალი მიმდინარეობანი ახალი იდეოლოგითა და ზრახვებით.

ასეთი გარდატეხისა და დუღილის პერიოდში, – პერიოდში, როდესაც ძველი ბატონიშვილი სოციალური ურთიერთობა, უკანასკლნელ, უკვე დასამარცხებლად განწირულს ბრძოლას აწარმოებს, მის სამოშივე წარმოშობილს და მომწიფებულს კაპიტალიზმის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ, – ახალ მოთხოვნილებათა საფუძვლებზე მდგომი ახალგაზრდა ქართველი ინტელი-

გენცია იწყებს ბრძოლასა და მუშაობას ახალი ცხოვრებისათვის, იპრძვის გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობის დასამსხვრევად, ახლის ასაშენებლად. ახალგაზრდობის ეს ბრძოლა მე-60 წლების დასაწყისში ყველაზე უწინ და ყველაზე უკეთ აისახა ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ რომელსაც რედაქტორობდა ილია ჭავჭავაძე.

„საქართველოს მოამბეში“ წარმოებული ბრძოლის, მის ორგვლივ შეკრებილ ქართველ ახალგაზრდობის შეხედულებათა ნათელსაყოფად, მესამოციანთა ამ უაღრესად მებრძოლ პროგრესიულ წრის დასახასიათებლად ვფიქრობთ, საჭიროა გაკვრით მაინც შევეხოთ საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებას საქართველოში თვითმკეყობელობის დამკვიდრებიდან მე-19-ს. მე-60 წლებამდე.

1801 წ. მეფის რუსეთი შემოიჭრა საქართველოსა და ამ/კავკასიაში გარკვეული კოლონიალური პროგრამით. თვითმკეყობელობამ ფეხის შემოდგმისთანავე საქართველოში გააუქმა ადგილობრივი მმართველობა და რუსული მმართველობის განმტკიცებას შეუდგა.

თუ გვინდა გავიგოთ ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ხასიათი, „საქართველოს მოამბე“-ს სოციალპოლიტიკური მოტივები და ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძის უახლოეს მონაწილეობით და მეთაურობით დაწყებული წაცილენი საცილეო სამართველობის განმათავისუფლებელ მოძრაობის მთავარი მოტივები, აუცილებელია გავარკვით მაშინდელი ეპოქის შინაარსი, მისი ეკონომიკური სტრუქტურა, საწარმოო ძალთა განვითარების დონე, სოციალურ ფენათა ურთიერთობანი და ის იდეოლოგიური ბრძოლა, რომელსაც ენერგიულად აწარმოებდა მაშინდელი ახალთაობის ინტელიგენცია, ილიას მეთაურობით, დახავსებულ კონსერვატიულ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; მასთან ერთად აუცილებელია, გაკვრით მაინც გათვალისწინება იმ ისტორი-

ული განვითარებისა, რომელიც ნიადაგს უმზადებდა როგორც ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობის გაშლა-გამწვავებას, ისე ბატონიშვილ ურთიერთობის კრიზისსა და ლიკვიდაციას.

## I

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მეფის რუსეთის თვით-მპყრობელობა შემოიჭრა საქართველოსა და ამ/კავკასიაში გარ-კვეული კოლონიალური ზრახვებით. მართალია ალექსანდრე პირველის „შეერთების მანიფესტი“ განზრახ მალავდა თვით-მპყრობელობის ფეოდალურ-იმპერიალისტურ პოლიტიკას, მაგ-რამ ცარიზმის ბიუროკრატიულმა აპარატმა, მისთვის ჩვეულ, ტლანქი მოქმედებით მალე გამოააშკარავა, ე.წ. „საღმთო ვალ-ში“ დამალული კოლონიზატორული ზრახვები.

თვითმპყრობელობამ საქართველოში ფეხის შემოდგმისთა-ნავე დაანგრია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფორ-მები, მოსპონ საუკუნოებით შემუშავებული წესწყობილება და დაამყარა ახალი რეჟიმი, რომელიც ქართველი ხალხის არც ზნეს, არც ჩვეულებას არ შეესაბამებოდა. ძალმომრეობაზე, ხიშტზე დამყარებული კოლონიზატორები იმთავითვე შეუდგნენ ქართველი ხალხის მიერ საუკუნოების მანძილზე შექმნილი კულტურის განადგურებას და დაპყრობილი ხალხის გარუსებას.

თვითმპყრობელობის ცნობილი სატრაპი, საქართველოს მთავარმართებელი, პ. ციციანოვი, რომელიც ცეცხლითა და მახვილით იპყრობდა ამ/კავკასიის და საქართველოს სამთავრო-სახანოებს, ლეკთა ბატონიშვილს ალისკანტეს სწერდა: „ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია ბრძანებაც იმას შეჰვერის, ხოლო სუს-ტის საქმე მორჩილებაა, ლერწმის წესია იზნიქებოდეს, ხოლო

ასი წლის მუხა ჰებედავს, რომე ერთი ფოთოლიც არ მოაკლდება რაც უნდა ქარტეხილი ეკვეთებოდეს“.<sup>56</sup>

ციციანოვმა გააშიშვლა ჭეშმარიტება. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მეფის რუსეთის მთავრობის მოღვაწეობა საქართველოსა და ამ/კავკასიაში, გამოისახა ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებით. ამ უხეშმა, დამპყრობელმა ძალამ უცერემონით დაიწყო განადგურება ყოველივე იმისა, რაც ხალხს სიკეთედ მიაჩნდა, უსამართლობა, ცემა-ტყეპა, მექრთამეობა, განზრას დავი-დარაბის ატეხა, უზნეობა-გარყვნილება და სხვა სისაძაგლე – აი ის, რაც ცარიზმის მოხელეებმა მოსვლისთანავე შემოიტანეს ჩვენში.

ტყუილად კი არ ჩიოდნენ ბოდბისხეველი და პრასიანელი (ქიზიყი) გლეხები თვითმპყრობელობის დამკვიდრების თორმეტი წლის თავზე: „რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგ გვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა უამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო“.<sup>57</sup>

მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ქართველი ხალხი შეხვდა დაუსარულებელ და მასიურ აჯანყებებით. აჯანყებებში, პირველ ხანებში მაინც, იყო შერევა სხვადასხვა ინტერესებისა. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრდა პოლიტიკურ მმართველობის სადავეს მოცილებული თავადაზნაურობა, მოხელეთა უხეშობითა და ბიუროკრატიული რეჟიმით შევიწროებული გლეხობა, მაგრამ თვითმპყრობელობის პოლიტიკამ მაღალი წოდების მიმართ ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მალე შეურიგა დამპყრობელ ძალას, თუმცა იაფად არ დაუჯდათ კოლონიზატორებს ფეოდალურ თავადობის მოთვინიერება. მეფის რუსეთის ხელისუფლებას მრავალი ღონისძიებები და დიდი დრო დასჭირდა საქართველოს და ამ/კავკასიის საბოლოოდ და-

<sup>56</sup> A.K.A.K. ტ. II გვ. 441.

<sup>57</sup> A.K.A.K. ტ. V.

საპყრობად, მათი ბატონობის პირველი 50-60 წელი უაღრესად მდელვარე, მუდმივი ომებისა, სისხლის ღვრის და სამოქალაქო სარბილზე მუდმივ ცვლილებათა წლები იყო.

მეცხრამეტე საუკუნის პირველნახევრის, საქართველოსა და ამ/კავკასიაში თვითმმსყრობელობის პოლიტიკას თვით მეფის დიდი მოხელე ბარონ კორფი შემდეგნაირად ახასიათებდა: „იმ-პერატორ ნიკოლოზ პირველის მეფობის დროს ჩვენ განუწყვეტილ ლაშქრობაში ვიყავით კავკასიაში და, მიუხედავად ამისა, რომ ჩვენი ჯარი დიდ გმირობასა და სიმტკიცეს იჩენდა ხოლმე, ჩვენი ლაშქრობა საბოლოო გამარჯვებით არ დაგვირგვინებულა. ვლაშქრობდით ომის ველზედ, ვლაშქრობდით სამოქალაქო ასპარეზზე (ხაზი ჩემია. ლ. ც.), ერთ დაწესებულებას მეორეთი ვცვლიდით, ერთ პირს ვითხოვდით, მეორეს ვაყენებდით. წლები მიდიოდნენ და ჩვენ სულ ყოყმანში, გამოცდილებაში, მოსაზრებაში და პლანებში ვიმყოფებოდით. ვაწესებდით განსაზღვრულ წესს, ვიღებდით ზომებს და როდესაც ყოველივე თითქოს დამკვიდრებული იყო, ისევ ვაუქმებდით, ძველს ვუბრუნდებოდით, ვაუქმებდით ახალს, და ხელმეორედ ვამუშავებდით ახალ გეგმებს, რომელსაც რამოდენიმე წლის შემდეგ იგივე ბედი გაუქმებისა ეწვეოდა ხოლმე. ვაუქმებდით კანონს, რომელიც ჯერ არ დამკვიდრებულა, და რომელსაც ხალხი ვერც კი გასცნობოდა, ახალ კანონს ვაწესებდით და იმასაც მალე ვსპობდით. მმართველებსაც ხშირად ვცვლიდით. დიდხალი ფული იხარჯებოდა სხვადასხვა კომიტეტების, კომისიების, ექსპედიციების, მოხელეების და სხვათა შენახვისთვის... ეს ჩვენი ყოყმანობის ისტორია ფრიად საინტერესო საგანს შეიცავს“<sup>58</sup>.

<sup>58</sup> ს. ესაძე. ტ. I გვ. 186.

ბარონ კორფის ცნობა თითქოს განმარტებას არ საჭიროებს. თვითმპყრობელობის შეფოთიანი მმართველობა და დაუდგრომ-ლობა, მუდამ იარაღში ყოფნა და სამოქალაქო წესების გა-ნუწყვეტელი ცვლა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მაინც გამოწვეული იყო დამპყრობელ ძალის სისუსტით. მე-19 სა-უკუნის პირველ ნახევარში მეფის რუსეთმა ვერ შესძლო საქარ-თველოს და ამ/კავკასიის ეკონომიკური დაპყრობა, ვერ შესძლო ამ ბუნებით მდიდარ ქვეყნის საკუთარ მრეწველობის ნედლეუ-ლის ბაზად გადაქცევა, თუმცა ამ მხრივ მრავალი ღონისძიებე-ბიც იყო წარმოებული. ხოლო, თუ ევროპის სახელმწიფოები ინ-დიფერენციულად უცქეროდნენ ა/კავკასიის რუსეთის მიერ დაპ-ყრობას მე-19-საუკუნის დამდეგს, ცოტა ხნის შემდეგ თვალი გაახილეს, უფრო ნათლად წარმოიდგინეს თვითმპყრობელობის შორეული ინტერესები ამ/კავკასიის გზით და ყოველმხრივ შეე-ცადნენ რუსეთის ბატონობის ძირის გამოთხრას ამ/კავკასიასა და საქართველოში. რუსეთის წინააღმდეგ რაზმავდნენ დაღეს-ტნის ხალხებს, ირანსა და თურქეთს, – მათ ყურადღებას ამ/კავკასიისაკენ აბყრობდნენ და ცხადია, ასეთ პირობებში მე-ფის რუსეთის ბატონობა საქართველოში ყოველ წუთს საფ-რთხეში იყო. თვითმპყრობელობა ცდილობდა გარეშე მტრები-სათვის მოესპონ დასაყრდენი ძალა ამ/კავკასიაში, რისთვისაც ამ დაპყრობილს ქვეყანაში მუდმივად საალყო წესებს, შინაგან ძა-ლების მუდმივ დაძაბვას, ურთიერთ შეხლა შემოხლას და ალია-ქოთს სტეხდა. კოლონიზატორები ცდილობდნენ, ამ/კავკასიის ხალხთა შინაგანი არევ-დარევით, ურთიერთის მიმართ წასისი-ნებით, ერთ ძალაზე – მაღალ წოდებაზე დაყრდნობით მთელი ხალხის ყურადღება მხოლოდ თვითმპყრობელობისაკენ წარე-მართათ. უნდა აღინიშნოს, რომ თვით მაღალ წოდებასაც, თით-ქოს, მუდამ ვულკანზე ამყოფებდნენ, რამდენადაც დრო გამოშ-ვებით, თითქოს რუსულ კანონების საფუძველზე წაუსისინებ-

დნენ გლეხებს, ეს იმიტომ, რომ უფრო მეტად მოქმედებიათ ქედი დამპყრობელ ძალის წინაშე. ქართველ თავადაზნაურობის გულის მოგება, დამორჩილება და დასაყრდენ ძალად გადაქცევა – აი პირველი და გადაუდებელი ამოცანა ახლად დამკვიდრებული თვითმპყრობელობის მოხელეებისა. ამ მხრივ არაფერს არ ზოგავდნენ – დაჯილდოება, სამსედრო და სამოქალაქო სამსახურში დაწინაურება, ურჩების გადასახლება რუსეთში და ქონების კონფისკაცია, საპყრობილე და ციმბირი, ერთი სიტყვით ყოველი ღონისძიება იყო ხმარებული ფეოდალურ თავადობის დამპყრობელ ძალის აგენტად გადასაქცევად.

მართალია, ქართველი თავადაზნაურობა, განსაკუთრებით დიდგვარიანები, პირველხანებში მაინც ვერ შეურიგდნენ რუსულ მმართველობის მიერ ფეოდალობის – ძველ ფეოდალურ წესების მოსპობას, მაგრამ უხვად დარიგებულმა სამსახურმა, ჩინებმა და სხვა სახის ჯოლდოებმა რუსობაში მათ უფრო მეტი გამორჩენა დაანახვა და მცირე გაბრძოლების შემდეგ დიდი უმრავლესობა დაემორჩილა დამპყრობელ ძალას.

ძნელი იყო მეფის მოხელეთათვის დარწმუნება ქართველ თავადაზნაურობის ერთგულებაში, ეჭვობდნენ, რომ საუკუნოებით თავისუფალ, დამოუკიდებელ მმართველობას ნაჩვევი დიდებული უცბად შეურიგდებოდნენ თავისუფლების დაკარგვას და ამოტომაც ცდილობდნენ, ყოველმხრივ ჩაეხშოთ მათში სეპარატისტული მოძრაობის საშუალება.

მუდმივი ცვლილებები სამოქალაქო მმართველობაში, კანონების ხშირი ცვლა, მმართველთა სისტემატური გადანაცვლება, ერთ-ერთი საშუალება იყო დაპყრობილი ქვეყნის წოდებათა ურთიერთ შეხლისა და განსაკუთრებით მაღალ წოდების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებისა, რომ თვითმპყრობელობაში ერთა-დერთი მხსნელი ძალა დაენახა. იგივე ცვლილებები ზოგჯერ იმგვარად წარიმართებოდა, რომ დაბალ წოდებასაც ეგრძნო

თვითმპყრობელ ძალის თითქოს მფარველობით ზრუნვა. მართალია, ამ მხრივ თვითმპყრობელობას, რეალურად, მთელი საუკუნის მანძილზე არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მისი ზოგიერთი ნაბიჯები კანონმდებლობის ხაზით ყმა გლეხობას ერთგვარ იმედს უდვიძებდა, რაც ზოგჯერ მაინც ასუსტებდა ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მართალია აღექსანდრე პირველის მანიფესტი პირდებოდა ქართველ ხალხს, რომ ხელუხლებლად დარჩებოდა ყველა მისი უფლებები, ხელუხლებელი იქნებოდა წოდებათა ურთიერთობა, მაგრამ თვითმპყრობელობის დამკვიდრებისთანავე მეფის მოხელეთა ყურადღება მიიქცია წოდებათა ურთიერთობამ, თითქოს „მონესრიგების“ მიზნით, ნამდვილად კი ეს წოდებათა ურთიერთობის მონესრიგება წარმოებული იყო მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ურთიერთ წაკიდებისა და ამ არეულობაში უფრო საიმედო დასაყრდენის გაჩენის მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია თვითმპყრობელობის შემდეგი ღონისძიებანი მე-19 საუკუნის პირველ წახევრის მანძილზე: 1808 წ. თვითმპყრობელობამ თავადაზნაურთა ყმობიდან გაანთავისუფლა სასულიერო წოდების პირნი, ამით თვითმპყრობელობამ გაიჩინა ერთგული დასაყრდენი სასულიერო წოდებაშიც. 1811 წ. ყველა საეკლესიო აზნაურები მათი ყმა გლეხებითა და მამულით გადაეცა ხაზინას.

1832 წ. ყველა იმათ, ვისაც შთამომავლობითი აზნაურის წოდება არ გააჩნდა აუკრძალეს ყმების ყოლა, ასეთები იყვნენ თბილისის მოქალაქენი, რომელთაც ებრძანათ ყმებისა და მათი მამულის გაყიდვა 4 წლის ვადაში.

1833 წ. განთავისუფლდენენ აზნაურები თავადთა ყმობისა-გან, ხოლო 1852 წ. ყველა საეკლესიო ყმები გადაეცა ხაზინას.

თვითმპყრობელობის ბატონობის პირველ ათეულ წლის დასასრულიდანვე თვით მთავრობის მოხელეთა წაქეზებით, როგორც შემდეგში სწერდა ბარონ როზენი, გლეხობა მასიურად

უჩიოდა მებატონეებს თავისუფლების მოპოვების მიზნით. თვითმპურობელობა ამ გარემოებას უდაოდ თავის სასარგებლოდ იყენებდა, გლეხობის მასიური ამხედრება მებატონეთა წინააღმდეგ სასამართლო წესით თავისუფლების ძიება, მითუმეტესად ისეთ პირობებში, როდესაც მებატონეს ხშირად არავითარი დოკუმენტი არ გააჩნდა თავისი ყმების შესახებ – საფრთხის წინაშე აყენებდა და მფარველობისათვის იძულებული ხდებოდა ხელისუფლებისათვის მიემართა.

გლეხთა საჩივრები ათწლობით გრძელდებოდა, მაგრამ ყურადღების მიმქცევი არ სჩანდა. 1839 წ. ბარონ როზენმა საჭიროდ დაინახა ამ საქმეების მოსპობა და საერთოდ აკრძალა გლეხებისათვის სასამართლოს წესით თავისუფლების ძიებისა, მაგრამ თვითმპურობელობამ არ დააკმაყოფილა როზენის შუამდგომლობა, პირიქით უფრო წააქეზა გლეხობა, იმით, რომ მთავრობის ახალი კანონით თვით თავადსაც მომჩივარი გლეხისათვის დოკუმენტებით უნდა დაემტკიცებია, რომ მომჩივარი ნამდვილად მისი ყმა იყო, ეს კი თითქმის შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ვორონცოვის შუამდგომლობას მოჰყვა 1847 წ. უზენაესი ბრძანება, რომლის ძალითაც „ბატონიშვილის საქართველოში ხელუხლებელი რჩებოდა“.

ცხადია, გლეხთა ამოძრავებას მებატონეთა წინააღმდეგ – სასამართლოს გზით, თვითმპურობელობა ყოველ ცალკე შემთხვევაში მაღალ წოდების დასამორჩილებლად იყენებდა. ეს ღონისძიებები დროთა განმავლობაში საკმაოდ დადებით შედეგს აძლევდა თვითმპურობელობას. სამართლიანად აღნიშნავდა მეჩნიკოვი, რომ „საქართველოში მემამულენი საუკეთესო და ერთგულ პოლიციას წარმოადგენენ“.<sup>59</sup>

<sup>59</sup> Туманов. «О крепостном праве в Грузии».

მთელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე თვით-მპყრობელობის პოლიტიკა საქართველოსა და ამ/კავკასიაში მი-მართული იყო ცალკე წოდებათა დაპირისპირებისაკენ და თვი-თეულ წოდების – განსაკუთრებით მაღალ წოდების შიგნით მუდმივ შეხლა-შემოხლის გამოწვევისაკენ, ერთგვარი ანტაგო-ნიზმის გაღვივებისაკენ. ამ წოდებათაშორის ჭიდილში – შეხლა-შემოხლაში, ცხადია საბოლოოდ ყოველთვის განუხრელად იცავდა მაღალწოდების ინტერესებს რითაც ახერხებდა ამ წო-დების თვითყრობელობის ერთგულ მსახურად გადაქცევას და მასზე დაყრდნობით ამ/კავკასიის ხალხების დამონებასა და უხეშ კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელებას.

## II

თვითმპყრობელობის ღონისძიებანი საქართველოს პოლი-ტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრების გარდასაქმნე-ლად – მოსაწესრიგებლად ყოველთვის საკუთარ (თვითმპყრო-ბელობის) ტკივილებით იყო გამოწვეული. და აკი როდესაც ასეთ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, შემთხვევით, მოჰყვებოდა კოლონიისათვის დადებითი ნაყოფი – თვითმპყრო-ბელობა ცდილობდა ამ ნაყოფის სხვა გზით სხვა საშუალებებით განადგურებას.

ისე როგორც ფეოდალობის მოსპობა თვითმპყრობელობას არ განუზრახავს საქართველოს პოლიტკურ აღორძინების მიზ-ნით, არამედ თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება – აგებული ცენტრალისტური აბსოლუტიზმის სისტემაზე, ვერ იგუებდა თავის შიგნით ფეოდალობას, რისთვისაც საქართვე-ლოში შემოსვლისთანავე გაანადგურა მმართველობის ეს ძველი ფეოდალური წესი.

ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს ეკონომიკურს ცხოვ-რებაში მთელი მე-19 საუკუნის მთელს მანძილზე. ის ცვლილე-

ბები, რომელიც ჩვენმა ქვეყანაშ განიცადა მე-19 საუკუნის გან-  
მავლობაში ეკონომიურ წარმატების მხრივ გამოწვეული იყო  
არა თვითმპურობელობის კეთილი ზრახვებით დაპყრობილ  
ქვეყნის ასაღორძინებლად, არამედ დამპყრობელი ძალის საუ-  
თარ ინტერესებისათვის მოქმედებას ხანდისხან ობიექტურად  
მოსდევდა დადებითი შედეგი დაპყრობილი ქვეყნისათვის. ცხა-  
დია, რუსეთი არ შეიძლება დაკამაყოფილებულიყო საქართვე-  
ლოს და ამ/კავკასიის მხოლოდ პოლიტიკურ დაპყრობით, აუცი-  
ლებელი იყო ამ ქვეყნის ეკონომიური ექსპლოატაციაც. მაგრამ  
თუ რუსეთმა, როგორც ლენინი სწერდა, კავკასიის ეკონომიური  
დაპყრობა უფრო გვიან შესძლო, ვიდრე პოლიტიკური დაპყრო-  
ბა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მე-19 საუკუნის პირველს ნა-  
ხევარში თვით რუსეთის მრეწველობის შედარებით ჩამორჩენი-  
ლობა ვერ იჩენდა უნარს დაპყრობილ ქვეყნების ნედლეულის  
გამოყენებისას. ამიტომ იყო, რომ კოლონიალური პოლიტიკის  
სადაცე რუსეთში მე-19 ს. პირველს ნახევარში უფრო სავაჭრო  
კაპიტალის ხელში მოხვდა. რუსეთის პოლიტიკური განმტკიცე-  
ბით საქართველოში, მთელი ჩვენი მხარე და ამ/კავკასია რუსე-  
თის ბურუუაზიის საექსპლოატაციო ობიექტად გადაიქცა. მაგ-  
რამ რუსეთის კაპიტალსა და რუსეთის ბურუუაზიას საქართვე-  
ლოში ყოველთვის ერთი და იგივე კოლონიალური მოთხოვნი-  
ლებანი არ ჰქონია. თუ თვითმპურობელობის ბატონობის პირვე-  
ლი 20-30 წლის მანძილზე სავაჭრო კაპიტალი მეტად უხეში  
ფორმებით იქრებოდა ჩვენში, თუ ამ პერიოდში საქართველო და  
ამ/კავკასია თვითმპურობელობამ პირველადი კაპიტალისტური  
დაგროვების სარბიელად გადააქცია, რაც აღატაკებდა და სის-  
ხლიდან სცლიდა მოსახლეობას, სამაგიეროდ მე-19 საუკუნის  
30-იან წლებიდან რუსეთის კაპიტალი დაინტერესებულია სა-  
ქონლის გასასაღებელ ბაზრითაც და საქართველოს და ამ/კავ-  
კასიის მთავარმართებელ ბარონ როზენის მთელი ეკონომიური

პოლიტიკა რუსეთის კაპიტალის ამ ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული.

შედარებით ჩამორჩენილ სამრეწველო ბაზაზე დამყარებულ რუსეთის სავაჭრო კაპიტალს მეტად გაუძნელდებოდა მფარველობითი საბაჟო პოლიტიკის გარეშე ამ/კავკასიის ბაზრების დაპყრობა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ამ/კავკასიის ბაზრების დაპყრობით ირანის ვრცელი ბაზრების ხელში ჩაგდებას ლამობდა, ამიტომ იყო საჭირო ამ/კავკასიის ბაზრებზე განსაკუთრებით განმტკიცება, ევროპილთა კონკურენციისაგან განთავისუფლება, ამასთან იყო დაკავშირებული საბაჟო პოლიტიკის ცვლილებები თითქმის მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის მთელს მანძილზე.

თვითმმაყრობელობა იმთავითვე აქეზებდა რუსეთის ვაჭრებს საქართველოსა და ამ/კავკასიის ბაზრების დაპყრობისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისაკენ, უქმნიდა მათ შეღავათებს, მფარველობდა საბაჟო პოლიტიკით და სხვა, მაგრამ პირველ ხანებში რუსეთის კაპიტალი მეტად ზანტად მოემართებოდა ამ/კავკასიისაკენ.

ეს გამოწვეული იყო რუსეთის კაპიტალის სისუსტით. ერთის მხრივ, ეს გარემოება, ხოლო მეორე, საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა ირანთან, რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგების წარმოება, რუსეთის მისწრაფება ირანისა და აღმოსავლეთის ბაზრის ხელში ჩასაგდებად, აიძიულებდა რუსეთს, პირველ ხანებში ინგლის-საფრანგეთისათვის თავისუფალი ტრანზიტის უფლება მიეცა ამ/კავკასიის ტერიტორიაზე. ცხადია, ეს დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 1832 წ. მთელს ამ/კავკასიაზე გავრცელდა ამკრძალავი საბაჟო ტარიფი, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე წარმოებულმა თავისუფალმა ვაჭრობამაც საგრძნობი გარდატეხა გამოიწვია საქართველოს ეკონომიკურს ცხოვრებაში.

მარტო ტფილისში 1822-31 წწ. წარმატებით მუშაობდა რა-  
მოდენიმე სავაჭრო ქარვასლა: ბატონიშვილების, არწრუნის, სა-  
რაჯიშვილის, სარქისოვისა და სხვების.

საგრძნობლად გაიზარდა საქონლის შემოტანა ევროპიდან,  
შემოპექონდათ ბამბის ქსოვილები, აბრეშუმის ქსოვილები, მატ-  
ყლის ქსოვილები და სხვა საქონელი. 1822-1826 წწ. ამ/კავკასია-  
ში შემოტანილი იყო 14.708.084 მან. საქონელი, ხოლო, 1827-  
1831 წწ. – 27.852.042 მან. საქონელი. იზრდება საქონლის გატა-  
ნაც. გააქვთ როგორც სატრანზიტო საქონელი, აგრეთვე ადგი-  
ლობრივი ნანარმოებიც. თუ 1812-1821 წწ. ამ/კავკასიდან გა-  
ტანილი იყო სულ 964.151 მან. საქონელი, 1822-31 წწ. – გატა-  
ნილ იქმნა 7.005.735 მან. საქონელი.

ჯერ კიდევ 1827 წ. მეფის მთავრობის ფინანსთა მინისტრი  
გრაფი კანკრინი ნიკოლოზ პირველისადმი წარდგენილს მოხსე-  
ნებაში გარკვეულად მოითხოვდა ამიერკავკასიის გადაქცევას  
„რუსთის ახალ აღმოსავლეთ ინდოეთად“, კანკრინი სწერდა:  
„ამიერკავკასიის პროვინციები სრულიად საფუძვლიანად შეგ-  
ვიძლია ჩავთვალოდ ისეთ კოლონიად, რომელიც მისცემს სა-  
ხელმწიფოს სამხრეთული ბუნების ნანარმოებთა სახით მეტად  
დიდ სარგებლობას. საჭიროა, სოფლის სახალხო სიმდიდრეთა  
გამრავლება: მიწათმოქმედების და სოფლის მრეწველობის გაძ-  
ლიერება, აბრეშუმის მოყვანის გადიდება, ბამბის, ბრინჯის, ზე-  
თისხილის და დანარჩენი ძვირფასი მცენარეულობის გაშენება,  
რომელთა მოყვანა ჰავის პირობებს შეეგუება“.<sup>60</sup>

კანკრინის ეს ეკონომიური პროგრამა ცოტა მოვიანებით  
იქნა განხორციელებული. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ,  
30-იან წლებიდან რუსეთის სავაჭრო კაპიტალის აქტიობა სა-

<sup>60</sup> Обозрение Российских владений за Кавказом. т. 1. 1836 г.

ქართველოსა და ამ/კავკასიის ბაზარზე საგრძნობლად გაიზარდა. 1830 წ. ტფილისში გაიხსნა „აქციონერთა სავაჭრო კომპანიის კომერციული სახლი“, ამავე პერიოდში ხელისუფლების დიდი მფარველობით წარმატებით მუშაობდნენ მოსკოვის მეფიაბრიკეთა კომპანიები: ჩეტვერიკოვების, პროხოროვების, გურიკოვების, რაგოჟინის და სხვ.

ხელისუფლების მფარველობით რუსეთის სავაჭრო კაპიტალი შავსა და კასპიის ზღვაზე მთელ საგარეო ვაჭრობას თვით იგდებდა ხელში.

ორმოციან წლებიდან მდგომარეობა კიდევ უფრო შეიცვალა. რუსეთის სამრეწველო კაპიტალის საგრძნობმა მომძლავრებამ, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობის ზრდამ, რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესი საქართველოსადმი კიდევ უფრო გააძლიერა. ამიერიდან დაისვა საკითხი ამ/კავკასიის არა მხოლოდ რუსეთის ბურჟუაზიის საქონლის გამსალებელ ბაზრად გადატცვევისა, არამედ, ეს ბუნებით მდიდარი ქვეყანა რუსეთის ნაციონალურ მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელ ბაზათ უნდა ქცეულიყო. ამ პერიოდის რუსეთის ბურჟუაზიის ეკონომიკურ ინტერესების საფუძველზე აღმოცენდა მეფის ნაცვლის მ. ს. ვორონცოვის სამეურნეო პროგრამა.

ვორონცოვმა საგრძნობლად გააუმჯობესა მიმოსვლის საშუალებანი მთელს ამ/კავკასიაში იმ მიზნით, რომ მაგრად გადაეჯაჭვა რუსეთთან ეს კუთხე და ფართო საშუალება მიეცა რუსეთის ბურჟუაზიისათვის თავის მოლგანეობის გასაშლელად. ხოლო თავის სასოფლო სამეურნეო პოლიტიკით ვორონცოვი ცდილობდა, რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის ნედლეულის მომზადებას რითაც ობიექტურად ხელს უწყობდა სოფლის კაპიტალიზაციის პროცესს. ვორონცოვის მიერ დაარსებული „სასოფლო სამეურნეო საზოგადოება“ ხელს უწყობდა თავადაზნაურთა მეურნეობის რაციონალურად დამუშავებას სასოფლო-სა-

მეურნეო იარაღების, კარგი თესლის მიწოდებითა და აგრონო-მების დახმარებით. ცნობილი „პრიკაზის“ დაარსებით კი შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ თავადაზნაურობას ფულის იო-ლად შოვნისა, რითაც გააფართოვა რუსეთის საქონლის გამსაღებელი ბაზარი.

იყო რამოდენიმე შემთხვევაც, როდესაც უცხოელებს კონცესიის სახით დაურიგეს მიწის დიდი ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განსავითარებლად. მაგრამ თვითყრობელობის ეს სურვილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის განუხორციელებელი დარჩა, რუსეთის შედარებით სუსტმა მრეწველობამ, ერთის მხრივ, ხოლო საქართველოს ბატონიშვილის განუხორციელებელი რაჭედილმა ნატურალურმა მეურნეობამ მეორეს მხრივ, ვერ შექმნეს სათანადო პირობები სამრეწველო ნედლეულის შექმნისა და გასაღებისთვის.

თვითმმკრობელობის ღონისძიებანი კოლონიებიდან იაფი ნედლეულის მისაღებად, შინაური ვაჭრობის ხელში ჩასაგდებად ადგილობრივ ნაციონალურ მრეწველობის განვითარებას მაქსიმალურად ზღვდავდა. მეფის რუსეთის ბატონობის მთელ 50 წლის მანძილზე, საქართველოში მხოლოდ ერთი, პატარა კუსტარული, აბრეშუმის ძაფსაცვევი ქარხანა დაარსდა ტფილისში, ისიც მოაწყო ფრანგმა ვაჭარმა კასტელომ. თვითმმკრობელობამ ნება არ დართო ტფილისში მაუდის ფაბრიკის გახსნისა, უარი უთხრა კერძო მწარმოებლებს ზუბალაშვილსა და სხვებს შაქრის ქარხნის დაარსებაზე და პლანტაციებისათვის საჭირო მიწის მიცემაზე.

მიუხედავად ამისა, კოლონიურმა ბატონობამ ზოგიერთი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ეკონომიურს ცხოვრებაში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მანძილზე. თუ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში მეურნეობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, გაცვლა-გამოცვლა და

სავაჭრო ფულადი ურთიერთობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული, ხოლო დამპყრობელი ძალაც თითქმის პირველ 30 წლის მანძილზე უფრო ძარცვა-გლეჯით კმაყოფილდებოდა, 30-იან წლების შემდეგ თვითმმდებრობელობის ღონისძიებებს, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, თვითმმდებრობის სურვილების წინააღმდეგ საქართველოში სავაჭრო, სააღებმიცემო ურთიერთობის საგრძნობი გამოცოცხლება იწყება.

ერთის მხრივ გაცხოველებული ვაჭრობა უცხოეთთან და აღმოსავლეთთან საქართველო-ამიერკავკასიის გზით, მეორეს მხრივ საქართველოს ტერიტორიაზე რუსის ჯარის და მოხელეთა ვეებერთელა აპარატის არსებობა გაძლიერებულს მოთხოვნილებასა ქმნის სასოფლო სამეურნეო ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ეს ხელს უწყობს შინაურ სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებას და გლეხობის ჩაბმას საბაზრო საქმიანობაში. 50-იან წლებიდან საქართველოში უკვე იწყება სამრეწველო კაპიტალის განვითარების ნელი პროცესიც. 40-50-იან წლებში საგრძნობლად განვითარდა თამბაქოს მოყვანის საქმე და მასზე დამოკიდებული თუთუნის წარმოება. თავის მოხსენებაში ვორონცოვი სწერდა, რომ თამბაქოს მოყვანის გაუმჯობესების მიზნით საზღვარგარეთიდან იქნა გამოწერილი თესლი, გამოიწერეს სპეციალისტებიც, ხომში სპეციალური ბაზრობა დაარსდა. 6. ზეიდლიცის ცნობით (გაზ. „კავკაზი“ 1865 წ.) 60-იან წლების დასაწყისში თამბაქოს მოყვანას მრავალი მემამულე და გლეხი მისდევდა, რომ სიღნაღის მაზრაში თითქმის 200 მემამულე და გლეხი ყოფილა ჩაბმული ამ საქმეში. ამავე ცნობით 1864 წ. კახეთში მოუყვანიათ 10.000 ფუთზე მეტი თამბაქო. თამბაქოს მოყვანის ზრდასთან დაკავშირებით 1852 წ. ტფილისში იხსნება პირველი თუთუნის ფაბრიკა, მეორე – 1858

ნ. ხოლო ამავე პერიოდში ტფილისის გუბერნიაში 239 წვრილი ტიპის ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა.<sup>61</sup>

ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ „მამულის პატ-რონობისა და ვაჭრობის“ გაზეთი „გუთინის დედა“ (1863 წ., №1) სწერდა: „თავის დღეში არ ყოფილა ამთენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამთენი მოთხოვნილება სხვა და სხვა ხვნა-თესვის ნაწილებზედა გარიგებისა, არც მომხმარები მამულზე ამთენი ფულისა; ბილოს დროს ტფილისში და გარეშე აშენდა რამთენიმე ქარხნები, რომელიც არ შეარცხვენდნენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდნენ მამულის მკეთებელნი სოფელშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიანს წესებზედ“. „გუთინის დედი-სა“ და ზეიდლიცის ცნობები ნათლად გადმოგვცემს ჩვენს სოფ-ლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ეკონომიკის ფორმების შეჯ-რას.

სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას ხელს უწყობდა თვითმპურობელობის პოლიტიკასთან დაკავშირებული საგადა-სახადო სისტემაც, რომელიც მეორმოცე წლებიდან იქნა შემო-ლებული. ეს სისტემა მდგომარეობდა იმაში, რომ სხვადასხვაგ-ვარი ნატურალური გადასახადი და სახელმწიფო ბეგარა გადაჰ-ქონდათ ერთდროულ ფულად გადასახადზე – ეს კი უდაოდ ერ-თგვარ სტიმულსა ქმნიდა, რომ გლეხობა ბაზარზე გამოსული-ყო. „უეჭველია, რომ ფულადი გადასახადები თავის დროზე გაც-ვლა-გამოცვლის განვითარების საყურადღებო ფაქტორი იყო“. /ლენინი/.

გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის ზრდა-განვითარება აღ-რმავებდა ნატურალურ-პატრიარქალურ მეურნეობის დაშლის

<sup>61</sup> Сборник материалов для описания Тифлисской губернии. Ч. I, №6. I გვ. 72-74., 1870 წ.

პროცესს და საფუძვლიანად არყევდა მის საფუძველზე აღმოცენებულ სოციალურ ურთიერთობას.

სასაქონლო-ფულად ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით ქართველ თავადაზნაურთა მოთხოვნილებანი გაიზარდა და რადგან ქართველი თავადაზნაურობა საუკუნოების მანძილზე მუქთახორა ცხოვრებას ეწეოდა, არ გააჩნდა საკუთარი წარმოება, არაფერს ქმნიდა, ამიტომ მთელი სიმძიმით გლეხობას დააწვა კისერზე. გაადიდეს გადასახადების რაოდენობა, ხოლო ნატურალურ გადასახადს ფულადი გადასახადითა სცვლიდნენ. სავაჭრო ფულად ურთიერთობის განვითარებამ ჩვენში ყმა გლეხთა ჩაგცრა და უჩვეულო ექსპლოატაცია გამოიწვია.

ამგვარად, რუსეთის კოლონიალურ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგათ განვითარებულმა ახალმა ეკონომიურმა ფაქტორებმა გამოიწვია ჩვენში ნატურალურ მეურნეობისა და ბატონის მურნყობილების რაოდენობის განვითარება, რაც გამოიხატა მემამულეთა და ყმათა ბრძოლის გაღრმავებას და ახალ სოციალურ ფენების წარმოშობაში.

### III

მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველი ხალხის განადგურებას ცდილობდნენ თურქეთი და ირანი, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ამავე პოლიტიკას დაადგა მეფის რუსეთის თვითმშეყრობელობა, რომელმაც მოინდომა ყოველი ქართულის აღმოფხვრა და საქართველოში რუსულ ბიუროკრატიულ სისტემის გამეცება.

რუსული სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც მეტად მძიმე ტვირთად დააწვა, ქართველ ხალხს უბრძოლველად არ მიუღია. მაგრამ ვინაიდან დამხდური ძალა არ შეადგენდა ერთ მთელს, დაყოფილი იყო წოდებებათ, ამიტომ ყოველი წოდება

თავის ინტერესების საფუძველზე სინჯავდა დამპყრობელი ძალის მნიშვნელობას. თვითმპყრობელობაც, ხომ მოხერხებულად სარგებლობდა ამ გარემოებით და დაპყრობილი საქართველოს გაბატონებულს წოდებაზე დაყრდნობით, ამ წოდებისათვის პრივილეგიების შექმნით, ადვილად ახერხებდა ხალხის დამონებას.

თვითმპყრობელობის დამკვიდრების პირველს ხანებში ფეოდალური არისტოკრატიაც შეებრძოლა ცარიზმს თავისი პოლიტიკურ პრივილეგიების დაბრუნების მიზნით, გლეხობაც აღუდგა კოლონიზატორებს, მაგრამ რამდენადაც დამპყრობელი ძალა ყოველთვის ქართველს მაღალ წოდებაში ეძებდა დასაყრდნობს, რამდენადაც ქართველ მაღალწოდებას უქმნიდა ყოველგვარ პირობებს ყმაგლებთა განუსაზღვრელ ექსპლოატაციისათვის – ქართველ ყმა გლეხთა პრძოლა იმთავითვე წარიმართა როგორც თვითმპყრობელობის, ისე ქართველ თავადაზნაურთა წინააღმდეგაც.

ქართველ თავადაზნაურობის ერთი ნაწილი იმთავითვე ამოეფარა თვითმპყრობელობის კალთებს და ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკის საუკეთესო გამტარებლად გადაიქცა. ქართველი თავადაზნაურნი რუსის მხედრობასთან ერთად თავგამოდებით იბრძოდნენ ამბოხებულ ხალხის წინააღმდეგ, ამის მაგალითები უამრავი მოიპოვება მე-19 ს. საქართველოს ისტორიაში:

„მოვიდა (მარკიზი) ჩუმლაყს, იქმნა მუნ პრძოლა კახთაგან, იძლივნენ რუსნი. მუნ მოკლეს ვახტანგ სიძე მეფისა ირაკლისა ყაფლანიშვილი (ორბელიანი, მამა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანისა) მუუღლე თეკლესი, და დასჭრეს მუხლსა შინა ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ჭავჭავაძე, ვინაიდან მათ ეპ-

ყრათ კერძო რუსთა და პირისპირ მამულისა თვისასა იყვნენ  
მტერ".<sup>62</sup>

გორის მაზრის კეთილშობილთა მარშალი შანშე ერისთავი  
1812 წ. აჯანყების დროს გუბერნატორ მალიცკის აცნობებდა:

„...მაქვს პატივი მოგახსენოთ მე ფრიად მოხარულმა ესე ვი-  
თარის გამარჯვებისა მივეცი მყის ცნობა გორის უეზდის საზო-  
გადო თავად-აზნაურთა, მსმენელი რომლისაც სიხარულითა დი-  
დითა ერთს ხმად შესწირვენ ღვთისადმი მადლობასა და ჰსტეო-  
ვენ კვალადცა რომელ როსიის მხედრობისა პირისპირ მბრძო-  
ლელი იქმნებოდენცა უმეტეს ძლეულ შერცხვენასა ქვეშ, – ან  
თანა ამისა ვალად დავიდრგენ რათა მოგახსენო თქვენ აღმატე-  
ბულებას, ვითარცა თავად აზნაურნი გორის უეზდისა, ეგ სა-  
ხედვე მთის ხალხნიცა წარმოებენ, უვნებლობის მდგომარეობა-  
სა შინა“.<sup>63</sup>

და სხვა მრავალი.

ეს ორი დოკუმენტიც საკმარისია იმის წარმოსადგენათ თუ  
ქართველი თავადაზნაურობა როგორ თანდათანობით ურიგდე-  
ბოდა და არამც თუ ურიგდებოდა, იარაღით ხელში იბრძოდა ცა-  
რიზმის პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოსა და  
ამ/კავკასიაში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, თვითმშეყრობელობა საქარ-  
თველოში გაბატონებისთანავე თავის კოლონიალურ პოლიტი-  
კის განხორციელებას შეუდგა რომლის დროშაზე ეწერა დაპ-  
ყრობილ ხალხის დენაციონალიზაცია, გარუსება, ყველაფრის  
მოსპობა, რასაც კი ადგილობრივ ნაციონალური სახე გააჩნდა.  
აი ამ კოლონიალურ პოლიტიკის ბერკეტად შეიქმნა ქართველი

<sup>62</sup> ბატონიშვილი დავით: „მასალები საქართველოს ისტორიისთვის“. გვ. 101-105.

<sup>63</sup> საქ. ცენტრალური არქივი. საქმე № 61. – Дело канцелярии Грузинского Гражданского Губернатора о мятеже 1812 г. ფურცელი №146.

თავადაზნაურობის ერთი ნაწილი იმთავითვე, ხოლო დანარჩენ-ნიც თანდათანობით ურიგდებოდნენ მას.

თვითმპყრობელობამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე ხელი მიჰყო საუკუნოების განმავლობაში შექმნილ ქართულ ეროვნულ კულტურის განადგურებას. როგორც ეკონომიკურს სფეროში პირველ ოცდაათი წლის მანძილზე ბარბაროსულ ძარ-ცვას აწარმოებდა, ასევე კულტურის ფრონტზედაც ნგრევასა და განადგურებას ჰქონდა ადგილი, განდევნა ყველა დაწესებუ-ლებიდან ქართული ენა, ეკლესიებშიაც კი წირვა-ლოცვა რუ-სულ-სლავიანურ ენაზე გადაჰყავდათ, მოსპონ სემინარიები (ჯერ კიდევ მე-18 ს. დაარსებული) თელავსა და ტფილისში. მხოლოდ 30-იან წლებიდან იწყება თითქოს „ზრუნვა“ ხალხის განათლე-ბაზე, ცხადია ამ ხალხში მხოლოდ გაბატონებული წოდება იგუ-ლისხმებოდა. 30-იან წლებიდან იხსნება რამოდენიმე სამაზრო სასწავლებელი, სადაც როგორც წესი, სწავლება რუსულს ენაზე სწარმოებს, ამ სასწავლებლების, როგორც 1802 წ. დაარსებულ „კეთილშობილთა სასწავლებლის“ მთავარ ამოცანას შეადგენს ერთგულ, რუსული სულით გაუდენთილ მოხელეთა მომზადება ადგილობრივ მკვიდრთაგან, მაშასადამე ამ შემთხვევაშიაც თვითმპყრობელობა სასწავლებლებს ხსნიდა არა სწავლა ცოდ-ნის გასავრცელებლად, არამედ უშუალო მიზნების, კოლონი-ალურ რეჟიმის განსამტკიცებლად, ამ რეჟიმისათვის მომზადე-ბულ მსახურთა შესაქმნელად.

არავინ ზრუნავდა ქართულს კულტურაზე, ქართულს მწერ-ლობაზე, მაღალი წოდება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღე გა-ერთო თვითმპყრობელობის სამსახურით, საარსებო წყაროთ გა-იხადა სამხედრო და სამოქალაქო სამსახური, ხოლო ამის კარ-გათ შესრულება და დანინაურება მხოლოდ და მხოლოდ რუსუ-ლი ენის ცოდნით იყო მოსახერხებელი. ამიტომ იყო რომ გაბა-ტონებულ წოდების დიდმა ნაწილმა იმ თავითვე ჩინებსა და ეპო-

ლეტებზე გაყიდა ქართული კულტურა. ხალხი კი – გლეხობა ბა-  
ტონყმობის მძიმე უღელში შებმული მოკლებული იყო კულტუ-  
რასაც და სწავლა-განათლებასაც.

ქართულ კულტურის, ქართულ ეროვნული საქმის ასეთ დაკ-  
ნინებისა და დაქვეითების პერიოდში შეუძლებელი იყო არ წა-  
მოჭრილიყო ეროვნული საკითხი, შეუძლებელი იყო არ დაწყე-  
ბულიყო ბრძოლა ეროვნულ თავისებურებების შესანარჩუნებ-  
ლად მაინც.

მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ამ პერიოდში ჯერ  
კიდევ საქართველო არ წარმოადგენდა ეკონომიკურ მთლიან ერ-  
თეულს, მართალია, მე-19 ს. დამდეგიდან თვითმპყრობელობის  
კოლონიურმა რეჟიმმა მთელი საქართველო რუსეთის მონარქს  
დაუქვემდებარა, მმართველობის ერთი პრინციპი გაამეფა  
ყველგან, მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის  
მანძილზე ისეთი არსებითი თვისებებით შეინარჩუნა ფეოდალუ-  
რი პარტიკულიარიზმი, რომ ერთი ამ სიტყვის სრული მნიშვნე-  
ლობით არ იგრძნობოდა. სტატიაში „ნაცია და ნაციონალური  
მოძრაობანი“ ამბ. სტალინი სწერა: „ქართველები რეფორმის წი-  
ნა ხანებში ცხოვრობდნენ საერთო ტერიტორიაზე და ლაპარა-  
კობდნენ ერთ ენაზე, მაგრამ მაინც, არსებითად რომ ვთქვათ, არ  
წარმოადგენდნენ ერთ ნაცის, რადგან იგინი, მთელ რიგ ერთი-  
ერთმანეთიდან ჩამოშორებულ სამთავროებათ დაყოფილი, ვერ  
იცხოვრებდნენ საერთო ეკონომიკური ცხოვრებით. საუკუნე-  
ბის განმავლობაში იბრძოდნენ ეს სამთავროები ერთმანეთს შო-  
რის, ანადგურებდნენ ერთმანეთს. მიუსცევდნენ ხოლმე ერთმა-  
ნეთს სპარსელებს და თურქებს. სამთავროების შემთხვევითი და  
ეფემერული გაერთიანება, რომელსაც ზოგჯერ მოახერხებდა  
ხოლმე რომელიმე გამოცდილი მეფე, უფრო შეეხებოდა ზერელე  
ადმინისტრატიულ სფეროს და სწრაფადვე ირღვეოდა თავადე-  
ბის კაპრიზებისა და გლეხების გულგრილობის გამო. და სხვანა-

ირადაც შეუძლებელი იყო საქართველოს ეკონომიკურ დაქუცმა-ცების დროს, საქართველო, როგორც ნაცია, მხოლოდ მე-19 სა-უკუნის მეორე ნახევარში წარმოშვა, როდესაც ბატონიშვილის გადავარდნამ, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ზრდამ, მიმოს-ვლის განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარეს საქართველოს ცალკე ნაწილებს შორის შრომის განაწილება, სა-ბოლოოდ შეარყიეს სამთავროების სამეცნიერო კარჩაკეტილობა და შეაკავშირეს იგი ერთ მთლიან ნაციად“.

მართლაც, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ყველა წოდე-ბა თავისებურად სწყვეტდა ეროვნულ საკითხს, თავის წოდებ-რივ თვითშემეცნების პრიზმაში ატარებდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელიგენცია იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა პატ-რიოტულად გაჟღენთილს ატმოსფერაში.

აღმოსავლეთის კულტურასთან საუკუნოებით დაახლოვე-ბული საქართველო უცბად მე-19 საუკუნის დამდეგიდან ობიექ-ტურ მიზეზების გამო სწყვეტს კავშირს ამ კულტურასთან და დამპყრობელ ძალის მეშვეობით, თითქოს გზა ეხსნება რუსულ-ევროპულ კულტურისაკენ. მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ 30-40 წლის მანძილზე პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალული ქართველი ინტელიგენცია, შურითა და მტრობით აღვსილი თვითმპყრობელობის მიმართ, გვერდს უვლის რუსეთის კულ-ტურასთან დაახლოვებას, მისტირის წარსულს და ისევ და ისევ მისი სიმპატიები უფრო აღმოსავლურ კულტურისაკენ იხრება. ამ გარემოებამაც თავისებური გავლენა მოახდინა მე-19 სა-უკუნის პირველ ნახევრის ახალ თაობაზე.

მე-19 საუკ. პირველი ნახევარი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკული პერიოდი იყო. ამ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირლვეოდა ძველი წყობილების ნაშთები, მტკიცდებოდა სრულიად ახალი მმართველობის რუსული წესე-ბი, რომელსაც ვერ ურიგდებოდა ხალხი. ქართველ არისტოკრა-

ტიის ერთმა ნაწილმა სცადა კიდევ გამკლავებოდა თვითმპურობელობას, მაგრამ ამაოდ, მალე მოიხარა წელში და ერთ-ერთ ბოძათ ამოუდგა თვითმპურობელობას. ქართველ არისტოკრატიულ ახალგაზრდობამ 1832 წ. კიდევ სცადა თვითმპურობელობის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ დამარცხდა და ეს იყო ქართველ თავადაზნაურობის უკანასკნელი გაბრძოლება.

1832 წ. შეთქმულთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო უბრალო გაგრძელება წინა პერიოდში ქართველ თავადაზნაურობის მიერ წარმოებულ ბრძოლებისა, არამედ ამ შემთხვევაში შეთქმულები უფრო ფართოდ აყენებდნენ თვითმპურობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. აქ ერთის მხრივ მოსჩანდა გავლენა რუსეთის ამ პერიოდის საზოგადოებრივი მოძრაობისა, მეორეს მხრივ თითქოს ჩვენი სინამდვილიდანაც გამოდიოდნენ შეთქმულნი, რამდენადაც ამ პერიოდში შეღავათიან საბაჟო ტარიფის საფუძველზე დიდ სავაჭრო საგაცვლა-გამოცვლო ურთიერთობის გამოცოცხლებასა ჰქონდა ადგილი საქართველოში. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მიუხედავად სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა 50-60-იან წლებამდე ჩვენში ნატურალურ მეურნეობას ჯერ კიდევ გაბატონებული ადგილი ეჭირა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეთქმულების მთავარი მონაწილენი: ს. დოდაშვილი, ე. ერისთავი, ს. რაზმაძე, გ. ერისთავი, ფ. კიკნაძე და სხვები რუსეთის სასწავლებლებში იყვნენ აღზრდილნი.

ამ შეთქმულების ლიკვიდაციით და სწორეთ ამ პერიოდში ძირითად ცვლილებებით ცარიზმის კოლონიალურს ეკონომიურ პოლიტიკაში, თითქოს საფუძველი ჩაეყარა შეთანხმებას ქართველს თავადაზნაურობასა და თვითმპურობელობას შორის. თავადაზნაურობამ ქედი მოიხარა თვითმპურობელობის წინაშე და ამით, შეიძლება ითქვას, ახალი ხანა დაიწყო მე-19 საუკუნის ქართველ თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის ისტორიაში.

თუ აქამდე ქართველ თავადაზნაურობის ცალკე ჯგუფები და ცალკე წარმომადგენელნი ოცნებობდნენ და ზოგს შემთხვევაში იბრძოდნენ კიდეც დაკარგულ თავისუფლების აღსადგენათ, თუ კი ისინი მისტიროდნენ ბაგრატიონთა დინასტიას, ახლა თვით-მშენებლობის წინაშე ქედმოხრილ ქართველ თავადაზნაურობას სალოცავ ქურუმად რომანოვების დინასტია მიაჩნია. თავადაზნაურობის ასეთი ქედის მოხრა ნათლად აისახა ნიკოლოზ პირველისადმი მირთმეულ ადრესში 1848 წ.<sup>64</sup> ეს გარემოება ორი ძირითადი მიზეზით იყო გამოწვეული: ერთის მხრივ ნაყოფი გამოიღო თვითმშენებელობის პოლიტიკამ ქართველ თავადაზნაურთა შესარიგებლად რომ აწარმოებდა, ხოლო მეორეს მხრივ, თავადაზნაურობა დააფრთხო გახშირებულმა გლეხთა მასიურმა მოძრაობებმა, რომლებიც ბატონების წინააღმდეგ იყო მიმართული. ძლიერ სოციალური ძალის მოწოდით დამფრთხალმა ქართველმა თავადაზნაურობამ რუსეთის მთავრობაში ერთადერთი დამხმარე ძალა ნახა და მისი პოლიტიკის გამტარებლად გადაიქცა.

30-40-იან წლების შემდეგ ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციის ორიენტაციაც შეიცვალა. თუ 1832 წ. შეთქმულების მონაწილენი – ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ს. დოდაშვილი და სხვ. მიუხედავათ რუსული განათლებისა, მაინც ვერ სწყვეტდნენ კავშირს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის ბრძოლასთან, თუ ეს ხალხი მთელის არსებით ებმოდა საქართველოს განთავისუფლების საქმეში, სამაგიეროთ, რამოდენიმე წლის შემდეგ, უკეთ ვორონცოვის ბატონობის პერიოდში ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური კრედო შემდეგ ფორმულაში გამოიხატა: „რუსეთის ტახტისადმი ერთგულება და სამშობლოსადმი სიყვარული“.

<sup>64</sup> სქოლიო ჩამოტანილია ავტორის მიერ. (რედ.).

როგორც ვხედავთ თავადაზნაურული ინტელიგენცია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მთლიანად გაჰყვა თავისი წოდების პოლიტიკას. მისი სოც-ეკონომიური და თუ გნებავთ ეროვნული პროგრამაც გაიქმნითა არსებულ რეჟიმის დაცვისა და განმტკიცების სურვილებით. ინტელიგენციის ზოგიერთი ნარმომადგენლები, განსაკუთრებით პოეზიაში კიდევ მოსთვავდნენ ძველ საქართველოს შესახებ, აიდიალებდნენ ნარსულს, უკმაყოფილებას გამოსთქვავდნენ აწმყოს შესახებ, მაგრამ ეს ხალხიც ფაქტიურად რუსეთის თვითმპყრობელობის სამეფო ტახტის განმტკიცებისათვის იძრძოდა და უკმაყოფილება თანამედროვე საქართველოთი გამოწეული იყო იმით, რომ ამ ახალმა, თვითმპყრობელობის კლანჭებში მოქცეულმა საქართველომ თავადაზნაურთა წოდებას კრიზისი შეუქმნა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობის აბსოლუტურად დიდი ნაწილი ფაქტიურად ერთ ბანაკში მოექცა. ბატონიშვილის წინააღმდეგ გლეხების თავგანწირულ ბრძოლებით დამფრთხალი, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ სავაჭრო ურთიერთობისა და ფულად მეურნეობის განვითარებით ნატურალურ-ბატონიშვირ მეურნეობის კრიზისით შეშინებული ქართველი თავადაზნაურობა მაგრად ებლაუჭება თავის წოდებრივ უფლებებს; იძრძვის მათ შესანარჩუნებლათ და ამ უფლებათა დაცვისათვის ეკედლება ერთადერთ ძალას – თვითმპყრობელობას. თავადაზნაურულ ინტელიგენციიდან ცალკე პირები, – რამდენადაც ინტელიგენციაც ძირითადათ თავის წოდების გზას დაადგა, – კანტი-კუნტად ისევ ფეოდალურ პარტიკულარულ პატრიოტიზმს ქადაგებენ, ხოლო მაღალი წოდების ერთი ნაწილი, რომელიც თითქოს ჩაჰყვა ახალ ეკონომიურ ვითარებას, მოლიბერალო პოზიციას იჭერს და თავის – უკვე კაპიტალისტურ საფუძველზე მოწყობილ მეურნეობის უკეთ მოწ-

ყობის მიზნით, ხანდისხან არღვევს თავისი წოდების კონსერვა-ტიულ მყუდროებას მოლიბერალო აზრებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვორონცოვის ცნობილ პოლიტიკის შედეგათ, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან, მომრავლდა იმ მემამულეთა რიცხვი, რომელთაც ხელი მიჰყვეს მეურნეობის რაციონალურად მოწყობას და სავაჭრო მიზნებით სოფლის პროდუქტების დამზადებას. ასეთ მემამულეთა წრეშიც მალე გაისმა წუნქუნი იმის შესახებ, რომ დაქირავებული შრომა უფრო იაფდებოდა, ვინემ ყმის შრომა. მრავალი მემამულე წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუკი ყმა გლეხი საბეგარო შრომის ნაცვლად ფულს გადაუხდიდა და სხვა.

ამ მხრივ დახასიათებულია ბარონი ნიკოლაის აზრი, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ფერმა პქონდა მოწყობილი. 1857 წ. ის სწერდა: „გლეხი ბატონის სამუშაოზე ბევრს სჭამს და ცოტას აკეთებს... იმდენს მოიხმარს, რომ მისი შრომა მეტად ძვირი ჯდება, – ყმის შრომა არამც თუ იაფი, არამედ უფრო ძვირი ჯდება დაქირავებულ შრომაზე... არიან ისეთი მემამულეები, რომელიც მოისურვებდნენ და თითქმის ეცდებოდნენ კიდეც, რომ საბეგარო ვალდებულება ფულადი გადასახადით შეეცვალად – ეს იმის აშკარად დამამტკიცებელია, რომ ყმის შრომა ძვირია და თითქმის ძვირია დაქირავებულ შრომაზე“.<sup>65</sup>

ბარონი ნიკოლაის და მრავალ სხვა ქართველ მემამულეთა ეს აზრი ნათლად გვიმტკიცებს, რომ მე-60 წლებში ჩვენში ნამოწყებული ახალი ეკონომიკური ურთიერთობა მისი საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა ვეღარ ეტეოდა ძველი წყობილების ფორმებში და დგებოდა საკითხი ამ ძველი წყობილების ამა თუ იმ სახით დაშლისა. აი სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში თავად-აზნაურული ლიბერალიზმი, რომლის

<sup>65</sup> Заметки Кавказского общества сельского хозяйства. გვ. 13-15.

წარმომადგენლები 60-იან წლებში კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე და სხვ. იყვნენ.

მაშ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის საუკუნის დამდეგს პოლიტიკურ უფლებება ყართველი მაღალი წოდება სავსებით შეეგუა კოლონიზაციონულ რეჟიმს, ამოუდგა მხარში დამპყრობელ ძალას და ცეცხლითა და მახვილით იცავდა რომანოვების დინასტიას. მაღალი წოდების შედარებით მცირე ნაწილი ჩაება ახალს ეკონომიკურს ვითარებაში, გაცვლა-გამოცვლაში და მის საზრუნავ საგნათ საკუთარ სიმდიდრის ზრდა გახდა, – ეს ნაწილიც ჯერ კიდევ თაყვანს სცემდა ცარიზმს, რამდენადაც მის (თავადაზნაურობის) ახალს საქმიანობაში დიდ როლს თამაშობდა მამულიანობა, რომელიც უდაოდ ჯერ კიდევ წოდებრივ სიმაღლეზე იყო დამოკიდებული.

მაღალი სამსახური, ჩინებითა და ორდენებით გატაცებულ მაღალ წოდებას აღარ ეცალა ქართულ კულტურის განვითარებისათვის ეზრუნა, პირიქით, გართული რუსულ სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრებით თავადაზნაურთა ძველ თაობას თითქოს სრულიად დავითწყებისათვის მიეცა ერთ დროს წუხილისა და კაეშნის მომგვრელი საქართველოს წარსულიცა და მისი კულტურაც. თითოოროლა პირნი, რომელიც გონების თვალით უცურებდნენ თვითმპყრობელობის ვერაგ პოლიტიკას, რომელთაც ნათლად წარმოედგინათ ქართულ კულტურის დაღუპვის გზაზე შედგომა, თავგანწირულად იბრძოდნენ მის გადასარჩენად და განსავითარებლად.

მე-19 საუკუნის I ნახ. ქართული საზოგადოებრივი აზრის ჰეგემონი კონსერვატიულად მოაზროვნე თავადაზნაურობაა, რომელიც თვითმპყრობელობასთან ხელიხელჩაკიდებული ყოველღონისძიებას ხმარობს, განამტკიცოს და შეინარჩუნოს ბატონყმური ურთიერთობა და აბსოლუტურ მონარქიული წყობილება, მაგრამ 40-50 წლებიდან დაწყებული სწრაფი ძვრები ეკონომი-

ურს ცხოვრებაში ნოყიერს ნიადაგს ჰქმნიან ახალი პროგრესიული აზროვნებისა და იდეოლოგიისათვის. კონსერვატიულ თავადაზნაურობას ძლიერი ოპოზიცია უჩნდება.

ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იან წლებისათვის თავისი განვითარების მხრივ საქართველო შემდეგ სურათს იძლევა: საუკუნის დამდეგთან შედარებით საგრძნობლად არის განვითარებული ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა, დაწყებულია მრეწველობის განვითარების პროცესი, დღითი-დღე მძღავრდება სოფლის მეურნეობაში კაპიტალის შექრის პროცესი, თავადაზნაურთა და გლეხთა ცალკე მეურნეობები რაციონალურ საფუძველზეა მოწყობილი და სპეციალურად მუშაობენ ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შინაურ ვაჭრობასთან ერთად გაცხოველებულია საგარეო ვაჭრობაც, რუსეთის კაპიტალი ნელ-ნელა იყენებს საქართველოს ნედლეულს საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებისათვის.

კაპიტალისტურ ურთიერთობის ჩასახვამ და განვითარებამ 50-60-იან წლებში საგრძნობი გახადა ჩვენში ნატურალური მეურნეობისა და ბაზონყმური წყობილების რღვევის პროცესი. გამწვავდა სოციალური ურთიერთობა, რაც მემამულეთა და გლეხთა შორის გამწვავებულს ბრძოლაში გამოიხატა.

ქართველი გლეხობა თავგანწირულად ექრძვის თავადაზნაურობასა და მის დამცველ თვითმპყრობელობას, მაგრამ ამ ბრძოლაში მას არავინ გამოხმაურებია მე-60 წლების დასაწყისამდე. ქართველი მაღალი წოდება – მისი დიდი უმრავლესობა ერთ რეაქციონურ ოჯახშია თავმოყრილი, მტკიცედ ეკედლება თვითმპყრობელობას და მისი დახმარებით ლამობს კარზე მომდგარ ახალი ცხოვრების შეჩერებას. თავის ბაზონობის შენარჩუნების მიზნით, თავადაზნაურობას ზურგი შეუქცევია ქართული კულტურისათვის, უკუ უგდია ყოველგვარი ფიქრიც კი დამპყრობელ ძალისაგან საქართველოს განთავისუფლებაზე, მტკი-

ცედ ჩასჭიდა ხელი ძველ დახავსებულ ნატურალურ მეურნეობას და ყმა გლეხთა გაძლიერებული ექსპლოატაციით ლამობდა ძველი ბატონობის შენარჩუნებას.

ამ ღრმა ეკონომიკურ-სოციალურ ხასიათის ცვლილებებს შესაფერისი ამოძრავება და ცვლილებები მოჰყვა იდეოლოგიის სფეროშიაც.

50-იან წლების მიწურულიდან ქართველ ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა კარგათ იგრძნო ახალი ეპოქის დასაწყისი, დაიწყო დიდი გონიეროვი მოძრაობა, რომლის ინიციატორი და მეთაური ამ პერიოდის ქართველ ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ.

ახალი აზროვნების შემოქრასა და განვითარებაზე უდაოდ დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის 60-იან წლების რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამაც.

აი ასეთ პირობებში გამოვიდა ქართველი ახალგაზრდობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით საზოგადოებრივს ასპარეზზე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას 60-იანი წლებიდან. მათი მოღვაწეობის დახასიათებამდე განვიხილოთ მოკლეთ როგორ პირობებში მოუხდა ბრძოლა ქართველ ახალ თაობას თვითმშეყრობელობისა და ქართველ გაბატონებული წოდების ე.წ. ძველი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ.

#### IV

მე-19 საუკუნის 60-იანი წლები რუსეთში ხასიათდება, ერთის მხრივ კაპიტალიზმის განვითარებით და ძველ ეკონომიკურ-საზოგადოებრივ წყობილების რღვევის სწრაფი პროცესით, ხოლო მეორეს მხრივ, რაზნოჩინცულ ინტელიგენციის დემოკრატიულ ფენების ამოძრავებით და პოლიტიკურ ცხოვრების გამოცოცხლებით. ყირიმის ომმა რუსეთის საზოგადოების, თითქმის

ყველა ფენებისათვის, ნათელყო ძველი წყობილების უვარგისობა. ამ ომმა აამოძრავა სოციალური კლასები, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას, გამოააშკარავა ძველი იდეოლოგისა და აზროვნების სრული უვარგისობა.

ყირიმის ომმა აუცილებელი გახადა გლეხთა განთავისუფლება. გლეხთა განთავისუფლების შესახებ საკმაოდ მწვავედ დაისვა საკითხი თვით მთავრობის წრეებშიაც კა. ალექსანდრე მეორის ხელისუფლება მიხვდა, რომ თუ თვითონ არ მოკიდებდა ხელს გლეხთა განთავისუფლების საქმეს, ამ ინიციატივას თვით გლეხობა აიღებდა ხელში. ამიტომ იყო, რომ უკვე 1856 წ. გაფაციცებული მუშაობა სწარმოებდა მთავრობის წრეებში გლეხთა განთავისუფლების საკითხზე.

გლეხთა განთავისუფლების საკითხზე მემამულეთა წრეებშიც მსჯელობდნენ. მემამულეთა რეაქციონური ნაწილი მოითხოვდა გლეხთა განთავისუფლებას უმიនოდ, ხოლო ლიბერალები აყენებდნენ პროგრამას გლეხთა მიწით განთავისუფლების შესახებ. როგორც ცნობილია, ორთავე ეს მიმდინარეობა გლეხთა განთავისუფლებას, ე.წ. გლეხთა რეფორმის გატარებას თვითმპერობელობის აპარატის მეშვეობით ფიქრობდნენ, რადგან ეშინოდათ გლეხთა ამბოხებისა.

მებატონეთა და ლიბერალთა ბრძოლას ლენინი შემდეგნაირად ახასიათებდა: „ცნობილი ბრძოლა მებატონეთა და ლიბერალთა შორის, იყო ბრძოლა გაბატონებული კლასების შიგნით, უმთავრესად მემამულეთა შიგნით, ბრძოლა განსაკუთრებით დათმობის ზომებისა და ფორმების შესახებ“.<sup>66</sup>

მაგრამ, გლეხთა რეფორმის სახელმწიფოებრივ წრეებში მზადებისა და მის წინა ხანებშიაც ბატონყმობის და არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ რუსეთში ხმა აიმაღლა

<sup>66</sup> ლენინი. ტ. XI, გ. 2. გვ. 262.

რაზნოჩინცულმა ინტელიგენციამ, ამ ინტელიგენციის რადიკალურ დემოკრატიულად განწყობილმა ნაწილმა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მეთაურობით.

სამოციანი წლები იდეურ აღორძინების პერიოდია რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში. რაზნოჩინცული ინტელიგენციის მსოფლმხედველობას საფუძვლად დაედო მატერიალისტური ფილოსოფია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორიულ-სოციოლოგიურ საკითხებში მათი დასაყრდენი გახდა რაციონალისტურ-იდეალისტური აზროვნება, ამ საზომით მიუდგნენ ისინი იმ დროის რუსეთის საზოგადოებრივ მოვლენებს და დაიწყეს სამოქმედო პროგრამის დამუშავება.

60-იან წლებში რუსეთში ხდება ე.ნ. „დიდი რეფორმა“, გლეხთა განთავისუფლება, სასამართლოსა და ადმინისტრაციულ-საერობო რეფორმები, უკეთ რომ ვთქვათ, წოდებრივ-მემამულეთა წყობილების გარდაქმნის პროცესი ბურჟუაზიულ მიმართულების მიხედვით. სამოციანი წლების ეპოქაში აღსანიშნავია ორი პერიოდი – პირველი 1855-60 წ.წ. როდესაც ომში დამარცხების შემდეგ გამოცოცხლდა ოპოზიციონური ძალები და მათ მუშაობას გარკვეული რევოლუციური შინაარსი მიეცა, უკეთ როდესაც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის „სოვრემენიკი“ ჩაუდგა სათავეში ოპოზიციურ პრძოლას. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რუსეთის ინტელიგენციის წრეებში ფეხს იკიდებს ერთგვარი იმედი, რწმენა იმის შესახებ, რომ რეფორმები ხალხის სასარგებლოდ დაგვირგვინდებოდა და რამოდენიმედ შაინც გამოიწვევდა რუსეთის განახლებას. ამ პერიოდს ეკუთვნის გერცენის ცნობილი ფრაზა ალექსანდრე მეორის მიმართ: «Ты победил, Галилеянин», რომელსაც თითქმის თანაგრძნობით შეხვდა რუსეთის ინტელიგენცია.

თვით ჩერნიშევსკიც კი, ნაწილობრივ, ვერ ასცდა ამ ოპორტუნისტულ განწყობილებას, მიუხედავად იმისა, რომ მან სასტი-

კი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ამ პერიოდის ბურუუაზი-ულ-ლიბერალური საგლეხო პროგრამები. გერცენისადმი მინე-რილ წერილში (1860 წ.) სწერდა: „ალექსანდრე მეორის მეფო-ბით რამოდენიმედ მოშვებული იქნა არტახები, რომელიც ნიკო-ლოზ პირველმა შემოაკრა რუსეთს და ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ და რესკრიპტების გამოცემის შემდეგ ყველანი ილუზიას მივეცით... თითქოს საქმე გათავებულიყოს და გლეხები განთავისუფლდებიან მინით. ყველანი ლაპარაკობ-დნენ ზომიერების და ფართო პროგრესის შესახებ; მასთანვე და-ივინყეს, რომ გლეხთა განთავისუფლება მინდობილი პქონდათ მემამულებს“.<sup>67</sup>

მაგრამ ალექსანდრე მეორემ და მისმა რეფორმებმა მალე გამოაშკარავეს კლასიკური ბუნება და ინტელიგენციასაც სწრაფად გაეფანტა ეს ოპორტუნისტული ილუზიები.

ჩერნიშევსკიმ და მისმა წრემ „სოვრემენიკის“ ფურცლებზე სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს ლიბერალებისა და მებატონეთა წი-ნააღმდეგ, ამით, ფაქტიურად, იწყება 60-იანი წლების მეორე პე-რიოდი. ამ პერიოდში რადიკალურად განწყობილი რუსეთის ინ-ტელიგენცია რევოლუციონური ბრძოლისათვის ემზადება, ხო-ლო მეორეს მხრივ, მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავს რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკი – ფაქ-ტიური ხელმძღვანელი რევოლუციონური მოძრაობისა – ამ პე-რიოდში „ნაჯახისაკენ“ მოუწოდებს რუსეთის ხალხს, ვრცელ-დება რევოლუციონური პროკლამაციები, არსდება რევოლუ-ციონური ოგანიზაციები – ერთის სიტყვით, ჩაღდება ბრძოლა თვითმპრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

რუსეთის რადიკალურ-დემოკრატიულად განწყობილ ინტე-ლიგენციისათვის მალე გახდა ნათელი ის ფაქტი, რომ გლეხთა საკითხის გადაჭრა ლეგალური გზით, ხელისუფლების წრეებისა

<sup>67</sup> М. Лемке. «Политические процессы в России в 60—х г.», стр. 169.

და ლიბერალების ლაყბობით, შეუძლებელი იყო. ამიტომ იყო, რომ ინტელიგენციის ამ ნაწილმა ჩერნიშევსკის მეთაურობით მალე აირჩია რევოლუციონური ბრძოლის, გლეხთა აჯანყებების გზა. ჩერნიშევსკი და მისი ჯგუფი (დობროლიუბოვი, ძმები სერ-ნო-სოლოვიევიჩები, შელგუნოვი და სხვ.) მალე დარწმუნდა, რომ შექმნილი კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ გლეხობის რევოლუციონური ამბობებით იყო შესაძლებელი. გლეხთა ამბოხების მეთაურად და ხელმძღვანელად ამ ჯგუფმა იმთავითვე მონინავე ინტელიგენცია მიიჩნია.

მაგრამ მეტად ძნელს პარობებში უხდებოდა ბრძოლა რუსეთის რაზნოჩინცულ ინტელიგენციას. შექმნილი საზოგადოებრივი კრიზისი, გლეხთა მასიური მოძრაობანი, ინტელიგენციის რევოლუციონური აღტკინება და, საერთოდ, რუსეთისათვის უჩვეულო საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება, შიშის ზარსა სცემდა თვითმშეყრობელობას. საზოგადოებრივი მოძრაობის შესაჩერებლად, რევოლუციონურ აზრის ჩასაკლავად, გამეფებული იყო სასტიკი ცენზურა. ამ პერიოდში რუსეთში ბატონობდა ნიკოლოზ პირველის საცენზურო კანონი, რომლის შესახებ, სხვათა შორის, ცენზორი გლინკა, ამბობდა, რომ ამ დებულებით „მამაო ჩვენო-ს“ აკრძალვაც კი შეიძლებაო, ხოლო 1858 წ. ამ ყოვლად სასტიკ საცენზურო კანონს დაემატა ახალი უქაზი, რომლის ძალითაც სასტიკად იკრძალებოდა გლეხთა განთავისუფლების საკითხზე ხმის ამოღება, მსჯელობა ან კრიტიკა გლეხთა საკითხის ირგვლივ მთავრობის დადგენილებებისა და სხვა. აი ეს უქაზი:

«Циркуляр от 16 января 1858 г. Для руководства внутренней цензуры при рассмотрении и пропуске к печатанию статей, относящихся до предпринятого ныне освобождения лиц крепостного состояния, предписываются следующие правила:

а) Статей, где будут разбирать, обсуждать и критиковать распоряжения правительства по этому делу, к печатанию не допускать.

б) Не позволять печатать также тех статей преимущественно литературного содержания, где в форме рассказа или какой-либо другой помещаются события и суждения, могущие возбудить крестьян против помещиков.

в) Затем все сочинения и статьи, чисто ученые, теоретические, исторические и статистические, где будут разбираться и рассматриваться вопросы хозяйственные о теперешнем и будущем устройстве помещичьих крестьян, дозволять печатать, как отдельными книжками, так и во всех периодических изданиях с тем только: а) Чтобы при этом не было допускаемо рассуждений и толкований о главных началах, высочайшими рескриптами предписанных в руководство комитетам по губерниям учрежденным; б) Чтобы при пропуске всех подобного рода статей и сочинений в точности соблюдались общие правила, цензурным уставом подписанные; в) Чтобы обращено было особое внимание на дух и благонамеренность сочинений и г) Статьи, писанные в духе правительства, допускать к печатанию во всех журналах».<sup>68</sup>

მიუხედავათ ასეთი სასტიკი ცენზურისა ჩერნიშევსკი და მისი წრე მაინც ახერხებდა, სიტყვაგადაკვრით „სოვრემენიკის“ ფურცლებზე თავის რევოლუციონურ შეხედულებების გამოთქმას. 1859 წ. იტალიის პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვის დროს ჩერნიშევსკიმ მეტად საყურადღებო აზრები გააპარა ცენზურას: „ვინც საქმეს კიდებს ხელს მან უნდა იცოდეს, თუ საით ნაიყვანს ეს საქმე და თუ არ სურს მისგან გამომდინარე აუცი-

<sup>68</sup> В. Евгеньев-Максимов. «Современник» при Чернышевском и Добролюбове. ст. 229. 1936 г.

ლებელი შედეგები, მაშინ მას არ უნდა სურდეს თვით საქმეც. პოლიტიკური გადატრიალებანი არასოდეს არ მომხდარა თვით-ნებობის ფაქტების გარეშე, რომელიც არღვევს იმ იურიდიული სამართლიანობის ფორმებს, რომელიც დაცული არის მშვიდო-ბიან დროში. გადატრიალება აღელვებს ხალხის გრძნობებს, ხო-ლო აღელვებული გრძნობა ივიწყებს ფორმებს.

...ადამიანი, რომელიც მონაწილეობას ლებულობს პოლიტი-კურ გადატრიალებაში და ფიქრობს, რომ ამ გადატრიალების დროს მრავალჯერ არ დაირღვევა მშვიდობიანი დროის იურიდი-ული პრინციპები, ამ ადამიანს უნდა ეწოდოს იდეალისტი<sup>69</sup>.

მაგრამ მეტად ძნელი იყო ასეთი რევოლუციონური აზრების გარკვევით წერა, ამიტომაც ჩერნიშევსკი მიკიბულ-მოკიბული გამოთქმის გზას მიმართავდა. აქ თვით მკითხველი უნდა მიმ-ხვდარიყო მწერლის აზრს.

უურ. „სოვერემენიკის“ ფურცლებზე ჩერნიშევსკიმ და მისმა ჯგუფმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მთავრობის პროექტებისა და ლიბერალურ თავადაზნაურულ შეხედულებათა წინააღმდეგ. რუსეთის ლიბერალებისათვის უჩვეულო იყო ასეთი მწვავე ბრძოლა და აკი ერთგვარი კრიზისიც გამოიწვია „სოვერემენიკის“ რედაციაში. ჩერნიშევსკი ვერ იტანდა იმ უუნარობას, რო-მელსაც ლიბერალები იჩენდნენ გლეხთა საკითხში და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მათ მოსაზრებებს.

60-იან წლებში ჩერნიშევსკისა და ლიბერალების ბრძოლას ლენინი შემდეგნაირად ახასიათებდა: „60-იანი წლების ლიბერა-ლები და ჩერნიშევსკი არსებითად ორი ისტორიული ტენდენცი-ის, ორი ისტორიული ძალის წარმომადგენელნი არიან, რომელ-ნიც იქედან დაწყებული დღევანდლამდე თავისებურად განმარ-ტავენ ახალი რუსათისათვის ბრძოლის საქმეს.... ლიბერალებს სურდათ რუსეთის „განთავისუფლება ზევიდან“, მეფის მონარ-

<sup>69</sup> ჩერნიშევსკი, ტ. V – 404-405.

ქიის დაუმსხვრევლად, მემამულეთა, მიწათმფლობებლობისა და ხელისუფლების მოუსპობლად, მხოლოდ მოუწოდებდნენ მათ დროის შესაფერისი „დათმობისაკენ“; ლიბერალები იყვნენ და დარჩენენ ბურჟუაზიის იდეოლოგებათ, რომელთაც არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ბატონებისას, მაგრამ მათ ეშინოდათ რევოლუციის, ეშინოდათ მასის მოძრაობის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო დაემხო მონარქია და გაენადგურებია მემამულეთა ძალაუფლება. ამიტომ ლიბერალები კმაყოფილდებოდნენ „რეფორმისათვის ბრძოლით“, „უფლებისათვის ბრძოლით“, ე.ი. ხელისუფლების გაყოფით მებატონეთა და ბურჟუაზიას შორის. ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი – უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლას ძველი ნახევრად-ფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით... მაგრამ ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალისტი – უტოპისტი; ის იყო აგრეთვე რევოლუციონერი დემოკრატი, ის გავლენას ახდენდა მაშინდელი ეპოქის პოლიტიკურ მოვლენებზე რევოლუციონური შინაარსის მიხედვით, ატარებდა რა სასტიკ ცენზურულ პირობებში გლეხური რევოლუციის იდეას, მასების ბრძოლის იდეას ძველ ხელისუფლების დასამხობათ. 1861 წ. „გლეხთა რეფორმა“ რომელსაც ლიბერალები პირველად აფერადებდნენ, ხოლო შემდეგ ადიდებდნენ, მან სისაძაგლეთ მონათლა, რადგან ის გარკვევით ხედავდა რეფორმის ბატონებურ შინაარსს, ნათლად ამჩნევდა, რომ გლეხებს სძარცვავდნენ... სამოციანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ უწოდა „მოლაყბეები“ ტრაბახები და ჩერჩეტები იმიტომ, რომ იგი ნათლად ხედავდა მათ შიშს რევოლუციის წინაშე, მათ უხასიათობასა და მონურ ხოხვას მემამულეთა ხელისუფლების წინაშე<sup>70</sup>.

<sup>70</sup> ლენინი. ტ. XI გ. 2. გვ. 262-263.

გლეხთა მასიურმა ამბოხებებმა და რაზნოჩინცების სასტიკ-მა ბრძოლამ უდაოდ დააჩქარა თვითმპყრობელობის გადაწყვეტილება გლეხთა განთავისუფლების შესახებ. 1861 წ. 19 თებერვალს გამოქვეყნდა მანიფესტი. თავადაზნაურულ ლიბერალურმა პრესამ განგაში ასტეხა ამ „დიდი წყალობის“ შესახებ, უურნალ-გაზეთები ხოტბას ასხავდნენ მეფე „განმათავისუფლებელს“. მხოლოდ უურ. „სოვრემენიკი“ სადუმდა. „სოვრემენიკის“ ხელმძღვანელობა ჩერნიშევსკის მეთაურობით უარყოფითად იყო განწყობილი გლეხთა მძარცველური განთავისუფლების მიმართ, მაგრამ საცენზურო პირობების გამო უურნალს არ შეეძლო თავისი აზრების გამომჟღავნება. მიუხედავათ ამისა, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის წრის რევოლუციონურმა განწყობილებამ, ამა თუ იმ სახით, მაინც იჩინა თავი უურნალის ფურცლებზე.

1861 წ. მარტის ნომერი სრული სიჩუმით შეხვდა მანიფესტს. უურნალი დაქმაყოფილდა მხოლოდ გლეხთა განთავისუფლების შესახებ დადგენილებიდან ზოგიერთი ადგილების გამოქვეყნებით – უკეთ წმინდა ოფიციალური მასალით ყოველგვარი კომენტარების გარეშე, მაშინ, როდესაც სხვა უურნალ-გაზეთები სავსე იყო ხოტბით ალექსანდრე მეორისადმი.

რეფორმის საკითხს არ შეეხო არც უურნალის სპეციალური თავი „შინაური მიმოხილვა“. სხვათა შორის მიმოხილვის ავტორი შემდეგი სიტყვებით იწყებს საუბარს: „თქვენ, მკითხველო, ალბათ ელით, რომ მე საუბარს დავიწყებ იმაზე, რის შესახებაც ახლა გაჰკივიან, იმღერიან, ლაპარაკობენ ყველა უურნალ-გაზეთები, ე.ი. „გლეხებისათვის ნაწყალობებ თავისუფლებაზე“. მოტყუფდებით თქვენს მოლოდინში. მე შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს რომ ჩემს შესახებ ამას ფიქრობთ“.

აღნიშნული ნომრის დაკვირვებული გადაკითხვა დაგვარნმუნებს, რომ აქ გარდა ამისა, მოიპოვებოდა მასალა, რომელიც

ამა თუ იმ სახით ეხებოდა რეფორმას. ამ ნომერში შემთხვევით როდია მოთავსებული ონგფელოს «Песни о Неграх» მ. ი. მიხაილოვის თარგმანი. ამ ნაწარმოებში ყურადღებაა გამახვილებული მონობის მეტად შემაძრნუნებელ მხარეებზე, რაც მკითხველს ზიზღს აღუძრავს მონათმფლობელობისადმი. ამავე ნომერშია მოთავსებული ვ. ობრუჩევის სტატია „მონობა ჩრდილოეთ ამერიკაში“. სხვათაშორის ამ სტატიაში შემდეგ საყურადღებო ადგილს ვკითხულობთ: „ყველასათვის მოულოდნელად, შესაძლებელია, ხანძრის აღმა ამოხეთქოს ქვეყნის ყველა კუთხეში, მასთან ერთად დაიწყება ხოცვა და ძარცვა, რომელთა სიმკაცრე, რასაკვირველია, საზარელი იქნება, მაგრამ აუცილებელი შედეგი იქნება უკიდურეს განუვითარებლობისა და, რაც მთავარია, ხალხის უკიდურესი ტანჯველისა“.<sup>71</sup> ავტორი მზად არის თანაუგრძნოს მეამბოხეებს და განაგრძობს: „ისინი ხომ იბრძოებებს დიდი იდეისათვის, საღმოო და არსებით უფლებებისათვის...“<sup>71</sup>

მართალია, ეს ნათქვამი იყო ჩრდ. ამერიკის შესახებ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რუსეთის მდგომარეობას 1861 წ., როდესაც სოფლად აბობოქრებული იყო გლეხობა, ხოლო ქალაქად მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია – სტუდენტობა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული ადგილი ობრუჩევის სტატიისა ერთგვარი მოწოდება იყო მოქმედებისაკენ.

აი ამ რევოლუციონურ ბრძოლის ქარცეცხლში და დემოკრატიულ ინტელიგენციის გავლენის ქვეშ იზრდებოდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქართულ საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მე-60 წლებიდან.

<sup>71</sup> „სოვერემენიკი“, 1861 წ. მარტი.

## V

ქართველი მესამოციანები აღიზარდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ რუსეთში ყოფნა და სწავლა სწორედ იმ პერიოდში მოუხდათ, როდესაც რუსეთის მთელი რაზნორინცული ინტელიგენცია სამკვდრო-სასიცოცხლო განმათავისუფლებელს მოძრაობაში იყო ჩაბმული, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტებს ამშვენებდნენ ლიბერალური იდეებით განთქმული პროფესორები: კ. კაველინი, ვ. სპასოვიჩი, მ. სტასიულევიჩი, ა. პიპინი, უტინი, კოსტომაროვი და სხვები. სამოქალაქო სამართლის იშვიათი სპეციალისტი ბელინსკის, გრანოვსკის, გერცენისა და ნ. ჩერნიშევსკის უახლოესი მეგობარი – პროფ. კ. კაველინი იურიდიული ფაკულტეტის სხვა სტუდენტთა შორის ილია ჭავჭავაძესაც უკითხავდა ლექციებს. მას „სტუდენტთა არეულობის“ ხელის შემწყობად სთვლიდნენ.<sup>72</sup> ამავე პერიოდს უკავშირდება რუსეთის სტუდენტთა გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ გამოსვლებში ცნობილია ქართველ სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა. ამასთანავე ერთად, ალსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტთა ხარბათ ეწაფებოდა საზღვარგარეთ არსებულ გერცენის „კოლოკოლის“ კითხვას, საიდანაც ეცნობდა ევროპის ამბებს, იტალიის ნაც. განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამწვავებულ სამოქალაქო ომის მსვლელობას ამერიკის შეერთებულს შტატებში, სადაც სამხრეთელ მონათმფლობელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ფერმერები, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ჩრდილოეთისა და დასავლეთის შტატების მუშები. ეცნობოდნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს პოლონეთის ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც 1861 წ. დაიწყო.

<sup>72</sup> ვლ. ასათიანი. „ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“.

ქართველი ახალგაზრდობა, ჩაბმული რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ხარბათ ითვისებდა დემოკრატიულ-რადიკალური მიმდინარეობის რაციონალისტურ აზროვნებას და დემოკრატიულ პრინციპებს. ქართველ ახალგაზრდობის რუსეთის რაზნორინცულ ინტელიგენციის მეთაურთა – ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებით გატაცების, მათი იდეების შეთვისების შესახებ მრავალი ფაქტები შემოუწახავს როგორც ჩვენს, ისე რუსულ ისტორიულ ლიტერატურას.

60-იანი წლების ჩვენს ინტელიგენციაზე რუსი დიდი მოაზროვნის ნ. ჩერნიშევსკის უშუალო გავლენის შესახებ, 60-იანი წლების ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი ნ. ნიკოლაძე შემდეგსა სწერდა 1873 წ.: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რა ნაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი უურნალის („სოვრემენიკი“ ლ. ც.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი ცრემლი, ბოლომოულებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზე დავაში... ვინ დაითვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს... სადა არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გრძნობას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა? «Одних уже нет, а те далаече», ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი?...“<sup>73</sup>

მეტად დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ 60-იან წლებში რუსეთის უნივერსიტეტებში მყოფი ქართველი ახალ-

<sup>73</sup> 6. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) „სხვათა შორის“, „კრებული“. N 4. 1873 წ.

გაზრდები პირადად იცნობდნენ ნ. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახს, აი ამის შესახებ რასა სწერს თავის მოგონებაში ი. ისარლიშვილი „ქართველ სტუდენტთა ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემის დაარსების საქმეში და საერთოდ, კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიტანეს დიდი გამოცოცხლება, ძლიერ მისისწრაფოდა „სოვორებენიკის“ რედაქციისაკენ. ზოგიერთ ჩვენთაგანს დამოკიდებულება და გულდია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში, ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდნენ ამ ოჯახში. ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით საღამოობით ჩაიზე, როდესაც სახლში დაგვხვდებოდა ოლდა სოკრატის ასული (ჩერნიშევსკის მეუღლე. ლ. ც.) თავისი დით. დროს ვატარებდით უბრალო საუბარში, არც პოლიტიკურ შეთქმულებას, არც ლიტერატურულ საღამოებს ჩვენ არ ვმართავდით, მხოლოდ უბრალოდ ვსაუბრობდით, ვოხუნჯობდით და ერთმანეთს ვაცნობდით იმ ახალ ამბებს, რომლითაც დაინტერესებული იყო მთელი პეტერბურგი. თვით ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან; ის იჯდა თავის კაბინეტში და მუშაობდა. მხოლოდ, როგორც მახსოვს, ახალ წლის წინა ღამით, ჩვენ ოლდა სოკრატის ასულის მეთაურობით შევიჭრით მის კაბინეტში და გამოვიყვანეთ ის ჩვენს „კოსტიუმებით“ მოწყობილ საღამოზე. მას ოლდა სოკრატის ასულმა გადააცვა ქალის კოსტუმი და დაბეჯითებით იწვევდა საცეკვაოდ. ქმარიცა და ცოლიც ყურადღებით გვეპყრობოდნენ ჩვენ. ხანდისხან შემოდიოდნენ ჩვენთან, რომ წავეყვანეთ სადმე. ერთხელ, როგორც მახსოვს, ჩერნიშევსკები ჩემთან შემოვიდნენ მეოთხე სართულზე.... იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელიც დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში მე მახსოვს ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ვ. ლოლობერიძე, ეჯუბოვი და სხვები. იქ ჩვენ არაერთხელ ვხვდებოდით

„სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: ნ. დობროლიუ-ბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევსა და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ლოლო-ბერიძე არაერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან. „სოვრემენიკის“ ჯგუფის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირ. ლორთქიფანიძე, შემდეგში ქართველი უურნალისტი და მწერალი<sup>74</sup>.

აქავე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ქართველმა სტუდენტობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა დემონსტრაციაში 1861 წ. დემონსტრაციაში მონაწილენი იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ლოლობერიძე, ი. ისარლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, დ. ლოლობერიძე და სხვები. ბ. ლოლობერიძე ამ დროს მეტად დაახლოვებული იყო „სოვრემენიკის“ ჯგუფთან და ჩერნიშევსკისთან ერთად ერთ-ერთ კომიტეტშიაც მოღვაწეობდა.

ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა 1861 წ. დემონსტრაციაში უდაოდ დიდი ისტორიული ფაქტი იყო და მასთან პირველი მაგალითი ჩვენს ისტორიაში. ქართველ ინტელიგენციის პრაქტიკული მონაწილეობა დემოკრატიულ-რევოლუციონურ მოძრაობაში საკმაოდ ვრცლად აღწერა თავის დროზე ნ. ნიკოლაძემ, თავის მოგონებაში იგი სწერდა: „სექტემბრის 24-ს სასა-დილოში შემოვიდნენ ორი ლოლობერიძე ნ. მ. და ბ. ლ. მათ გად-მოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გა-მოდის და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა... შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც დემონსტრაციაში მონაწილეობას ყველა იღებენო... ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ლოლობერიძემ წასვლისას ეს სიტყვები გვეს-

<sup>74</sup> Г. Туманов. «Характеристика и воспоминания». Кн. 1. стр. 230-233.

როლა: „ვინც მშიშარა ხართ სახლში დარჩითო“, ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არათუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც მიგვეხეთქა“.<sup>75</sup>

ცხადია, რუსეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას, რომელიც გართული იყო რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობით, ამ დროის მონინავე აზრთა მფლობელის დიდი დემოკრატის და რევოლუციონერის – ჩერნიშევსკის მეთაურობით, სრულიადაც დავინწყებისათვის არ მიუცია თავის ქვეყანა. პირიქით, შეიარაღებული რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნებით და განმათავისუფლებელ მოძრაობის ზოგიერთი გამოცდილებით, – ქართველი ახალგაზრდობა ღრმად გრძნობდა ახალი ცხოვრების დასაწყისს საქართველოში. ქართველი ახალგაზრდობა კარგად იცნობდა საქართველოს საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს, მას მშვენივრად ჰქონდა გათვალისწინებული თვითმმყრობელობის ის ვერაგი კოლონიალური პოლიტიკაც, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების მოსპობასთან ერთად განადგურების კარამდე მიიყვანა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებაცა და კულტურაც. კარგად გრძნობდა ქართველი ახალგაზრდობა იმასაც, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ახალ ეკონომიკურ ვითარების საფუძველზე შეუძლებელი იყო ძირმომპალი ბაზონუმური წყობილების მოსპობის გარეშე; აი ამ იდეებით გამსჭვალული და პრაქტიკულ მოქმედებისათვის გამზადებული უბრუნდება საქართველოს რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი ახალგაზრდობა.

რა დახვდა ახალგაზრდობას საქართველოში? და როგორ დაისახა მათ წინაშე, რუსეთში შეთვისებულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული მოქმედების დაწყება საქართველოს სინამდვილეში?

<sup>75</sup> „ახალი კავკასიონი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევ-რის ბოლოსათვის საქართველოს ეკონომიურს ცხოვრებაშიაც შესამჩნევი გახდა ერთგვარი ძვრები, ხოლო ყირიმის ომმა, როგორც რუსეთში ასევე ჩვენშიაც, საკმაოდ შეუწყო ხელი საერთო ცხოვრების წარმატება-განვითარების საქმეს. ამ ომმა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისი გამოიწვია და ამით აამოძრავა სოციალური კლასები, გამოააშკარავა ძველი იდეოლოგი-სა და აზროვნების სრული უვარგისობა. ამ პერიოდს მშვენივ-რად ახასიათებდა ნ. ნიკოლაძე 1873 წ.: „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, – სწერდა ნიკოლაძე, – ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მათავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ. ორმოცდახუთმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშკარა-ვა. ამ ცვლილებებმა მამაპაპური ცხოვრება და ჩვეულებები შეს-ძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი განწყობილება კარზე მოგვაყენა. ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინა-ხა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდამ შეუც-ვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხლით შექმნილა და კაცის ხელით შეიცვლება. რისთვის დაწესე-ბულა რომელიმე კანონი, სასარგებლოა ის საზოგადოებისთვის, თუ სავნებელი, დარჩეს ის თუ შეიცვალოს, ან როგორ შეიცვა-ლოს, რა დაარსდეს მის მაგიერ, – ეს კითხვები თვითვე კაცის გონებით და მოაზრებით გამოიკვლევაო. ამას მიხვდა ჩვენი სა-ზოგადოება და ჩვენი ხალხი“.<sup>76</sup>

ომმა, როგორც აღვნიშნეთ, გამოააშკარავა არა მხოლოდ ეკონომიური წყობილების უვარგისობა, არამედ წათელყო მთე-ლი სოციალური შენობის სიდამპლეც – და აამოძრავა მოწინავე სოციალური ფენები. ყირიმის ომის შემდეგ საგლეხო რეფორ-

<sup>76</sup> 6. სკანდელი. „ახალი ახალგაზრდობა“. „კრებული“ №1. 1873 წ.

მამდე მთელი საქართველო დაისერა გლეხთა ამბოხებებით. სა-მეგრელოს ამბოხება, პარტიზანული ბრძოლები მემამულეთა და გლეხთა შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, უდიდესი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბატონყმური ურთიერთობა აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების შემდგომ განვითარებას. თუ რამდე-ნად ამოძრავდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნანილი გლეხთა საკითხის ირგვლივ, შესანიშნავ ცნობას გვაძლევს 6. ნი-კოლაძე. 1865 წ. „კოლოკოლში“ სწრაფა: „ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი სა-ქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღელვებდა და თავიდანვე მიიღო მან, დამოუკიდებლად თავისი სოციალური სახიათისა, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი. ამ სა-კითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გაეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტიქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა“.<sup>77</sup>

და მართლაც, რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველ ახალ თაობას საქართველოში დახვდა ყირიმის ომის შემდეგ დაწყებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა, მაგ-რამ ამ მოძრაობას ამუხრუჭებდა კონსერვატიული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც დამფრთხალი ახალი ცხოვრების დასაწყისით მთელი თავისი სიმძიმით იცავდა გაბატონებული წოდების ინტერესებს და, ცდილობდა, გადაერჩინა ძველი საზო-გადოებრივი ურთიერთობა დარღვევისა და განადგურებისაგან. ლიბერალთა მცირეოდენი ჯგუფი, რომელსაც თითქოს შეეგნო

<sup>77</sup> რი-ნელი. «Освобождение крестьян в Грузии». Журн. «Колокол», № 198, 1865 г. ამოლებულია ს. ხუნდაძის შრომიდან „ნ. ნიკოლაძე“.

ახალი ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობა, ბატონყმობის მოსპობის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ეს თავადი ლიბერალები გლეხთა განთავისუფლების საკითხში, არსებითად გამომდინარეობდნენ არა გლეხებისადმი სიყვარულიდან და მათი ინტერესების დაცვის სურვილიდან, არამედ მათ ამოძრავებდა საკუთარი ეკონომიური ინტერესები, მათი აუცილებელი მოთხოვნილება იყო შეეცვალათ ყმური-მონური შრომა თავსუფალი შრომით. ქართველი ლიბერალები სრულიადაც არ ფიქრობდნენ თავისი წოდების პრივილეგიური მდგომარეობის მოსპობას, პირიქით, მათი სურვილი იყო თავადაზნაურთა წოდება შეეგუებიათ ახალი, კაპიტალისტური ეკონომიური ვითარებისათვის.

ქართველ კონსერვატორებსა და ლიბერალებს თავისი საკუთარი ორგანოებიც ჰქონდათ ამ დროს „ცისკარი“ და „გუთნის დედა“. „ცისკარი“ ერთადერთი სალიტერატურო ჟურნალი კონსერვატორთა ბუდეთ გამხდარიყო და არამც თუ გლეხთა საკითხი, არამედ საზოგადოთ ყოველი ახალი აზრი, „ცისკრის“ ფურცლებს არ ეკარებოდა. ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნების ჟინით გატაცებულ მაღალ წოდებას დავიწყებისათვის მიეცა ქართული კულტურა, კავშირი გაეწყვიტა საქართველოს ძველს ისტორიასთან (ტრადიციებთან, მეცხრამეტე საუკუნის პირველს ნახევრის მანძილზე ჩვენს ლიტერატურაში, თითქმის გაბატონებულს უიმედო ჩივილსა და გოდებას დაკარგული თავისუფლების გამო) თითქოს სრულიად ამოეგლიჯა დაკარგული ვინაობის აღდგენის სურვილი გადაგვარების გზაზე მდგარი ქართველი მაღალი წოდების შეგნებიდან.

ქართველი მაღალი წოდება სრულიად არ ფიქრობდა ახალს ცხოვრებაზე, არ იბრძოდა ახალი პირობებისათვის, პირიქით მტკიცედ ჩასჭიდებოდა ძველს ცხოვრებას, ბატონყმურს ურთიერთობას და თვითმმკრობელობასთან ხელიხლაკიდებული იბრძოდა მის შესანარჩუნებლად. ხოლო მე-60 წლებისათვის

ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მძღავრი ბურჟუაზული კლასი, ხოლო რაც იყო, ისიც უმთავრესად სომხისა და უცხო ტომის ელემენტებისაგან შესდგებოდა, მათ არც შეეძლოთ და არც სურდათ პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ახალი ცხოვრებისა და ახალი პირობების შესაქმნელად. ეს – უცხო – ბურჟუაზია ეგუებოდა ცარიზმის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და მხოლოდ უმნიშვნელო ეკონომიკურ ბრძოლას აწამოებდა.

ბურჟუაზიული კლასის ისტორიული მისის შესრულება პოლიტიკურსა და იდეოლოგიურს სფეროში ჩვენი ცხოვრების პირობებმა ახალთაობის ინტელიგენციას დააკისრა. მათი აზროვნება, პრაქტიკული საქმიანობა და იდეოლოგია გამოხატავდა ბურჟუაზიულ მისწრაფებასა და ბურჟუაზიულ კულტურას. მაგრამ აქავე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ჩვენში თავისებურ ობიექტურ გარემოში ხდებოდა, ჩვენი ახალთაობის ბურჟუაზიული იდეოლოგიაც რამდენიმედ თავისებური ხასიათის მატარებელი იყო.

ასეთს პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზედ სამოღვაწეოდ გამოსვლისთანავე ქართველმა ახალგაზრდობამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, სასტიკი შეტევა დაიწყო ქართველი საზოგადოების რეაქციონურ განწყობილებათა წინააღმდეგ.

60-იან წლებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ორ თაობას შორის, რომელიც თავისი ისტორიული მნიშვნელობით იმთავითვე იყო ბრძოლა ფეოდალურ-სეილასტიურ აზროვნებასა და დემოკრატიულ-რაციონალისტურ აზროვნებას შორის. ამ ბრძოლაში, ფაქტიურად, ორი საქართველო შეეჯახა ერთიმეორეს. საქართველო ორბელიანების – მიმავალი ბატონიშვილური და საქართველო ახალი თაობის – მომავალი ბურჟუაზიული განვითარების გზაზე შემდგარი. ახალგაზრდობა ძველ თაობასთან პირველი გაბრძოლებისთანავე დარწმუნდა, რომ ძველ თაობას არაფერი

გაეგებოდა ცხოვრების ახალი მოთხოვნილებებისა, დარწმუნდა, რომ ძველი თაობა სრული გადაგვარების გზას დასდგომოდა და ულმობელი კრიტიკით დაიწყო მისი მხილება, მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამგვარად, მე-60 წლების ჩვენი ინტელიგენცია ღრმად დარწმუნდა, რომ საქართველოშიაც დაწყებული იყო ახალი ცხოვრება, ხედავდა, რომ ნადგურდებოდა ძველი ცხოვრების ფორმები, დარწმუნებული იყო იმაშიაც, რომ აუცილებელი იყო ცხოვრების ძველი ფორმების ნგრევისა და მოსპობის დაჩქარება, ახალი ცხოვრებისათვის გზის გაწმენდა.

აი აქ აღიმართა ახალთაობის წინაშე პრობლემა, თუ რომელი გზით შეიძლებოდა საქართველოს საერთო ცხოვრების წარმატება და რომელი ფორმა საზოგადოებრივი წყობილებისა შეესაბამებოდა მას.

60-იან წლების ქართველი ახალგაზრდობისათვის, იმთავითვე განუხრებად დადგა საკითხი საქართველოს ახალი ცხოვრების ეროვნულს ნიადაგზე მოწყობისა. ახალგაზრდობა კარგად გრძნობდა, რომ ახალი ცხოვრების ეროვნულს ნიადაგზე მოწყობისათვის საჭირო იყო ბატონყმობის მოსპობა და ეროვნული ვინაობის განმარტება, რომელიც თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის უხეში დაწოლით და წოდებრივი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში ქართველი საზოგადოების ერთნაწილს დავიწყებისათვის მიეცა.

60-იან წლების მთელს მანძილზე ეს ორი ძირითადი საკითხი შეიქმნა ჩვენი ახალთაობის ბრძოლის საგნათ, ამ საკითხების ირგვლივ წარიმართა საზოგადოებრივი აზრი.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის, დემოკრატიულ-რადიკალური მიმდინარეობასა და რაციონალისტური აზროვნების ნიადაგზე აღზრდილმა ქართველმა 60-იან წლების ახალგაზრდობამ ამ ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად

ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ინტელიგენციას მიანიჭა. მათ სწავლათ, რომ თუკი ინტელიგენცია სწორ აზროვნებასა და პროგრამას გამოიმუშავებდა, იგი შესძლებდა ცხოვრების გარდაქმნას, მის რაციონალურ საფუძველზე მოწყობას. ინტელიგენციის საშუალებით ფიქრობდა ჩვენი ახალგაზრდობა თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. სხვაგვარი აზრი თითქოს შეუძლებელიც იყო, რადგან რაციონალისტური აზროვნებისა და იდეალიზმის საფუძველზე აღზრდილი მოწინავე ინტელიგენცია ჩვენი ცხოვრების მაშინდელ პირობებში ვერცერთ სოციალურ ძალას ვერ ხედავდა, გარდა იმავე ახალთაობის ინტელიგენციისა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს დაყრდნობა და მისი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევა; მხოლოდ ეს სოციალური ფენა სჩანდა ცხოვრების ფონზე, მხოლოდ ის აზროვნებდა კრიტიკულად და მოქმედებდა აქტიურად“.<sup>78</sup>

განმეორებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ახალთაობის აზროვნება, პროგრამა და პრაქტიკული საქმიანობა ხელს უწყობდა ბურუჟის განვითარებას. ობიექტურ ისტორიულად 60-იან წლების ახალგაზრდობა ბურუჟის განვითარების საქმისათვის, მისი ინტერესებისათვის იპრძოდა.

მაშინ რომ ძირითადი საკითხი – ბატონების მოსპობა, ეროვნული თავისუფლების აღდგენა – დაისახა იმთავითვე 60-იან წლების ახალგაზრდობის საპრძოლო ამოცანად. განვიხილოთ მესამოციანელების ამ საკითხების გადაჭრისათვის წარმოებული ბრძოლა.

უურნალი „საქართველოს მოამბე“-ს დაარსებამდე ქართველი ახალგაზრდობა შეეცადა ახალი იდეების საქადაგებლად გამოეყენებინა „ცისკარი“, მაგრამ „ცისკარმა“ კარი ჩაუკეტა

<sup>78</sup> ს. ხუნდაძე. „ნიკოლაძე“. გვ. 15. 1931 წ.

ახალ იდეებს, ახალგაზრდობა განდევნა, მოიმარჯვა სულშემხუ-  
თავი ცენზურა და „ცისკარში“ გაბატონებულ რეაქციონურ თა-  
ვადაზნაურობას „დიდი კაცების“ წყენინების თავიდან ასაცი-  
ლებლად სრულიად განდევნა „ცისკრიდან“ დ. ჭონქაძე, ილია  
ჭავჭავაძე და სხვები.

მაგრამ, როგორც ცნობილია, „ცისკარიც“ ვერ ასცდა აბო-  
ბოქრებული აზრის ბრძოლას. დ. ჭონქაძემ მოახერხა ბატონ-  
ყმობის საწინააღმდეგო მთელი ტრაქტატის დაბეჭდვა. „დ. ჭონ-  
ქაძე, სწრდა პროფ. ს. ხუნდაძე, – პირველი მერცხალი იყო  
წვრილბურუჟუაზიული და გლეხური მიმდინარეობისა ჩვენში, დ.  
ჭონქაძე იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში სასტიკად  
გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, და რომელიც გამოვიდა  
თავისუფალი, დამოუკიდებელი გლეხის დამცველად, წვრილ-  
ბურუჟუაზიული დემოკრატიის მებაირახტრეთ“.<sup>79</sup>

დახავსებული ძველი აზროვნების წინააღმდეგ ილია ჭავჭა-  
ვაძემ ბრძოლა ენობრივი საკითხებით დაიწყო, მაგრამ ეს ხომ  
ერთგვარი ხერხი იყო ბრძოლისა საზოგადოების გაბატონებუ-  
ლი ნაწილის წინააღმდეგ მძიმე საცენზურო პირობებში. მასთან  
ლიტერატურა – ინტელიგენცია, ხომ მთავარ დასაყრდენ ძალად  
მიაჩნდათ მესამოციანებს და ილიასაც ახალი წყობილებისათვის  
ბრძოლის საქმეში. მესამოციანების მეთაურმა ილიამ შეიტანა  
პირველად ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხში რეალიზმი-  
სა და უტილიტარიზმის პრინციპი. ამ პოზიციებიდან დაუწყო  
ილიამ პირველათ ბრძოლა „ცისკრის“ თანამშრომლებს. მაგრამ  
ცნობილია, რომ „ცისკარმა“ ვერ აიტანა საღი კრიტიკა, ისიც  
ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის ჯგუფი „ცისკარს“ საზოგადოებ-  
რივი აზრის კუბოთ სთვლიდა. საკითხები კი მოზღვავებული  
იყო, რუსეთში მწვავე ბრძოლა სწარმოებდა, რუსეთის დემოკ-

<sup>79</sup> ს. ხუნდაძე. „სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში“. ტ. II. გვ. 17.

რატიულ ინტელიგენციას საკუთარი ორგანო „სოვრემენიკი“ ჰქონდა. საჭირო და აუცილებელი იყო გამზვავებული ბრძლა სა-ქართველოს ძველი წყობილების ბატონიშვილის დამცველთა წინააღმდეგ, საჭირო იყო ქართველს საზოგადოებრიობის ყურადღების დაჭირვა მომნიფებული ეროვნული თავისუფლებისადმი, აუცილებელი იყო ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებული წარმონალურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობათა (პოლონეთი, იტალია) გაცნობა. ყოველივე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი ორგანოს გაჩენით, რადგან „ცისკარი“ – როგორც უკვე აღვნიშნეთ ახლოს არ იკარებდა ახალი ცხოვრების განსამარტავად მიმართულ წერილებს, სრულიად არ ფიქრობდა და არც სურდა ეფიქრა ჩვენი ცხოვრების ჭირვა-რამზე.

## VI

1862 წლის დამდეგსვე გადაწყვიტა ახალმა თაობამ საკუთარი ორგანოს დაარსება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. თუ გავიხსენებთ 1858 წ. უქაზს საცენტრულო კომიტეტისადმი და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთში გლეხთა განთავისუფლებას მასიური გლეხთა ამბოხებები მოჰყვა, რამაც დააფრთხო თვითმშერობელობა და ერთხანს შეაჩერა რუსეთის კოლონიებში რეფორმის გატარება, აქედან ცხადია, თუ როგორ პირობებში მოუხდებოდა მოღვაწეობა ახალ უურნალს. არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ უურნალ „საქართველოს მოამბის“ ძირითადი მიმართულების განხილვამდე, ოდნავათ შევჩერდებით მისი დაარსების ისტორიაზე.

1862 წ. კავკასიის „ნამესტნიკის“ მოვალეობას გრ. ორბელიანი ასრულებდა. მისთვის მიუმართავს ილია ჭავჭავაძეს თხოვნით უურნალის დასაარსებლად ნებართვის შესახებ. გრ. ორბელიანი, თავის მხრივ, მიმართავს კავკასიის კომიტეტს, მას შემ-

დეგ, რაც ადგილობრივმა ცენზურამ განიხილა და გაცხრილა უურნალის პროგრამა. აი გრ. ორბელიანის მიმართვა და უურნალის პროგრამა:

«Отношение и. д. наместника Кавказского ген. адют. Орбелиани к члену Кавказского комитета, управляющему делами онаго от 28-го февраля 1862 г.

Кн. Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать новый журнал на грузинском языке под заглавием: «Грузинский Вестник».

Кавказский Цензурный Комитет, разсмотрев и одобрав представленную кн. Чавчавадзе программу этого журнала, и спрашивает разрешения на издание онаго.

Вследствие сего и на основании 16-и 138 ст. XIV т. Св. Зак. уст. о ценз. разрешил издание в Тифлисе означенного грузинского журнала по предоставленной издателем программе с тем, чтобы в нем не помещалось никаких политических известий и разсуждений, я имею честь уведомить об этом в. п. препровождая при сем и копию с программы.

Программа предположаемого к изданию «Грузинского Вестника» состоит из семи отделов:

- I. Чисто литературный: стихотворения, романы, повести, драматическая пьесы и проч. – оригинальные и переводные.
- II. Исторический: статьи, относящиеся до всеобщей и в особенности Русской истории и история края – оригинальные и переводные.
- III. Политическо-экономический и сельскохозяйственный.
- IV. Критика и библиография новых книг и замечательных журнальных статей.
- V. Юмористический.

VI. Смесь (преимущественно извлечение из Русских периодических изданий).

VII. Приложения: старинные груз. книги, рукописи и проч.

«Грузинский Вестник» будет выходить ежемесячно книжками от 10 до 15 печ. лист. Цена за годовое издание, без пересылки и доставки на дом 10 р. сер. с пересылкой и доставкою 10 р. 50 к. сер.».

1862 წ. „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში უკვე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის განცხადება 1863 წ. იანვრიდან „საქართველოს მოამბის“ გამოცემის შესახებ. სხვათა შორის უურნ. „ცისკარი“-ს რედაქციამ შემდეგი ცნობა დაურთო ილია ჭავჭავაძის განცხადებას: „ვახარებთ ჩვენის „ცისკარის“ მკითხველთა და ყოველს ქართველს, ვისაც კი უყვარს თავისი სამშობლო ენა, რომ მომავალის წლის იანვრიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული უურნალი „საქართველოს მოამბე“. – დარწმუნებული ვართ ჩვენი „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ გულმზურვალედ მონანილეობასა ამ საზოგადოდ სასარგებლო საქმეში. ამასთანავე ვძეჭდავთ ახალის რედაქციის გამოცემულს პროგრამასა“.

„საქართველოს მოამბის“ რედაქციის განცხადება: მომავალ 1863 წ. იანვრის თვიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული უურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ უურნალში მთელის წლის განმავლობაში შემოვლებ შემდგომნი ნაწილები:

- I. წმიდა სალიტერატურო: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები და ნათარგმნი;
- II. ისტორიული: საზოგადო ისტორია; განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ.

- III. საპოლიტიკო და სოფლური ეკონომიკა: აქ ვეცდებით გა-ვაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმოდენად რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს.
- IV. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია: აქ განირჩევიან უცხო ენებზედ დაწერილი თხზულებანი და ქართული წიგნები.
- V. სხვადა სხვა ამბავი.
- VI. დამატება: ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი ქართული თხზულებები, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდამ თარ-გმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამჟამად არაფერს არ ვუმატებთ, რაც შეეხება უურნალის ხასიათსა და მიმართულებასა იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩევთ, რომ თვითონ უურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას; ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას კარგათ და გამოვადგეთ; ამისათვის ვიკისრეთ უურნალის გამოცემა, სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და თუ ღონე შეგვეწევა და ცოტა-თი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვიქებით, ჩვენის მხრით, რასაც კი შევძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ლოლობერიძემ, სხვადასხვა ამბებისა უფ. დავით ყიფიანმა, და საპოლიტიკო და სოფლური ეკონომიკისა უფ. ივანე სერებრიაკოვმა.

უურნალი „საქართველოს მოამბე“ თვედათვე გამოვა სივრცით შვიდ თაბაზიდამ ათამდე, ანუ 112-160 გვერდამდე, თუ შეგვეძლება ამაზე მეტიც.

ფასი მთელი წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელათ ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიცა იმყოფება ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე თ. ივანე მუხრანსკის სახლებში №26.

ილია ჭავჭავაძე, რედაქტორი „საქართველოს მოამბისა“.  
„ცისკარი“ 1862 წ. №9.

მძიმე პირობებში მოუხდა „საქართველოს მოამბის“ რედაქციას მუშაობის დაწყება. ცენზურამ ილია ჭავჭავაძეს უურნალის გამოცემის ნება მისცა იმ პირობით, რომ უურნალში ადგილი არ ჰქონდა ცოლიტიკურ ცნობებსა და მსჯელობას. საზოგადოთ, ხომ სასტიკად იყო აკრძალული ბატონიშვილის შესახებ წერა, ხოლო ეროვნულ თავისუფლებაზე არამც თუ წერა, ფიქრიც არ შეიძლებოდა თვითმპურობელობის სასტიკი რეჟიმის დროს. „საქართველოს მოამბებ“ და ჩვენმა სამოციანელებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მეტად არახელსაყრელ დროს დაიწყეს მოღვაწეობა. როგორც ცნობილია, მათი მოღვაწეობა, ფაქტიურად 1860-61 წ. იწყება ილია ჭავჭავაძის გამოსვლით „ცისკარში“, ე.ი. სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთის სამოციანელები ჩერნიშევსკის მეთაურობით ნაჯახისაკენ მოუწოდებენ ხალხს. და თვითმპურობელობა, შეძრნუნებული ახალი თაობის მოძრაობითა და თავგანწირული ბრძოლით, საშინელს რეაქციას ამეფებს რუსეთის მთელს ტერიტორიაზე.

ცხადია, ასეთ პირობებში ახალ უურნალს, არ შეეძლო იმ ნაყოფის მოტანა, რომელსაც მისგან მოელოდა საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ხალხი. აკი იმთავითვე შეიბოჭა უურნალი ცენზურის საშინელი არტახებით და იმთავითვე ძირითად საკითხებზე პირდაპირ წერა, პირდაპირ, ვერც ერთი სიტყვის თქმა ვერ შესძლო.

მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა დასმა ერთი წუთითაც არ უღალატეს დემოკრატიულ პრინციპს და უურნალის პირველი ნომრიდან უკანასკნელ ნომრამდე დაუხრელად ეჭირათ დროშა, რომელზედაც მტკიცედ იყო ამოკვეთილი პროგრესიულ-დემოკრატიული იდეები.

60-იან წლების ქართველმა ახალგაზრდობამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, როგორც უკვე აღვნიშნე, საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლისთანავე ორი ძირითადი და მთავარი საბრძოლო ამოცანა დაისახა: ბრძოლა ბატონიშვილის წინააღმდეგ და ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ამ საკითხების გაშუქება, მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის ბრძოლა დაუსახა მთავარ ამოცანად „საქართველოს მოამბეს“ ილია ჭავჭავაძემ და აქეთ მოუწოდა თავის ირგვლივ შემოკრებილ ქართველ ახალგაზრდობას.

ცხადია, „საქართველოს მოამბემ“ ვერ შესძლო დასახული ამოცანის იმგვარად შესრულება, როგორც დასაწყისში ფიქრობდა, ვერ შესძლო ბატონიშვილისა და ეროვნული საკითხების ირგვლივ პირდაპირ, ფაქტებით წერა თავის ფურცლებზე; ვერ შესძლო აშკარად, პირდაპირ ხალხის მოქმედებისაკენ მომწოდებელი წერილების დაბეჭდვა, მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ ვიფიქრებთ, რომ „საქართველოს მოამბემ“ ამ საკითხების დაყენებას სრულიად აუხვია გვერდი. პირიქით, ყველა წერილი, მოთხოვობა, შინაური მიმოხილვა, უცხოური ლიტერატურიდან თარგმნილი მასალა, – სწორედ აღნიშნულ მთავარი საკითხების გაშუქების მიზნით არის შერჩეული. თუ საჭირობოდო საკითხებზე პირდაპირ წერას ვერ ახერხებდა „საქართველოს მოამბე“, ან უკეთ რომ ვთქვათ, თუ ამ საკითხებზე პირდაპირი წერის უფლებას არ აძლევდა ცენზურა, სამაგიეროთ მიკიბულ მოკიბული თქმით, რევოლუციონური შინაარსის რომანებისა და სტატიების თარგმნით, ორიგინალური მხატვრული მოთხოვების და

სხვა ნაწარმოებთა ბეჭდვით, „საქართველოს მოამბე“ ახერხებდა ქართველ საზოგადოების ყურადღების გამახვილებას ბატონიყმობისა და ეროვნული თავისუფლების საკითხებზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „საქართველოს მოამბე“ ბატონიყმობის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს და ამ მოწოდებას ახერხებდა, – უურნალში მეტად ამაღლვებელი სტატიის ბეჭდვით მონობისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. მართალია, ყველაფერი ეს სხვა ქვეყანას, სხვა ხალხის ცხოვრებას შეეხებოდა, მაგრამ „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უურნალი ამ ქარაგმების ამოხსნას მხოლოდ მკითხველს როდი ანდობდა. ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო და ხელი მიუწვდებოდა, მიმოხილვაში თუ თარგმნილი მასალის შენიშვნებში, რედაქცია თუ ცალკე ავტორები, უთითებდნენ მკითხველს ამ უცხო ქვეყნისა და ხალხის ამბავი ჩვენი სინამდვილისათვის შეედარებინათ, ეგულისხმათ ჩვენი ცხოვრება; ხოლო ზოგჯერ პირდაპირი ანალოგიებიც კი კეთდებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა უცხოეთის ამბებთან, მონათა მდგომარეობასთან, ნაც-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და სხვა.

ასეთს მაგალითებს მრავლად შევხვდებით უურნალის განხილვის დროს, აქ კი მხოლოდ რამოდენიმე დამახასიათებელ ცნობას მოვიყვან:

აპრილის ნომერში „სხვადასხვა ამბებში“ – (დავით ყიფიანი) ვკითხულობთ:

„ჩვენ, რასაც ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომა ყოველის ფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში; ამისათვის, გთხოვ, რომა სხვა და სხვა ქვეყნებისა, სხვა და სხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოიდგინო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე,

ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროვე მაცოცხლებელსა, თუ მამაკვდინებელ აზრებზე. თუცა უაზრობაზე. მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენიმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ. არა მგონია კი რომ არ შეგეშინდეს, თუმცა ხანჯალიც კიდევ გარტყია ხოლმე და თოფიარალსაც თვეში ერთხელ გაიწმენდამ ხოლმე. იქნება შენი უნინდელი, ძველებური ჩვენებური მამაცობისაგან მარტო ეგ გარეგნობა, ტრაპახობა და დაგრჩენია, იქნება ეგ კაცის მადიდებელი გრძნობა დამდაბლებულ ლაჩრობათა და სიმხდალეთ გარდაგქცევია!

თუ არა, ფიქრი არ არის, თუ ჰო, მშვიდობით, ქართველობავ!“<sup>80</sup>

ანდა მეორე ადგილი „მაშასადამე ჩვენ ამბებს რომა კითხულობდე ხოლმე, მკითხველო, ფიქრად საზოგადოდ ქართველობა უნდა გქონდეს განუწყვეტილათა“.

ეს ადგილები დავით ყიფიანს ჩართული აქვს თავის ვრცელს წერილში „სხვადასხვა ამბები“, რომელშიაც ლაპარაკია რომისა და საბერძნეთის მონობაზე, მონათა მოძრაობაზე, ევროპის ფეოდალიზმზე, მონურ და ყმის შრომის უნაყოფობაზე და სხვ.

ამგვარათ, „საქართველოს მოამბე“ მეტად შევიწროებული იყო ცენზურისაგან, და უდაოა, რომ ბევრი რამის გაკეთება, რაც ფიქრად ჰქონდა, რისთვისაც იღწოდა ახალგაზრდობა, პირდაპირი გზით ვერ მოახერხა. ეს თვით იღია ჭავჭავაძემ აღნიშნა „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე ნომერში.

იღია სწერდა: „წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თვითონ ვჰსათხოვდით ჩვენს უურნალსა, რასაც მისგან მოველოდით – ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა. რასაკვირველია, ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოს-

<sup>80</sup> „საქართველოს მოამბე“, №4, აპრილი. გვ. 95-96.

დევს ხოლმე, მაგრამ უურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰსძლიოს რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, – ჩვენც ნებით თუ უნებლიერ გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა“.

ი. ჭავჭავაძე ამ დაუძლეველ სიძნელეში, ცხადია, გულისხმობს ცენზურას, რომელიც გასაქანს არ აძლევდა უურნალს და განსაკუთრებით შინაურ მიმოხილვებს საცენზურო წინწკლებით აქრელებდა. მიუხედავად ამისა, უურნალი მედგრათ ებრძოდა ცენზურასაც და თავადაზნაურთა რეაქციონურ ჯგუფებსაც. უურნალი განუხრელად ატარებდა თავის პროგრამას და ძირითადი იდეებისათვის ერთი წუთითაც არ გადაუხვევია. და თუ ილია ჭავჭავაძე მაინც უკმაყოფილო იყო, თუ ჩიოდა, რომ მან და მისმა უურნალმა ვერ შესძლო პროგრამის სრულად, – მაქსიმალურად განხორციელება, – ეს უდაოდ მეტის გაკეთების სურვილებიდან გამომდინარეობდა, ეს იყო დიდი პლიუსი ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა თაობისათვის.

ამავე სტატიაში ილია განაგრძობს: „ხოლო თუმცა გზა გახიდული გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატია, სხვის მისაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია, რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია.“

ჩვენ დაგზუმებულვართ და სვინდისისათვის კიარ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა, – ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით – თუნდ რომ ამით ჩვენს უურნალს ბოლოც მოეღოს. ნაკლულოვანება ჩვენს უურნალს, რასაკვირველია, ბევრი ჰქონდა... ყველაზე დიდი ნაკლულოვანება ის იყო,

რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არ ჰქონდა, – ეგ ინტერესია ყოველი უურნალის სული, ეგ აცხოვრებს, ეგ აბრუნებს მის სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცი-სათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ აღსნა ჩვენმა უურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ ჰსცადა, კიდევ იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენ“, ამის გამო ჩვენს უურნალს ფერი დააკლდა, „მოამბე“ შორიდამ და-უწყო ტრიალი მას, რაც ახლოდ გასასინჯავი იყო....“.<sup>81</sup>

ეს განცხადება მრავალმხრივ არის საინტერესო, პირველად-ყოვლისა რედაქტიის თავდაბლობა და თვითკრიტიკა, წუხილი იმის გამო, რომ სავსებით ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება. ეს მაჩვენებელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უურნალის სულის-ჩამდგმელთა ზნეობრივ-პოლიტიკური სიმტკიცისა და ძალისა. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძემ გადააჭარბა უურნალის ნაკლულოვანებათა ჩამოთვლაში. აშკარად და პირ-დაპირ არ შეეძლო უურნალს ბატონყმობის შესახებ წერა, არ შე-ეძლო იმ დროის თავადაზნაურთა კრებებზე აღძრული გლეხთა საკითხის უურნალის ფურცლებზე გადმოტანა და ეს ისეთ დიდ ნაკლად მიაჩნია რედაქციას, რომ აღარ კმაყოფილდება იმით, რის თქმა მაინც მოახერხა მძაფრ საცენზურო პირობებში.

მეორეს მხრივ, მეტად მოხერხებულათ არის ნათქვამი „დრონი მეფობენ“, აქ ასახულია იმდროინდელი უუფლებობა და ადმინისტრაციული თვითნებობა, რომელმაც ბოლო მოუღო ამ პირველ დემოკრატიული იდეების მქადაგებელ ქართულ ორგანოს.

---

<sup>81</sup> „საქართველოს მოამბე“, №11.

„საქართველოს მოამბეში“ აღძრულ, უკვე აღნიშნულ, ორი ძირითადი საკითხის განხილვამდე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართველ სამოციანელთა ბრძოლისა და მოქმედების პირობები უეჭველად განსხვავდებოდა რუსეთის სამოციანელთა ბრძოლის პირობებისაგან, პირველად ყოვლისა იმით, რომ საქართველო ამ დროს რუსეთის კოლონია იყო და კოლონიალური რეჟიმის წყალობით ჩვენი ეკონომიკა, კაპიტალისტური განვითარება ბევრად ჩამორჩებოდა რუსეთს. ჩვენში, – თუ გნებავთ – 60-იან წლების – ობიექტურად ბურჟუაზიულ განვითარებისათვის მებრძოლთა აბსოლუტურ უმრავლესობას თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა შეადგენდა. მათ დემოკრატიული იდეები შეთვისებული ჰქონდათ, ხოლო რუსეთის მესამოციანები – დაჩაგრულთა წრიდან გამოსული, თანმეზრდილი იყვნენ დემოკრატიზმთან. მეორეს მხრივ, რუსეთის სამოციანელები იბრძოდნენ ბატონიშვილის წინააღმდეგ, რომელიც მთავარი შემფერხებელი იყო რუსეთის ახალს ეკონომიკის საფუძველზე განვითარებისა, მაგრამ სამოციანელები იბრძოდნენ თვითმკურობელობის წინააღმდეგაც, რადგან თვითმკურობელობა იცავდა მემამულეთა ინტერესს და სურდა, ეს წოდება დაეტოვებინა ახალი ცხოვრების მეთაურად. ჩვენი სამოციანელი კი იბრძოდნენ რა ბატონიშვილისა და თვითმკურობელობის წინააღმდეგ, წინა პლანზე ყოველთვის ეროვნულ-განთავისუფლების იდეას აყენებდნენ და ეს უდაოდ, მრავალს შემთხვევაში, მთელი ძალების მოპილიზაციას ერთის მიმართულებით – ეროვნული თავისუფლებისათვის – ახდენდა.

ამიტომ არის, რომ სამოციანელთა მოღვაწეობაში, უურნალ „საქართველოს მოამბეში“ ეს მომენტი წითელ-წაუშლელ ზოლათ არის გავლებული.

## VII

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა ზემოთ, ილია ჭავჭავაძემ და ქართველ სამოციანელთა მთელმა თაობამ ცხოვრების გარდაქმნისა და რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობის საქმეში უდიდესი როლი ინტელიგენციას მიანიჭეს, დემოკრატიულად მოაზროვნე ახალი თაობა იყო ის სოციალური წრე, რომლის საშუალებითაც ცდილობდა მოწინავე ინტელიგენცია თავის პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. განათლების შეტანა ხალხში და ხალხის წინ წამოყენება, მისი ინტერესების დაცვა მთავარ სამოღვაწეო საქმეთ გადაიქცა 60-იან წლების ქართველ მოღვაწეთათვის.

„ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც მოხდენილა რამე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, რომელნიცა ყველგან, რაც უნდა სთქვას სხვამ, ანარმოებენ თავის ნებაზე ხალხს სამეუფო ნებასა, თვით მოიმხრობენ მდაბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ასრულებენ საქმეს“.<sup>82</sup> ასე სწერდა თულაშვილი და ასე ფიქობდნენ დანარჩენი ქართველი სამოციანელებიც, რომელთაც ჩერნიშევსკის სკოლაში შეითვისეს განათლების მნიშვნელობა და ხალხის სამსახური.

ცნობილია, რა დიდ როლს აკუთვნებდნენ, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, მხატვრულ მწერლობას, განმათავისუფლებელს მოძრაობაში. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა უარყოფა ე.წ. წმინდა ხელოვნებისა და მის მიზნად საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამსახურის დასახვა. ეს რეალისტურ-უტილიტალური პრიციპი ილია ჭავჭავაძემ და სხვა სამოციანელებმა მოღვაწეობის დაწყებისთანავე დაამკვიდრეს ჩვენს ლიტერატურაში, ჭავჭავაძე, გ. წერეთელი და სხვები იზიარებდნენ ბელინსკის

<sup>82</sup> „საქართველოს მოამბე“, №1. გვ. 140. „სხვადასხვა ამბავი“ ვ. თულაშვილი.

აზრებს პოეზიის, ხელოვნებისა და ესთეტიკის შესახებ, რომლებიც ფეიერბანის მატერიალისტურ პრინციპზე იყო აღმოცენებული. დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძემ საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ამ აზრების ქადაგება, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ძველი ფსევდოკლასიკური, სენტიმენტალური და სქოლასტიკური მიმდინარეობანი ქართულს ლიტერატურაში და მოუწოდა სასიცოცხლო ძალებს რეალური მოქმედებისაკენ. ლიტერატურას მან ხალხის სამსახური დაუსახა, ლიტერატურა საუკეთესო იარაღათ გამოიყენა სულის შემხეთავ საცენტრული პირობებში საკუთარ და, საერთოდ, სამოციანელთა ძირითად საბრძოლო საკითხების – ბატონყმობისა და ეროვნული თავისუფლების – „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გასშელად.

„საქართველოს მოამბები“ გაერთიანებული ახალგაზრდობის სამოქმედო პროგრამა, ცხადია უფრო ოფიციალური – და არა ნამდვილი, ფაქტოური, – დაბეჭდა უურნალის პირველ წომერში. ვიმეორებთ, ეს პროგრამა, ოფიციალურია, გამოშიგნულია ნამდვილი შინაარსისაგან თვითმშეყრობელობის სულშემხეთავი ცენტრულის თვალის ასახვევად, მაგრამ მაინც ძირითადათ გვაცნობს სამოციანელთა ბრძოლისა და მოქმედების მთავარ ამოცანებს. გავეცნოთ ამ პროგრამის ზოგიერთ ადგილებს.

„ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიღოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია... ნურავინ იფიქრებს რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამნიფებულია, ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია ე.ი. ცხოვრების

შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი ანტყოფა თავის დროებისა და თესლიც მომავალისა“.

ცოტა ქვემოთ ავტორი განაგრძობს: „რა აახლებს და რა ჰსცვლის და – თუ ცხოვრება ჯანმრთელია – რას მიჰყავს ნინ? ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელიც თვითვე ცხოვრების ნაყოფი არიან“.

ცოდნა, მეცნიერება განათლებულნი პირნი – ინტელიგენცია, აი ვისზე ამყარებს უურნალი ძველი ცხოვრების მოსპობასა და ახლის შექმნას. არსებული ცხოვრების აღღოს აღება, მასში მომავლის თესლის დანახვა, ხალხის სწორი გზით წაყვანა ამ ახალი თესლის გასაღვივებლად და ახალი ცხოვრების შესაქმნელად ცხოვრებისავე წარმოშობილ გენიოსებს აკუთვნებს უურნალი.

„მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, ვკითხულობთ ამავე საპროგრამო სტატიაში, მაშინ ცა და ქვეყანა ერთიერთმანეთს შეხარიან. უფრო მაცხოვნებელია პირველ ქროლა ახალის ცხოვრებისა, – ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა... გული სხვა რიგად სცემს, როცა დედამიწაზე ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქამს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა რიგათა ჰსცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა“.<sup>83</sup> ხოლო ამავე წერილის დასასრულში ვკითხულობთ: „ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით საკუთარ წესზე მოვინდომოთ ცხოვრების გატარება, თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა. გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი ანინდელი ცხოვრება იქნე-

<sup>83</sup> „საქართველოს მოამბე“, №1. გვ. 113.

ბა თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ ანინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის – ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა... ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისკენა. „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ ამბობს ერთი ფილოსოფონი... ანინდელი ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვის თესლი ურევია როგორც წარსულში ერია მომავლისათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვის“.<sup>84</sup>

აქ წათლად გამოსჭვივის ჟურნალის მატერიალისტური მიმართულება. [ცნობილია, რომ ჩერნიშევსკის სოციოლოგიურ შეხედულებას ახასიათებდა მატერიალისტურ-იდეალისტური ელემენტები, ჩვენმა სამოციანელებმა მისგან შეითვისეს და გადმოიტანეს საქართველოს ნიადაგზე]. ჟურნალის განმარტებით, როგორც ვხედავთ, „ცხოვრება განვითარების კანონს ემორჩილება, იგი მოძრავი და ცვალებადია, მასში ურევია თესლი მომავლისა“.

ამავე საპროგრამო წერილში მეტად მშვენივრად არის გაშლილი რუსეთის სამოციანელთა ლოზუნგი სარგებლობისა და რეალიზმის შესახებ. „საქართველოს მოამბე“ მოითხოვს, რომ ხელოვნება ხალხის გულიდან კრეფდეს მასალას და ხალხსვე ეხმარებოდეს ცხოვრების განახლებაში.

ჟურნალი სწერს „ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა. ცხოვრებაში გამომცხვარსა და მში-

<sup>84</sup> ოქვე. გვ. 122.

ერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირ პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზე და რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის – ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის უურნალისათვის... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს... რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებას და არც მეორისა”.

ასეთია უურნალის პროგრამა, აქ ის აზრიც არის გატარებული, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების ნაყოფით უნდა სარგებლობდეს ხალხი და ლიტერატურამაც ამ ხალხთან უნდა დაიჭიროს საქმე. სოციალური მოტივების ამაზე უფრო მკაფიოდ გამოთქმა იმ ხანებში თითქმის შეუძლებელი იყო. თითქმის უცნაურად მოსჩანს ისიც, რომ საპროგრამო წერილში ბატონყმობის საკითხი არ არის ნახსენები, მეტად მკრთალად არის ლაპარაკი საქართველოზე და არამც თუ საპროგრამო წერილში, არამედ უურნალის არც ერთ ნომერში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალური სტატიები არა აქვს მიძღვნილი ბატონყმობისა და ეროვნული მოძრაობის საკითხებს. ეს სასტიკი ცენზურის ნაყოფია და ამოტომაც არის, რომ უურნალმა ამ საკითხების დასაყენებლად სხვა გზას მიმართა. სწორედ აქ გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ და მისმა ჯგუფმა თავისი თეორია ხელოვნების სამსახურისა და დანიშნულების შესახებ. „საქართველოს მოამბეტ“ ბატონყმობის შესახებ ლაპარაკი მოთხოვნებით დაიწყო. განვიხილოთ მასალები.

„საქართველოს მოამბეტ“ თავიდანვე მხატვრულ ფორმას მი-  
მართა ბატონიშვილის დასაგმობად და მის წინააღმდეგ საპ-  
რძოლველად. ილიას „გლახის ნაამბობი“ პირველსავე ნომერში  
დაიბეჭდა. [ეს ნაწარმოები თავისი იდეით უდაოდ წააგავს გრი-  
გოროვიჩის მოთხრობებს, რომელიც იმავე განზრახვით იყვე-  
ნენ დაწერილი]. სიყვარული და თანაგრძნობა დავრდომილთად-  
მი, გმობა ჩაგვრისა და მონიბისა, მთავარი მოტივებია „გლახის  
ნაამბობისა“. განვიხილოთ ზოგიერთი ადგილები: „ყმანვილის  
გული, შენი ჭირიმე, ვკითხულობთ მოთხრობაში, ადრეულა ყვა-  
ვილსა ჰგავს: მზე დაპხედავს თუ არა გაიშლება, ის კი ალარ  
იცის, რომ ზამთრის სუსტი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფ-  
ხულამდე და ადრეულად დააჭკენობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული  
პირველად ბატონის სახლში გათხა და ამ სითბომვე ბოლო მოუ-  
ლო... ბატონთან განებიერებული ვიყავი ბატონის შვილსავით,  
დათიკოს უყვარდი და მეც მიყვარდა, მაშინ რა ვიცოდი, სუ-  
ლელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა  
ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება?  
ეგრე ყოფილა ქვეყანაზედ, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს,  
ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მამაპაპის სალო-  
ცავსა, გულში ნაღველას ჩავიწურებდი და იმის სიყვარულს კი  
იქ არ გავატარებდი. მაშინ რა ვიცოდა?“ ანდა მეორე ადგილი:  
„ბატონი რომ სადილიდამ ჩამორჩომილ ნესვის ქერქს მომიგ-  
დებდა, მაშინვე მუხლზედ საკოცნელად კინწის კვრით წამაბარ-  
ბაცებდნენ. ამან კი ობოლს ოხერს ძმობა დამიპირა, ყმასთან არ  
ითაკილა ძმობა, ყმასთანა, რომელსაც საცა კი ბატონი მოიწა-  
დინებს, კოფაკ ძალზედაც გასცვლის, მოდი და წუ მოიდრეკთ  
ამის წინ მუხლსა. მე მახსოვს, დიდი ბატონი ხომ კაცი იყო,  
მაგრამ მაინც გული მოეფხანებოდა, როცა მე მუხლზედ ვაკო-  
ცებდი ხოლმე...“.

„გლახის ნაამბობში“ მრავალი ადგილები, რომლებიც მეტად მკვეთრად გვისურათებენ ყმათა უმწეო მდგომარეობას, ბატონ-ყმობის ძალმომრეობას, მრავალი შემაძრნუნებელი სურათები ყმათა უოლაჯობისა, მებატონეთა უადამიანობისა, დაგმობილია და გაკიცხული ბატონყმობა.

„გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?“ და „კაკო ყაჩაღი“ უდაოდ დიდი და ძლიერი პროტესტი იყო თანადროულობისა, რომელშიაც მძვინვარებდა ბატონყმობა.

ილიას რწმენით ბატონყმობა მავნებელია არა მარტო ყმები-სათვის, არამედ ბატონებისათვისაც, ბატონყმობა შემაფერხე-ბელია ცხოვრების, რისთვისაც აუცილებლად უნდა მოისპოს ბა-ტონყმობა, რომ დასაბამი მიეცეს ახალ ცხოვრებას, რომ კაცმა თავისი სახე შეინარჩუნოს. ამ მხრივ „კაცია ადამიანში“ ილიამ საუკეთესო ტიპები მოგვცა, ერთის მხრივ ლუარსაბ თათქარიძე და მისი ბრწყინვალე კნეინა დარეჯანი, რომელიც მოძრავ ლე-შად გადაქცეულან ბატონობისა და უმოქმედობის შედეგათ, ხო-ლო მეორეს მხრივ, ყმის – ლამაზისეულის ტიპი, რომელიც ბა-ტონის ძალმომრეობას უაზრო მანქანად, ბატონის ერთგულ პი-რუტყვად გადაუქცევია.

„კაკო ყაჩაღში“ ილიამ გარკვეულად დახატა ბატონყმური ულლის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხკა-ცობა, ავტორმა თანაუგრძნო მათ.

ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ მხატვრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღათ გამოიყენა ბა-ტონყმობის წინააღმდეგ. მან შესძლო საკმაოდ გაბედულად და-ეთრგუნა ბატონყმობის უმსგავსოება ზაქროს, კაკოს და სხვა მრავალ მხატვრულ სახეებით, და უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე აღებული პუბლიცისტური სტატია, იმ დროში, ამდენსაც ვერ შესძლებდა.

მაგრამ „საქართველოს მოამბე“ როდი დაკმაყოფილდა მხოლოდ ილიას მხატვრული თხზულებებით. „საქართველოს მოამბემ“ ამ თავის ერთერთი მთავარი საკითხის ირგვლივ ბევრი რამ სთქვა, მრავალმხრივ შეეცადა მის აღძვრას და, როგორც დავინახავთ, კიდევაც შესძლო ბატონშობის ყოველმხრივი დაგმობა – მის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლა.

„საქართველოს მოამბეს“ პირველსავე ნომერში, ილია ჭავჭავაძის საპროგრამო სტატიასთან ერთად დაიბეჭდა ვ. თულაშვილის ვრცელი წერილი „შინაური მიმოხილვა“. ავტორი მეტად შორიდან უვლის საკითხს, ცდილობს აღნუსხოს საქართველოს და ქართველი ხალხის ჩამორჩენილობის მიზეზები, ამათრახებს ძველ თაობას, რომელთაც დღედაღამ საფიქრელ საგნათ სამსახური გაუხდიათ, დავინწყებიათ სამშობლოსათვის ზრუნვა და სხვა. ყოველივე ამის შედეგათ, დაასკვნის ავტორი, გაუნათლებლობა – ჩამორჩენილობა გამეფდა ჩვენში, საჭიროდ მიაჩნია განათლება, რომელსაც, ავტორის აზრით, შეუძლიან ყოველივე ცუდის აღმოფხვრა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ავტორი აქ ლიბერალ-განმანათლებლის როლში კი არ გამოდის, არამედ ქადაგებს რევოლუციას, მართალია იგი დიდ როლს ანიჭებს განათლებას, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია ძველის უვარებისი ცხოვრების შეკეთება, მოითხოვს მის სრულიად დანგრევასა და ახლის აგებას. მოვუსმინოთ თვით ავტორს:

„... გაუნათლებელი საზოგადოება უფრო ცუდს მალე მიიღებს ხოლმე, ვიდრე კარგსა; ცუდის მაგალითების რიცხვი დღე და დღე მრავლდება, იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოებაში არ მოხდება განათლებისაგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბრუნდე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებითა და დაწესებითა – როგორც ძველისა რისამე – უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქციოს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო

მკვიდრს საძირკველზედა, ბეჭნიერია, ვინც ერთს აგურს მაინც ჩააგდებს ამ საძირკველში!“<sup>85</sup>

თულაშვილი აქ ლაპარაკობს, ცხადია, პირველს რიგში ახალს საქართველოს შესახებ, ამაზე ცალკე გვექნება საუბარი, მაგრამ ამ ახალი საქართველოს მტკიცე საფუძვლებზე აშენები-სათვის აუცილებლად მიაჩნია ძევლი დაძაბუნებული შენობის, სიცუდის დანგრევა, აქ კი ცხადია, მხედველობაში აქვს ბატონ-ყმობა და, მართლაც, ეს საკმაოდ მოზრდილი „შინაური მიმო-ხილვა“ მთლიანად ამ ორ – ბატონყმობისა და ეროვნულ – სა-კითხზეა აგებული.

რევოლუციური გზით ბატონყმობის მოსპობაზე ცდილობს ჩამოაგდოს ლაპარაკი დავით ყიფიანიც. „საქართველოს მოამ-ბის“ მეოთხე ნომერში „სხვა და სხვა ამბებში“ ყიფიანი შორიდან იწყებს მსჯელობას. ლაპარაკობს საზოგადოებაში ახალი იდეის, ახალი აზრის ადამიანთა დევნაზე გაბატონებულთაგან, მეტად მოხერხებულად აღწერს, თუ საზოგადოების გაბატონებული ნა-წილი როგორ ახვევს თავზე საზოგადოების უმრავლესობას თა-ვის ყოვლად უმსგავსო აზრსაც კი. ყიფიანი სწერს: „სხვათა შო-რის ისეთი რამე არწმუნეს ჩვენი, რომელსაცა კაცი ცხადათა ჰქედავდა, რომა მიუღებელი იყო, მაგ საზოგადოებაში რასაც მეფე ისურვებს, უთუოდ ხალხის კეთილ მდგომარეობის სასარ-გებლოდ ისურვებსო. ხალხსა ამ ჭეშმარიტების რწმუნებას მოს-თხოვენ და ხალხიც სრულიად დამონებული, რასაკვირველია ერწმუნა; მაგრამ, განაგრძობს ავტორი – ვინც წინაური იყო ის ცხადად გრძნობდა რომა საზოგადოება ამგვარი დამონებითა, უმოქმედობითა ხდება, ირყვნება, ირღვევა... როდესაც ის იჭ-ვნეულობა განვირცელდა საზოგადოებაში და იმითი ხალხის და-მამონებელი რწმუნება დაირღვა და გულითგან მოეთხარა ხალ-

<sup>85</sup> „საქართველოს მოამბე“, №1. გვ. 144-145.

ხსა, მაშინ ხალხი მოჰყვა ქვეყნიერების ბოროტობაზე, იმათი თავისუფლების მომსპობლებზე ღრენასა, და რაკი, როგორც ზემოთა ვსთქვით, საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილობის ურიგობა, იქამდინ მივიდა, რომა ხალხსა თავის დამონებაში ლუკმა პურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა – მაშინ მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია. საზოგადოების დაწყებულობაში ყოველ წესიერებას იჭვი ჩაუგდეს და გარდააგდეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დააწყეს. მაშინ განხორციელდა ხალხში ყოველი ზნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა, როგორც კაცისა, და მეტადრე – როგორც საზოგადოების წევრისა<sup>86</sup>.

ეს ციტატა, ვფიქრობთ კომენტარებს არ საჭიროებს, მითუმეტესად, რომ ამავე წერილში, დავით ყიფიანმა მიუთითა მკითხველს: „ჩვენ რასაც ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოველის ფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში, ამისათვის, გთხოვ, რომა სხვა და სხვა ქვეყნებისა და სხვა და სხვა დროებაში მდგომარეობა მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე....<sup>87</sup> და სხვა.

ამავე წერილში დავით ყიფიანმა მეტად მოხერხებულად და საინტერესოდ აღძრა უშუალოდ საქართველოს ბატონყმობის საკითხიც, მასთან დააყენა იმ დროისათვის უდაოდ მნიშვნელოვანი საკითხი თავისუფალი შრომის შესახებ. დ. ყიფიანი სწერდა: „საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავსა, და იმ შრომასაც რომ – თავი-

<sup>86</sup> „საქართველოს მოამბე“, №4.გვ. 105-107.

<sup>87</sup> „საქართველოს მოამბე“, №4. გვ. 95-96.

სუფლება არა ჰქონდეს, ე.ი. ურთიერთ ნება-ყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა? ..... ეს მდგომარეობა ორივე ნაწილისათვის, მეტადრე მთელი საზოგადოებისთვის – სენია. აი რათა: ჯერა, მე რომ ეხლა თავი-სუფალი კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი გაყრილი მქონდეს, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა, .... ჩემი ნებაყოფლობის წინააღმდეგობით ბატონმა კალოზე პურის გამნიავებელი რომ გამხადოს, რასაკვირველია, ნახევარ ხორბალს ბზეს გავაყოლებ. ჩემი ბატონიც რომ დარწმუნებული არ იყოს, რომ სხვისი შრომა აცხოვრებს, რასაკვირველია, უფრო იმხნევებდა და თავისუფალ შრომას გასწევდა, რა გამოვიდა აქედამა? ჯერ ისა, რომა თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია. მერე ისა, რომა მთელ საზოგადოებაში ყოველი კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და მაშასადამე ნაყოფიერათაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობა-ში შევა. საზოგადოების კეთილმდგომარეობასა კერძოობითი პირების კეთილ მდგომარეობაც უნდა მოჰყვეს თანა.... ამ თავი-სუფალი შრომის მოკვეთა ჩვენ საზოგადოებაში ასიათას გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონებსა მრავალ თავადსა და აზნაურსა; ამას უთოოდ, ჰერქნობს ქართველობის კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომაზე დაყენება ეძლევათ. დროების დედა აზრი, როგორ მოქმედობს ამ მაგალითში, მკითხველო, იმას ეხლა შენც ადვილად მიხვდები...“.

ცოტა ქვევით ავტორი განაგრძობს, რომ თუ გამოჩნდა ამ დედა აზრის განუხორციელობა, მაშინ „აიღებს იმ სენსა, რომ-ლის სენობაც ცხადია და დაუწყებს შიგვე გვამში კეპასა“.

ყოველივე ეს იბეჭდებოდა ცენტრურისა და მაღალი წოდების რეაქციონური ნაწილის მიერ სასტიკად შებოჭილ ჟურნალში. ყიფიანმა წამოაყენა ლოზუნგი თავისუფალ და ნაყოფიერი

შრომისა. უდაოა ყიფიანის პირით ლაპარაკობდა მთელი „საქართველოს მოამბის“ რედაქცია, უდაოა, რომ ყიფიანის მიერ წამოყენებული ძირითადი დეპულებები – „თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია“, „საზოგადოებაში ყველა უნდა იყოს მშრომელი თავისუფლათა და ნაყოფიერად“, და სხვა – ბურუუაზიულდემოკრატიული შინაარსისა იყო და გადაჭრით უარყოფდა ბატონიყმურ წყობილებას. უფრო მეტიც, მართალია, ყიფიანი მთელს იმედს განათლებაზე, განათლებული კაცების შეგნებაზე ამყარებდა, მაგრამ ისიც ცხადია მისი წერილიდან, რომ თუ ამ მხრივ განუხორციელებლობა შეეტყობდა საქმეს, მაშინ ბატონიყმობის ამ დიდი სენის შიგვე გვამში ამოკეპვას მოითხოვდა. განა წერილის მთელი წინა ნაწილი აქეთ არ ამახვილებდა მკითხველის ყურადღებას, ლაპარაკი ქრისტიანობაზე, საფრანგეთის რევოლუციაზე და სხვა.

„საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში ვახტანგ თულაშვილი სწერდა: „ხალხის ცხოვრება დღესა იქნება თუ ხვალე გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგრძნობინებს რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამქრალი....

....ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფოშიაც მოხდენილა რამე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, რომელნიც ყოველგან, რაც უნდა თქვას სხვამ, აწარმოებენ თავის ნებაზედ ხალხის სამეუფო ნებასა, ესე იგი მოიმხრობენ მდაბიო ხალხსა, როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ასრულებენ საქმესა; მაგრამ (შემდეგ ამოღებულია ცენზურის მიერ)“.<sup>88</sup>

თულაშვილი აქ და, საერთოდ, მთელს წერილში სიტყვა-გადაკერით ლაპარაკობს საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და ბატონიყმობის შესახებ. თულაშვილი მეტად მკაფიოდ ამ-

<sup>88</sup> „საქართველოს მოამბე“, №1. გვ. 131-140.

უდავნებს რუსეთის სამოციანელთა გავლენას. ცნობილია, რომ ამ პერიოდის რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია მდაბიო ხალხის უძლეველი ძალის მიმხრობით ფიქრობდა თავის იდეების განხორციელებას. ამ შემთხვევაში თულაშვილის მთელი იმედიც ხალხის ძალაზეა დამყარებული.

იგივე დავით ყიფიანიმეორე წერილში სწერდა: „თუ კი ამ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის ევროპის შუქმა ჩვენც გადმოგვკრა, მაშინ ჩვენშიაც საქვეყნოდ დაირეკება ჭეშმარიტი ცისკარი. იმ ცისკარში მიიხმება მთელი ქართველობის ხალხი, ყველანი ერთად მოისმენენ ახალი განათლების მოთხოვნილებასა, რომელსაც საძირკვლად უდევს განათლება ჭკუისა და ჰერთება, თანასწორობა, ძმობითი სიყვარული, და ამის გულში ჩანერგებითა ხალხი ... (ამოღებულია ცენზორის მიერ) დაადგენს და იგემოვნებს“. ცოტა ქვემოთ ავტორი განაგრძობს: „ის ხალხი შეიძლება, სხვადასხვა გარეგანი ძალადობით თავის ნარმატებაში შეაყენონ, მაგრამ ეს შეყენება დროებითია ყოველთვის. არ შეიძლება ერთხელაც არის იმ ხალხის ძალამ არ გაიწიოს, ყოველი ძალადობა თან არ გაიტანოს და ისევ თავის ბუნების ნარმატების გზას არ დაადგეს.... ჩვენ დროში ძალიან ადვილად არის მოსახდენი, რომა ერთ ორ წელიწადში, თუ ძალიან, გულით მოინდომა ხალხის განათლებულმა ნაწილმა მთელი ჩვენი ქვეყანა, რომელიც ქართულსა ლაპარაკობს, წერაცა და კითხვაც იცოდეს და ამით შევიდეს დროების წინამავალი მოთხოვნილებებისათვის მოქმედებაში“.<sup>89</sup>

როგორც აღვნიშნე მესამოცე წლების ქართველ მოღვაწე-თათვის ეროვნული საკითხი განუხრელად იდგა ბატონყმობის საკითხთან. უფრო მეტიც, ეროვნული თავისუფლების მოპოვება ამოსავალი წერტილი იყო მათი ბრძოლისა, ცხადია ახალ და-

<sup>89</sup> „საქართველოს მოამბე“, №3. გვ. 75-86.

მოუკიდებელ ცხოვრების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საფუძვლებზე მოწყობა, თავისუფალი შრომის პრინციპი გადაუდებლად აყენებდა ბატონიშვილის მოსპობის საკითხსაც.

ცხადია, მე-60 წლების ქართველ მოღვაწეთა მიერ წამოყენებული ეროვნული საკითხი ერთგვარი გაგრძელება იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ეროვნული მოძრაობისა პატრიოტულ-ფეოდალურ პარტიკულარული იდეების, რომლის მატარებლებათაც, ხშირად ქართველი რომანტიკოსები გვევლინებოდნენ. მაგრამ სამოციანელებმა იმთავითვე მომავლისაკენ დაიწყეს ყურება, მათი საქართველო იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპზე უფლება აღდგენილი საქართველო და არა ძველი ფეოდალური ქვეყანა, რასაც მისტიკოდნენ მე-19 ს. პირველ ნახევარში.

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინმსვლელობისათვის სამოციანელებს აუცილებელ პირობათ მიაჩნდათ საქართველოს განთავისუფლება რუსეთის თვითმპურობელობის კლანჭებიდან და პოლიტიკური გაერთიანება. სწორედ ამ ნიადაგზედ უნდა აღმოცენებულიყო ადამიანისა და ხალხის კეთილდღეობა.

ზემოთ მოყვანილი ამონანერები დ. ყიფიანისა და ვ. თულაშვილის წერილებიდან უდაოდ ნათელს წარმოდგენსა გვიქმნიან სამოციანელთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ. სამოციანელები საქართველოს რუსეთის თვითმპურობელობისაგან განთავისუფლებას, ცხადია მშვიდობიანი გზით არ მოელოდნენ, ამიტომ იყო, რომ ისინი მოძრაობას, ბრძოლას ქადაგებდნენ. ამიტომ იყო, რომ ხალხის ასამხედრებლად „საქართველოს მოამბეში“ უხვად ათავსებდნენ ცნობებს იტალიის, ჩრდ. ამერიკის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნებში წარმოებულ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. ვიმეო-

რებთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად სამოციანელებსა არ ავინაუდებოდათ, არც ბატონყმობის საკითხი.

სახუმარო ფორმებით დაწერილ „სხვა და სხვა ამბებში“ დ. ავ-ი მეტად მოხდენილად შეეხო მაშინდელი ევროპის საერთაშორისო მნიშვნელობის ამბებს: პოლონეთის აჯანყებას, იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; ამერიკის სამოქალაქო ოში და სხვა. იტალიის ამბების შესახებ იგი სწერს: „ჩვენ დროში ერთმა დიდმა არეულობამ იტალიისამ რაღაცა ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა წინა, რომლის მოთხოვნილებასაცა, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა. ყოველს საზოგადო, სახალხო აღრეულობასა, საკვირველია, რომ უთოოდ ამგვარი რამე მოსადევს ხოლმე თანა“.

ამერიკის სამოქალაქო ომის შესახებ ავტორი სწერს: „ჩვენი საუკუნისათვის დიდი მნიშვნელობის ხალხმა .... თავისი საზოგადოების დაარსებაში თავისუფლების მოთხოვნილებაზე წესდებულება დაიმკვიდრა. იმ ხალხის ერთობის დარღვევა შეუძლებლად ირიცხვებოდა. ეხლა კი იმ ხალხსა რაღაცა განხეთქილება მოსვლია. აბა რა გენალულება, მკითხველო?! მაგრამ, მომითმინე, რომ უფრო გაკაპასებით ამოგათქმევინო ეგ შენი ყოვლად ვრცელი უნალვლობა, რაც კი შენ, კერძოობით შენ, შენთვის ცხადათ არ შეგეხება! იმ ხალხის მომეტებულ ნაწილში თურმეთავისებური ბატონყმობა, ე.ი. ბატონ მონება არის. მონებად არიან ძევლადვე იქა მცხოვრებნი, რომელნიცა სულ სხვა ფერის კაცები არიან, თურმე გაშავებულნი და უთუოდ სისხლიც დაბალი ღირსებისა უნდა ჰქონდეთო. ამათა სხვები ჩვენი მსგავსი კაცები ისე ეკიდებიან, როგორც საქონელსა, ხარსა, კამბეჩისა და სხვა ამგვარ ნივთეულობასა: გაჰყიდიან, იყიდიან, შოლტითა და ხან კეტებითა ჰსცემენ.... ერთი სიტყვით საკუთრებათა ჰყავთ.... ვის რა დავა აქვს თითქო.... თავის საკუთრებას კაცი რასაც უნ-

და, იმას უზიამს! განა მკითხველო? ჰო, ამ ხალხის მეორე ნაწილ-სა არა ჰქონდა ამისთანა წესდებულება; იმათში ერთ კაცსა მეო-რე კაცი, როგორი ფერისა და როგორი საეჭვო სისხლისაც უნდა ყოფილიყო, მაინც არ შეეძლო მონად ეყოლია. ამასა საზოგა-დოდ კაცის თავისუფლება მოითხოვსო. ამის მიხედვით კაცის მონობა ჰსძაგდათ და ამბობდნენ რომა ჩვენ ხალხს ეს წესდებუ-ლება ამდაბლებსო და უნდა გადავაგდოთო....

იმ ხალხის კანონიერმა მართებლობამ ეს უკანონო ქცევა ხალხის ერთი ნაწილისა მორჩილებაში ძალით მოქცევა ირჩია და ძალით, ე.ი. მთელი ხალხის მოთხოვნილებით უნდა აესრულები-ნა საზოგადო სახალხო სამართლისაგან აღმონაშობი სურვილი. საშინელი განხეთქილება მოიტანა ამან იმ საზოგადოებაში და საშინელი შიგნეული ბრძოლა. ახლა, მკითხველო, ეს საქმე რა მდგომარეობაშია, რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმესა, შენ რა გე-ნალვლება?<sup>90</sup>

ასევე მკაცრად და უფრო სასტიკად არის დაგმობილი მონო-ბა და ბატონყმობა თერგდალეულის (კ. ლორთქოფანიძე) მიერ გადმოთარგმნილ-გადმოკეთებულ „წრდილოეთ ამერიკის შეერ-თებული შტატები და იქაური ტყვეობა“.<sup>91</sup>

დამახასიათებელია, რომ სტატიას ეპიგრაფად წამდლვარე-ბული აქვს ლონგფელოს ცნობილი ლექსი:

«Самсон порабощенный, ослепленный  
Есть и у нас в стране. Он сил лишен,  
И цепь на нем. Но-горе! Если он  
Поднимет руки в скорби изступленной».

შენიშვნაში ეს ლექსი ქართულად არის თარგმნილი.

<sup>90</sup> „საქართველოს მოამბე“, №5. გვ. 76-78.

<sup>91</sup> „საქართველოს მოამბე“, №11 და №12.

მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ბ. ვ-ს მიერ რუსულიდან ნათარგმნი ცნობილი ბურუუაზიული ეკონომისტის ბასტიას წერილი „მცარცველობის ფიზიოლოგია“. როგორც მთარგმნელის შენიშვნიდან იყვნევა, ეს წერილი იმიტომ უთარგმნიათ, რომ „იგი უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვის უნაყოფოთ არ იქნება“.

თავისუფალი შრომის შესახებ ამ წერილში ვკითხულობთ: „საპოლიტიკო ეკონომიკამ ისიც დაამტკიცა, რომ ნებაყოფლობითი შრომა თავის ბუნებით პროგრესიული, წარმატებითი არის ხოლო შრომა მონისა ბუნებით უძრავია. ამის გამო ნებაყოფლობითის შრომის გამარჯვება მონის შრომაზე აუცილებელია.“<sup>92</sup>

ამგვარად, ბურუუაზიული ეკონომისტის მიერ წამოყენებული „თავისუფალი შრომის“ პრინციპი სრულიად მისაღები და მოსანონია „საქართველოს მოამბისათვის“. რედაქცია რაკი თავისი საკუთარი წერილების დაბეჭდვას ვერ ახერხებდა, მიმართავდა ისეთი წერილების და თხზულებების თარგმნას, რომლებიც მის იდეებს, მის აზრებს შეესაბამებოდა, რომლებშიაც მოცემული იყო, ერთის მხრივ ბატონყმობისა და მონობის დაგმობა – მის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მეორეს მხრივ რედაქცია ხელოვნურად არჩევდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ წერილებსა და თხზულებებს.

„საქართველოს მოამბეში“ ბლომად დაბეჭდა ბელინსკის, დობროლიუბოვის, პრუდონის, ვ. ჰიუგოს და სხვათა თხზულებები.

მეტად დამახასიათებელია მკითხველისათვის მასალის მოწოდების ხერხიც. მაგ. „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“

<sup>92</sup> „საქართველოს მოამბე“, №8. გვ. 70.

(დობროლიუბოვის თხზულებიდამ). ცნობილია, რომ საცენზურო პირობების გამო დობროლიუბოვსა და სხვებს არ შეეძლოთ თვითმპურობელობის შესახებ პირდაპირ წერა და ხშირად სხვა ხერხებს მიმართავდნენ. ამ შემთხვევაშიაც დობროლიუბოვის მთელი სტატია იტალის ამბებს შეეხებოდა, მაგრამ არსებითად იგულისხმებოდა რუსეთის საქმეები.

დობროლიუბოვი ყველთვის გაჰკიოდა თვითმპურობელობის უვარგისობის, იმპერატორის გახრწნილებისა, ბატონიუმობის სიმკაცრისა, ხალხის მონობის, მოხელეთა მექ-რთამეობისა და სხვათა შესახებ. მშვენივრად ახერხებს დობროლიუბოვი, გავაცდის მიერ ბურბონების დახასიათების ამონერით, თავის სტატიაში დააფიქროს რუსი მკითხველი იმის შესახებ, თუ რითი არიან უკეთესი რომანოვები ბურბონებზე. იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციური მომენტების აღნერით გავაცდის „ქადაგებების მხატვრული გაშლით, სადაც გადაშლილი იყო ბურბონების მტარვალობა, იტალიელთა მონობა და სხვა, „სოვრემენიკის“ მკითხველი კითხვას უსვამდა თავის თავს, განა ჩვენში უკეთესად არის საქმე? აქ ხომ აღნერილია რუსეთის თვითმპურობელობა, სახ-რჩიბელა, კატორდა, რუსეთში შესაძლებელია უფრო უარესიც არის და თუ ნებოლიტანელებს მოევლინათ გარიბალდი, რატომ არშეიძლება ჩვენც გვეყოლოს საკუთარი გარიბალდი, რომელიც დასცემს ჩვენს ბურბონს და თავისუფლებას მოანიჭებს ხალხს?<sup>93</sup>

თუ დობროლიუბოვის ეს სტატია რუს მკითხველში ასეთს ჩაფიქრებას იწვევდა, ცხადია მას უფრო მეტი ნაყოფის მოტანა შეეძლო კოლონიურ მონობის უდელში შებმული ქართველი ხალხისათვის. მაგრამ, რომ ქართველი მკითხველის ყურადღება

<sup>93</sup> В. Полянский. «Н. А. Добролюбов». Стр. 176. 1935 г.

უფრო გაემახვილებინა „საქართველოს მოამბეს“, დობროლიუ-ბოვის თხზულებასთან ერთად პირველ ნომერში დაბეჭდა ვრცე-ლი შინაური მიმოხილვა (ვ. თ. – ვახტანგ თულაშვილისა). ამ მი-მოხილვის დაკვირვებით გადაკითხვა დაგვარწმუნებს, რომ ვ- თულაშვილი კვალდაკვალ მისდევს დობროლიუბოვის სტატიას, ცხადია, ვ. თულაშვილი აქ უკვე პირდაპირ საქართველოს ამბებ-ზე ლაპარაკობს, ისიც ცხადია, რომ ვ. თულაშვილი ვერ მოახერ-ხებდა პირდაპირ დამპყრობლებზე ელაპარაკნა და სიტყვა ისევ ქართველს საზოგადოებაზე ჩამოაგდო, მის თანდათანობით გა- დაგვარებაზე – გადარუსებაზე და ყოველივე ამის მიზეზათ მო- ხერხებულად გამოიყვანა ცარიზმის აუტანელი რეჟიმი. შიგა და შიგ მრავალი ფაქტებიც ჩაურთო: „ვის არ გაუგონია განთქმული პოლიცემისტერი ერმოლოვის დროს, რომელიცა გაბედვით სცემდა არამც თუ სამსახურის გარეთ მყოფს მოქალაქეებსა, თითონ მღვდლებსაცა...“<sup>94</sup> -ო.

ამ გარემოებას მიაწერს თულაშვილი ქართველი თავადაზნა- ურობის სწრაფვას სამსახურისაკენ და სახალხო საქმის მივიწ- ყებას, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ბატონყმობის სიმ- წვავეზე, მმართველობის ცუდ მაგალითებზე და სწერს „ცუდ მა- გალითების რიცხვი დღე და დღე მრავლდება, იმ დრომდე, ვიდ- რე საზოგადოებაში არ მოხდება განათლებისაგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბრუნ- დე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებითა და დაწებებითა – როგორც ძველისა რისამე – უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქციოს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო მკვიდრს საფუძველზედა“.<sup>94</sup>

ვფიქრობთ, დობროლიუბოვის სტატიასთან ერთად თულაშ- ვილის შინაური მიმოხილვის დაბეჭდვა ერთგვარი გაშიფვრა იყო დობროლიუბოვის სტატიისა, რათა ქართველს მკითხველს

<sup>94</sup> „საქართველოს მოამბე“, №1. გვ. 144-145.

საქართველოს ამბები ეგულისხმა იტალიის საქმეებში, ხოლო თვით თულაშვილიც ხომ გარკვეულად აგრძნობინებდა მკითხველს თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას, ახალი საზოგადოებრივი სხვოვრების აგებისათვის ძველ შენობის საფუძვლიანად დანგრევას.

ასეთი ხერხით აწვდიდა მკითხველს „საქართველოს მოამბე“ ზემოთ აღნიშნულ სხვა მწერალთა თხზულებებსაც და მიუხედავათ სასტიკი ცენზურული პირობებისა, ახერხებდა დაგმობას და გალაშქრებას ბატონიშვილის წინააღმდეგ, აყენებდა ეროვნულ თავისუფლების საკითხს და მოუწოდებდა ქართველ ხალხს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მესამოცე წლების ქართველმა მოღვაწეებმა მკვეთრად დააყენეს ეროვნული თავისუფლების საკითხი, საინტერესოა ვიკითხოთ რა ნიადაგზე იყო აღმოცენებული და საიდან მომდინარეობდა სამოციანელთა ხალხისათვის ზრუნვა, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და როგორ ესმოდათ ეს სამოციანელებს?

პირველად ყოვლისა, აქ ერთი გარემოება იბყრობს ჩვენს ყურადღებას. მართალია, სამოციანელებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ძველ თაობას, ბატონიშვილას, მაგრამ კლასთა ბრძოლისა და მათ შორის შეუთანხმებლობის პრინციპზე მაინც ვერ დადგნენ, და სწორეთ ამ გარემოებამ სამოციანელთა მრავალი წარმომადგენელი ეროვნული საკითხის გადაჭრის მომენტში დიდ უკიდურესობამდე მიიყვანა. სამოციანელთა მიერ ეროვნული საკითხის მკვეთრად დაყენება პირველად ყოვლისა გამოიწვია ცარიზმის მიერ დაპყრობილი საქართველოს ეკონომიურმა, კულტურულმა და პოლიტიკურმა განადგურებამ ბიუროკრატიული აპარატის წყალობით. ქართველი ხალხის დაცინვა, დამცირება, ყოველივე ეროვნულის მოსპობა-განადგურება გაშიშვლებული რუსიფიკაციული პოლიტიკის წარმოება მე-19

საუკუნის პირველ ნახევრის მთელს მანძილზე – უდაოდ ხელი შეუწყო სამოციანელთა საერთო საპროტესტო ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ამ პროტესტმა შევიწროებულთა და ჩაგრულთა უფლების დაცვის ხასიათი მიიღო.

მეორეს მხრივ ჩვენი სამოციანელები ხომ რუსეთის სამოციანელთა დიდ გავლენას განიცდიდნენ, მათგან შეითვისეს დემოკრატიზმის პრინციპი. „დემოკრატი, სწერდა კ. მარქსი, – წარმოადგენს გარდამავალს კლასს, რომელშიც ურთიერთ დაჩლუნგებულია (взаимно притупляются) ორი კლასის ინტერესი. ამიტომ ის ფიქრობს, რომ ის საერთოდ კლასთა ანტაგონიზმის მაღლა დგას. დემოკრატების წარმოადგენით, მათ წინააღმდეგ დგას პრივილეგიური კლასი, ხოლო ერის დანარჩენ ყველა ნაწილთან ის შეადგენს ხალხს. ისინი იცავენ ხალხის უფლებას, ისინი გამოჰქმდებიან ხალხის ინტერესებს. ამიტომ ისინი საჭიროდ არ სთვლიან გამოიკვლიონ სხვა და სხვა კლასების მდგომარეობა და ინტერესები. ისინი აუცილებლად არა სთვლიან ზუსტად გამოიანგარიშონ თავიანთი შესაძლებლობა“.

მარქსის ამ სიტყვებს ლენინმა მეტად მახვილი შენიშვნა გაუკეთა: „ეს რუს ხალხოსნებზე ზედგამოჭრილია, ისინი უარს არ ყოფენ, რომ რუსეთში არსებობს მნარმოებლის მონინააღმდეგე კლასები, მაგრამ ისინი გულს იმშვიდებენ იმ მსჯელობით, რომ ეს „მტაცებელი“ „ხალხის“ წინაშე არარაობას წარმოადგენენ და არ უნდათ ყოველი კლასის მდგომარეობა და ინტერესები ზუსტად გამოიკვლიონ. მათ უნდათ გაერკვიონ, ხომ არ ხვდება ზოგიერთა მნარმოებელთა ინტერესი „მტაცებელთა“ ინტერესს და მით ასუსტებენ წინააღმდეგობის ძალას პირველთა მეორეების მიმართ“.<sup>95</sup> ეს ახსნა-განმარტება უდაოდ უდგება ჩვენ სამოციანელთა მოქმედებასაც.

<sup>95</sup> Ленин. «Экономическое содержание народничества». т. 1. ст. 314.

ჩვენ სამოციანელთა მსოფლმხედველობაში ეროვნული საკითხის გაღრმავებას ხელს უწყობდა მცირე ეროვნებათა მდგომარეობის საკითხიც, რომელიც მწვავედ იდგა მთელ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე, პოლონეთის და იტალიის ნაც. განმათავისუფლებელი მოძრაობა და სხვა. ცნობილია, რომ ამ საკითხს მარქსმა დიდი ყურადღება მიაქცია და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა პრუდონისტებს, რომლებიც უარყოფდნენ ეროვნულ საკითხს.

აი დაახლოებით ის მიზეზები, რომლებზედაც აღმოცენდა ქართველ სამოციანელთა ეროვნული საკითხი და რომელიც მათი ბრძოლის ქვაუთხედათ გადაიქცა.

იღია ჭავჭავაძემ თავის „მგზავრის წერილებში“ ამ უდაოდ დიდ მხატვრულ შემოქმედებაში და, ამავე დროს, დიდ პოლიტიკურ ტრაქტატში იმთავითვე დააყენა საკითხი „დაკარგული ვინაობის აღდგენის“ შესახებ და მოხევის პირით გადმოისროლა ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო“. ეს ლოზუნგი გადაიქცა მესამოცე წლების მოღვაწეთა საბრძოლო ამოცანად, ამ ლოზუნგს უტრიალებდა გარს „საქართველოს მოამბე“ და ახერხებდა მის შესახებ წერას, მოწოდებას მეტად მწვავე საცენზურო პირობებშიაც კი და ამით აღრმავებდა უკმაყოფილებასა და პროტესტს ცარიზმის წინააღმდეგ.

უნდა აღვიჩინო, რომ სამოციან წლების ქართველ მოღვაწეებს ეროვნული საკითხი ვიწრო, შოვინისტური გაგებით არ ჰქონდათ წარმოდგენილი. სამოციანელები, როგორც უკვე აღვნიშნე, დიდის ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ მოვლენის განვითარებას უცხოეთში, სწავლობდნენ და იყენებდნენ ამ საკითხის გასაღრმავებლად ჩვენში.

„საქართველოს მოამბემ“ ეს საკითხი საკმაოდ გაშალა და იმ თავითვე გარკვეული შეხედულებაც ჩამოაყალიბა.

სპირიდონ ჩიტორელიძე თავის ბიძასთან – თადეოზთან საუბრის დროს აღნიშნავს: „სრულსა და კარგათ მყოფ ბუნების კაცსა, მძიმედ აწევს გულსა სვე სამშობლო მამულისა. ყოველ კეთილშობილ ადამიანს ღრმად ესმის თავისიანობა, რომ ის არის სისხლითა და ხორცით მოკავშირე მამულთან... სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამოდიოდეს კაცობრივი სიყვარულიდან ისე, როგორათაც ნანილი მრთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომ გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატავს, აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისა კვალად შველოდე მის აღსრულებას“.<sup>96</sup>

უფრო გვიან ილია ჭავჭავაძე სწერდა: „ჩვენი მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულიშვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა...“<sup>97</sup>

ასეთი ეროვნული გრძნობა აღმოცენებული რევოლუციონურ-დემოკრატიულ იდეებზე, მესამოცანებში აღვივებდა ქართველი ხალხისადმი სამსახურის სურვილს, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. მათ აღძრეს პირველად ეს საკითხი და, თუმცა, ბევრი რამის გაკეთება ვერ შესძლეს, მაგრამ თვით საკითხის აღძვრა, ერთგვარი ბრძოლის გაშლა მის გასახორციელებლად უდაოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს მესამოცე წლების ქართველ მოღვაწეებს. ამის შესახებ ილია

<sup>96</sup> „საქართველოს მოამბე“, №7. „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“.

<sup>97</sup> „ივერია“, №1. 1882 წ.

ჭავჭავაძე სწერდა:<sup>98</sup> – „..... ის „სხვა რამე“ იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვიდენია, – ყველასათვის ცხადზედ ცხადია. იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ლარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ – სულ მაგ მიმართულების ბუკა და ნაღარასა სცემდნენ.... მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც ამისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს.“.

სამოციანი წლების ქართველმა ახალგაზრდობამ წამოაყენა ფართოდ ეროვნული საკითხი და ბატონიუმობის წინააღმდეგ ბრძოლა გაშალა. ამ მიმართულების პირველი მესვეური ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც სამოლგაწეოდ გამოსვლისთანავე მთავარ საბრძოლო ლოზუნგათ გამოაცხადა ეროვნული თავისუფლების მოპოვება და ეს ლოზუნგი ბატონიუმობის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგთან ერთად საფუძვლად დაუდო „საქართველოს მოამბეს“. მაგრამ ამ პერიოდში მეტად მცირე იყო ილია ჭავჭავაძის მიმდევართა რიცხვი. ამ საბრძოლო ამოცანების ირგვლივ, პირველ რიგში, დაირაზმა ახალგაზრდობა, რომლებიც ილიასთან ერთად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის საზოგადოებრივს მოძრაობაში. ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმისაგან მოღუნებულს და გაპარტახებულს საქართველოში ილია ჭავჭავაძემ და მისმა გუნდმა – უცბად ვერ ჰპოვეს გამოძახილი

<sup>98</sup> „ივერია“, 1881 წ. მაისი.

იმ ახალ აზრებსა და იდეებზე, რომლებსაც ისინი ქადაგებდნენ ჩვენში, ამიტომ იყო რომ ჯერ კიდევ 1861 წ. აგვისტოში დაწერილს ლექსში ასე მოსთქვამდა ილია ჭავჭავაძე:

„მას აქეთ რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული,  
ჰოი, მამულო გამიკრთა მე ძილი და შვება!  
შენს ძარღვის ცემას მე ყურს უგდებ სულ-განაბული,  
ლამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ლამდება.

---

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არი მხოლოდ სატირალი და სამწუხარო, რომ  
შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო“...<sup>99</sup>

ილია ჭავჭავაძე არ შეუშინდა ამ უკაცობას, მწვავე ბრძოლა გააჩალა გადაგვარების გზაზე მდგომი ძველი თაობის წინააღმდეგ, მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ბატონყმურ წყობილების მოტრფილე მაღალი წრის თავადაზნაურობას და მკვეთრად დააყენა საქართველოს ეროვნული თავისუფლების საკითხი. მას ამ ბრძოლაში გვერდს უმშვენებდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე მე-60-ე წლების დიდ მოღვაწეთა – დოპოლიუბოვისა და ჩერნიშევსკის იდეებზე აღზრდილი ქართველი ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრდობასთან ერთად ილია ჭავჭავაძე შეიქმნა მე-19-ს. ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნა გაზეთმა „პრავდამ“.

<sup>99</sup> „საქართველოს მოამბე“, №2. გვ. 120.

## დასკვნა

1. მე-19 საუკუნის პირველი წახევრის მთელს მანძილზე საქართველოს ეკონომიურს ვითარებაში მომხდარი ძვრების შედეგათ ჯერ კიდევ 20-30-იანი წლებიდან თვალსაჩინო შეიქნა ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი, ხოლო 50-60-იან წლებში კი ბატონყმობა უკვე მწვავე კრიზისს განიცდის, საგრძნობლად არის განვითარებული ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა, – გვხვდება თვალსაჩინო ჩანასახები მრეწველობისა. კაპიტალიზმის განვითარების პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა ყირიმის ომმა, რომელმაც ნათელყო ყველასათვის, რუსეთის იმპერიის და, მაშასადამე, საქართველოს ეკონომიური წყობილების უვარევისობა.

მაგრამ ომმა ნათელყო მთელი სოციალური შენობის სიდამპლეც და მოძრაობაში მოიყვანა მოწინავე სოციალური ფენები. ამ მოვლენის უდიდესი სიმპტომი 1857 წ. სამეგრელოს ამბოხება იყო, ხოლო ყირიმის ომის დასაწყისიდან და, განსაკუთრებით მის შემდეგ, საქართველოში არ შეწყვეტილა გლეხთა მოძრაობა. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ბატონყმური ურთიერთობა და ძველი სოციალური დამოკიდებულება აღარ შეეფერებოდა ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

2. სავაჭრო ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესმა ჩააფიქრა ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი. ამ ნაწილმა სცადა ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან შეგუება ისე, რომ წოდებრივი პრივილეგიები, პოლიტიკური და ცხადია, ეკონომიური ბატონობაც შეენარჩუნებინა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა თავადაზნაურულ-ლიბერალური პროგრამა, რომლის ნარმომადგენლები იყვნენ: კ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი, ნ. ჭავჭავაძე და სხვები.

3. საკმაოდ ღრმა ცვლილებებს ეკონომიურს და სოციალურს ვითარებაში მოჰყვა შესაფერისი ცვლილებები იდეოლოგიის სფეროშიაც. ამ ცვლილებების შედეგი იყო 60-იანი წლების მეტად მნიშვნელოვანი გონიერივი მოძრაობა საქართველოში. 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზედ გამოვიდა ქართველი ახალი თაობის ინტელიგენცია, რომელიც აღზრდილი იყო რუსეთის „რაზნოჩინცების“ – ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებზე და უდაოთ ამ მიმდინარეობის დიდ გავლენასაც განიცდიდა.

4. 60-იან წლებში საქართველოში გაჩაღებული ბრძოლა ახალი თაობის ინტელიგიანციასა და დახავსებულ, დრომოქმულ ძველი თაობის რეაქციონურად განწყობილს ნაწილს შორის, თავისი შინაარსით სოც. ეკონომიური საფუძვლებითა და ისტორიული მნიშვნელობით იყო ბრძოლა: ფეოდალურ-სქოლასტიური აზროვნებისა და დემოკრატიულ-რაციონალისტურ აზროვნებას შორის, ძველს ბატონებურს საქართველოსა და ბურჟუაზიულს განვითარების გზაზე შემდგარ საქართველოს შორის. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რადიკალურ-დემოკრატიულ იდეებზედ აღზრდილ 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეებს ძველი ცხოვრების ნინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულს ვითარებაში მოუხდათ, რამაც გარკვეული დაღი დაასვა მათ მოღვაწეობას.

იმის გამო, რომ თვითმპურობელობის კოლონიალური პოლიტიკის წყალობით ჩვენში 60-იან წლებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მძლავრი ბურჟუაზიული კლასი, რომელიც ნარმართავდა პოლიტიკურ ბრძოლას ახალი ცხოვრებისა და ახალი პირობების შესაქმნელად, – ეს ბურჟუაზიული კლასის ისტორიული მისიის შესრულება პოლიტიკურსა და იდეოლოგიურს სფეროში ახალი თაობის ინტელიგენციამ იდო თავს. ამი-

ტომაც მათი აზროვნება, იდეოლოგია, პრაქტიკული საქმიანობა ბურუჟუაზიული მისწრაფების გამომხატველი იყო.

5. ქართველმა სამოციანელებმა ღრმად შეიცნეს ახალი ცხოვრების დასაწყისი და ამ მიმართულებით გაშალეს ბრძოლა. მაგრამ სამოლვანეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მათთვის სადაო არ იყო ის გარემოება, რომ საქართველოს მოწყობა ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა საფუძველზე შეუძლებელი იყო ცარიზმის არტახებიდან განთავისუფლებისა და საქართველოს დახავსებული ბატონიშვილი წყობილების დანგრევის გარეშე. ამ ნიადაგზე აღმართა მათ წინაშე ორი მთავარი საპრძოლო ამოცანა: ეროვნული თავისუფლების მოპოვება და ბატონიშვილის მოსპობა. ამ ორი ამოცანის განსახორციელებლად დაირაზმა ახალი თაობა და სწორეთ ეს ამოცანები დაედო საფუძვლად ახალი თაობის პირველ ბეჭვდით ორგანოს „საქართველოს მოამბეს“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით.

6. ქართველი სამოციანელები, მათი ორგანო „საქართველოს მოამბე“ ილიას რედაქტორობით წარბშეუხრელად იბრძოდნენ ბატონიშვილის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის. ისინი სასტიკი საცენტურო პირობების გამო შესაძლებლობის ფარგლებში მოუწოდებდნენ ხალხს მოძრაობისაკენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად და ბატონიშვილის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ ორი ძირითადი პრობლემის გადაჭრის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდათ საქართველოში ახალი ცხოვრების განვითარება.

7. „საქართველოს მოამბეში“ არ ვხვდებით არც ერთ წერილს, არც ერთ აზრს, რომელიც იცავდეს ბატონიშვილისა ანდა მის შეკეთებას ქადაგებდეს. ყველა წერილი, პუბლიცისტური თუ მხატვრული ნაწარმოები, თარგმნილი თუ ორიგინალური, აბსოლუტურად მიმართულია ბატონიშვილის წინააღმდეგ, გა-

მოცხატავს მის სიდამპლეს, უვარგისობას, გმობს და უცხადებს ბრძოლას.

სამოციანი წლების მოღვაწეთა მსოფლმხედველობა თავისი ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობით ახალი კაპიტალისტური ურთიერთობისა და ბურჟუაზიული ფენების ინტერესებს გამოხატავდა და, ამდენად, მათი ბრძოლა ბატონიშვილის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო ფორმალური, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ძველი საქართველოსათვის ტირილი, როგორც ამას ზოგიერთები ფიქ-რობენ.

8. „საქართველოს მოამბე“ მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე და მის ირგვლივ შემოკრებილი ქართველი ახალგაზრდობა, რომ ბატონიშვილის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, გარდა იმ უამრავი ფაქტორებისა, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ, მტკიცდება სხვა დოკუმენტებითაც. გ. წერეთელი 1897 წ. ერთ თავის პოლემიკურ წერილში სწერდა: „პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ უურნალის („საქართველოს მოამბე“) გამოსვლას. „საქართველოს მოამბემ“ დაპგმო ძველი ბატონიშვილი დამოკიდებულება, სანტიმენტალურად შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულს ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც. სამწუხაროდ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოდ ერთი წელიწადი გაატანა“.<sup>100</sup>

ასეთივეა თითქმის მეორე დიდი მოღვაწის ნიკოლაძის აზრიც სამოციან წლების მოღვაწეებზე. 1873 წ. მან სასტიკად გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძის ჯგუფი. ნიკოლაძე სწერდა: „საუბედუროთ ეს თაობა (60-იან წლების თაობა. ლ. ც.) ჩვენ ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა,

<sup>100</sup> „კვალი“, №46. 1897 წ.

არც ჩვენი საზოგადოების საჭიროება და სურვილი, და გონების იარაღად იმას მარტო ორიოდე მეტნაკლებად ნათელი აზრი მოუძლოდა: გლეხების განთავისუფლების სამართლიანობა, ბატონიყმობის უვარებისობა, მამულის სამსახური“.<sup>101</sup>

1862 წ. ილია ჭავჭავაძე ერთ თავის დაუმთავრებელს წერილში სწერდა: „მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისთვის, .... ის დიდკაცობა, როგორც ჩვენში ისე სხვაგან, სწორედ კუბოა, რომელიც გარედან ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაპრეყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ იგი თავი, შიგ ძვლებისა და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ“.<sup>102</sup>

აღნიშნული ფაქტები ნათელყოფენ, რომ ილია ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბე“ არც ერთი წუთით არ სწყვეტდნენ ბრძოლას ბატონიყმობის წინააღმდეგ. „პიროვნების განთავისუფლება და თავისუფალი შრომა“ – აი ილიას ლოზუნგები ბატონიყმობის წინააღმდეგ.

ფაქტები ნათელყოფენ, რომ „საქართველოს მოამბე“ და მისი რედაქცია თავგანწირვით იპრძოდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის. „დაკარგული ვინაობის აღდგენა“ აი ლოზუნგი მე-60 წლების ქართველ მოღვაწეთა და ილია ჭავჭავაძისა.

ლუკა ციხისთავი.

6/V-1937 წ.

ქ. ტფილისი.

<sup>101</sup> „კრებული“, №1. 1873 წ.

<sup>102</sup> თხზ. კრებული, VIII, გვ. 4, 1927 წ.

\* un normaler Entwicklung aufzuführen braucht.

✓ Jenkins  
6/15-93475  
750 " 2 n.

სურათი №8. 60-იან წლების ქართველი ინტელიგენცია და უკრონალი „საქართველოს მოამბე“, დასასრული, ლუკა ციხისთავის ხელნაწერი, 1937 წ., ნეარო: ლუკა ციხისთავის საკოვახო არქივი.



ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ და  
60-იანი წლები



გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც იღია ჭავჭავაძე გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, კაცობრიობის ცხოვრებაში უდიდეს ბრძოლებსა და გარდატეხებს ჰქონდა ადგილი. პოლონეთსა და იტალიაში მწვავე ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა იყო, ხოლო ევროპაში მრეწველობის სწრაფი განვითარების საფუძველზე დღითიდრე მრავალდებოდა და ორგანიზაციულად ყალიბდებოდა პროლეტარიატი. 60-იან წლებში უკვე ნიადაგი იყო შემზადებული მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის და ორგანიზაციული სამზადისი წარმოებდა პირველი ინტერნაციონალის დასაარსებლად. რუსეთში გლეხთა მასები რევოლუციურად იყვნენ განწყობილი და განუწყვეტელ სამკვდრო სასიცოცხლო აჯანყებებსა აწყობდნენ თვითმშეყრობელობისა და ძირმომპალი ბატონიშვილის წინააღმდეგ.

სწორედ ამ პერიოდში, ქართველმა ხალხმაც განაცხადა თავისი უფლებები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უფლებებზე და მედგარ ძალად აღსდგა, როგორც დამპყრობელი ძალის – მეფის რუსეთის თვითმშეყრობელობის, ისე დახავსბული ქართული ბატონიშვილის წინააღმდეგ.

ამ დიდი გარდატეხისა და ბრძოლის პერიოდში საზოგადოებრივი აზრის მეთაურობა – ხელმძღვანელობა წილად ხვდა იღიას, ხოლო ამ დიდი, უდაოდ ხანგრძლივი ბრძოლის დასაწყისი აისახა იღიას რედაქტორობით დაარსებულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“.

ქართველი მესამოციანები აღიზარდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. რუსეთში ყოფნა და სწავლა სწორედ იმ პერიოდში მოუხდათ, როდესაც რუსეთის მთელი რაზორჩინცული ინტელიგენცია სამკვდრო-სასიცოცხლო გამანთავი-სუფლებელს მოძრაობაში იყო ჩაბმული. ამავე პერიოდს უკავ-

შირდება რუსეთის სტუდენტთა გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ გამოსვლებში ცნობილია ქართველ სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა. ალსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტობა ხარბად ენაფებოდა საზღვარგარეთ არსებულ გერცენის „კოლოკოლს“, საიდანა ეცნობოდა ევროპის ამბებს, იტალიის ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას, გამწვავებული სამოქალაქო ომის მსვლელობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სამხრეთელ მონათმფლობელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ ფერმერები, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ჩრდილოეთისა და დასავლეთის შტატების მუშები. ეცნობოდნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს პოლონეთის ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც 1861 წელს დაიწყო.

ქართველი ახალგაზრდობა, რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული, ხარბად ითვისებდა დემოკრატულ-რადიკალური მიმდინარეობის რაციონალისტურ აზროვნებას და დემოკრატულ პრინციპებს. რუსეთის რაზნოჩინცული ინტელიგენციის მეთაურების – ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის იდეებით ქართველი ახალგაზრდობის გატაცების შესახებ მრავალი ფაქტი შემოუნახავს როგორც ჩვენს, ისე რუსულ ისტორიულ ლიტერატურას.

სამოციანი წლების ჩვენს ინტელიგენციაზე რუსი დიდი მოაზროვნის ნ. ჩერნიშევსკის უშუალო გავლენის შესახებ, ამავე ეპოქის ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე შემდეგსა წერდა 1873 წელს: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი უურნალის („სოვრემენიკი“) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით, და დაულალავად ვენაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლო-მოუღებელი ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების

სჯაში, მასზე დავაში... ვინ დათვლის იმ ხანგრძლივი ბეღნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამაღლების დღეებს ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოდ გულში ჩაჭედილ კვალს... სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გრძნობას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა? «Одних уже нет, а те далече», ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი? ...<sup>103</sup>

მეტად დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ სამოციან წლებში რუსეთის უნივერსიტეტებში მყოფი ქართველი ახალგაზრდები პირადად იცნობდნენ 6. ჩერნიშევსკისა და მის ოჯახს. აი ამის შესახებ რას წერს თავის მოგონებაში ი. ისარლიშვილი: „იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში მე მახსოვს 6. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, 6. ვ. ლოლობერიძე, ეჯუბოვი და სხვები. იქ ჩვენ ვხვდებოდით „სოვრემენიკის“ ახალგაზრდა თანამშრომლებს: 6. ლობროლიუბოვს, პიოტროვსკის, პანტელეევსა და სხვებს. სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით, კავკასიელებიდან ბ. ლ. ლოლობერიძე არაერთხელ თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისევთან. „სოვრემენიკის“ ჯგუფის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი, კირ. ლორთქიფანიძე, შემდეგში ქართველი უურნალისტი და მწერალი“.<sup>104</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ქართველმა სტუდენტობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო პეტერბურგის სტუდენტთა დემონსტრაციაში. 1861 წლის დემონსტრაციაში მონაწილენი იყვნენ: 6. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ლოლობერიძე, ისარლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ჩოლოყაშვილი, დ. ლოლობერიძე და სხვები. ბ. ლოლობერიძე ამ დროს მეტად დაახლოებული იყო „სოვრემენიკის“ ჯგუფთან და ჩერნიშევსკის-

<sup>103</sup> 6. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე) „სხვათაშორის“, „კრებული“, №4, 1873 წ.

<sup>104</sup> Г. Туманов. «Характ. и восп.», №1. Гг. 330-33.

თან ერთად ერთერთ კომიტეტშიც მონაწილეობდა. ქართველ სტუდენტთა მონაწილეობა 1861 წლის დემონსტრაციაში უდა-ოდ დიდი ისტორიული ფაქტი იყო და მასთან პირველი მაგა-ლითი ჩვენს ისტორიაში.

ცხადია, რუსეთში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას, რო-მელიც გართული იყო რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრა-ობაში მონაწილეობით, ამ დროის მონინავე აზრთა მფლობე-ლის, დიდი დემოკრატის და რევოლუციონერის – ჩერნიშევ-სკის მეთაურობით, დავიწყევისათვის არ მიუცია თავისი ქვე-ყანა. პირიქით, შეიარაღებული რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნებით და განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერ-თი გამოცდილებით, – ქართველი ახალგაზრდობა ღრმად გრძნობდა ახალი ცხოვრების დასაწყისს საქართველოში. ეს ახალგაზრდობა კარგად იცნობდა საქართველოს იმდროინდე-ლი საზოგადოების სოციალ. პოლიტიკურ იდეალებს, მას მშვენივრად ჰქონდა გათვალისწინებული თვითმპურობელობის ის ვერაგი კოლონიალური პოლიტიკაც, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის პოლიტიკური თავი-სუფლების მოსპობასთან ერთად, განადგურების კარამდე მი-იყვანა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებაცა და კულტუ-რაც. ქართველი მესამოციანები კარგად გრძნობდნენ იმასაც, რომ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარე-ბა ახალი ეკონომიური ვითარების საფუძველზე, შეუძლებელი იყო ძირმომპალი ბატონიშვილი წყობილების მოსპობის გარეშე; აი, ამ იდეებით გამსჭვალული და პრაქტიკული მოქმედები-სათვის გამზადებული უბრუნდებიან საქართველოს, – რუსე-თის უნივერსიტეტში აღზრდილი მესამოციანები.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის საქარ-თველოს ეკონომიურს ცხოვრებაშიც შესამჩნევი გახდა ერთგვარი ძვრები, ხოლო ყირიმის ომმა, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც საქმაოდ შეუწყო ხელი ცხოვრების წარმატება-განვითარების საქმეს. ამ ომმა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-

რების კრიზისი გამოიწვია და მით აამოძრავა საზოგადოებრივი კლასები, გამოააშეარავა ძველი იდეოლოგიისა და აზროვნების სრული უვარგისობა. ამ პერიოდს მშვენივრად ახასიათებდა ნ. ნიკოლაძე 1873 წელს: „ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, სწრაფად ნიკოლაძე, – ისეთი შემთხვევები მოხდა, რომ მოთავე პირებს მარტო გაჩუმებით და წაყრუებით, ზურგის წახრით მოქმედება აღარ გამოადგებოდათ, ორმოცდახუთმეტის ომმა საზოგადოებრივი ცვლილებების საჭიროება გამოააშეარავა, ამ ცვლილებებმა მამაპაპური ცხოვრება და ჩვეულებები შესძრა, ძველებური რწმუნებები მოჰკაფა, ახალი განწყობილება კარზე მოგვაყენა“.<sup>105</sup> შემდგომ ომმა, როგორც აღვნიშნეთ, გამოააშეარავა არა მხოლოდ ეკონომიური წყობილების უვარგისობა, არამედ ნათელყო მთელი სოციალური შენობის სიდამპლე და აამოძრავა მოწინავე სოციალური ფენები. ყირიმის ომის შემდეგ საგლეხო რეფორმამდე, მთელი საქართველო დაისერა გლეხთა ამბოხებებით. სამეგრელოს ამბოხება, პარტიზანული ბრძოლები მემამულეთა და გლეხთა შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხებში, უდიდესი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ ბატონყმური ურთიერთობა აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების შემდგომ განვითარებას. თუ რამდენად ამოძრავდა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი გლეხთა საკითხის ირგვლივ, საინტერესო ცნობას გვაძლევს ნ. ნიკოლაძე, რომელიც 1865 წელს „კოლოკოლში“ წერდა: „ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომის შემდეგ გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღლევებდა და თავიდანვე მიიღო მან დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გაეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები და რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული ჩარევისა, იზრდებოდა საქართველოში

<sup>105</sup> 6. სკანდალი. „ახალი ახალგაზრდობა“, „კრებული“, №1, 1873 წ.

არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამათუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა<sup>106</sup>.

მართლაც, რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდობას საქართველოში დახვდა ყირიმის ომის დროს დაწყებული მოძრაობა, მაგრამ ამ მოძრაობას ამუხრუჭებდა კონსერვატიული ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც დამფრთხალი იყო რა ახალი ცხოვრების დასაწყისით, მთელი თავისი ძალ-ღონით იცავდა გაბატონებული წოდების ინტერესებს და ცდილობდა გადაერჩინა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა დარღვევისა და განადგურებისაგან.

ქართველ კონსერვატორებსა და ლიბერალებს ამ დროს ჰქონდათ თავის საკუთრაი ბეჭდვითი ორგანოებიც – „ცისკარი“ და „გუთნის დედა“, „ცისკარი“ ერთადერთი სალიტერატურო ჟურნალი კონსერვატორთა ბუდეთ გამხდარიყო და არა თუ გლეხთა საკითხი, არამედ საზოგადოდ, არცერთი ახალი აზრი „ცისკრის“ ფურცლებს არ ეკარებოდა, ქართველო მაღალი წოდება სრულიად არ ფიქრობდა ახალს ცხოვრებაზე, არ იბრძოდა ახალი პირობებისათვის, პირიქით, მტკიცედ ჩასჭიდებოდა ძველს ცხოვრებას, ბატონიშვილს ურთიერთობას და თვითმპურობელობასთან ხელიხლაკიდებული იბრძოდა მის შესანარჩუნებლად, ხოლო მე-60 წლებისათვის ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მძლავრი ბურუჟუაზიული კლასი. რაც იყო, ისიც უმთავრესად სომხისა და უცხო ტომის ელემენტებისგან შესდგებოდა. მათ არც შეეძლოთ და არც სურდათ პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ახალ ცხოვრებისა და ახალ პირობების შესაქმნდელად. ეს უცხო ბურუჟუაზია ეგუებოდა ცარიზმის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და მხოლოდ უმნიშვნელო ეკონომიკურ ბრძოლას აწარმოებდა.

<sup>106</sup> რიო-ნელი «Освободж. крестьян в Грузии». ჟურ. «Колокол». №198. 1865 г.

ასეთ პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლისთანავე ქართველმა ახალგაზრდობამ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, სასტიკი შეტევა დაიწყო ქართველი თავადაზნაურობის რეაქციულ განწყობილებათა წინააღმდეგ.

სამოციან წლებში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ორ თაობას შორის, რომელიც თავისი ისტორიული მნიშვნელობით იმთავითვე იყო ბრძოლა ფეოდალურ-სქეოლასტიურ აზროვნებასა და დემოკრატულ-რაციონალისტურ აზროვნებას შორის. ამ ბრძოლაში – ფაქტიურად – ორი საქართველო შეეჯახა ერთმანეთს: მიმავალი, ბატონიშვილი და ახალი, ბურუჟუაზიული განვითარების გზაზე შემდგარი. მესამოციანები ძველ თაობასთან პირველი გაბრძოლებისთანავე დარწმუნდნენ, რომ ძველ თაობას არაფერი გაეგებოდა ცხოვრების ახალი მოთხოვნილებისა, დარწმუნდნენ, რომ ძველი თაობა სრული გადაგვარების გზას დასდგომოდა და ულმობელი კრიტიკით დაიწყო მისი მხილება, მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამგარად, 60-იანი წლების ჩევნი ინტელიგენცია ღრმად დარწმუნდა, რომ საქართველოშიც დაწყებული იყო ახალი ცხოვრება, ხედავდა, რომ ნადგურდებოდა ძველი ცხოვრების ფორმები, დარწმუნდა იმაშიც, რომ აუცილებელი იყო ცხოვრების ძველი ფორმების ნგრევისა და მოსპობის დაჩქარება ახალი ცხოვრებისათვის გზის განმენდა.

აქ აღიმართა ახალთაობის წინაშე პრობლემა, თუ რომელი გზით შეიძლებოდა საქართველოს საერთო ცხოვრების წარმატება და საზოგადოებრივი წყობილების რომელი ფორმა შეესაბამებოდა მას. 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობისათვის იმთავითვე განუხრელად დადგა საკითხი საქართველოს ახალი ცხოვრების ეროვნულს ნიადგაგზე მოწყობისა. ახალგაზრდობა კარგად გრძნობდა, რომ ახალი ცხოვრების ეროვნულს ნიადაგზე მოწყობისათვის საჭირო იყო ბატონიშვილის მოსპობა და ეროვნული ვინაობის განმარტება, რომელიც

თვითმშეწობელობის კოლონიალური პოლიტიკის დაწოლით და წოდებრივი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს დავიწყებისათვის მიეცა.

60-იანი წლების მთელ მანძილზე ეს ორი ძირითადი საკითხი შეიქმნა ჩვენი ახალთაობის ბრძოლის საგნად. ამ საკითხების ირგვლივ წარიმართა საზოგადოებრივი აზრი.

რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის, დემოკრატულ-რადიკალური მიმდინარეობისა და რაციონალისტური აზროვნების ნიადაგზე აღზრდილმა ქართველმა მესამოციანებმა, ამ ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ინტელიგენციას მიანიჭა. მათ სწამდათ, რომ თუ ინტელიგენცია სწორ აზროვნებასა და პროგრამას გამოიმუშავებდა, შესძლებდა ცხოვრების გარდაქმნას, რაციონალურ საფუძველზე მის მოწყობას. ინტელიგენციის საშუალებით ფიქრობდა 60-იანი წლების ახალგაზრდობა თავისი პროგრამის გატარებას ცხოვრებაში.

სხვაგვარი აზრი თითქოს შეუძლებელიც იყო, „რადგან რაციონალისტური აზროვნებისა და იდეალიზმის საფუძველზე აღზრდილი მონინავე ინტელიგენცია ჩვენი ცხოვრების მაშინდელ პირობებში ვერც ერთ სოციალურ ძალას ვერ ხედავდა, გარდა იმავე ახალთაობის ინტელიგენციისა, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყოს დაყრდნობა და მისი ცხოვრების მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევა. მხოლოდ ეს სოციალური ფენა სჩანდა ცხოვრების ფონზე, მხოლოდ ის აზროვნებდა კრიტიკულად და მოქმედებდა აქტურად“.<sup>107</sup>

ამგვარად, ბატონიშვილის მოსპობა, ეროვნული თავისუფლების აღდგენა დაისახა თავის საბრძოლო ამოცანად 60-იანი წლების ახალგაზრდობამ. უურნალ „საქართველოს მოამბეს“ დაარსებამდის ქართველი ახალგაზრდობა შეეცადა ახალი იდეების საქადაგებლად გამოეყენებია „ცისკარი“, მაგრამ ამ უურნალმა კარი დაუხურა ახალ იდეებს, ახალგაზრდობა გან-

<sup>107</sup> ს. ხუნდაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, გვ. 15, 1931 წ.

დევნა. მოიმარჯვა სულშემხუთავი ცენზურა და „ცისკარში“ გაბატონებულ რეაქციული თავადაზნაურობის „დიდკაცთა“ რისხვის თავიდან ასაცილებლად, სრულიად განდევნა „ცისკრიდან“ დ. ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

მაგრამ, როგორც ცნობილია, „ცისკარიც“ ვერ ასცდა აპობოქრებული აზრის სრბოლას. დ. ჭონქაძემ მოახერხა ბატონყმობის საწინააღმდეგოთ მთელი მხატვრული ტრაქტატის დაბეჭდვა. „დ. ჭონქაძე, – წერდა პროფ. ს. ხუნდაძე, – პირველი მერცხალი იყო წვრილპურუჟუაზიული და გლეხური მიმდინარეობისა ჩვენში. დ. ჭონქაძე იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში სასტიკად გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, და რომელიც გამოვიდა თავისუფალი, დამოუკიდებელი გლეხის დამცველად, წვრილპურუჟუაზიული დემოკრატიის მებაირასტრუდ“.<sup>108</sup>

\*\*\*

დახავსებული ძველი აზროვნების წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძემ ბრძოლა ენობრივი საკითხებით დაიწყო, მაგრამ ეს ხომ ერთგვარი ხერხი იყო ბრძოლისა საზოგადოების გაბატონებული ნაწილის წინააღმდეგ მძიმე საცენზურო პირობებში; მასთან ლიტერატურა, ინტელიგენცია ხომ მთავარ დასაყრდენ ძალად მიაჩნდათ მესამოციანებს, ილიასაც, ახალი წყობილებისთვის ბრძოლის საქმეში. მესამოციანების მეთაურმა, ილიამ, ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხში ამ დროს პირველმა შეიტანა რეალიზმისა და უტილიტარიზმის პრინციპები.

ამ პოზიციებიდან დაუწყო ილიამ ბრძოლა „ცისკრის“ თანამშრომლებს. „ცისკარმა“ ვერ აიტანა საღი კრიტიკა. ი. ჭავჭავაძის ჯგუფი „ცისკარს“ საზოგადოებრივი აზრის კუბოდსთვლიდა. საკითხები მოზღვავებული იყო, რუსეთში მწვავე

<sup>108</sup> ს. ხუნდაძე, „სოციალიზმის ისტორიისთვის საქართველოში“, ტ. II, გვ. 17.

ბრძოლა სწარმოებდა, რუსეთის დემოკრატიულ ინტელიგენციას საკუთარი ორგანო „სოვერენიკი“ ჰქონდა. საჭირო და აუცილებელი იყო გამწვავებული ბრძოლა საქართველოს ძველი ნიკობილების, ბატონიყმობის დამცველთა წინააღმდეგ. საჭირო იყო საზოგადოებრივი ყურადღების დაჭირვა მომწიფებული ეროვნული თავისუფლებისადმი, აუცილებელი იყო ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებულ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა (პოლონეთი, იტალია) გაცნობა. ყოველივე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით.

1862 წლის დამდეგსვე გადაწყვიტა ახალმა თაობამ საკუთარი ორგანოს დაარსება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. თუ გავიხსენებთ 1858 წლის უქაზს საცენზურო კომიტეტისადმი და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთში გლეხთა გათავისუფლებას მასიური გლეხთა ამბოხებები მოჰყვა, რამაც დააფრთხო თვითმპურობელობა და ერთხანს შეაჩერა რუსეთის კოლონიებში რეფორმის გატარება, აქედან ცხადი იქნება, თუ როგორ პირობებში მოუხდებოდა მოღვაწეობა ახალ უურნალს.

„საქართველოს მოამბის“ რედაქციას მართლაც მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება. ცენზურამ ილია ჭავჭავაძეს უურნალის გამოცემის ნება მისცა იმ პირობით, რომ უურნალში ადგილი არ ჰქონდა პოლიტიკურ ცნობებსა და მსჯელობას. საზოგადოთ, სასტიკად იყო აკრძალული ბატონიყმობის შესახებ წერა, ხოლო ეროვნულ თავისუფლებაზე არა თუ წერა, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა თვითმპურობელობის სასტიკი რეჟიმის დროს. „საქართველოს მოამბემ“ და ჩვენმა მესამოციანებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მეტად არახელსაყრელ დროს დაიწყეს მოღვაწეობა. როგორც ცნობილია, მათი მოღვაწეობა ფაქტიურად, 1860-61 წწ. იწყება, ილია ჭავჭავაძის გამოსვლით „ცისკარში“, ე.ი. სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთის მესამოციანები, ჩერნიშევსკის მე-

თაურობით, ნაჯახისკენ მოუწოდებდნენ ხალხს და თვით-მპყრობელობა, შეძრნუნებული ახალი თაობის მოძრაობითა და თავგანწირული ბრძოლით, საშინელს რეაქციას ამეფებს რუსეთის მთელს ტერიტორიაზე.

ცხადია, ასეთ პირობებში ახალ უურნალს ძნელად თუ შე-ეძლო იმ ნაყოფის მოტანა, რომელსაც მისგან მოელოდა სა-ზოგადოების მოწინავე ნაწილი, ხალხი. უურნალი იმთავითვე შეიძოჭა ცენზურის საშინელი არტახებით და ძირითად საკით-ხებზე პირდაპირ წერა თითქმის ვერ შესძლო. მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა დასმა არ უღალატეს რუსე-თის მესამოციანელებისაგან შეთვისებულ დემოკრატულ პრინციპს და უურნალის პირველი ნომრიდან უკანასკნელ ნომრამდე დაუხრელად ეჭირათ დროშა, რომელზედაც ამოკ-ვეთილი იყო იმ დროის პროგრესიულ-დემოკრატიული იდეები – ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ და ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ილია ჭავჭავაძემ ამ საკითხების გაშუ-ქება ცხოვრებაში მათი განხორციელებისათვის ბრძოლა დაუ-სახა მთავარ ამოცანად „საქართველოს მოამბეს“ და აქეთ მოუწოდა თავის ირგვლივ შემოკრებილ, რუსეთის მესამოცია-ნელთა იდეებზე ალზრდილ ქართველ ახალგაზრდობას.

ცხადია, „საქართველოს მოამბემ“ ვერ შესძლო დასახული ამოცანის იმგვარად შესრულება, როგორც დასაწყისში ფიქ-რობდა, ვერ შესძლო ბატონყმობისა და ეროვნული საკითხე-ბის ირგვლივ პირდაპირ, ფაქტებით წერა თავის ფურცლებზე, ვერ შესძლო აშკარად პირდაპირ ხალხის მოქმედებისკენ მომ-ნოდებელი წერილების დაბეჭდვა, მაგრამ არ ვიქნებით მარ-თალი, თუ ვიფიქრებთ, რომ „საქართველოს მოამბე“ ამ სა-კითხების დაყენებას თითქოს სრულიად აუხვია გვერდი. პი-რიქით, ყველა წერილი, მოთხოვთა, შინაური მიმოხილვა, უც-ხოეთის ლიტერატურიდან თარგმნილი მასალა, სწორედ ალ-ნიშნული მთავარი საკითხების გაშუქების მიზნით არის შერ-ჩეული. თუ საჭირბოროტო საკითხებზე პირდაპირ წერას ვერ

ახერხებდა „საქართველოს მოამბე“, ან უკეთ რომ ვთქვათ, თუ ამ საკითხებზე პირდაპირ წერის უფლებას არ აძლევდა ცენტურა, სამაგიეროთ, ალეგორიული თქმით, რევოლუციური შინაარსის მოთხრობების და სტატიების თარგმნით, ორიგინალური მხატვრული მოთხრობებისა და სხვა ნაწარმოებთა ბეჭდვით „საქართველოს მოამბე“ ახერხებდა საზოგადოების ყურადღების გამახვილებას ბატონიშვილისა და ეროვნული თავისუფლების საკითხებზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „საქართველოს მოამბე“ ბატონიშვილის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს, და ამ მოწოდებას ახერხებდა მეტად ამაღლევებელი სტატიების უურნალში ბეჭდვით მონობისა და ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. მართალია, ყველა-ფერი ეს სხვა ქვეყანას, სხვა ხალხის ცხოვრებას შეეხებოდა, მაგრამ „საქართველოს მოამბის“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უურნალი ამ ამოხსნას მხოლოდ მკითხველს როდი ან-დობდა. ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო და ხელი მიუწვდებოდა, მიმოხილვაში თუ თარგმნილი მასალის შენიშვნებში, რედაქცია თუ ცალკე ავტორები, უთითებდნენ მკითხველს, ამ უცხო ქვეყნისა და ხალხის ამბავი ჩვენი სინამდვი-ლისათვის შეედარებინათ, ეგულისხმათ ჩვენი ცხოვრება; ხო-ლო ზოგჯერ პირდაპირი ანალოგიებიც კი კეთდებოდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა უცხოეთის ამბებთან, მონათა მდგომა-რეობასთან, ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას-თან და სხვ.

ასეთ მაგალითებს მრავლად შევხვდებით უურნალის გან-ხილვის დროს. აქ კი მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ ცნობას მოვიყვანთ:

უურნალის აპრილის ნომერში მოთავსებულია „სხვადასხვა ამბები“ (დავით ყიფიანისა), სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ, რა-საც ვიტყვით, მკითხველო, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოვლისფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა

გვაქვს მხედველობაში. ამისათვის, გთხოვ, რომა სხვადასხვა ქვეყნებისა, სხვადასხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოიდგინო ხოლმე, მოიფიქრო ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროვე მაცოცხლებელსა, თუ მამაკვდინებელ აზრებზე, თუმცა უაზრობაზე, მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალ ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ“.<sup>109</sup>

ანდა მეორე ადგილი: „მაშასადამე, ჩვენ ამბებს რომ კითხულობდე ხოლმე, მკითხველო, ფიქრად საზოგადოდ ქართველობა უნდა გქონდეს განუწყვეტელათა“.

ეს ადგილები დავით ყიფიანს ჩართული აქვს თავის ვრცელს წერილში „სხვადასხვა ამბები“, რომელშიც ლაპარაკია რომისა და საბერძნეთის მონობაზე, მონათა მოძრაობაზე, ევროპის ფეოდალიზმზე მონურ და ყმის შრომის უნაყოფობაზე და სხვ.

დასასრული შემდეგ ნომერში.  
დოც. ლ. ციხისთავი

<sup>109</sup> „საქართველოს მოამბე“, №4, აპრილი, გვ. 95-96.

სურათი №10. ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოაბეგ“ და 60-იანი წლები, I ნაწილის დასასრული, ლუკა ციხისოთავი გაზიერი „სტალინელი“, №125 (1506), 3 ივნისი, 1937 წ.

ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“  
და 60-ია-ნი წლები

(დასასრული)

დოც. ლ. ციხისთავი

დოკ. ს. ვისინიაშვილი

0201 ჭავჭავაძის „საქართველოს მოგზაური“ წ. 60-იანი წლები \*

ସାହେବରୁପରେ ମିଳାଯାଇଥିଲା ମେତାରୁ ଦେଖିଲାକିନା  
ଶବ୍ଦରୁ ଏହା ପ୍ରେରଣାରୀଙ୍କର ରା ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ  
ଦେଖାଇଲା ରାଜମହାନ୍ତିରା ଗ୍ରାମରେ, ରା ଶ୍ଵରାରୁ ଶିଖିଲା  
ରୁ, ରାଜମହାନ୍ତିରା ଏହାକିମଙ୍କରୁ, ଅନ୍ଧାରାରେ ଶତରୂପ  
ରେଖା ମିଳାଯାଇଲା. ଏହା ନାହାଇ ଲାଗିଲା ମିଳାଯାଇଥିଲା  
ରୁ, ରାଜମହାନ୍ତିରା ଏହାକିମଙ୍କରୁ, ଅନ୍ଧାରାରେ ଶତରୂପ  
ରେଖା ମିଳାଯାଇଲା. ଏହା ନାହାଇ ଲାଗିଲା ମିଳାଯାଇଥିଲା

ପ୍ରେରଣାଦେ, ଯତ୍ନ ଶୁଦ୍ଧିତ ମିଳିବା କାହିଁଗୁଡ଼ିବା  
ଶ୍ରୀମତୀରୁଥିବାନ୍ଦିବା ହାତିଲାଗନ୍ତିରୁଥିବା  
ଏବଂ ପରିପ୍ରେରଣାଦେ ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁ, କ୍ଷେତ୍ରରୁ  
ମରିବା ହେଉ ଅନେକଟିଲୁଙ୍କ ରାଜୀ ମରିବାରୁରୁ ବେଳେ  
ପରିପ୍ରେରଣାଦେ ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁରୁ  
ନାହିଁ ପରିପ୍ରେରଣା ସମ୍ପର୍କରୁରୁ ତା ଦର୍ଶନିଲୁଙ୍କ  
ରାଜୀ ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁରୁ  
ଦା ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁରୁ ରାଜୀ ମିଳିବାକୁ  
ଦା ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁରୁ ରାଜୀ ମିଳିବାକୁ  
ଦା ମିଳିବାକୁ ପରିପ୍ରେରଣା କ୍ଷେତ୍ରରୁରୁ ରାଜୀ ମିଳିବାକୁ

<sup>\*)</sup> დას. სრული. ხ. „სტალინელი“, № 125 (1506).

<sup>\*)</sup> „*ડાય્ની. મણામંદિરું*“, નિ ૧.

„საქართველოს მოამბე“ მეტად შევიწროებული იყო ცენ-ზურისგან და უდაოა, ბევრი რამის გაკეთება, რაც ფიქრად ჰქონდა, რისთვისაც იღწვოდა, პირდაპირი გზით ვერ მოახერხა. ეს თვით იღია ჭავჭავაძემ აღნიშნა „საქართველოს მოამბის“ მეთერთმეტე წომერში.

იღია წერდა: „წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვსთხოვდით ჩვენს უურნალსა, რასაც მისგან მოველოდით – ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა. რასაკვირველია, ყოველ საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე, მაგრამ უურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰქონდის რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმეა. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, – ჩვენი ნებით თუ უნებლიერ გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა“.

ამ დაუძლეველ სიძნელეში, ცხადია, იღია გულისხმობს ცენზურას, რომელიც გასაქანს არ აძლევდა უურნალს და განსაკუთრებით შინაურ მიმოხილვებს საცენზურო წინწელებით აჭრელებდა. მიუხედავად ამისა, უურნალი მედგრათ ებრძოდა ცენზურასაც და თავადაზნაურთა რეაქციულ ჯგუფებსაც. უურნალი განუხრელად ატარებდა თავის პროგრამას და ძირითადი იდეებისთვის არ გადაუხვევია. და თუ იღია ჭავჭავაძე მაინც უკმაყოფილო იყო, თუ ჩიოდა, რომ მან და მისმა უურნალმა ვერ შესძლო პროგრამის სრულად, მაქსიმალურად განხორციელება, ეს უდაოდ მეტის გაკეთების სურვილებიდან გამომდინარეობდა. „საქართველოს მოამბეში“ აღძრულ, ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული ორი ძირითადი საკითხის განხილვამდე საჭიროა მივუთითოთ, რომ ქართველ სამოციანელთა ბრძოლისა და მოქმედების პირობები უეჭველად გან-

სხვავდებოდა რუსეთის სამოციანელთა ბრძოლის პირობების-გან, პირველყოვლისა იმით, რომ საქართველო ამ დროს რუსეთის კოლონია იყო და კოლონიალური რეჟიმის წყალობით ჩვენი ეკონომიკა, კაპიტალისტური განვითარება ბევრად ჩამორჩებოდა რუსეთს. ჩვენში, თუ გნებავთ, ობიექტურად ბურჟუაზიული განვითარებისათვის მებრძოლ აბსოლუტურ უმრავლესობას 60-იან წლებში თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ახალგაზრდობა შეადგინდა, დემოკრატიული იდეები მათ შეთვისებული ჰქონდათ, ხოლო რუსეთის მესამოციანები – დაჩაგრულტა წრიდან გამოსულნი, თანმეზრდილნი იყვნენ დემოკრატიზმთან. ჩვენი სამოციანელნი იბრძოდნენ რა ბატონყობისა და თვითმეცყრობელობის წინააღმდეგ, წინა პლანზე ყოველთვის ეროვნული განთავისუფლების იდეას აყენებდნენ და ეს უდაოდ მრავალს შემთხვევაში მთელი ძალების მობილიზაციას ერთის მიმართულებით – ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მიმართულებით ახდენდა.

ამიტომაა, რომ სამოციანელთა მოლვანეობაში, უურნალ „საქართველოს მოამბეში“, ეს მომენტი წითელ ზოლათ არის გავლებული.

იღია ჭავჭავაძემ და ქართველ სამოციანელთა მთელმა თაობამ ცხოვრების გარდაქმნისა და რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობის საქმეში უდიდესი როლი ინტელიგენციას მიანიჭეს. დემოკრატიულად მოაზროვნე ახალი თაობა იყო ის სოციალური წრე, რომლის საშუალებითაც ცდილობდა მოწინავე ინტელიგენცია თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. განათლების შეტანა ხალხში და ხალხის წინ წამოყენება, მისი ინტერესების დაცვა, მთავარ სამოლვანეო საქმეთ გადაიქცა მესამოციანეთათვის.

„ეს ისტორიით დამტკიცებულია, რომ რა სახელმწიფო-აც მოხდენილა რაიმე ცვლილება, ეს მოხდენილა ყოველთვის განათლებულთაგან, რომელნიცა ყველგან, რაც უნდა სთქვას სხვამ, ანამოებენ თავის ნებაზე ხალხის სამეუფო ნებასა, ე.ი.

მიიმხრობენ მდაბიო ხალხს როგორც უძლეველსა ძალასა და იმის შემწეობით ასრულებენ საქმესა“.<sup>110</sup> ასე წერდა თულაშვილი და ასე ფიქრობდნენ დანარჩენი ქართველი სამოციანელებიც, რომელთაც ჩერნიშევსკის სკოლაში შეითვისეს განათლების მნიშვნელობა და ხალხის სამსახური.

ცნობილია, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი თუ რა დიდ როლს აკუთვნებდნენ მხარვრულ ლიტერატურას გამათავისუფლებელს მოძრაობაში. ამ ნიადაგზე აღმოცენდა უარყოფა ე.წ. „მმინდა ხელოვნებისა“ და ლიტერატურის მიზნად საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის სამსახურის დასახვა. ეს რეალისტურ-უტილიტარული პრინციპი ილია ჭავჭავაძემ და სხვა სამოციანელებმა მოღვაწეობის დაწყებისთანავე გადმოიტანეს ჩვენს ლიტერატურაში. ჭავჭავაძეს, გ. წერეთელსა და სხვებს გადმოჰქმნდათ აგრეთვე პოეზიის, ხელოვნებისა და ესთეტიკის შესახებ ბელინსკის აზრები, რომელებიც თავის მხრივ, ფეირბახის მატერიალისტურ პრინციპებზე იყო აღმოცენებული. დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძემ საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ამ აზრების ქადაგება, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ძველი ფსევდოკლასიკური სენტიმენტალური და სქოლასტიკური მიმდინარეობანი ქართულს ლიტერატურაში და მოუწოდა სასიცოცხლო ძალებს რეალური მოქმედებისაკენ. ლიტერატურას მან ხალხის სამსახური დაუსახა, ლიტერატურა საუკეთესო იარაღათ გამოიყენა სულისშემხუთავ საცენზურო პირობებში საკუთარი და საერთოდ სამოციანელთა ძირითადი საბრძოლო საკითხების (ბატონიშვილისა და ეროვნული თავისუფლების) გასაშლელად „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე.

„საქართველოს მოამბემ“ თავიდანვე მხატვრულ ფორმას მიმართა ბატონიშვილის დასაგმობად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ილიას „გლახის ნაამბობი“ უურნალის პირველ-სავე ნომერში დაიბეჭდა. გმობა ჩაგვრისა და მონობისა, სიყ-

<sup>110</sup> „საქართველოს მოამბე“, №1.

ვარული და თანადგომა დავრდომილთადმი, მთავარი მოტივებია „გლახის ნაამბობისა“. განვიხილოთ ზოგიერთი ადგილები: „ყმანვილის გული, შენი ჭირიმე, – ვკითხულობთ მოთხოვნაში, – ადრეულ ყვავილსა ჰგავს: მზე დაპხედავს თუ არა, გაიმლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსტი კიდევ მოასწორობს ნამდვილ გაზაფხულამდე და დრეულად დააჭინობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მოუღო... ბატონთან განებირებული ვიყავი ბატონის შვილსავით. დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარდა. მაშინ რა ვიცოდი, სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში სიყვარული სიზმარია. რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“.

„გლახის ნაამბობში“ მრავალი ადგილია, რომლებიც მეტად მკვეთრად გვისურათებენ ყმათა უმწეო მდგომარეობას, ბატონყმობის ძალმომრეობას, მრავალია შემაძრნუნებელი სურათები ყმათა უილაჯობისა, მებატონეთა უადამიანობისა, აქ დაგმობილია და გაკიცხული ბატონყმობა.

„გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?“ და „კაკო ყაჩალი“ უდაოდ დიდი და ძლიერი პროტესტი იყო თანადროულობისა, რომელშიც მძვინვარებდა ბატონყმობა.

იღიას რწმენით, ბატონყმობა მავნებელია არა მარტო ყმებისთვის, არამედ ბატონებისთვისაც. ბატონყმობა შემაფერხებელია ცხოვრების, როსთვისაც აუცილებლა უნდა მოისპოს ბატონყმობა, რომ დასაბამი მიეცეს ახალ ცხოვრებას, რომ კაცმა თავისი სახე შეინარჩუნოს. ამ მხრივ „კაცია ადამიანში“ ილიამ საუკეთესო ტიპები მოგვცა. ერთის მხრივაა ლუარსაბ თათქარიძე და მისი „ბრწყინვალე კნეინა“ დარეჯანი, რომელნიც მოძრავ ლეშად გადაქცეულან ბატონობისა და უმოქმედობის შედეგათ, ხოლო მეორეს მხრივაა ყმის – ლამაზისეულის ტიპი, რომელიც ბატონის ძალმომრეობას უაზრო მანქანად, ბატონის ერთგულ პირუტყვად გადაუქცევია.

„კაკო ყაჩალით“ ილიამ გარკვეულად დახატა ბატონყმური ულლის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხ-კაცობა. ავტორმა თანაუგრძნო მათ. ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ მხატვრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღად გამოიყენა ბატონყმობის წინააღმდეგ. მან შესძლო ბატონყმობის უმსგავსოების საკმაოდ გაბედული დაგმობა ზაქროს, კაკოს და სხვა მრავალი მხატვრული სახეებით, და უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე აღებული პუბლიცისტური სტატია იმ დროში, ამდენსაც ვერ შესძლებდა. მაგრამ „საქართველოს მოამბე“ როდი დაკმაყოფილდა მხოლოდ ილიას ამ მხატვრული თხზულებით. „საქართველოს მოამბემ“ თავისი ამ ერთ-ერთი მთავარი საკითხის ირგვლივ ბევრი რამ სთქვა, მრავალმხრივ სცადა მისი აღძვრა და კიდევაც შესძლო ბატონყმობის ყოველმხრივი დაგმობა – მის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლა. „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში ილია ჭავჭავაძის საპროგრამო სტატიასთან ერთად, დაიბეჭდა ვ. თულაშვილის ვრცელი წერილი – „შინაური მიმოხილვა“. ავტორი მეტად შორიდან უვლის საკითხს, ცდილობს აღნუსხოს საქართველოსი და ქართველი ხალხის ჩამორჩენილობის მიზეზები, ამათორახებს ძველ თაობას, რომელსაც დღედაღამ საფიქრელ საგნათ სამსახური გაუხდია, დავიწყებია სამშობლოსათვის ზრუნვა და სხვა. ყოველივე ამის შედეგათ, ავტორი დაასკვნის: „გაუნათლებლობა ჩამორჩენილობა გამეფდა ჩვენშიო“ და საჭიროდ მიაჩნია განათლება, რომელსაც ავტორის აზრით, შეუძლიან ყოველივე ცუდის აღმოფხვრა. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ავტორი ლიბერალ-განმანათლებლის როლში კი არ გამოდის, არამედ ქადაგებს ძველის დამსხვრევას, მართალია, იგი დიდ როლს ანიჭებს განათლებას, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია, ძველის, უვარგისი ცხოვრების შეკეთება, მოითხოვს სრულიად დანგრევასა და ახლის აგებას. მოუსმინოთ თვით ატორს: „.... გაუნათლებელი საზოგადოება უფრო ცუდს მალე მიიღებს

ხოლმე, ვიდრე კარგსა; ცუდის მაგალითების რიცხვი დღე და დღე მრავლდება, იმ დომდე, ვიდრე საზოგადოებაში არ მოხდება განათლებისაგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბრუნდე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებიტა და დაწებებითა, როგორც ძველისა რისამე – უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქციოს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს უფრო მკვიდრს საძირკველზედა. ბედნიერია, ვინც ერთს აგურს მაინც ჩააგდებს ამ საძირკველში".<sup>111</sup>

ცხადია თულაშვილი აქ ლაპარაკობს, პირველს რიგში, ახალ საქართველოზე, მაგრამ ახალი საქართველოს მტკიცე საფუძვლებზე აშენებისათვის აუცილებლად მიაჩნია ძველი, დაძაბუნებული შენობის, სიცუდის დანგრევა, აქ კი, ცხადია, მხედველობაში აქვს ბატონყმობა, და მართლაც ეს საკმაოდ მოზრდილი „შინაური მიმოხილვა“ მთლიანად ამ ორ – ბატონყმობისა და ეროვნულ საკითხებზეა აგებული.

ასეთივე გზით ბატონყმობის მოსპობაზე ცდილობს ჩამოაგდოს ლაპარაკი დავით ყიფიანიც. „სხვადასხვა ამბებში“<sup>112</sup> ყიფიანი შორიდან იწყებს მსჯელობას, ლაპარაკობს საზოგადოებაში ახალი იდეის, ახალი აზრის ადამიანთა დევნაზე გაბატონებულთაგან, მეტად მოხერხებულად აღწერს საზოგადოების გაბატონებული ნაწილი თუ როგორ ახვევს თავზე საზოგადოების უმრავლესობას თავის ყოვლად უმსგავსო აზრსაც კი. ყიფიანი წერს: „სხვათა შორის ისეთი რამე არ-წმუნეს ბევრი, რომელსაცა კაცი ცხადათა ჰქედავდა, რომა მიუღებელი იყო, მაგ. საზოგადოებაში რასაც მეფე ისურვებს, უთუოდ ხალხის კეთილი მდგომარეობის სასარგებლოდ ისურვებსო. ხალხსა ამ ჭეშმარიტების რწმუნება მოსთხოვეს და ხალხიც სრულიად დამონებული, რასაცირველია ერწმუნა; მაგრამ, განაგრძობს ავტორი, – ვინც წინაური იყო, ის ცხა-

<sup>111</sup> „საქართველოს მოამბე“, №1, 144-145. გვ.

<sup>112</sup> „საქართველოს მოამბე“, №4.

დად გრძნობდა, რომ საზოგადოება ამგვარი დამონებითა, უმოქმედობითა ხდება, ირყენება, ირღვევა... როდრსაც ეს იჭვნეულობა გავრცელდა საზოგადოებაში და იმითი ხალხის დამამონებელი რწმენა დაირღვა და გულითგან მოეთხარა ხალხსა, მაშინ ხალხი მოჰყვა ქვეყნიერების ბოროტობაზე, იმათი თავისუფლების მომსპობლებზე ღრენასა, და რაკი, როგორც ზემოტა ვსოდეთ, საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილობის ურიგობა, იქამდინ მივიდა, რომა ხალხსა თავის დამონებაში ლუკმა პურის მოგების ღონისძიება აღარა ჰქონდა – მაშინ მოხდა ფრანციელების საზოგადო აღრევა, რევოლუცია. საზოგადოების დაწყებულობაში წესიერებას იჭვი ჩაუგდეს და გარდააგდეს ყოველი ძველებური დაწყებულება, და რასაც მაშინდელი თანამედროვე სამართლიანობა მოითხოვდა, საზოგადოების რიგი ისე დაიწყეს. მაშინ განხორციელდა ხალხში ყოველი ზნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა, როგორც კაცისა და მეტადრე – როგორც საოგადოების წევრისა<sup>113</sup>.

ამავე წერილში დავით ყიფიანმა მეტად მოხერხებულად და საინტერესოდ აღძრა საქართველოს ბატონიუმობის საკითხიც. ამავე დროს დააყენა იმ დროისათვის უდაოდ მნიშვნელოვანი საკითხი თავისუფალი შრომის შესახებ. დ. ყიფიანი წერდა: „საზოგადოებაში ერთი ნაწილი რომ სულ არა შრომობდეს და სხვისი შრომით არჩენდეს თავსა, და იმ შრომასაც რომ – თავისუფლება არ ჰქონდეს, ე.ი. ურთიერთ ნება-ყოფლობაზე დამოკიდებული, რომ არ იყოს საზოგადოებისათვის ცუდია, თუ არა?“<sup>114</sup>

„ამ თავისუფალი შრომის მოკვეთა ჩვენ საზოგადოებაში ასიათას გლეხს მოსდიოდა და იმათ მებატონეებსა მრავალ თავადსა და აზნაურსა, ამას უთუოდ, ჰგრძნობს ქართველობის კეთილშობილი ნაწილი და გლეხებს თავისუფალ შრომზე დაყენება ეძლევათ. დროების დედააზრი, როგორ მოქმედობს

<sup>113</sup> „საქართველოს მოამბე“, №4. გვ. 105-107.

ამ მაგალითში, მკითხველო, ამას ეხლა შენც ადვილად მიხ-  
ვდები.“ ...

ცოტა ქვევით ავტორი განაგრძობს, რომ თუ გამოჩნდა ამ  
დედააზრის განუხორციელობა, მაშინ „აიღებს იმ სენსა, რომ-  
ლის სენობაც ცხადია და დაუწყებს შიგვე გვამში კეპასა“.

ყოველივე ეს იბეჭდებოდა ცენზურისა და მაღალი წოდე-  
ბის რეაქციული ნაწილის მიერ სასტიკად შებოჭილ უურნალ-  
ში. ყიფიანმა ნამოაყენა ლოზუნგი თავისუფალი და ნაყოფიე-  
რი შრომისა. უდაოა, ყიფიანის პირით ლაპარაკობდა მთელი  
„საქართველოს მოამბის“ რედაქცია, უდაოა, რომ ყიფიანის  
მიერ ნამოაყენებული ძირითადი დებულებები – „თავისუფალი  
შრომა უფრო ნაყოფიერია“, „საზოგადოებაში ყველა უნდა  
იყოს მშრომელი თავისუფლათა და ნაყოფიერათა“ და სხვა –  
ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსისა იყო და გადაჭრით  
უარყოფდა ბატონიშვილ წყობილებას. უფრო მეტიც, მართა-  
ლია, ყიფიანი მთელს იმედს განათლებაზე, განათლებული კა-  
ცების შეგნებაზე ამყარებდა, მაგრამ ისიც ცხადია მისი წერი-  
ლიდან, რომ თუ ამ მხრივ განუხორციელებლობა შეეტყობო-  
და საქმეს, მაშინ ის ბატონიშვილის, ამ დიდი სენის შიგვე გვამ-  
ში ამოკეპვას მოითხოვდა. ამ წერილის მთელი წინა ნაწილიც  
აქეთ ამახვილებდა მკითხველის ყურადღებას.

„საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში ვახტანგ თუ-  
ლაშვილი წერდა: „ხალხის ცხოვრება დღესა იქნება თუ ხვა-  
ლე, გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგ-  
რძნობინებს რომ ეს ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამ-  
ქრალი“ (ამოღებულია ცენზურისგან).

თულაშვილი აქ და საერთოდ მთელ წერილში სიტყვა-გა-  
დაკვრით ლაპარაკობს საქართველოს ეროვნული თავისუფ-  
ლებისა და ბატონიშვილის შესახებ. ის მეტად მკაფიოდ ამ-  
ჟღავნებს რუსეთის სამოციანელთა გავლენას. ცნობილია,  
რომ ამ პერიოდის რუსეთის მონიავე ინტელიგენცია მდაბიო  
ხალხის უძლეველი ძალის მოძრაობით ფიქრობდა თავისი

იდეების განხორციელებას. ამ შემთხვევაში თულაშვილის მთელი იმედიც ხალხის ძალაზეა დამყარებული. იგივე დავით ყიფიანი მეორე წერილში წერდა: „თუ კი ამ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის ევროპის შუქმა ჩვენც გადმოგვკრა, მაშინ ჩვენშიაც საქვეყნოდ დაირკება ჭეშმარიტი ცისკარი. იმ ცისკარში მი-იხმება მთელი ქართველობის ხალხი, ყველანი ერთობით მო-ისმენენ ახალი განათლების მოთხოვნილებასა, რომელსაც სა-ძირკვლად უდევს განათლება ჭკუისა და ჰერთება, თანასწორობა, ძმობითი სიყვარული, და ამის გულში ჩანერ-გებითა ხალხი ... (ამოღებულია ცენზორის მიერ) დაადენს და იგემოვნებს“. ცოტა ქვემოთ ავტორი განაგრძობს: „ის ხალხი შეიძლება, სხვადასხვა გარეგანი ძალადობით თავის წარმატე-ბაში შეაყენონ, მაგრამ ეს შეყენება დროებითია ყოველთვის. არ შეიძლება ერთხელაც არის ამ ხალხის ძალამ არ გაიწიოს, ყოველი ძალადობა თან არ გაიტანოს და ისევ თავისი ბუნე-ბის წარმატების გზას არ დაადგეს...“ როგორც აღვნიშნეთ, მესამოციანელთათვის ეროვნული საკითხი განუყრელად და-კავშირებული იყო ბატონყმობის საკითხთან, უფრო მეტიც, ეროვნული თავისუფლების მოპოვება ამოსავალი წერტილი იყო მათი ბრძოლისა. ცხადია, ახალი დამოუკიდებელი ცხოვ-რების ბურუუაზიულ-დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა, თავისუფალი შრომის პრინციპი გადაუდებლად აყენებდა ბა-ტონყმობის მოსპობის საკითხსაც.

მე-60 წლების ქართველ მოღვაწეთა მიერ წამოყენებული ეროვნული საკითხი არაფრით არ ენათესავებოდა მე-19 საუ-კუნის პირველ ნახევრის პატრიოტულ-ფეოდალურ პარტიკუ-ლარულ იდეებს, რომლის წარმომადგენლებათ ხშირად ქარ-თველი რომანტიკოსები გვევლინებოდნენ. სამოციანელებმა იმთავითვე მომავლისკენ დაიწყეს ცქერა, მათი საქართველო იყო ბურუუაზიულ-დემოკრატიულ პრინციპებზე უფლებაალ-დგენილი საქართველო და არა ძველი ფეოდალური ქვეყანა.

საქართველოსა და ქართველი ხალხის წინმსვლელობისათვის სამოციანელებს აუცილებელ პირობათ მიაჩნდათ საქართველოს განთავისუფლება რუსეთი თვითმპყრობელობის კლანჭებიდან და პოლიტიკური გაერთიანება. სწორედ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ადამიანისა და ხალხის კეთილდღეობა.

დ. ყიფიანისა და ვ. თულაშვილის წერილებიდან ზემოთმოყვანილი ამონაწერები უდაოდ ნათელს წარმოდგენას გვაძლევენ სამოციანელთა ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ. სამოციანელები რუსეთის თვითმპყრობელობისაგან საქართველოს განთავისუფლებას, ცხადია, მშვიდობიანი გზით არ მოელოდნენ. ამიტომ იყო, რომ ისინი მოძრაობას, ბრძოლას ქადაგებდნენ. ამიტომ იყო, რომ ხალხის ასამხედრებლად „საქართველოს მოამბეში“ უხვად ათავსებდნენ ცნობებს იტალიის, ჩრდ. ამერიკის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნებში წარმოებული ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

სახუმარო ფორმებით დაწერილ „სხვადასხვა ამბავში“ დ. ავ-ი (დ. ავალიშვილი) მეტად მოხდენილად შეეხო ევროპის მაშინდელ, საერთაშორისო მნიშვნელობის ამბებს: პოლონეთის აჯანყებას, იტალიის ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ამერიკის სამოქალაქო ომს და სხვ. იტალიის ამბების შესახებ იგი წერს: „ჩვენ დროში ერთმა დიდმა არეულობამ იტალიისამ რაღაცა ნაციონალობის ხალხობის აზრი წამოაყენა წინა, რომლის მოთხოვნილებასაცა, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა. ყოველს საზოგადო, სახალო აღრეულობასა, საკვირველია, რომ უთოოდ ამგვარი რამე მოსდევს ხოლმე თანა“.

მეტად მკაცრად არის დაგმობილი მონობა და ბატონყმობა თერგდალეულის (კირილე ლორთქიფანიძე) მიერ გადმოთარგმნილ-გადმოკეთებულ წერილში „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყველია“ („საქართველოს მოამ-

ბე“, №11 და 12). დამახასიათებელია იქვე, რომ სტატიას ეპიგრაფად ნამდვარებული აქვს ლონგფელლოს ცნობილი ლექსი:

«Самсон порабощенный, ослепленный  
Есть и у нас в стране. Он сил лишен,  
И цепь на нем, но - горе! Если он  
Поднимет руки в скорби исступленной».

რედაქცია რაკი თავის საკუთარ წერილების დაბეჭდვას ვერ ახერხებდა, მიმართავდა ისეთი წერილების და თხზულებების თარგმნას, რომლებიც მის იდეებს, მის აზრებს შეესაბამებოდა, რომლებშიც მოცემული იყო ერთი მხრივ ბატონყმობისა და მონობის დაგმობა – მის ნინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ რედაქცია ხელოვნურად არჩევდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ წერილებსა და თხზულებებს. „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ბელიმსკის, დობროლუბოვის, პრუდონის, ვ. ჰიუგოს და სხვათა თხზულებები. მეტად დამახასიათებელია მკითხველისათვის მასალის მიწოდების ხერხიც. მაგ. „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა „მამა ალექსანდრე გავაცუი და მისი ქადაგება“ (დობროლიუბოვის თხზულებიდან). ცნობილია, რომ საცენტურო პირობების გამო დობროლიუბოვსა და სხვებს არ შეეძლოთ თვითმპურობელობის შესახებ პირდაპირ წერა და ხშირად სხვა ხერხებს მიმართავდნენ. ამ შემთხვევაშიც, დობროლიუბოვის მთელი სტატია იტალიის ამბებს შეეხებოდა, მაგრამ არსებითად იგულისხმებოდა რუსეთის საქმეები. დობროლიუბოვი მშვენივრად ახერხებს გავაცუის მიერ ბურბონების დახასიათების ამონერით, თავისი სტატიით დააფიქროს რუსი მკითხველი იმის შესახებ, თუ რითი არიან საკუკეთესო რომანოვები ბურბონებზე და სხვა. თუ დობროლიუბოვს ეს სტატია რუს მკითხველში ასეთს ჩაფიქრებას იწვევდა, ცხადია, მას

უფრო მეტი ნაყოფის მოტანა შეეძლო კოლონიალური მონობის უღელში შებმული ქართველი ხალხისათვის. მაგრამ, „საქართველოს მოამბე“ ქართველი მკითხველის ყურადღება რომ უფრო გაემახვილებინა, დობროლიუბოვის თხზულებასთან ერთად პირველ ნომერში დაბჭედა ვრცელი „შინაური მიმოხილვა“ ვახტანგ თულაშვილისა. ამ მიმოხილვის დაკვირვებით გადაკითხვა დაგვარწმუნებს, რომ ვ. თულაშვილი კვალდაკვალ მისდევს დობროლიუბოვის სტატიას. ცხადია, ვ. თულაშვილი აქ უკვე პირდაპირ საქართველოს ამბებზე ლაპარაკობს, ისიც ცხადია, რომ თულაშვილი ვერ მოახერხებდა პირდაპირ დამპყრობლებზე ელაპარაკანა და სიტყვა ისევ ქართველს საზოგადოებაზე, მის თანდათანობით გადაგვარებაზე, გადარუსებაზე ჩამოაგდო და ყოველივე ამის მიზეზათ მოხერხებულად გამოიყვანა ცარიზმის აუტანელი რეჟიმი. წერილში მრავალი ფაქტიც ჩაურთო: „ვის არ გაუგონია განთქმული პოლიცმეისტერი ერმოლოვის დროს, რომელიცა გაბედვით სცემდა არამც თუ სამსახურის გარეთ მყოფს მოქალაქეებსა, თითონ მღვდლებსაცა“... თულაშვილი ამ გარემოებას მიაწერს ქართველი თავადაზნაურობის სწრაფვას სამსახურისაკენ და სახალხო საქმის მივიწყებას, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ბატონყმობის სიმწვავეზე, მმართველობის ცუდ მაგალითებზე და წერს: „ცუდი მაგალითების რიცხვი დღედადღე მრავლდება, იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოებაში არ მოხდება განათლებისგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბრუნდე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებითა და დაწებებითა, როგორც ძველისა რისამე – უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქციოს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო მკვიდრს საფუძველზე“.<sup>114</sup> ვფიქრობთ, დობროლიუბოვის სტატიასთან ერთად, თულაშვილის „შინაური მიმოხილვის“ დაბეჭდვა ერთგვარი გაშიფრვა იყო დობროლიუბოვის სტატიი-

<sup>114</sup> „საქართველოს მოამბე“, №1, გვ. 144-145.

სა, რათა ქართველს მკითხველს საქართველოს ამბები ეგულისხმებია იტალიის საქმეებში, ხოლო თვით თულაშვილიც ხომ გარკვეულად აგრძნობინებდა მკითხველს თავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას, ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების აგებისათვის ძველი შენობის საფუძვლიანად დანგრევას.

ასეთი ხერხით აწვდიდა მკითხველს „საქართველოს მოამბე“ ზემოაღნიშნულ სხვა მნერალთა თხზულებებსაც და მიუხედავად სასტიკი ცენზურული პირობებისა, ახერხებდა დაგმობას და გალაშქრებას ბატონყმობის წინააღმდეგ, აყენებდა ეროვნული თავისუფლების საკითხს და მოუწოდებდა ქართველ ხალხს ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობისაკენ.

რა ნიადაგზე იყო აღმოცენებული და საიდან მომდინარეობდა სამოციანელთა ზრუნვა ხალხისათვის, ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა და როგორ ესმოდა ეს მათ?

მართალია, სამოციანელებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ძველ თაობას, ბატონყმობას, მაგრამ კლასთა ბრძოლისა და მათ შორის შეუთანხმებლობის პრინციპზე მაინც ვერ დადგნენ. და სწორეთ ამ მდგომარეობამ შემდეგ პერიოდში სამოციანელთა მრავალი წარმომადგენელი ეროვნული საკითხის გადაჭრის მომენტში დიდ უკუდურესობამდე მიიყვანა. სამოციანელტა მიერ ეროვნული საკითხის მკვეთრად დაყენება პირველყოვლისა გამოიწვია თვალსაჩინო ძვრებმა ქვეყნის ეკონომიკურსა და სოციალურს ვითარებაში, ცარიზმის მიერ დაპყრობილი საქართველოს კულტურულმა და პოლიტიკურმა განადგურებამ ბიუროკრატიული აპარატის წყალობით. ხალხის დაცინვამ, დამცირებამ, ყოველივე ეროვნულის მოსპობა-განადგურებამ, გაშიშვლებული რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმოებამ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის მთელ მანძილზე, უდაოდ ხელი შეუწყო სამოციანელთა საერთო პროტესტს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ამ პროტესტმა

შევინწოდებულთა და ჩაგრულთა უფლების დაცვის ხასიათი მიიღო. მეორე მხრივ, ჩვენი სამოციანელები ხომ რუსეთის სამოციანელთა დიდ გავლენას განიცდიდნენ, მათგან შეითვისეს დემოკრატიზმის პრინციპი, „დემოკრატი, – წერდა კ. მარქსი, – წარმოადგენს გარდამავალ კლასს, რომელშიც ურთიერთ დაჩლუნგებულია ორი კლასის ინტერესი. ამიტომ ის ფიქ-რობს, რომ ის საერთოდ კლასთა ანტაგონიზმის მაღლა დგას. დემოკრატების წარმოადგენით, მათ წინააღმდეგ დგას პრივი-ლეგიური კლასი, ხოლო ერის დანარჩენ ყველა ნაწილთან ის შეადგენს ხალხს. ისინი იცავენ ხალხის უფლებას, ისინი გა-მოჰქმატავენ ხალხის ინტერესებს. ამიტომ ისინი საჭიროდ არ სთვლიან გამოიკვლიონ სხვადასხვა კლასების მდგომარეობა და ინტერესები. ისინი აუცილებლად არა სთვლიან ზუსტად გამოიანგარიშონ თავიანთი შესაძლებლობა“.

მარქსის ამ სიტყვებს ლენინმა მეტად მახვილი შენიშვნა გაუკეთა: „ეს რუს ხალხოსნებზე ზედგამოჭრილია, ისინი უარს არ ყოფენ, რომ რუსეთში არსებობს მნარმოებლის მო-წინააღმდეგე კლასები, მაგრამ ისინი გულს იმშვიდებენ იმ მსჯელობით, რომ ეს „მტაცებელნი“ „ხალხის“ წინაშე არარა-ობას წარმოადგენენ და არ უნდათ ყოველი კლასის მდგომა-რეობა და ინტერესები ზუსტად გამოიკვლიონ. მათ უნდათ გაერკვიონ, ხომ არ ხვდება ზოგიერთი მნარმოებელთა ინტე-რესი „მტაცებელთა“ ინტერესს და მით ასუსტებენ წინააღ-მდეგობის ძალას პირველათ მეორეების მიმართ“.<sup>115</sup> ლენინის ეს ახსნა-განმარტება უდაოთ უდგება ჩვენ სამოციანელთა მოქმედებასაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამოციანი წლების ქართველ მოლ-ვანეებს ეროვნული საკითხი ვინრო, შოვინისტური გაგებით არ ჰქონდათ წარმოადგენილი. სამოციანელები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ მოვლენის განვითარებას უცხოეთში, მას სწავლობდნენ და

<sup>115</sup> Ленин, Экон. содержание народничества.

იყენებდნენ აღნიშნული საკითხის გასაღრმავებლად ჩვენში, „საქართველოს მოამბე“ ეს საკითხი საკმაოდ და იმთავითვე გარკვეულ შეხედულებად ჩამოაყალიბა. სპირიდონ ჩიტორელიძე თავის ბიძასთან – თადეოზთან საუბრის დროს აღნიშნავს: „სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორითაც ნაწილი მრთელისაგან. სამშობლო მამულის სიყვარული არის ისა, რომ გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატავს, აღსრულებაში იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისაკვალად შველოდე მის აღსრულებას“.<sup>116</sup>

უფრო გვიან, ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგვუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულისშვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“.<sup>117</sup>

ასეთი ეროვნული გრძნობა, აღმოცენებული რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე, მესამოციანებში აღვივებდა ქართველი ხალხისადმი სამსახურის სურვილს, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. მათ აღძრეს პირველად ეს საკითხი და თუმცა ბევრი რამის გაკეთება ვერ შესძლეს, მაგრამ თვით საკითხის აღძვრა, ერთგვარი ბრძოლის გაშლა მის გასახორციელებლად, უდაოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს სამოციანელებს.

სამოციანი წლების ქართველმა ახალგაზრდობამ პირველად წამოაყენა ეროვნული საკითხი და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა გაშალა. ამ მიმართულების პირველი მესვეური ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც სამოღვაწეო ასპარეზზე გა-

<sup>116</sup> „საქართველოს მოამბე“, №7.

<sup>117</sup> „ივერია“, №1, 1882 წ.

მოსვლისთანავე მთავარ საბრძოლო ლოზუნგათ გამოაცხადა ეროვნული თავისუფლების მოპოვება და ეს ლოზუნგი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგთან ერთად საფუძვლად დაუდო „საქართველოს მოამბეს“. მაგრამ ამ პერიოდში მეტად მცირე იყო ილია ჭავჭავაძის მიმდევართა რიცხვი. ამ საბრძოლო ამოცანების ირგვლივ პირველ რიგში დაირაზმა ახალგაზრდობა, რომლებიც ილიასთან ერთად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში.

ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმით მოდუნებულსა და გაპარტახებულს საქართველოში ილია ჭავჭავაძემ და მისმა გუნდმა უცბად ვერ ჰპოვეს გამოძახილი იმ ახალ აზრებსა და იდეებზე, რომლებსაც ისინი ქადაგებდნენ ჩვენში. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1861 წელს დაწერილ ლექსში ასე მოს-თქვამდა ილია ჭავჭავაძე:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული,  
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება.

შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,  
ლამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ლამდება.


.....  
.....  
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,  
რომ შენს მინაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო...“<sup>118</sup>

ილია ჭავჭავაძე არ შეუშინდა ამ უკაცობას, მწვავე ბრძო-ლა გააჩალა გადაგვარების გზაზე მდგომი ძველი თაობის წი-ნააღმდეგ, მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ბატონყმური წყობილების მოტრფიალე მაღალი წრის თავადაზნაურობას

<sup>118</sup> „საქართველოს მოამბე“, №2, გვ. 190.

და მკვეთრად დააყენა საქართველოს ეროვნული თავისუფალების საკითხი. მას ამ პრძოლაში გვერდს უმშვენებდნენ რუსეთის მე-60 წლების დიდ მოღვაწეთა – დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის იდეებზე აღზრდილი ქართველი ახალგაზრდობა. აი, ამ ახალგაზრდობასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე, როგორც ეს სრულიად სამართლიანად აღნიშნა გაზიერმა „პრავდამ“.





## ლუკა ციხისთავი (1901-1976)

### მოკლე ბიოგრაფია

ლუკა იოსების-ძე ციხისთავი (დ. 1 დეკემბერი, 1901 – გ. 26 მარტი, 1976) – ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, სტა-ლინური რეპრესიების მსხვერპლი.

ლუკა ციხისთავი დაიბადა 1901 წლის 1 დეკემბერს იოსებ და მელანია (ელისაბედი) ციხისთავების ოჯახში, თელავის მაზრის სოფელ ფშაველში. მამა, იოსებ ციხისთავი (1875-1932 წწ.) გერმანელი მაგნატის – ბარონ ფონ გეიკინგის საკუთრებაში არსებული ტყეების გამგებელი იყო თელავის მაზრაში. დედა, მელანია (ელისაბედი) ჩაღათაშვილი დიასახლისი იყო. იოსებს და ელისაბედს სამი შვილი შეეძინათ: გრიგოლი (გრიშა) (1898-1957 წწ.), ლუკა (1901-1974 წწ.), და ოლღა (ოლია) ციხისთავი-კეცხოველისა (1905-1997 წწ.). იოსებისა და ელისაბედის სამივე შვილი წარმატებული სპე-

ციალისტი დადგა: გრიგოლი ზოოტექნიკოსი იყო, ოლღა – მიკრობიოლოგი, ხოლო ლუკა – ეკონომისტი და ისტორიკოსი.

ლუკა ციხისთავმა დაწყებითი განათლება თელავის სამრევლო ყაზახაშვილის სკოლაში მიიღო. თელავის სასულიერო სასწავლებლის დასრულების (1912-1916 წწ.) შემდეგ, 1917 წელს, სწავლა განაგრძო ტფილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ერთი წელი ისწავლა. 1918 წელს სწავლა ტფლისის ქართულ გიმნაზიაში გააგრძელა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ლუკამ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1920-1924 წწ.) სიბრძნისმეტყველებისა და სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ეკონომიკურ დარგზე განაგრძო და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

პირველად, ლუკა ციხისთავი 1924 წელს ლავრენტი ბერიას ხელდასმით დაპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, რაც, აგრეთვე, უკავშირდებოდა ლუკას ბიძაშვილის, ლონგინოზ (ლონგო) ციხისთავის („ძია“) წევრობასა და აქტიურ მონაწილეობას ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის შეთქმულთა რაზმში. ერთი წელი ლუკა ციხისთავმა მეტეხის ციხეში დაჰყო.

1924 წლის მიწურულს ლუკა ციხისთავმა მუშაობა დაიწყო ქვემო ჭალის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. 1927 წლის 1 ივლისს ლუკა ციხისთავმა იქორწინა ნინო (ნინა) გუჩმაზაშვილზე (1906-1986 წწ.). ლუკა და ნინა ციხისთავებს ორი შვილი შეეძინათ: ირაკლი ციხისთავი (1928-2009 წწ.) და ლეილა ციხისთავი (1931-1968 წწ.).

1928 წელს იგი თბილისში გადაიყვანეს და პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის დირექტორის მოადგილედ და ისტორიის მასწავლებლად დანიშნეს. 1930 წლიდან ლუკა განათლების კომისარიატში იწსტრუქტორად აგრძელებს მუშაობას, იყო მეცნიერებისა და ხელოვნების სამმართველოს უფროსი. იმავე პერიოდში, იგი ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა შეთავსებით, პირველ და მესამე საცდელ-საჩვენებელ სკოლებში, ატარებდა გაკვეთილებს თბილისის საშუალო სკოლების

მასწავლებლებისთვის. იყო დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი.

1931-1932 წლებში ლუკა ციხისთავი მუშაობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორად. იმავე დროს, იგი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და სწავლული მდივანი იყო. 1933 წლიდან სიმონ ხუნდაძის შუამდგომლობით, ლუკა ციხისთავი გადაიყვანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1933 წლის სექტემბრიდან კი ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. შეთავსებით მუშაობდა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის „ელჩის“ დირექტორის მოადგილედ და ისტორიის განყოფილების გამგედ. 1936 წლიდან ლუკა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს. შეთავსებით აგრძელებდა მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ელჩის“ დირექტორის მოადგილედ, უნივერსიტეტის გამომცემლობაში, სიძველეთა დაცვის კომიტეტში.

1937 წელს ლუკა ციხისთავი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მონიდების ბრალდებით დააპატიმრეს. 1937-1957 წლებში ლუკა ციხისთავი სტალინის რეჟიმის პოლიტპატიმარი იყო და 20 წელი საბჭოთა საპატიმროებსა და გულაგის ბანაკებში (სოლიკამსკი, პერმის მხარე, ციმბირი, რუსეთი; ყარაგანდა, ყაზახეთი) მოიხადა. საყოველთაო რეაბილიტაციის გამოცხადების შემდეგ, 1956 წლის მიწურულს, ლუკა ციხისთავი დაუბრუნდა სამშობლოსა და ოჯახს.

20-წლიანი პატიმრობისა და გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, ლუკა ციხისთავი მიენიჭა ისტორიის კათედრის დოცენტის ხარისხი 1956 წლის მიწურულს. 1959 წელს მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ლუკა ციხისთავი 1957-1958 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში დირექტო-

რის მოადგილედ. 1958-1960 წლებში ლუკა ციხისთავი პედა-გოგიის ინსტიტუტში ისტორიის სწავლების მეთოდიკის გან-ყოფილების გამგედ გადაიყვანეს. 1961-1976 წლებში, გარ-დაცვალებამდე, ლუკა ციხისთავი მუშაობდა ა. ს. პუშკინის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინს-ტიტუტში სსრკ ისტორიის კათედრის დოცენტად. სხვადასხვა დროს იყო იყო საღამოს სწავლებისა და პედაგოგიის ფაკულ-ტეტის დეკანი, წლების მანილზე მონაწილეობდა საზოგა-დოება „ცოდნის“ საქმიანობაში, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმში.

სხვადასხვა დროს ლუკა ციხისთავი დაჯილდოვდა სახალ-ხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით (1959 წ.), იაკობ გოგებაშვილის მედლით (1965 წ.), უმაღლესი სასწავ-ლებლების სტუდენტთა სწავლებისთვის და აქტიური მუშაო-ბისთვის საპატიო სიგელებით (1965, 1968 წწ.), შრომის ვეტე-რანისა და თავდადებული შრომის მედლებით (1970, 1975 წწ.).

ლუკა ციხისთავი არის მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი-შემდგენელი. გამო-ქვეყნებული აქვს ისტორიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის, მეთოდური სახელმძღვანელოები, მონოგ-რაფიები და სამეცნიერო ნაშრომები XIX საუკუნის საქართვე-ლოს ისტორიაში, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში, საქარ-თველოს ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში და სხვ.

## სახელთა საძიებელი

ა

- აკავკასიის ყმა გლეხთა  
მდგომარეობის მომწყობი  
კომიტეტი, 100, 104  
აბაშიძე კიტა, 108  
ავალიძენი სიმონ, 101  
ავალიძენილი დავით, 248  
ავთანდილოვი ზაქარია, 63  
ალექსანდრ I რომანოვ  
იმპერატორი, 129, 134  
ალექსანდრ II რომანოვ  
იმპერატორი, 89, 90, 92,  
159, 164  
ალექსეევ სარდიონ, 85  
ალექსიევ-მესხიევი სარდიონ,  
122  
ალისევანტი, 129  
ამბოხება, 65, 164, 172, 178,  
214, 227  
ანტონ I კათალიკოსი, 117, 121,  
122  
ანტონოვიჩ მაქსიმ, 169, 225  
არდაზიანი ლავრენტი, xxxii,  
xxxiii, 86, 89, 113  
არწრუნის ქარვასლა, 139  
ასათიანი ვლადიმერ, 166  
აქციონერთა სავაჭრო  
კომისანის კომერციული  
სახლი, 80, 140  
აღა-მაჰმად-ხანი, 54  
ახალი კავკასიონი, 170  
ახვერდოვი ალექსანდრე, 85

ბ

- ბაგრატიონები, 66, 151  
ბაგრატიონი დიმიტრი, 85  
ბარათაშვილი გიორგი, 117, 120  
ბარათაშვილი ნიკოლოზ, xxxii,  
85, 117

- ბარიატინსკი ალექსანდრე, 100  
ბარნაბაშვილი, ნ., x  
ბასტია ფრედერიკ, 205  
ბატონიშვილების ქარვასლა,  
139  
ბატონიშვილი (ბაგრატიონი)  
ოქროპირ, 66, 71  
ბატონიშვილი (ბაგრატიონი)  
დავით, 146  
ბატონიშვილი (ბაგრატიონი)  
თეკლე, 145  
ბაქრაძე დიმიტრი, xxxii, xxxiii,  
86, 113  
ბელანსკი ბესარიონ, xxxv, xxxvi,  
114, 119, 166, 189, 205, 241,  
249  
ბენაშვილი დ., 108, 111  
ბერია ლავრენტი, vi, ix, xii, xxv,  
xxvi, 258  
ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი)  
ნიკოლოზ, xxxii, xxxiii, 86,  
87, 88, 113  
ბლუდოვ დიმიტრი, 62  
ბურბონები, 206, 249  
ბუტკოვ ვლადიმერ, 100

გ

- გაბაშვილი ელისაბედი, 59  
გაზეთი თემი, 102  
გარიბალდი ჯუზეპე, 206  
გეიკინგი ფოს ბარონი, 257  
გერცენი ალექსანდრე, 72, 158,  
159, 166, 224  
გლინკა სერგეი, 71, 160  
გორგაძე ი, x  
გრანოვსკი ტიმოფეი, 166  
გრიბოედოვ ალექსანდრ, 55  
გრიგოროვიჩ დიმიტრი, 194  
გუთნის დედა, 106, 110, 115,  
143, 173, 228

- გულაგი, 4, vi, xxvi, 259  
გურიოვების მეფაპრიკეთა  
კომპანია, 140
- დ**
- დოპროლიუბოვ ნიკოლოზ,  
xxxv, xxxvi, 114, 158, 160,  
164, 167, 169, 189, 205-207,  
213, 215, 224, 225, 241, 249,  
250
- დოდაშვილი სოლომონ, xxx,  
xxxi, 61, 63, 64, 66-72, 74,  
79, 150, 151
- დროება, x, xv, xvii, 109, 112,  
212
- ე**
- ეგზარხოსი ფეოფილაქტე  
(რუსანოვ), 54
- ელისეევ გრიგორ, 169, 225
- ენის, ლიტერატურის,  
ისტორიისა და ხელოვნების  
სამეცნიერო საკვლევი  
ინსტიტუტი „ელის“, 259
- ერეკლე II ბაგრატიონი მეფე,  
145
- ერისთავები, xxxi, 63
- ერისთავი გიორგი, xxxi, xxxii,  
55, 63, 66, 67, 69-71, 79,  
85, 86, 110, 150
- ერისთავი ელიზბარ, 63, 66, 70,  
71, 150
- ერისთავი რევაზ, xxxiv, 115,  
117
- ერისთავი შანშე, 146
- ერმლერ ფრიდრიხ, xxv
- ერმოლოვ ალექსი, xxx, xxxiii,  
58, 207, 250
- ესაძე სიმონ, 131
- ეჯუბოვი ი., 168, 225

- ვ**
- ვაჭარაძე ანტონ, vii, xxxviii  
ვახტანგ VI ბაგრატიონი მეფე,  
97
- ვეიდენბაუმ ევგენი, 60
- ვორონცოვ მიხეილ, xxxiii, 80,  
81, 82, 83, 91, 95, 96, 135,  
140, 142, 151, 153
- ზ**
- ზეიდლიც ნიკოლოზ, 142, 143
- ზუბალაშვილი იაკობ, 141
- თ**
- თერგდალეული, xxxvii, 114,  
122, 203, 204, 248
- თვითმკურობელობის კოლონია,  
44, 51, 53, 81, 215, 226, 230
- თუთუნის ფაბრიკა, 142
- თულაშვილი ვახტანგ, xxxvi,  
189, 196-197, 200-202, 207,  
208, 241, 243, 244, 246-248,  
250, 251
- თუმანიშვილი მიხეილ, xxxii, 86,  
88, 89, 93, 110, 154, 214
- ი**
- ივერია, 106, 212, 253
- იოსელიანი პლატონ, 79
- ისარლიშვილი იაკობ, 168, 169,  
225
- კ**
- კაველინ კონსტანტინე, 166
- კავკაზი, 87, 89, 90, 142
- კავკასიის კომიტეტი, 100, 178
- კავკასიის მხარეთა უწყებანი,  
79
- კამიუ ალბერ, xxiv
- კანკრინ ეგორ გრაფი, 139

- კასტელოს აპრეშუმის  
ძაღლახვევი ქარხანა, 141
- კეთილშობილთა  
სასწავლებელი, 45, 54
- კერძელიძე ივანე, xxxii, 86-89,  
94, 99, 105, 112, 119, 154
- კესიდ ჯულია, xxv
- კვალი, 217
- კვალებიძე დათუა, 59
- კიკნაძე ფილადელფოს, 150
- კიროვ სერგეი, xxv
- კოზლოვ ივან, xxxiv, 115, 119
- კოლოკოლი, 166, 172, 224, 227
- კოლონიზაცია, xxix, xxx, xxxiii,  
43, 51, 52, 54, 128-130, 132,  
136, 137, 139, 141, 145, 146,  
148, 154, 170, 175, 188, 206,  
215, 226, 230, 240, 250
- კომუნისტური განათლება, xxvi
- კორფუ მოდესტ ბარონი, 131,  
132
- კოსტიმაროვ ნიკოლოზ, 166
- კრებული, 167, 218, 227
- ლ**
- ლომჯარია, თ., x
- ლონგფელი ჰენრი  
უოდსუორთ, 165, 204, 249
- ლორთქიფანიძე კირილე, 89,  
114, 169, 204, 225, 248
- მ**
- მალიცე გუბერნატორი, 146
- მამაცაშვილი იოსებ, 63
- მამაცაშვილი კონსტანტინე,  
102, 106, 107, 110, 154, 214
- მამუკელაშვილი ნაირა, xxii, xxii
- მანია ესმა, viii
- მარმონტელ უან ფრანცუა, 119
- მარქს კარლ, xxi, xxii, xxxiv,  
108, 109, 209, 210, 252
- მაჩაბელი სვიმონ, 85
- მემორიალი, xxvi
- მეტეხის ციხე, vi, ix, xvi, 258
- მეუნარგია იონა, 55
- მეჩნიკოვ ევგრაფი, 135
- მთავლიტი, xix, xx
- მინაშვილი, ლ., x
- მიქაბერიძე, მ., x
- მიქელაძე, 105
- მიხაილოვ მიხეილ, 165
- მნათობი, 212
- მოლაყბე, xxxii, xxxiii, 86-96, 98,  
99, 103-105, 107, 112, 163
- მოსკოვის ტელეგრაფი, 72
- მურავიოვ ხიკიტა, 65
- მუხრანსკი ივანე, 182
- ნ**
- ნიკოლაი ალექსანდრე ბარონი,  
153
- ნიკოლაძე ნიკო, 89, 107, 114,  
167-169, 171, 172, 176, 217,  
224, 225, 227, 230
- ნიკოლოზ | რომანოვ  
იმპერატორი, 69-71, 131,  
139, 151, 159, 160
- ო**
- ობრუჩევ ვლადიმერ, 165
- ოვსიანიკო-კულიკოვსკი  
დიმიტრი, 71
- ორბელიანები, xxxi, 63, 86, 110,  
174
- ორბელიანი ალექსანდრე, 63,  
86, 92, 95-98, 113, 145
- ორბელიანი გრიგოლ, xxxii,  
xxxiii, 63, 65, 85, 99, 110,  
178, 179
- ორბელიანი დიმიტრი, 63
- ორბელიანი ვახტანგ, 63, 86,  
110
- ორბელიანი სულხან საბა, 85

პ

- პანტელეევ ლონგინ, 169, 225  
 პასკევიჩ ივან, 55  
 პეტრე ! რომანოვი  
     იმპერატორი, 60  
 პიოტროვსკი ეგნატე, 169, 225  
 პიპინ ალექსანდრ, 166  
 პრავდა, xxvii, 213, 255  
 პროხოროვების მეფაბრიკეთა  
     კომპანია, 140  
 პრუდონ პიერ-ჟოზეფ, xxxvi,  
     205, 249  
 პუშკინ ალექსანდრ, 116

ჟ

- ჟილი ანდრე, xxiv  
 ჟორდანია ნოე, 108

რ

- რაგოუინის მეფაბრიკეთა  
     კომპანია, 140  
 რაზმაძე სოლომონ, 63, 150  
 რეპინ ილია, xxxv  
 რილეევ კონდრატ, 65  
 როზენ გრიგოლ ბარონი, 62,  
     80, 134, 135, 137  
 რომანოვები, 151, 154, 206, 249  
 რუსეთის იმპერიის ბანკის  
     განყოფილება, 82  
 რუსეთის კოლონია, 43, 51, 52,  
     72, 130, 144, 188, 240  
 რუსთაველი შოთა, xx, xxii  
 რჩეულიშვილი გრიგოლ, 85

ს

- საბჭოთა ხელოვნება, x, xi, xiv,  
     xv, xvi, 48, 74, 75, 77  
 საგანელი ალექსანდრე, 85, 87,  
     88, 95, 96  
 საინფორმაციო ფურცელი, xxx

- სალიტერატურო ნაწილი  
     ტფილისის უწყებათანი, xxx,  
     xxxii, 61, 63, 67  
 სამაზრო და საგუბერნიო  
     თავადაზნაურთა ყრილობა,  
     100, 101, 102  
 სამაზრო კომიტეტი, 100, 101  
 სამაზრო სასწავლებელი, 54  
 სანკოვსკი ბავლე, 63  
 სარაჯიშვილის ქარვასლა, 139  
 სარქისოვის ქარვასლა, 139  
 სასულიერო სემინარია, 54  
 საქართველოს განეთი, xxx, 45,  
     55, 56, 60, 61, 79  
 საქართველოს მოამბე, 5, x, xi,  
     xv, xxxv, xxxvi, 89, 112, 122,  
     123, 125, 126, 128, 176, 178,  
     180-185, 187-198, 200-202,  
     204, 205, 207, 208, 210-213,  
     216-219, 221-223, 230, 232-  
     241, 243-246, 248-251, 253,  
     254, 256  
 საცენტურო კომიტეტი, 178,  
     232  
 სერებრიაკოვ ივანე, 181  
 სერნო-სოლოვიევიჩ  
     ალექსანდრ, 160  
 სერნო-სოლოვიევიჩ ნიკოლოზ,  
     160  
 სკანდელი (ნიკოლაძე) ნიკო,  
     167, 171, 227  
 სოვერენიკი, 158, 159, 161,  
     162, 164, 165, 167-169, 178,  
     206, 224, 225, 232  
 სოსელია გრიგოლ, xxvi  
 სოსელია გურამ, xxvi  
 სპასოვიჩ ვლადიმერ, 166  
 სტალინელი, xi, xiii, xv, 222,  
     236, 238, 256  
 სტალინური ეპოქა, xix  
 სტასიულევიჩ მიხეილ, 166  
 სულხანიშვილი გაბრიელ, 89  
 სურგულაძე აკაკი, xxi  
 სხვათა შორის, 167

## ტ

- ტროცეი ლევ, xxii  
 ტფილისის „უწყებათანი, xxx,  
     xxxi, 61, 62, 63, 64, 65, 66,  
     72  
 ტფილისის „უწყებათანის  
     ლიტერატურული დამატება,  
     74, 79

## უ

- ულიანოვ ვლადიმერ ლენინ, xi,  
     xxi, xxii, xxv, xxvi, 109, 111,  
     137, 143, 157, 163, 209, 252  
 უტინ ბორის, 166

## ყ

- ფურცელაძე ანტონ, xxxii, 86  
 ფურცელაძე დიმიტრი, 106

## ქ

- ქართული გაზეთი, 60, 61, 66  
 ქიქოძე პ., 108, 111

## ღ

- ღოლობერიძე ბესარიონ, 169,  
     225  
 ღოლობერიძე დავით, 169, 225  
 ღოლობერიძე ვ., 168  
 ღოლობერიძე ნიკოლოზ, 168,  
     169, 181, 225

## ყ

- ყაზახაშვილი, 258  
 ყაფლანიშვილი (ორბელიანი)  
     ვახტანგ, 145  
 ყიფიანი დავით, 181, 184, 185,  
     197-202, 234, 235, 244-248  
 ყიფიანი დიმიტრი, xxxii, xxxvi,  
     63, 71, 86, 106, 110

## ყორანაშვილი გურამ, xxii

## შ

- შელგუნოვ ვასილი, 160  
 შეროზია კ., xv

## ჩ

- ჩალათაშვილი-ციხისთავისა  
     მელანია (ელისაბედ), 257  
 ჩახრუხაძე, 120, 121  
 ჩერნიშევ ალექსანდრ, 81  
 ჩერნიშევსკი ნიკოლოზ, xxv,  
     114, 158-164, 166-170, 182,  
     189, 192, 213, 215, 224-226,  
     232, 241, 255  
 ჩერნიშევსკი ოლლა, 168  
 ჩერვერიკოვების მეფაბრიკეთა  
     კომპანია, 140  
 ჩიტორელიძე სპირიდონ  
     (ყიფიანი მიხეილ), 211, 253  
 ჩოლოყაშვილი არჩილ, 169, 225  
 ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო  
     (ქაქუცა), 258

## ც

- ცენზურა, xii, xvii, xix, xxiii, xxxi,  
     xxxv-xxxvii, 58, 60, 66, 68-71,  
     74, 103, 107, 112, 160, 161,  
     163, 164, 177-179, 182, 183,  
     186, 187, 190, 193, 199-201,  
     206, 208, 210, 216, 231-234,  
     239, 241, 246, 247, 249, 251  
 ცისკარი, xxxi, xxxii, xxxiii, xxxiv,  
     79, 84-99, 103-105, 107,  
     109-115, 117-119, 121, 122,  
     173, 176-178, 180, 182, 228,  
     230-232, 247  
 ციციანოვ პავლე, 129, 130  
 ციხისთავი გრიგოლ, 257  
 ციხისთავი ოსებ, 257  
 ციხისთავი ირაკლი, vi, xi, xviii,  
     258

ციხისთავი ლეილა, vii, 258  
ციხისთავი ლონგინოზ  
(ლონგო), 258  
ციხისთავი ნინო (ნინა), vii, xi,  
258  
ციხისთავი-კეცხოველისა  
ოლდა, 257

## ნ

ნერეთელი აკაკი, xxxii, xxxiii,  
86, 89, 105, 107, 114  
ნერეთელი გიორგი, 89, 107,  
114, 122, 168, 169, 189, 217,  
225, 241  
ნერეთელი ეფთიმე, 122  
ნმინდა ლუკა მახარებელი, vi

## ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე, xxxi,  
55, 63, 117, 145  
ჭავჭავაძე გარსევან, 145  
ჭავჭავაძე ზაალ, 102  
ჭავჭავაძე ილია, v, vi, ix, x-xii,  
xv-xviii, xx-xxiii, xxvii, xxxiv-  
xxxvii, 102, 107, 109, 114-  
122, 128, 156, 166, 174, 177,  
178, 180, 182, 183, 185-187,  
189, 190, 193, 195, 196,  
210-213, 216-218, 221-223,

Гангеблов (Гангеблидзе)

Александр, 65

Грузинский Вестник, 180

Гужаловский, А, xx

Добролюбов Николай, 161, 206

Евгеньев-Максимов Владислав,  
161

Европеец, 72

229, 231-233, 236-243, 253-  
256  
ჭავჭავაძე ნიკოლოზ 102, 106,  
107, 2014  
ჭონქაძე დანიელ, xxxiii, 93, 97-  
99, 103, 105, 107, 108, 111,  
112, 177, 231

## ბ

ხახანაშვილი ალექსანდრე, 108  
ხუნდაძე სიმონ, 83, 89, 109,  
172, 176, 177, 230, 231, 259  
ხუცუშვილი გიორგი, vii

## კ

ჯანელიძე ოთარ, xx  
ჯიქურიძე ალექსანდრე, viii  
ჯორჯაძე არჩილ, 83, 108  
ჯორჯაძე ბარბარე, xxxiii, 112,  
117-120, 122  
ჯულაშვილი იოსებ (კობა)  
სტალინი, vi, ix, xi-xiii, xvi, xx-  
xxii, xxv-xxvii, 148, 259

## ჰ

ჰიტლერ ადოლფ, xxv  
ჰიუგო ვიქტორ, xxxvi, 205, 249

Кавказ, 106

Кавказский Вестник, 79

Кавказский Цензурный Комитет,  
179

Колокол, 228

Лемке Михаил, 159

- Овсянико-Куликовский  
Дмитрий, 71  
Орбелиани Григор, 179
- Полянский Валерьян, 206  
Пурцеладзе Дмитрий, 106
- Рио-Нели (Николадзе) Николай,  
172, 228  
Современник, 161
- Тифлисские Ведомости, xxx, 62,  
63, 67  
Туманов Георгий, 135
- Ульянов Владимир Ленин, 111,  
209, 252
- Чавчавадзе Илья, 179  
Чернышевский Николай, 161  
Шавров Николай, 80  
Юридическое Обозрение, 106

## **Luka Tsikhistavi – For the History of Georgian Periodicals 1819-1863** (in Georgian)

The book presents the work of Georgian scientist and historian Luka Tsikhistavi, written in 1930s, shortly before the Stalinist political repression (known as the Great Purge or the Great Terror) and imprisonment for 20 years in Siberian GULAG. The complete original manuscript is being published for the first time. It includes three parts (shortened versions of two of which were already published in 1935 and 1937). The book includes the original manuscripts and introduction, providing substantiated assumptions that this work constituted the basis for the arrest of Luka Tsikhistavi and his deportation to the GULAG (1937 – 1957). This publication is intended for historians, as well as a wide range of readers. The book is being published to commemorate the 120<sup>th</sup> Anniversary of Luka Tsikhistavi's birth.

Editor: Nina Tsikhistavi-Khutshishvili

The book was compiled by the granddaughters of Luka Tsikhistavi:

Nana Tsikhistavi, Ph.D. in History, Associate Professor

Nina Tsikhistavi-Khutshishvili, PhD(c) in Social and Political Sciences (SPS), M.Sc.

Tamara Tsikhistavi, MA in Peace and Conflict Studies, M.Sc.

The Book Reviewer: Anton Vacharadze, MA in history, Head of Memory and Disinformation Studies, Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

Proofreading: Esma Mania, MA in Philology

Design: Nina Tsikhistavi-Khutshishvili

Typography & Design: Alexander Jikuridze

Publisher: Nina Tsikhistavi-Khutshishvili

Cover Photos: Luka Tsikhistavi, Tiflis, 1937.

Luka Tsikhistavi's manuscripts.

© Nina Tsikhistavi-Khutshishvili, Nana Tsikhistavi, Tamara Tsikhistavi, 2021

UDC (ეგვ) 050/070 (479.22)(09)

(გ - 794

ISBN 978-9941-8-3135-5

2011 წელს გამოიცა – წერილები ოჯახს 1937-1957 წწ.



გამოქვეყნებულია სტალინის გულაგის ლაგერებიდან გამოგზავნილი წერილები, „ტროკას“ განაჩენები და სხვა საარქივო დოკუმენტები.

2021 წელს გამოიცა  
**ლუკა ციხისთავი - ქართული პერიოდის ისტორიისათვის  
1819-1863 წწ.**



გამოსაცემად მზადდება:  
საქართველოს ისტორიის ქრესტომატია  
საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია

ტირაჟი: 300



სტამბა  
Print House Damani

თბილისი, ვ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

სტამბა დამანი / Print House Damani

60-առ բարել շիզայու ոքքացը ու 15.  
" լոյազմէ անձի " / 1868 Եկ.

15.

*Schizocosa spinipes* (Spira) *sp.* - 19 mm. -  
Body pale yellow, legs yellowish green. Abdomen  
yellow on right side, but anal plate  
brown. 2-19-mm. Posterior leg 150 mm. long -

ու պահանջման ուժը առաջ է բարելով.  
Եթե օրոշում կատարվի, ԽՍՀ Խորհը ու Յան Կոստանդիա Ռազմիկի գնդեց աշխարհական  
Հայության զանազան առջևու ու շահութ դեմ  
կատ պահանջման ուժում է առ քայլութեա.

✓ Jenkins  
6/1-1934 b  
759<sup>2</sup>

каждого изображения отдельно наносится вспомогательный текст, чтобы изображение можно было идентифицировать, и это изображение можно было бы использовать для дальнейшего анализа.

Johansen Sphacelosporid sp. nov. typus hanc est ex  
35 plur. sp. nov. vegetabile agere. Multo  
36 longe ex aliis nigratis, sed anafolii  
37 et 38-19-Wy. modesto typis squalens  
38 rufin 500000 vegetabilibus illius specie  
39 vegetabilis oblongis ex foliis de quatuor  
40 tuberculis ex vegetabilibus specie 10 Wy-  
41 sic videtur esse. \*

ISBN 978-9941-8-31355-5

autumn 2017.

ISBN 978-9941-8-3135-5



卷之三